

114  
1949

  
საქართველოს  
აზიისა და აღმოსავლეთის  
წიგნობა

# მნათობი

8

აგვისტო



1949

# გნათობი



საქართველოს საბჭოთა მწიგნობის  
კავშირის ურველთვიური სალიბრაბურს  
სახელმწიფო და საზოგადოებრივ-საოლიბიკო  
ფარნალი

წალიწადი ოცდამეექვსე

135460

4573

8

აბვიბტო

★



თბილისი

1949

საქართველოს  
ენციკლოპედია  
საბჭოთა საქართველო

## დავით ბაქრაძე

საბჭოთა კავშირის გმირი

# გმირთა სისხლით \*



XL

სლაუცკის ტყე ნამდვილი პარტიზანული ციხე-სიმაგრე იყო. კარპატებიდან წამოსულებმა ამ ტყეს რომ მოვალწიეთ, მხოლოდ მამინ შვედელით დასვენება. დასვენების შემდეგ შშვი-დად განვაგრძეთ. გზა, წინ ლვოვ-კიევის რკინიგზა გვედო. ლვოვ-კიევის რკინიგზა ამ მხარეში მთავარ საკვანძო მაგისტრალს წარმოადგენდა, ის ცნობილი იყო, როგორც ფრონტის მასაზრდოებელი არტერია. აქედან ყველა მიმართულებით მიდიოდნენ მატარებლები, დღე-ღამე განუწყვეტელი მოძრაობა იყო.

ჩვენ კარგად ვიცოდით, თუ როგორი თავგამოდებით იცავდა მტერი რკინიგზებს, ამიტომ წინასწარი დაზვერვის გარეშე ხაზზე გადასვლა სახიფათოდ ვცანით. ველოდით წინ გაგზავნილ მშვერაგებს: უძრავად იდგნენ ერთ ადგილას ასეულები. კიდევ რამდენიმე წული და მშვერაგებიც გამოჩნდნენ.

— უშიშარი მდგომარეობაა, — განაცხადებს მშვერაგებმა, — ხაზზე გადასვლა უხიფათოდ შეიძლება. მთლად მოვიარეთ ახლო-მანლო უბნები და

მხოლოდ სამ მცველს წაეწყვიტო, ხმაამოუღებლივ დაეატყვევეთ სამთავე და წამოვიყვანეთ.

ეს მცველები ადგილობრივი გლეხები აღმოჩნდნენ, ისინი იძულებით გამოეყვანათ გზის საყარაულოდ. როდესაც გაიგეს ჩვენი ვინაობა, დაფრთხნენ საცოდავები: „ღმერთო! მოწამე, — განაცხადეს მათ, — მუქართ გამოგვრეკეს, გზის დაცვა გვიბრძანეს, ბუზი რომ ბუზია, ისიც არ გააკაროთ ახლო გზას, თორემ სიცოცხლე არ გიწერიათო! დავმორჩილდით მეტი რა ღონე იყო.“

ამრიგად, ჩვენ სრულიად თავისუფლად და უვნებლად გადავლახეთ კიევის ხაზი და ვათენებისას შეპეტოვკის ტყემდე მივალწიეთ. ეს ტყე ოცდაათი კილომეტრით არის ქალაქ შეპეტოვკიდან დაშორებული. შევედით ტყეში, მოვეწყვეთ და გივლაგდით იქ ისე, თითქოს კეთილმოწყობილ დარბაზში რბილ საყარძელში ჩამჯდარიყავით. თეთრად ვათენდა. პარტიზანებმა ტყის სიღრმეში უცხო პირები შეამჩნიეს და მათ გამოუღდნენ. უცხონი შესდგნენ, მალე გამოირყვა, რომ ისინი ადგილობრივი პარტიზანები იყვნენ. „შედედედების რაზმის მებრძოლნი ვართო“ განაცხადეს მათ. ჩვენების შეკითხვაზე, თუ სად

\* ვაგრძელბა. „მნათობი“ № 7.

იმყოფებოდა ანეჰმად შედევდევი, პარტიზანებმა გვიოხრეს: „ის თავისი შტაბით ტყის სიღრმეშია დაბანაკებული, ჩვენ იქეთ სადივერსიოდ გამოგვზავნათ“.

პართლაც, როგორც ეს შემდეგ ჩვენთვის ცნობილი გახდა, დიდი სადივერსიო მუშაობა ჩაეტარებინა ლოვე-კიევის რეინიგზის ხაზზე მედევდევის მიერ გამოგზავნილ დივერსანტების ჯგუფს. როდესაც ამ მებრძოლებმა ვაიგეს, რომ ჩვენ კოვპაკის ნაწილს ვეკუთვნოდით, ძალიან გაეხარდათ, გვიოხრეს ამ უამად რამდენიმე პარტიზანია კოვპაკის შენაერთიდან ჩვენთან; ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვინ და სად არიან ახლა ის პარტიზანები, ყველაზე ხანშესულმა კაცმა მიმართა ახალგაზრდა მებრძოლს: ახლავე დაუძახე კოვპაკელებს; ახალგაზრდა მოწყდა ადგილიდან, გაიქცა და ტყის სიღრმეში მიიშალა. ორი საში წუთის შემდეგ ის კვლავ გამოჩნდა გოლიათ ხეებს შუა, თან ახალგაზრდა პარტიზანები მოსდევდნენ.

— ტუტუჩენკო!... — შესძახეს ერთხმად ჩვენებმა.

— გაპონენკოც აქ ყოფილა. ბარსუკოვიც, სწორედ ის არის! — ჩაილაპარაკა ბინტით თავშეხვეულმა მებრძოლმა.

ტუტუჩენკო ჩვენი შენაერთის გადაშვრი (писарь) იყო. ის შტაბში მუშაობდა. საჭიროების დროს ავტომატით ხელში ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა.

როდესაც კარპატების მთებიდან ბარში ჩამოსული პარტიზანები ცალკე ჯგუფებად გავნაწილდით, ტუტუჩენკო და ამ უამად მასთან მყოფი პარტიზანები კოვპაკის ჯგუფში მოხვდნენ. შენაერთის გაყოფის შემდეგ კოვპაკისა და მისი ჯგუფის ამბავი აღარა ვიცოდით-რა. ამიტომ ბუნებრივია, რომ მათი დანახვა ძალიან გავეგზავრდა.

— საიდან და როგორ მოხვდით აქ, რა ვინდათ შეპეტოვების ტუტუჩენკოს მხლებლებს.

— ჩვენ კარგა ხანია, რაც აქ მოვედით, მხოლოდ თქვენი აქ მოსვლავერ წარმოგვედგინა, ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულვართ, სიზმარში თუ ცხადში ვართ? — გვპასუხობენ ისინი.

— სად არის ახლა მოხუცი? — ეკითხება ტუტუჩენკოს ვერშეგორა.

— რა მოგახსენოთ, მეც არ ვიცი სად არის კოვპაკი; — გვეუბნება ტუტუჩენკო, — მე აღრე მოვწყდი კოვპაკის ჯგუფს... გაათრებული ბრძოლები იყო, დრო და დრო ისეთ ალყაში ვხვდებოდით, რომ ცოცხლად გამოსვლა ვერ წარმოგვედგინა. მოხუცის ბედი გავწუხებდა, ველარ ვიჭერდით: ყველა ბრძოლაში უშუალოდ ლებულობდა მონაწილეობას. ხშირად წვრილ-წვრილ ჯგუფებად / გაფიანტებოდით ზოლზე ტყეში. ხდებოდა ასეც, რომ ჯგუფიდან გამოთიშული ზოგი პარტიზანი თავის ნაწილს ვერ აგნებდა, ვერ უერთდებოდა და დამოუკიდებელ ხეტიალს იწყებდა ტყეში. ზოგჯერ თვითონ მშვერავებიც ვერ პოულობდნენ შტაბს; ეს იმიტომ, რომ შტაბს ხშირად უხდებოდა ადგილიდან ადგილზე გადასაცვლბება, ამიტომ იყო მშვერავები ჰკარგავდნენ მის კვალს და მერე მის დაუსრულებელ ძებნაში იყვნენ. ჩვენც ერთ-ერთ დაშვრების შემდეგ ჩამოვცილდით მთავარ ნაწილს, მას შემდეგ მთლად შემოვიარეთ იქაურობა, მაგრამ ვერცაღ ჩვენები ვერ ვიპოვეთ; სხვა გამოსავალი არ იყო: გადავწყვიტეთ დამოუკიდებლად გვემოქმედნა, კომპასი გვეონდა თან, კურსი კანატოპის მიმართულებით ავიღეთ, ამასობაში შეპეტოვის ტყეში, სწორეთ აქ, ამ ადგილას მედევდევის რაზმის პარტიზანებს შევხვდით და მათ შევეერთდით. მთელ ამ

ვაი-ვაგლასში თავს იმდენად არ ვუფრთხილდებოდით, რამდენად ამას!—ამ სიტყვაზე ტუტუჩენკომ ხალათი გადაიწია და გვიჩვენა წელზე დახვეული წითელი მატერია. ამას რა ხანია ვატარებ, ვინახავ, ეს თქვენ კარგად იცით, ამხანაგო პეტრო პეტროს ძე!...

ტუტუჩენკოს წელზე მოხვეული ჰქონდა კოვპაკის რაზმის პარტიზანული დროშა. ამ დროშის ისტორია ასეთი იყო: 1941 წლის 19 ოქტომბრისათვის კოვპაკის რაზმი სპადშჩანის ტყეში იდგა. დღის სამი საათი იქნებოდა, როცა მოხუცი მებრძოლებთან ერთად ტყის მცველის ქოხის წინ იჯდა და სადილის გამოტანის მოლოდინში იყო.

ერთი წყება მებრძოლებისა ამ დროს ტყეში შემოსასვლელ გზებს იცავდა, უცებ ტყის განაპირა სადარაჯოდან ყვირილი მოისმა: „ტანკები მოდიან, თავს უშველეთ.“ სასწრაფოდ ყველა ფეხზე დადგა, შაშხანებით და ხელყუმბარებით გაქანენ იქით, საიდანაც ტანკები გულშემზარავი ღმუილით და გრუხუნით ახლოვდებოდნენ. ტანკები პუტივლის მხრიდან მოდიოდნენ. ჩქარა პარტიზანებმა შენიშნეს ორი ტანკი. წინ უზარმაზარი მანქანა მოდიოდა, უკან საშუალო მოცულობის ტანკი მოსდევდა. დაუახლოვდნენ თუ არა პარტიზანების სადგომს, ტანკებმა ცეცხლი გახსნეს და მალე ტყისმცველის ქოხი, სადაც შტაბი იყო მოთავსებული, ცეცხლის ალში გახვეის. პარტიზანებმა ძლივს მოასწრეს ქოხიდან შტაბის ქონების გამოტანა. თვით ქოხის გადარჩენაზე არვის უზრუნვია, ამის დრო არ იყო, ან და ვის ეცალა ამისათვის! წინ მომავალი უზარმაზარი ტანკი ტყეში შეიჭრა. მილენ-მოლენა გოლიათი ზეები, ტყვიამფრქვევების კაკანითა და ქვემეხების გრუხუნით ის ბანაკს მოუახლოვდა, მას მალე უკან თან მეორე ტანკი მოჰყვა. არ დაიბნენ. პარტიზან-

ები, ვეება ხეებს ამოუფარდნენ და ტანკებს დაშახები დაუშიეს. დამხანების ამ დაშენას თავიანთი უკონდა. მტერს სამუალება აღარ ეძლეოდა ტანკის კოშკიდან დაკვირვებები ეწარმოებინა, ჩაკეტილი და დაბრძანებული რჩებოდა ის ტანკის ჯაფშანში. კოვპაკმა ყველაზე გაბედულ მენაღმე პარტიზანებს უბრძანა, რომ ტყის ყველა გასავლელი დაენაღმათ. მეთაურის დავალება მენაღმეებმა ჩინებულად შეასრულეს.

მაგრამ ტანკები მაინც აჩქარებით მოდიოდნენ წინ. იმხანად რაზმს შაშხანების, ხელყუმბარებისა და ორი ცალი ტყვიამფრქვევის მეტი სხვა იარაღი არ გააჩნდა. ამ იარაღით ტანკებთან ბრძოლა ძნელი იყო, თანაც ასეთ დროს დაბნევა სიკვდილს უდრიდა. კოვპაკი ამოეფარა ხეს და ხმამალა დაიწყო განკარგულებების გაცემა: თურმე მთელ ტყეში ისმოდა მისი ხმა:

— მეოთხე და მეცხრე ასეულებმა ტანკს უკან დასახევი გზა მოუჭრეს. პირველი და მეორე ასეულები მარცხნივ და მარჯვნივ ჩაუსაფრდნენ. ბატარეა, ცეცხლი! ნაღმტყორცნებო, ზუსტად დაუმიხნეთ!

ტანკებმა სიარულს უკლეს, უცებ წინა დიდი ტანკი შესდგა და კოშკიდან გერმანელმა თავი ამოჰყო. სიმონ ვასილის ძე რუდნეემა ზუსტი დამიზნებით გერმანელს თავში მოახვედრა ტყვია. ტანკი შეტრიალდა და უკან დახვევა დაიწყო. მეორე, უფრო მორჩილი ტანკი ადგილზე უმოძრაოდ დარჩა. პარტიზანები გაოცდნენ, ვერ გაეგოთ რად გაიქცა ერთი ტანკი და რატომ დადგა ადგილზე მეორე.

რამდენიმე წუთის შემდეგ შორიდან ნაღმის აფეთქების ძლიერი ხმა მოისმა, მებრძოლნი მიხვდნენ, თუ რას მოასწავებდა ეს აფეთქება: მძიმე ტანკი დანაღმულ ადგილს წააწყდა. ერთი წყება პარტიზანებისა აფეთქების მი-

მართლებით გაიქცა, მეორე წყებამ ხეებზე ამოფარებით იწყო წინ წაწევა. თურმე მძიმე ტანკი შებრუნებულიყო და გაქცეულიყო იმიტომ, რომ წინ ჰყოფებო შეენიშნა და მას მორიდებოდა; ის ჰყოფებს გაექცა, ამასობაში ნაღმს წააწედა და მისი მსხვერპლი გახდა. ტანკი კვამლში გაეხვია, კომის ახილი სარქველიდან სისხლისფერმა ცეცხლის ენებმა იწყეს კომის ზემო ნაწილზე ლივლივი. შიგნით კი სკდებოდნენ ყუმბარები. ნახევარი საათის შემდეგ ხანძარი დამთავრდა. ურას ძახილით მიიჭრენ პარტიზანები გავარჯარებულ ტანკთან, ნახშირად ქცეული ცხრა გვამი ამოალაგეს ტანკიდან.

მეორე მორჩილი ტანკი ისევ უმოძრაოდ, სარქველახილი ერთ ადგილზე იდგა, პარტიზანები მას თანდათან მიუახლოვდნენ და ხელყუმბარები დააყარეს. უეცრად კოლია შუბინი კატასავით შეხტა ტანკზე და დაიყვირა!

— ამხანაგებო, ტანკში სულიერი არავინ ჰქაჩანებს, ვაბედულად მოდიეთო.

დაუზიანებელი აღმოჩნდა ტანკი, მას მუხლუხოს ერთი თვალი გახსნოდა და ეს იყო მისი გაჩერების მიზეზი. კოლია შუბინი გულმოდგინედ ათვალიერებდა ტანკს, ვაოცებული იყო, რომ მისგან ნასროლ ტყვიებს ტანკი ერთხელაც არ გაეკაწრათ. დამფრთხალი ეკიპაჟი საიღაც გაქცეულიყო. პარტიზანებმა უშიშრად დაიწყეს ტანკიდან ნივთების ამოლაგება. ამ დროს ტუტუჩენკომ ტანკის ნივთსაცავში დახვეული წითელი მატერია შენიშნა, გაშალა ის. მატერიაზე წარწერილი იყო: „იჯე მზად!“ „მზად ვართ.“ წითელი მატერია პიონერების დროშა აღმოჩნდა. სჩანდა, რომელიღაც პიონერ-ორგანიზაცია გაემარტვათ გერმანულ ჯარისკაცებს. პიონერების დროშა ამიერიდან შენაერთის დროშად იქცა და ტუტუჩენკო მას მუდამ დიდის სიფ-

რთხილით და განუყრელად თან ტარებდა. დროშა ახლაც ტუტუჩენკოს დაეხვია წელზე და მას სიფრთხილებით და სიფრთხილით იმარჯავდა. „მთავარია ტყვედ არ ჩავევარდე, ისე ვინ რას დამაკლებს, რა შეილი ვარ დროშას ვისმეს დაეანებებ!“ — ხშირად იტყოდა ხოლმე ტუტუჩენკო.

დიდი პატივით და ყურადღებით ეგებებოდა ამ დროშას, როგორც ჩვენი პირველი ბრძოლების მოწმეს. მახსოვს, კოვბაკმა პარტიზანები მწკრივში დააყენა ამ დროშის წინ და ჩვენს მიერ განვლილ ბრძოლებზე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა: ამ დროშით წინ მივდიოდით ბრძოლებში და ყოველთვის ვიმარჯვებდითო, — დაბოლავა სიტყვა სიდორ არტემის-ძემ.

უკვე ომის შემდეგ, როცა ვერსიგორას შევხვდი, მან გადმომცა: თავის თანამებრძოლებთან ამ დღეებში კოვბაკი კვლავ ესტუმრა სპაღანის ტყესაო. ჯგუფს თან რუდნევის ცოლი გაჰყოლოდა. მოინახულეს თურმე ის ადგილი, სადაც კოვბაკის რაზმი პირველად შეება გერმანულ ტანკებს. ის ორი დაღწილი ტანკი თურმე ახლაც იქვე ეყარა.

ტუტუჩენკომ დროშა ისევ შეინახა და განაგრძო:

— ერთხელ ტყიდან გამოსულებმა მოულოდნელად შარა გზაზე ამოგყავით თავი. ვხედავთ შუა გზაზე გაჩერებულ საბარგო ავტოს ქვეშ მოფერი გამშლართულა და ქანჩით ხრახნს აწვალბს. პოლიციელები თავჩაქინდრულები ისხდნენ ავტოზე თა მანქანის შეკეთებას ელოდებოდნენ. ამ სურათის დანახვაზე შევდქვით, სწრაფად მოვითათბირეთ, ვერ გადაგვეწყვიტა დაგვეხოცნა პოლიციელები. თუ ცოცხლად ჩაგვეგდო ხელში. შევთანხმდით, რომ დაგვეტყვივებინა ისინი.

ავტომატები მოვიმარჯვეთ და ტყის მხრიდან ჩუმად უცებ შევსჭყვივეთ და შეიდივე პოლიციელი, სანამ ისინი

გონს მოვიდოდნენ, ცოცხლად ჩავიდ-  
დებ ხელში.

— ხელის განძრევა და თქვენი  
სიკვდილი ერთი იქნება! — ვეუბნე-  
ბით პოლიციელებს.

პოლიციელები უბრძოლველად დაგ-  
ვენებდნენ. სათითაოდ გადმოვიყვანეთ  
აგტოდან ისინი, გავხადეთ ფორმის  
ტანსაცმელი და ჩვენი ჩავიცვით. მე და  
ბარსუკოვმა კარგად ვიცით მანქანის  
მართვა. წესრიგში მოვიყვანეთ მანქა-  
ნა, სულ ხუთიოდე წუთში შევაკეთეთ  
აგტოს დაზიანებული ნაწილი, დავსხე-  
დით ზედ და დიდი სისწრაფით წამო-  
ვიყვანეთ. გზაში არა ერთი გერმანე-  
ლი მანქანა შეგვხვდა, მაგრამ კაცი ხმას  
არ გვეცმდა, ყველას პოლიციელები  
ვეგონეთ. ერთ ადგილას გზისმცველმა  
პოლიციელებმა შეგვაჩერეს და გამო-  
კითხვა დაგვიწყეს: მართალია თუ არა,  
თითქოს ქვევით, საიდანაც თქვენ მო-  
დიხართ, ჩვენებს პარტიზანებთან მოს-  
ვლიათ შეტაკება და ამ ბრძოლაში  
თითქოს პარტიზანებს პოლიციელები  
გაუწყევტიათო?

— კორია — ვპასუხობთ. — არა-  
ფერი მაგდაგვარი არ მომხდარა, ერთ  
ადგილას ტყეში უცხო პირები შევ-  
ნიშნეთ და მათ დასაფრთხობად ჩვენ  
გავისროლეთ აგტომატები, თურმე ად-  
ვილობრივი გლეხები ყოფილიყვნენ.  
ეს იყო და ეს, სჩანს ეს ამბავი გაუზ-  
ვიადებია ვილაცას.

პოლიციელები დამშვიდდნენ, გაი-  
ცინეს, პაპიროსები მოგვაწოდეს და  
ერთმანეთს ტბილად დაეცილდით.  
არა ნაკლები ორასი კილომეტრი გა-  
ვიარეთ მანქანით და ბოლოს ბენზინი  
გამოგველია, იბულებული გავხდით  
ტყეში შეგვეხვია და მანქანა გაგვენად-  
გურებინა, ასეც მოვიქცეთ: ღრმად შე-  
ვედით მანქანით ტყეში, მერე აგი ხმელი  
ფიჩხით დავტვირთეთ, ფიჩხს ცეცხლი  
წაუფიქდეთ და მანქანა დაეწვიოთ. ხუმ-  
რობა საქმე როდი იყო მანქანით ორა-  
სი კილომეტრის გავლა. ქვეითად ამ

გზის გავლას არა ნაკლები ვეცნო შე-  
დი დღე-ღამე დასჭირდებოდა ამის  
შემდეგ გავიარეთ რაღაც კოფრულა-  
ლომეტრი და შეპეტაკდნენ ცეცხლს  
ამოვყავით თავი. ამ ტყეში მედვედე-  
ვის პარტიზანებს წავაწყდით. მას შემ-  
დეგ დღემდე მედვედევის ჯგუფთან  
ვართ.

მერე სიტყვა ჩამოვარდა მედვედე-  
ვის რაზმის პარტიზანთა ბრძოლებზე.  
ჩვენ გავეცანიით მათს საქმიანობას.

მზე ისინი იყო ჩადიოდა. მისმა სხი-  
ვებმა წითლად შელუბეს პორიზონტი,  
ისეთი მეწამული ფერის დაისი იყო,  
გვეგონებოდათ ტყეს ხანძარი მოსდე-  
ბიყო.

სწორედ ამ დროს ორმა მშვევრებმა  
ელვის სისწრაფით ბანაკთან მოაგდეს  
ცხენები.

— ამხანაგებო, მოემზადეთ, იარაღი  
აიღეთ ხელში, მტერი ახლოა, სწრა-  
ფად მოიწვეს წინ!

როგორც ერთი კაცი, ისე დადგნენ  
ფეხზე მისული და დამხდური პარტი-  
ზანები. ვერშიგორას განკარგულებით  
ჩვენმა მეთაურებმა მოაწყვეს სასწრა-  
ფოდ საიმედო თავდაცვა და შეტაკე-  
ბისათვის მოემზადეთ.

მტერიც გამოჩნდა. ტყვიამფრქვევე-  
ბისა და ნაღმტყორცნების ცეცხლით  
მოკვეთილი წიწვოვანი ხეების წერილ-  
წერილი ტოტებით დაიფარა მიწა.

— მიშველეთ! — უეცრივ შესძახა  
ჩემს გვერდში მდგარმა პარტიზანმა,  
რომელიც მამიდ დამიკრა მკლავში.  
ნაკადად წამოვიდა მკლავიდან სისხ-  
ლი. სანიტარმა ქალმა ბინტით ხელში  
მიიბრინა სასწრაფოდ დაქრილთან და  
მას პირველი დახმარება აღმოუჩინა.

უშიშრად დაუხვდნენ პარტიზანები  
თავდაშახმელ მტერს. საერთოდ მუდმივ-  
მა ბრძოლამ ჩვენი ბიჭები ისე გამოაწრ-  
თო, რომ ისინი მტერთან შეტაკების  
დროს სასწაულებს ახდენდნენ. მართა-  
ლია ყველა ჩვენგანმა იცოდა, რომ  
ბრძოლის დროს სიფრთხილე ყოველ-

თვის საჭიროა, საბეცე მებრძოლისათვის დამლუბველია, ამაზე მე ზევითაც ქმონდა ლაპარაკი. შეპეტოვკის ტყეში ჩემს გვერდით დაიჭრა მებრძოლი, სულ ახლოს ვიყავი. როდესაც მან შეველა მთხოვა, ზეზე წამოვდექი. ჯოჯოხეთური სროლა იყო, კაცი კი არა, ხე არ დარჩენილა, რომ ტყვია არ მოხვედროდა. ის იყო წამოვდექი და ვიგრძენი, ვილაცა მაზარის კალთაზე მომებლაუჭა და დამწია, დაწევიო მანიშნა.

შემდეგ ზედიზედ დაიჭრა კიდევ ორი პარტიზანი. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. გერმანელები შეეცადნენ იერიშზე გადმოსვლას, მაგრამ ეს ცდა ძვირად დაუჯდათ: პარტიზანებმა მათ სეტყეასავით მიაყარეს ტყვია, წელში გატეხილმა მტერმა უკან დახევა ამჯობინა.

მიიშალა თუ არა მტერი თვალიდან, მტერი თადარიგანობის მიზნით, ტყის სიღრმეში გადავიწაცლეთ.

შეპეტოვკის ტყეში ჩვენს გაჩერებას აზრი არ ჰქონდა. ბრძოლის შემდეგ, შეღამდა თუ არა, ტყე დავტოვეთ და შარა გზის მიმართულებით გავეშურეთ. ეს გზა ცნობილი იყო მთელ ამ მხარეში; ეს გახლდათ ვარშავა-მოსკოვის გზა-ტყეცილი. გერმანელები ომის დროს ამ გზას საგანგებოდ იცავდნენ და გამაგრებული ჰქონდათ.

ამ გზაზე დიდი მოძრაობა იყო: მთელი დღე ავტო-ტრანსპორტის და ტანკების განუწყვეტელი დინება იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. დიდი ეაქაცობა და ამასთან ერთდროულად თავის განწირვა იყო საჭირო, გზის ერთი მხარედან მეორეზე რომ გადასულიყავი.

ისის იყო დავუახლოვდით მოსკოვ-ვარშავის გზატკეცილს, როცა უკან გამობრუნებული მწვერავეები შემოგვხვდნენ. მათ მტკიცედ განაცხადეს რომ გზაზე არამც თუ გადავლათ შესაძლო, ვადაფრენაც გაჭირდებაო...

შეიარაღებული გერმანელები მანქანებით და ტანკებით მიმრდივნენ გზაზე, ყოველ ორმოცდაათ მეტრზე ერთხელ დაღმა-გადმოღმა მცველები დგანანო.

— ყოველ მეტრზეც რომ იდგნენ მცველები, მაინც გადაეალთ, — ბრძანა ვერშიგორამ. მისი განკარგულება ასეთი იყო:

— ბაქრაძე თავის ასეულით ჩასაფრდება და დაიცავს ჩვენს ზურგს აღმოსავლეთიდან, მოსკოვის მიმართულებით; დეკტიოვი დასავლეთის მხარეზე გამაგრდება, ვარშავის მიმართულებით. დანარჩენი პარტიზანები პირდაპირ წავალთ გზის გასაწმენდად.

მე და დეკტიოვი ბრძანების აღსრულებას შევუდექით. ჯერ გათენებული არ იყო, რომ ღამის წყვიდადში, გზის ნაპირად ავიზღივებულ კოცონის ირგვლივ შემომსხდარი გზის მცველები შევინწინეთ. ასეულიდან გამოვყავი ერთი ჯგუფი და კოცონის მიმართულებით გავზახენე. კოცონის ირგვლივ შემომსხდარი გზისმცველები ბიჭებს დაეჭირათ და მათს დაკითხვას აწარმოებდნენ. ვხედავთ, გზაზე მოსკოვის მხრიდან ავტო-მანქანები გვიახლოვდებიან, ბიჭებმა მოთმინება დაკარგეს და მოსულ მტერთან ბრძოლაში ჩაებნენ. სანამ მტერი აქტიურ ბრძოლაზე გადმოვიდოდა, მე და დეკტიოვმა მამხალით მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენები საშვიდობოზე გასულიყვნენ. ადგილიდან დავიძარით და გზადაგზა დაპატიმრებულების დაკითხვა განვაგრძეთ. ერთმა ტყვეთაგანმა გაუბედავად გვიმასუხა: ადგილობრივი გლეხები ვართო, მაგრამ როდესაც მას სიცილი დაყარეს ბიჭებმა, შერცხვა და ხმა გაკმინდა.

ხუთივენი გერმანულ სამხედრო ტანსაცმელში იყვნენ, კარგად შეიარაღებულები. ჯიბეები გავუხსინჯეთ და ცნობების მიხედვით ხუთივენი კლასოველები აღმოჩნდნენ.

წითლად შეიღება ცა აღმოსავლ-

თის მხარეს. ვანთიადი მოახლოვდა. ნამიან ბალახში პარტიზანები წელამდე დაესველდით. ჩემი ასეულის ზოგმა პარტიზანმა მოასწრო შარა-გზაზედ გადაბრენა და მის მეორე მხარეზე მღებარე ტყისათვის თავის შეფარება. ამასობაში მე და დეკტიოვი ჩვენს მთავარ ნაწილს შევეერთდით.

სწორედ ამ გზის მეორე მხარეს აწყობა პოლესიეს გაუვალი ქაობიანი ადგილები. აქ, პოლესიეში შესაძლო იყო ბრძოლებით განაწამებ დატანჯულ ადამიანს დაესვენა და თავისუფლად ამოესუნთქა.

რუდნეემა ოდესღაც პოლესიეს პარტიზანების მხარე უწოდა. პოლესიეს უზარმაზარი, თითქმის სანახევროდ დაქაობებული ტერიტორიის დაცვას გერმანელები დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. მართალია აქაც ჰყავდათ ჯარი, მაგრამ უმეტესად ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და დიდ სოფლებში.

დილის ათი საათისათვის სოფელ მიხელევეკამდე მივალწვიეთ. ეს სოფელი გოროდნიცის რაიონში მდებარეობს.

მიხელევეკა შარა-გზიდან არ იყო დიდი მანძილით დაცილებული. ვერში-გორამ კულბაკა თავის ნაწილით შემდეგი დავალებით გაგზავნა შარა-გზაზე: მას გამვლელი მტრისათვის ბრძოლა უნდა გაემართნა, მოენე უნდა ეშოვნა და გაეგო მტრის აზრი, თუ როგორ შეხვდა იგი ვარშავა-მოსკოვის გზაზე ჩვენების გადასვლას და პოლესიეში შესვლას.

კულბაკას მსუბუქი ავტო-მანქანა ევლა ხელთ, შიგ ჩამჯდარიყო და ზედ ამართული წითელი დროშით შენაერთში მოვიდა.

მოენე კი ვერ ეშოვნა.

ორი დღე-ღამეს დაეყავით ამ სოფელში, არავითარი შიში და შევიწროება არ გვიგრძენია, საფუძვლიანად დავისვენეთ და გამოვიძინეთ. გულთბილად შეგვხვდნენ აქაური გლეხები.

გულმა გული იცნო: მალე დამე-

გობრდით გლეხებთან და მხარეში ჩავებით. როდესაც სოფელს ვტოვებდით და იქიდან გაედმარებნენ მტრის ამბით გაგვაცოლა მიხელევეკამდე დაგვილოცეს.

## XL I

მიხელევეკიდან გოროდნიცისაკენ ვავსწვიეთ. გოროდნიცა პატარა დაბაა, მას ჩრდილო-დასავლეთის მხარეს უზარმაზარი ტყის მასივი აკრავს. ჩვენი ოცნებაც ზომ მუდამ ულრანი ტყე იყო. ის იყო ჩვენი საიმედო თავშესაფარი, ციხე-სიმაგრე. გოროდნიცაში რომ მტრის გარნიზონი იყო დაბანაკებული, ეს ჩვენ ეიცოდით, ამაზე მშვერავებისაგან გვქონდა ცნობა.

გოროდნიცას ახლო-მახლო ტყეებში ბლომად იყვნენ ადგილობრივი პარტიზანების მომცრო რაზმები. მათ მტრის მრავალრიცხოვანი გარნიზონებისათვის ვერაფერი დაეკლოთ და სადივერსო საქმეებისათვის მიეყოთ ხელი.

გოროდნიცას გარნიზონში გაეგოთ მიხელევეკიდან ჩვენი გამოსვლა და დაბის მიმართულებით წასვლა. დიდ ფაქა-ფუცკში იყვნენ გერმანელები, სანგრებით შემოესერათ დაბა, მაგრამ განწირულთ სანგრები და ტანკები ვერ იხსნიდა, ორ-სამ საათში ავიღეთ გოროდნიცა.

მტერი იმდენად იყო გამაგრებული, რომ არ მოელოდათ თავისი გარნიზონის ასე მალე დამარცხებას. თითქმის ვერაფრის გატანა ვერ მოასწრეს, ხელუხლებელი დაგვხვდა სამხედრო და სურსათ-სანოვავის საწყობები. უამრავი კერცები, კარაქი, ყველი, ლორი, ხორბალი მოეტანათ და მსხვილფეხა საქონელი მოერეკათ სოფლებიდან გერმანელებს გოროდნიცაში. გერმანიაში წასაღებად ამზადებდნენ ამ ნაძარცვს, მაგრამ აღარ დასცალდათ.

დაბა გოროდნიცა რეინიზის მთავარ მაგისტრალთან ფართო ლიანდაგიანი

ხაზით იყო სადგურ ალევსკისთან დაკავშირებული. ეს უკანასკნელი გზა რეგულარულად არ იყო საექსპლოატაციოდ გამოყენებული, დივერსიების შიშით მას ახლო ვერ ეკარებოდნენ გერმანელები.

ზეიმის ხასიათი მიიღო დაბაში ჩვენმა შესვლამ, გარომონებით და ცეკვა-თამაშით შემოგვხვდა ხალხი, ომიანობის დრო დაგავიწყდებოდა, ქორწილში გეგონებოდათ თავი.

— ვაშა, პარტიზანებს გაუმარჯოს! — იძახდნენ გახარებული უკრაინელები და ბელორუსები. მძიმე უღლიდან თავდაღწეული ხალხის მზიარულება და ყრიამული ზეცას წვდებოდა.

ვერშიგორამ განკარგულება ვასცა, დაბიდან გამავალი ყველა გზა ჩვენებს დაეჭირათ და გაძლიერებული მცველების მეშვეობით უშიშარი გაეხადათ. განკარგულება სისრულეში იქნა მოყვანილი; ისე შევეკრით ყველა გზა, რომ ჩიტსაც გაუჭირდებოდა გარედან დაბაში შემოფრენა; თუმცაღა მტერმა ტყეს შეაფარა თავი, მაგრამ მისი მზვერაგები არ ცხრებოდნენ, თავისიანებს აცნობებდნენ ჩვენს მიერ გოროდნიცას აღების ამბავს, ამიტომ პარტიზანებს განსაკუთრებული სიფხიზლე გემართებდა, მტრის თავდასხმა საათობით იყო მოსალოდნელი.

გოროდნიცაში რამდენიმე დღე დავყავით, საფუთქლიანად დავისვენეთ. ცხენების, ალალების და სურსათ-საინოვაციის დანაკლისი შევივსეთ.

ზემოდაც აღნიშნული მქონდა, რომ ახლადღებულ სოფლებსა და ქალაქებში ჩვენს პატარა მეკავშირეებს შესვლას ვერცინ მოასწრებდა. ახლაც, გოროდნიცას აღებისთანავე პირველად დაბაში, სხვა პარტიზან ბაგშეებთან ერთად, ჩემი ასეულის მეკავშირე ვასია მიროშკინი შეიჭრა. შესვლისთანავე პატარებს გერმანელების მიერ დატოვებული შტაბის ბინა დაეკავებინათ. ვასია მიროშკინს შტაბში ტელე-

ფონი შეემჩნია, მასთან გაჩენილყო და ტელეფონთან დამდგარიყო თოფით ხელში.

— ახლო არ მოხვდეთ, ტელეფონს არავინ გაეკაროს, თორემ სიცოცხლე არ ვიჭერათ! — გაიძახოდა პატარა ბიჭი.

— თუ არ დავგზოცავ, ნებას მივცემთ ჩვენს თავს შეგეკითხოთ, პატივცემულ გუშაგო ვასია, განა დიდი დანაშაული იქნება ტელეფონით რომ ვისარგებლოთ?

— მე უფროსის განკარგულებას ვასრულებ! — იყო ვასიას პასუხი.

რაში იყო საქმე? რატომ არავის აკარებდა ვასია ტელეფონს ახლოს? საქმე ის იყო, რომ პატარა ბიჭს მტკიცედ ახსოვდა კოვპაკის განკარგულება.

ჯერ ისევ 1942 წელს, როცა დავიდ გოროდოკს მივეხლოვდით, მამინე პატარა ბიჭმა მიხელილა, სანამ ჩვენ სოფელში შევიდოდით, პირველმა მიავლო თავისი ბაჩა ცხენი პოლიციელების სადგომ სახლში, იქ ტელეფონი იყო. მას აეღო ტელეფონის მილი და დავიდ გოროდოკს კომენდანტი დღეში გამოუწვია: „მოვდივართ კოვპაკს შენაერთის პარტიზანები და თუ ვაგყავები ხართ, დავგზვიო“, ამოგად. თავისდაუნებურად მცირე წლოვანება პარტიზანმა მტერი გააფრთხილა. ამ საუბარს მიუსწრო თორმე შტაბის უფროსის მოადგილემ ვოიცეხოვიჩმა, მოისმინა რა ეს საუბარი, ხელიდან წაპვლოჯა ბავშვს ტელეფონის მილი და დატუქსა. როდესაც ბავშვის საქციელი კოვპაკმა გაიგო, ძალზედ გაჯავრდა. ამასობაში მზვერაგებმაც მოიჩანეს ამბავი, დავით გოროდოკის გარნიზონი ფეხზე დგასო და ელიან ჩვენს მისვლასო.

აი ამრიგად კოვპაკს ჩაეფუშა მიზანდასახულება, რა უნდა ექნა—არ იცოდა. თავდასხმა დავით გოროდოკზე ამ ამბის შემდეგ ძალზე დიდ მსხვერპლს მოითხოვდა.

ეს იყო და ეს. კოვბაკმა განკარგულება გასცა შემდეგში ახლად აღებულ სოფელ-ქალაქებში არაფინ მისი ნებართვის გარეშე ტელეფონს არ გააკარებოდა. მიროშკინს ახსოვდა კოვბაკის ეს განკარგულება, და ამიტომ იყო, ტელეფონს ასე ერთგულად რომ დაეჯობდა.

მიროშკინი ჰკვირებდა ბავშვი იყო, დავალების ზუსტად შემსრულებელი. ვაგლახად ის ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, რომ უფროსის უკმაყოფილება გამოეწვია: პატარა ვასია ჩემს ნდობას ყოველთვის ამართლებდა.

რამდენადაც მომიხერხებოდა პარტიზანული ყოფაცხოვრების პირობებში, ბავშვს ვუვლიდი, ხელს ვუწყობდი. დიდები ხშირად კვირაობით ვშიშობილობდით, მხოლოდ პატარა ვასიასათვის მელამ მქონდა ცოტა რამე საკმელო. ბავშვი ყველა გასაჭირს ასე თუ ისე იტანდა და ეგუებოდა, მხოლოდ შიმშილს ვერ უძლებდა. სიცხეცს და უძილობას კი არაფრად აგდებდა. ორი დღე-ღამე შეეძლო ფეხზე მდგარიყო, ერთი წუთითაც თვალს არ მოხუჭავდა. ავადყოფნობა ხომ არ იცოდა, უბრალო სურდოთი არ მახსოვს ოდესმე ავად გამხდარიყოს. მხოლოდ საკმაო იყო ერთი დღე დარჩენილიყო ბავშვი უქმელი და შემდეგ მას ვერ იცნობდით: თვალები ჩაუცვიფოდა, ფერს ჰკარგავდა და დაღვრემილი დადიოდა.

— ვასია, როგორ ხარ, ხომ არ გცივა, ან ძილი ხომ არ ვინდა? — ვეტყუდი ასეთ დროს განგებ ბავშვს.

— არა, უფროსო, არც მცივა, არც ძილი მინდა!

— აბა, რადა ხარ ცუდ ხასიათზე?

ბავშვს პასუხი ეძნელებოდა და თავს ჩაკვიდებდა.

— დღეს შენ ერთი კარგი დავალება უნდა შემისრულო.

— მზად ვარ, უფროსო!

— მაგრამ სანამ დავალების შესრუ-

ლებას შეუდგებოდე, ცოტა უნდა და-

ნაყრდე, აბა უქმელი რას გააკეთებ? გამოეუძახებდი ჩემს მშვენიერ ბიჭოს და ეუბრძანებდი, ნელა ნელა ეწეული მარაგიდან ბავშვს გამასპინძლებოდა. ზრდილობიანი ბავშვი ცდილობდა არ შეემჩნიათ მისთვის, თუ რაოდენ ძლიერად აწუხებდა შიმშილი. სანამ არ ვიხმობდი, ბავშვი ადგილზე უძრავად რჩებოდა. მომიახლოვდებოდა თუ არა, სრულიად გამოიცვლებოდა, სახე გუნათლდებოდა ხოლმე.

— სკამე!

— რატომ სწუხდები, უფროსო!

— გელაპარაკები, სკამე!

ვასია ხომ მცირეწლოვანი ბავშვი იყო, არა უმეტეს ცამეტი წლისა, აბა ამ ასაკის ბავშვს მეტი რა მოეთხოვებოდა, შიმშილი ბავშვს კი არა, დიდებს გვეძინავდა და გულს გვიწუხებდა.

და აი ეს ბავშვი ბრძოლების დროს საოცარ გულადობას იჩენდა, მისი წინდახედულობა და გამჭრიახობა ბევრ ვაჟაკსაც შეეხარბებოდა, საჭიროების დროს, როგორც ეს მე ზევით არა ერთხელ აღვნიშნე, ის ნემსის ყუნწში გაძვრებოდა და დაეალებას ვანუხრულად შეასრულებდა.

გოროდნიცაში სხვებთან ერთად ადგილობრივი ხანწესული მასწავლებელი გამოგვეგება.

— რაც ჩვენს დაბაში მოძალადეები ნოვიდნენ, — გვიამბო მასწავლებელმა, — მას შემდეგ დაღუპდა აქაურობა, სოფელს შავი სუდარა გადაეფარა, უდაბნოდ იქცა გოროდნიცა; ახლა მხოლოდ პოლიციელები და ქანდარმები დათარეშობენ ჩვენი დაბის ქუჩებში. დღევანდელი დღე უჩვეულოა ჩვენთვის, ასე მგონია სიზმარში ვარ, დღეს ახალი ცხოვრება დაიწყეს გოროდნიცელებმა. ვაზაფხულის ჩიტივით ფრთხილებს დიდი და პატარა. ჩვენი ბიჭები ტყეში არიან გასულელები, ცოტანი არიან. ალბად გაიგებენ თქვენს აქ მოსვლას და მალე გაჩნდებიან. იმათგან ვგებუ-

ლობთ ფრონტის ამბებს, ისინი მაწვდიან გაზეთ „პრავდის“ ახალ ნომრებს! — თქვენ ხომ ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი ბრძანდებით?

— დიახ, ადგილობრივი საშუალო სკოლის.

— საინტერესოა, სკოლები თუ მუშაობენ ამ ხანად და როგორ მუშაობენ?

— ჩვენი საშუალო სკოლიდან თითქმის აღარაფერი დარჩა, ის ახლა უფრო ოთხწლიანია, ვინემ საშუალო სკოლა.

— ალბათ სასწავლო გეგმებში და პროგრამებში დიდი ცვლილებაა?

— რასაკვირველია, თითქმის ძველიდან არაფერი დარჩენილა, ისტორიის სწავლება ხომ მთლიანად აკრძალეს, დარჩენილი საგნებიდან თითქმის უცვლელად მხოლოდ არითმეტიკა დასტოვეს, დანარჩენი საგნების სწავლება ახალ სახელმძღვანელოების გამოცემამდე შეაჩერეს. ჯიუტი ხალხი ვართ მასწავლებლები, გერმანელებს როდი ვებუებით, მე პირადად დრო და დრო ჩემს კლასში მათემატიკურ ამოცანებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მაგალითების მიხედვით ვადგენ, ვახერხებ აგრეთვე, ფრთხილად, რასაკვირველია, ოკუპანტების საწინააღმდეგო საუბრების ჩატარებას ბავშვებთან.

— საინტერესოა, ბავშვები როგორ ხედებიან თქვენს საუბარს?

— დიახ, ეს მინდა სწორედ მოვახსენოთ, საბჭოთა კავშირის ხსენების დროს აინთებიან, თვალები გაუბრწყინდებათ, სმენად გადაიქცევიან ღიმილმორეული საბით ერთმანეთს ვადახედავენ და საუბარში ვაცხოველებით ვბმებიან. ან და რა ვასაკვირია, გუშინ ხომ ყველას პიონერების წითელი ყელსახვევები ჰქონდათ გაკეთებული!

— სავალდებულო ხომ არ არის სწავლა?

— ეხ, რომელ სავალდებულო სწავ-

ლაზე ბრძანებთ, ვინდ ისწავლო და ვინდ არა, ვინ უწევს ამას ანგარიშს?

— უწიგნოდ როგორ უნდა ისწავლებას?

— ეგ არის საქმე, უწიგნოდ გვიბდება მეცადინეობა! თითქმის ყველა სახელმძღვანელო და ბიბლიოთეკებში არსებული წიგნი გახურებულ ღუმელებში დასწვეს გერმანელებმა.

შემოდგომის წყნარ საღამოს მთვარიანი ღამე ამშვენებდა, მთვარის შუქზე ეღვარებდნენ თეთრტანიანი ხეები და სახლების თუნუქის სახურავები. ჩვენი პარტიზანები უკვე ალაგ-ალაგ ცეკვა თამაშში ჩაბმულიყვენ, გობაცის ცეკვაზე შეჯიბრი იყო გამართული, გარმონების განუწყვეტელ კრილისაგან ყურთა სმენა არ იყო.

გოროდნიცაში კეთილმოწყობილი აბანო აღმოჩნდა, მოსახლეობამ მოზიდა შეშა, აბანო გაგვიხურა. ყველამ უკლებლივ ვიბანავეთ. საცვლები დავირეცხეთ და დაესუფთავდით. სმაჰამა კარგი გეჟონდა, ბიჭებს ფერი მოუვიდათ, სიცოცხლე დაეტყოთ თვლებში. აბანოში ასეულები რიგ-რიგობით მივიდოდით. შტაბიდან მივიღე განკარგულება თუ როდის უნდა წავსულიყავი ჩემი ასეულით აბანოში და როდის უნდა გამეგზავნა იქ მორიგეებზე წესრიგის დასაცავად. ამავე დროს ზედიზედ ვგზავნიდით ყველა მიმართულებით მშვერავებს. ცნობებს ვკრეფდით მტრის მზადებაზე და თანდათან ვგებულობდით, თუ სად იყო პარტიზანების სადგომები.

გოროდნიცას ტელეფონი ადგილობრივი დანიშნულების აღმოჩნდა. ის მხოლოდ დაბის დაწესებულებებს აკავშირებდა. მისი უკანასკნელი სადგური დაბის გარეთ ხეტყის სახერხი ქარხანა იყო.

დაბაში მისვლის მეორე საღამოს შტაბში ვისხედით მეთაურები და ვსაუბრობდით, ამ დროს სოფელ ბრონიცაში გაგზავნილმა მშვერავებმა გახა-



რებულემა მოიბრინეს შტაბში და ვერშიგორას მოახსენეს:

— სოფელ ბრონიცაში გაგზავნილი მწვერაეები გამოცხადდით! ბრონიცაში კოვპაქია დაბანაკებული თავის ჯგუფით!..

კოვპაქის ხსენებაზე ყველამ ყურები ვცქვიტეთ:

— რა თქვით, გაიმეორეთ, როგორ, კოვპაქი ნახეთ?— გაისმა ყოველი მხრიდან მეთაურების ერთდროული შეკითხვები.

— დიახ, კოვპაქი ენახეთ.

უფროსმა მწვერაემმა გვიამბო:

„გუშინ ტყეში ბრონიცელ გლეხებს შევხვდით, ალაღებით მიჰქონდათ სახლში შუშა, ჩვენს შეკითხვაზე ამ თქვენს სოფელში თუ დგას ამ უმად მტრის გარნიზონი, გლეხებმა გვიპასუხეს, რომ იდგა, მაგრამ ამ ორი დღის წინათ პარტიზანებმა გარეკეს ისინიო. ვინ პარტიზანებია, შევეკითხეთ გლეხებს. კოვპაქის მებრძოლები არიან, თითონ კოვპაქიც თან ახლავთ — გვიპასუხეს. კოვპაქის სახელის გაგონებაზედ ავენიეთ, ხომ არ გეშლებათ. — ვეუბნებით გლეხებს, — რა იცით, რომ ხელმძღვანელი კოვპაქია? როგორ არ ვიცით, გვპასუხობენ გლეხები, მთელი სოფელი დღეს პარტიზანებზე და მათი ხელმძღვანელ კოვპაქზე ლაპარაკობს!

გვიდოდა გლეხებს გაეყოლოდით სოფელში, მაგრამ მოთმინება არ გეყოფნიდა; მივიღეთ თუ არა ასეთი იშვიათი ცნობა, ფრენით ჩავედით სოფელში. სოფლის საზღვართან მცველებმა გაგაჩერეს, ჩვენი ვინაობა იკითხეს, მცველებმა მალე გვიცნეს, ბოლოს უფროსი გამოიძახეს და მას გადაგვამარეს. მივედით თუ არა ბანაკში, მეკავშირებმა ჩვენს მისვლაზე კოვპაქს მოახსენეს. ძნელი გამოსათქმელია ის თბილი და გრძნობიერი შეხვედრა, რომელიც სიღორ არტემისძისაგან ჩვენ წილად გვხვდა.

— სალამი ჩვენს ბიჭებს! — სოფელსაღმა კოვპაქი.

— დღეგრძელობა და მტრის მოშორება! — დასაყვარელ სიღორ არტემისძეს! — იყო ჩვენი პასუხი.

— როგორ არიან პარტიზანები? საიდან მოხვედით? მტერს ხომ არ შეუვიწროებიათ? — იყო მისი პირველი კითხვა.

ჩვენ მას მოკლედ ვუამბეთ ჩვენი თავგადასავალი. ვუთხარი, რომ ყველანი მხნედ და ჯანმრთელად ვართ და რომ ამ ხანათ გოროდნიცაში ვდგევართ. კოვპაქმა მაშინვე გოროდნიცაში წამოსვლა გადასწყვიტა.

ვერშიგორამ ბრძანება გასცა კოვპაქის შესახვედრად მოემზადებულიყავით. ყველამ საქაზროდ შეეკაზმეთ ცხენები და პეტროსთან ერთად ბრონიცასავე გავეშურეთ.

დიდი მითქმა-მოთქმა შეიქმნა პარტიზანებში, მეთაურები ჯერ კიდევ შტაბიდან გამოსულები არ ვიყავით, გაცხოველებული ბჭობა-ბაასი იდგა ბანაკში, საუბრის საგანი კოვპაქი იყო, მის გამოჩენას იმხანად ხომ არავინ ველოდით, არავითარი წინასწარი გამაფრთხილებელი ნიშანი არ გვექონდა. სადაც კი მივედით, მოსახლეობა გადაქრით უარს გვეუბნებოდა — არავითრ რა კოვპაქისაო.

სადღესასწაულო მზადება იყო ბანაკში. ყველა მოუთმენლად ელოდა საყვარელ ხელმძღვანელთან შეხვედრას. პარტიზანების არაჩვეულებრივმა სულიერმა განწყობილებამ მოსახლეობის ყურადღება მიიქცია. იწყეს კითხვა, თუ რა არის მიზეზი პარტიზანებს შორის გაცხოველებული ჩოჩქოლი რომ არისო. ფეხზე დადგა გოროდნიცის მოსახლეობა, დიდი და პატარა მოაწყდა ბანაკს, მოშორებით დადგნენ და გაფაციცებით იწყეს ჩვენი თვალეირება.

ჩვენ ცხენები შეკაზმული გვეყავდა საქაზროდ დაბიდან გავედით. მივაქროლებდით ცხენებს, განიერ სწორ გზას

შორს გაეცქეროდით, მოთმინება არ გვეყოფნიდა, კოვბაკის გამოჩენას ველოდებოდით.

— მოდიან! — შესძახა ლენკინმა.

— ისინი არიან! — განიმეორა დეკტიოვმა.

შორს გზაზე ცხენოსანთა ჯგუფი გამოჩნდა, ოცდაათამდე მხედარი შურდულივით მოაქროლებდა ჩვენსკენ ცხენებს. მალე ისე მოახლოვდნენ — სახეებსაც გაარჩევდით. მოკლე ბეწვიან ბოზობის ქულში კოვბაკი უმაღლესი ვევიცანი.

— ურა! შეეძახეთ ერთხმად მეთაურებმა.

— ჩვენი პარტიზანული სალაში სიდორ არტემის-ძეს! განიმეორებთ დაეძახეთ დამხდურებმა.

იმ წუთების, იმ სიხარულის აღწერა და ვადმოცემა შეუძლებელია.

ცხენდაცხენ, რიგრიგობით გადაეხვიეთ ძვირფას ხელმძღვანელს. ადელდა მოხუციც: „მიიღეთ ჩემი შეგობრული სალაში, ძვირფასო თანამებრძოლებო! მოხარული ვარ თქვენთან კვლავ შეხედრისა, ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელმაც შესძლოს ბოლშევიკებს ქელი მოახრევინოს. ხალხი ჩვენთანაა, ამიტომ ჩვენ გავიმარჯვებთ!“ — წარმოსთქვა კოვბაკმა.

ვერსიგორამ კოვბაკს მოკლე მისახალმებელი სიტყვით მიმართა. მან სთქვა: „როდესაც დელიატინის ბრძოლების შემდეგ ჯგუფებად დავნაწილდით და სხვადასხვა მიმართულებით მივდიოდით, ჩვენ გვწამდა, რომ კვლავ გაერთიანებას შევძლებდით. ერთხელაც აზრად არ მოგვესვლია და შიში გულში არ გავვივლია იმაზე, რომ სიდორ არტემის-ძეს ველარა ვნახავდით. ჩვენი ხელმძღვანელი, დღეს ჩვენთანაა, აქ მოულოდნელი არაფერია. მე არ ვიტყვი, რომ დღევანდელ პირობებში ჩვენ საფრთხისაგან დაზღვეულები ვართ, ადელი შესაძლებელია დღეს-

ხელ ბრძოლის ველზე დავეცქიო, მაგრამ ჩვენი საქმე უკვდავია. პარტიზანები მაშინ შევეწყვეტუ ბრძოლას, როდესაც ჩვენზე დაყინებულ მისიას პირნათლად დაეაბოლოვებთ!“

— ვაშა, სიდორ არტემის-ძეს, გაუმარჯოს ჩვენს ხელმძღვანელს! — ერთხმად იქუხა მებრძოლთა ხმამ.

კოვბაკმა თვალი შეასწრო ტუტუჩენკოს, აფრიალებული დროშით ხელში, დროშა იცნო, მისკენ გამოექანა, გულში ჩაიკრა დროშა და მას მოწიწებით ეამბორა.

— ყოჩაღ ამხანაგო ტუტუჩენკო, ღირსეულად შეგინახავს და მოგივლია დროშისათვის, აი, ვაეცაცობაც ამას ჰქვია!

კოვბაკს ძველი თანამებრძოლები თან ახლდნენ. მასთან იყვნენ იაკობ პანინი — ჩვენი შენაერთის პარტორგანიზაციის მდივანი, აგრეთვე ანდროსოვი — შენაერთის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, მხოლოდ არ აღმოჩნდა მათთან გრიგორ იაკობის-ძე ბაზიმა, კოვბაკის მარჯვენა ხელი, უაღრესად სპეტაკი და გულმართალი ადამიანი.

კოვბაკს ძლიერ უყვარდა ბაზიმა; როდესაც ბაზიმა ბრძოლებში ებმოდა და ბანაკში მოსვლა შეაგვიანდებოდა, მოხუცი ლელავდა, ხომ არაფერი გაუჭირდაო, კითხულობდა. დაუსრეტელი ენერჯის პატრონი ბაზიმა ხშირად დაზეგებს თეთრად ათენებდა, ათეულ საათობით კალამს აწრიბინებდა და მუდამ ქალღღებში თავი ჰქონდა ჩარტული. მოთმინებიდან გამოსული კოვბაკი მას ლოგინიდან გადმოსძახებდა: რა უძილობა გჭირს, დააგდე ხელიდან კალამი და მოისვენე, რას აკლავ თავს ამ ქალღღებში! ბაზიმა ხელმძღვანელს დინჯად და აუჩქარებლად მოახსენებდა: თუ დოკუმენტებს არ დაფუტოვებთ მომავალ ისტორიკოსს, ისე პარტიზანული ბრძოლის ისტორია არ დაიწერებაო.

ადგილიდან ადგილზე გადასაცვლების დროს, თვით კარპატების მთებში ბაზიმა შტაბის საქმეებს თან ატარებდა. იყო ისეთი კრიტიკული მომენტები, როცა იძულებული ვხდებოდით ხელი აგველო ყველა საპირო ნივთზე, ბაზიმაც ყველაფერს შეეღვეოდა და გადაპყრიდა, მხოლოდ კანცელარიის საქმეებს არა, მზად იყო კვირაობით და თვეობით ეტარებინა ზურგით საქმეები.

კოვპაკთან ერთად ყველამ ცხენები შეგებარუნეთ და გოროდნიცასკენ გავეშურეთ. ფეხზე დამდგარი დაგვხვდა დაბა, დიდი და პატარა ქუჩებში გამოფენილიყვენ და ჩვენს მისვლას ელოდებოდნენ. ცნობის მოყვარე მოსახლეობა დიდ მითქმა-მოთქმაში იყო, მოქალაქეთა შორის ასეთი საუბარი ისმოდა:

— ცხენოსნები რომ გავიდნენ ალადაბიდან, თურმე პარტიზანთა უფროსის შესახებდრად წასულან!

— ორ თვეზე მეტია თურმე ერთმანეთი არ უნახავთ!

— მაგარი ვეჯაკიცაო, ამბობენ.

— მოდის კი ნამდილადა?

— მოდის, რა თქმა უნდა, პარტიზანები სიხარულით ცას წვდებიან.

— ურაა! — ნაღმის ქუზილის მსგავსად ვაისმა პარტიზანების ხმა ბანაყის სხვადასხვა ადგილას. მებრძოლები საყვარელი ხელმძღვანელის მოახლოვებას ესალმებოდნენ.

კოვპაკი ცხენიდან საჩქაროდ გადამოეშვა და მწკრივში განლაგებულ პარტიზანებს მშობლიური სიყვარულით მიესალმა.

— დღეგრძელობა და გამარჯვება სიღორ არტემის-ძეს, ურაა! — ყვიროდნენ პარტიზანები. ამ უცხო სანახაობას სულგანაბული შესცქეროდა მოსახლეობა, დიდის და პატარას სახეზე კმაყოფილებას ამოიკითხავდით.

— აი, ის არის კოვპაკი, მათრახით ხელში წინ რომ მიუძღვის პარტიზან-

თა კრებულს, — აღნიშნავდნენ დაბის მოქალაქენი.

— მხნე მოხუცია, მტრებს მუშაობის მიალაჯებს?!

— რამ მოახუცა, ბარე ორს ახალგაზრდას სჯობია!

კოვპაკს ხელჩამოურთმეველი არ გამორჩენია არც ერთი მწკრივში მყოფი პარტიზანი: სათითაოდ ყველას ჩახვდა თვალებში და გამამხნეველი სიტყვა უთხრა.

პიატიშკინმა დანახვისთანავე მოხუცს მიძახა: სიღორ არტემის-ძე, ჩემი ასეულის ბიჭები თქვენთან არიან თუ არაო?

— არიან მაშ. — უპასუხა კოვპაკმა, — ყველა ჯანმრთელადაა, შენმა მოადგილემ საშა ტუტერევიმა დიდი ბრძოლები გადიტანა!

მოვაგონებთ მკითხველს, რომ დელიატინის ბრძოლების შემდეგ, როცა ხუთ ჯგუფად დაენაწილდით და დამოუკიდებლად ვიწყეთ მოქმედება, იმ ხანად პიატიშკინი თავისი ასეულით ჩვენთან იყო. ეს ასეული იმ დროს შარა-გზაზე ბრძოლით გადადიოდა. მას მოუსწრეს მტრის ტანკებმა და ასეული ორად გაიშვეს. რამდენიმე მებრძოლის თანხლებით პიატიშკინმა მოასწრო გზის მეორე მხარეზე გადაბრენა, ასეულის მეორე, დიდი ნაწილი, პიატიშკინის მოადგილის ტუტერევის თანხლებით გზის ვადმოღმა ჩარჩა. რამდენიმეჯერ სცადა შემდეგ ასეულის ჩამორჩენილმა ნაწილმა შეერთება, მაგრამ ამაოდ, ეს არ მოხერხდა. პიატიშკინმა რამდენიმე კაცის თანხლებით ჩვენთან განაგრძო მგზავრობა, მისმა ასეულმა, ტუტერევის ხელმძღვანელობით დამოუკიდებლად იწყო არსებობა. ამასობაში ტუტერევი თავისი ნაწილით კოვპაკს შეხვედროდა და მას შეერთებოდა.

კოვპაკს რომ შეხვდადით — გარეგნულ ცვლილებას უეცრად შეამჩნევდით. მოხუცს წვერი გაეპარსა მხო-

ლოდ ბეწვიანი ქედით, რომელსაც ის წინათ მუდამ ატერებდა თუ შეიცნობდით მას, უწვევრობას იგი მთლიანად გამოეცვალა. ადრე თურმე გუტულის ქედს ატარებდა, თავისი ბეწვიანი ქედი ერთგულ პარტიზან პოლიტუხასათვის გადაებარებინა, კარპატების დატოვების შემდეგ ისევ თავისი ქედი დაეხურა.

ვერსიგორამ მოხუცს უხვი ვახშაში გაუმართა, სურსათ-სანოვაგე ხომ ბლომად გვქონდა: ჩვენს განკარგულებაში იყო გერმანიაში გასაგზავნად გამზადებული სურსათ-სანოვაგით სავსე ყუთები და ოთხფეხი საკლავი საქონელი.

ვახშაში გულთბილ მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდა. ბევრი მგრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა: მეთათურებმა მოხუცს ჯანმრთელობა და მხნეობა უსურვეს, რომ მას კვლავ შესძლებოდა ასე განუხრელად პარტიის და მთავრობის დაფარებათა შესრულება.

უცებ ვახშაზე მხიარულება შეწყდა, გარმონი დაღუძნდა, გოპაკის თამაში შეაჩერეს და ყველანი თავჩაქინდრული უსმენდნენ მოხუცს. ამ დროს ის რუდნევეს იგონებდა; ის ლაპარაკობდა:

— როგორ ხელსა და თვალს შუა დაეკარგეთ ეს კაცი! დელიატინის ბრძოლა მისთვის საბედისწერო გახდა! ხომ გახსოვთ ის შეაბნელები დამე, როცა დელიატინის ბრძოლისათვის ვემზადებოდით. სიმონ ვასილის-ძე იმ დამეს პირველი შეიქრა შუა ქალაქში... რუდნევი ჩვენი შენაერთის სინდისი, ჩვენი კული და სული იყო. მე არ მინდა ვიტირო, გულწვილობა პარტიზანებს არ შეგვშვენის. პირიქით მითქვამს და ეამბობს: შეუღარებელმა მებრძოლმა, მტკიცე ნეზისყოფის ბოლშევიკმა, საბჭოთა ქვეყნის პატრიოტმა და მოქალაქემ, საუცხოვო სტრატეგმა და სანიმუშო მეგობარმა, სამშობლოს კეთილდღეობას და ერთგულებას შესწირა თავი, ამით მე ვამაყობ! დიდება საყვარელ სიმონ

ვასილის-ძეს, სახელოვან კომიარს! — ყველა ერთდროულად სუფრითან წამოვიშალეთ, ხანმოკლე მინიჭნის წამოვარდა.

ვახშაზე მოხუცმა ბაზიმაც მოიგონა: „ზღვას გადურჩა და ცვარმა დაახრჩოვო, რომ იტყვიან“ ბაზიმაზეა ეს თქმულება ზეგამოჭრილი. სად დაიკარგა ეს კაცი! ის, რომ ცოცხალია, ამაშარავის ეჭვი არ გვეპარება, მხოლოდ რომ დღემდე ჩვენთან დაკავშირება ვერ შესძლო, ეს კი მაყვირებეს!

ბევრი სხვა ამხანაგიც მოვიფონეთ ვახშაზე.

— უშიშარი კარბენკო?! ის ხომ ჩვენი შენაერთის ვეფხვი იყო! პატარა გმირი მიხეილ კუზნიჩი? დავით გოროდოკის კომენდანტი ტელეფონით დუელში რომ გამოიწვია! მიტია ჩერიობუშეინი? რაგულია? ამათ სახელებს ჩვენ ვერასდროს ვერ დავივიწყებთ!

— იმ ობერ-ტიალი რადიოს აქუმულიატორის გადადგება მინდოდა ერთ დროს წყალში! — სთქვა კოვპაკმა, — მახსოვს ერთი-ორჯერ დიდი წვალებით შეეძელით თქვენთან დაკავშირება, გავერკვევოდით თუ არა რომელ ჯგუფთან ვიყავით დაკავშირებული, შემდეგში რაცაიას ენა ჩაუვარდებოდა. დაახლოვებით ვიცოდით, თუ სად იმყოფებოდით. ყოველ წუთს მტრის ჩასაფრებას ვაწყებოდით, დღე-ღამე მოსვენება არ იყო, გავარდევდით ერთ ალყას, გვეგონა სამშვიდობოზე გავედითო, უცე მორე ალყაში მოვექცევოდით. სანახევროდ თოფით ხელში გვეძინა, ან და რა ძალი იყო — საათიანი, საათნახევრიანი! დიდი ტანჯვა გავიარეთ, ჩვენი ნუგეში და გამამხნევებელი ერთი იყო: ხალხის თანაგრძნობა, პარტიის და ხელისუფლებას, პირადად დიდი სტალინის ჩვენზე ზრუნვა, ეგ იყო მთავარი, ჩვენი იმედი და ნუგეში.

კოვპაკი შემდეგ ბოლშევიკური პარტიის დიადი მათრგანიზებული როლის შესახებ ლაპარაკობდა:

— რომელ რაიონშიც არ უნდა მივსულიყავით, — ამბობდა ის — ყველგან ვხვდებოდით პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. განსაკუთრებული დავალებებით სტოვებდნენ მათ რაიკომები ადგილებზე. ზურგში ჩვენ ყოველთვის და ყველგან ვხვდებოდნენ არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკები. ისინი რაზმავდნენ და აკავშირებდნენ მასებს, მათი მეშვეობით უკრაინა-ბელორუსია ხომ პარტიზანების ციხე-სიმაგრედ იყო ქცეული. მებრძოლი პარტიზანების სათავეში ყოველთვის ბოლშევიკები იდგნენ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს შენაერთს რეგულიარული კავშირი ჰქონდა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. სამოქმედო დირექტივებს ჩვენ უკრაინის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამხანაგი ნიკიტა სერგეის ძე ზრუშჩევი გვაწვდიდა. ამრიგად უკრაინა-ბელორუსიის მოძრაობის ავანგარდი და მესაქვე, ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი, მტკიცე ნებისყოფის ბოლშევიკები იყვნენ.

ბოლშევიკური პარტია წარმართავდა მთელი ხალხის არმიის და პარტიზანული შენაერთების გმირულ ბრძოლას.

...კახშის დასასრულიც მოახლოვდა, უკანასკნელ წუთებში მხიარულობამ იშატა: სუფრიდან წამოიჭრა მოხუცი და აჭრიალებული გარმონის პანგიტი გამხიარულებულმა გობაკი დაუარა, ამ სურათის შემყურე მეგარმონემ ცეცხლი მოიკიდა ხელებში, კნაღამ შუაზე გახლიჩა საკრავი. გულმა არ მოუთმინა პიატიშკინს, დაიფიწვა ჭრილობა და გოგმანით გამოუდგა უკან კოვპაკს, მოცეკვავეებს დაუსრულებელი ტომოსიანგან არაქაით გამოელაიათ; როცა დაიქანცნენ სუფრას მოუსხდნენ და თითო ჭიქა არაყით გული ძლივს მოიბრუნეს.

პავლოვსკიმ დრო იხელთა, მონადი-

მეთა ხმაურით ისარგებლა, კოვპაკს ყურთან ტუჩი მიუტანა და დაბალი ხმით შეეკითხა: *არქონესუმი*

— სიღორ არტემის-ბელორუსის ნის ბრძოლებში დაჭრილხარ და რატომ ჩვენ ეს ვერ გავიგეთ?!

კოვპაკმა ჩაიციხა და პავლოვსკის უპასუხა: ეგ ხომ პატარა საქმეა, ყურადღების ღირსი არ იყო, ლაბარაკადაც არ ღირდა.

ნადიმობა დამთავრდა, გვიან დავიშალენით, მოხუცს დავეშვიდობეთ და ჩვენს ასეულებში დავებრუნდით.

მთელი დამე ფხიზლად გავაბარე, ვახშის შთაბეჭდილებები მიტრიალებდა თავში. დილით ადრე ავდექი და შტაბისაკენ გავეშურე. ადრე ამდგარიყო მოხუცი, შტაბის წინ დასეირნობდა, ზეზე ამდგარი დამხედნენ ვერშიგორა, პანინი და პავლოვსკი.

— დავით, მობრძანდით, — ჩემს დახევაზე მიხმო კოვპაკმა, — მოხარულეარ. რომ კარგად გამოიყურები, ჩვენს პირობებში მთავარი ჯანმრთელობაა. ვერშიგორამ და პავლოვსკიმ მითხრეს, რომ ბრძოლებით ხარ გადადილილი... კარგია, რომ ასეულზე ბევრს ზრუნავ... ეგ სანაქებოა. ისიც მითხრეს რომ ბეწვზე გადარჩენილხარ...

მუკლედ ვუამბე სად და როგორ პირობებში მოხდა ნაწილ-საგან ჩემი ჩამორჩენა და თითქმის უუქუო სიკვდილისაგან თავის დაღწევა.

— მოსალოცია ამხანაგო დავით, მოსალოცი, — მითხრა მოხუცმა და განაგრძო — ახლა კი მებრძოლებთან მივიდეთ, ჩვენს ბიჭებთან ვისაუბროთ!

კარგ ხასიათზე იყო მოხუცი: ოხუნჯობდა, იცინოდა. მის ხუმრობაზე პარტიზანები გულიანად ხარხარებდნენ. გამეღელ-გამომეღელეები ამ არაჩვეულებრივ ხმაურზე შედგებოდნენ და ჩვენსკენ გაოცებით იწყებდნენ ტყარას.

Handwritten notes in the left margin: "არქონესუმი" and "573".

საქართველოს  
პარლამენტის  
მარცხეული  
ბივლიტეისა

Handwritten and stamped notes at the bottom right, including "10" and "16".

მოგვიანებით ეერშიგორამ მოხუცს აბანოში წასვლა შესთავაზა:

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, დიდი ხანია აბანოში არ ვყოფილვარ. — იყო კოვპაქის პასუხი.

ხუთნი წავედით აბანოში. კოვპაქი, ეერშიგორა, პანინი, პავლოვსკი, და მე. აბანოში ყველას ყურადღება კოვპაქის კრილობამ მიიქცია, იმ ხანად კრილობა უკვე შეხორცებოდა.

პავლოვსკის შეკითხვაზე, თუ რად შალავდა ის თავის კრილობას, კოვპაქმა უპასუხა: მართალია ამ კრილობის გამხელას დავერიდებ და აი რატომ. უდავოა, რომ ამ ამბავს მითქმა-მოთქმა მოჰყვებოდა, ბიჭები იჯავრებდნენ, ვიცოდი. მეორე — ვინიცობაა ჩემი კრილობის ამბავი მტრის ყურამდე მისულიყო, იტყოდნენ კოვპაქი სასიყვდილოდაა დაჭრილი. კრილობის ამბავი მხოლოდ სანიტარ ქალს გაეანდე, მთელი თვენახევრის მანძილზე წყლულს ის მიხვევდა.

ეერშიგორამ საღამოთი ბრძანება გასცა გოროდნიცას დატოვებაზე და სოფელ ბრონიცაში გადასვლაზე. ამ სოფელში იდგა იმ ხანად კოვპაქის ჯგუფი...

დიდის ამბით გაგვაცოლა მოსახლეობამ პარტიზანები: ისინოდა სიმღერებში, ბალალაიკა-მანდოლინებზე აწყობილი მარშები, გარმონების გიჟური გოპაქი; მოთმინება არ ჰყოფნიდათ პარტიზანებს, ჩქარობდნენ ბრონიცაში მისვლას, ორი თვის უნახვე მეგობრებთან შეხვედრას.

## XLII

ბრონიცაში გამგზავრების წინ გოროდნიცაში ხე-ტყის სახერხ ქარხანას ცეცხლი წაფუკიდეთ, ამით მტერს წავართვით უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ბაზა. დიდძალი რაოდენობით გაჰქონდათ გერმანელებს ხე-ტყის მასალა გოროდნიცადან, დღე-ღამე განუ-

წყვეტლივ მუშაობდა სახერხი ქარხანა. სახერხი ქარხნის დაწვის შემდეგ მწყობრ კოლონებად გვერდობდა მტერი ბრონიცასკენ. მისი დასაცავის გეგმობდა: წყნარი შემოდგომის მზიანი და თბილი დღე იდგა.

ლენტვიით მიიკლავებოდა ტყეში ქვიშით თეთრად მოკირწყლული გზა გავცდით თუ არა რამდენიმე კილომეტრით გოროდნიცას, შემდეგ მთლიანად დაქაობებული ადგილები დაიწყეთ. ამ ქაობებიდან ნაწრეტი წყლიდან წერილ-წერილი რუები ერთი მეორეს ერთვიან და საკმაოდ მოზრდილ მდინარეს აჩენენ. ფონი მდინარეზე ადვილად მოვნახეთ, სამხედრო იარაღი მეორე ნაპირზე გადაეიტანეთ და თითონაც ყველანი უვნებლად გადავვლით მეორე ნაპირზე.

კვლავ ფეხმარად განვაგრძეთ გზა: ქვიშანი გზის შორეულ თეთრ ფონზე ცხენოსანთა კრებული გამოჩნდა. ცხენოსნებს წინ ამხანაგები სავა ტუტეჩევი და მიშა ანდროსოვი მოუძლოდნენ, მათ თან ახლათ თავისი ასეულეებიდან რამდენიმე პარტიზანი. ჩვენ შემსხვედრად წამოსულიყვნენ ისინი. სავა ტუტეჩევი და მიშა ანდროსოვი ისარივით მოაჭროლებდნენ ცხენებს.

როგორც ზევით აღვნიშნე, ანდროსოვი ჩვენს შენაერთში 1942 წლიდან ირიცხებოდა. ის ჩვენი შენაერთის კომკავშირის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.

მალე დამხედურნი ცხენებიდან გადავშენენ, დიდიხნის უნახავი ამხანაგები ერთი მეორეს გადაეხვივნენ. ხანმოკლე, თბილი და მეგობრული გაბასების შემდეგ კვლავ ყველანი ცხენებს ზურგზე მოექცენ და ორ-სამ საათში ბრონიცას მივალწვიეთ.

ბრონიცა პატარა ხუტორია. აქ ბელორუსები და უკრაინელები ცხოვრობდნენ. ასწლოვან ხეობით სავსე ტყეშია ჩაფლული ეს ხუტორი. სოფლის შესასვლელთან შემოგვხვდნენ

ბრონიცაში მობინადრე პარტიზანები. მისულების და დამხდურების „ურამ“ შესძრა იქაურობა. ბინებზე გავანაწილეთ ასეულები და განვიღოთ თავგადასავალზე ეიწყეთ საუბარი. ზოგი კარპენკოს იგონებდა, მის გაეკაცობას, მის გმირულ სიკვდილს. გაიხსენეს ლონია რუდენკო, ისიც მოიგონეს საღ და როგორ პირობებში დაიღუპნენ ვასია და პავლიცი, როგორ შესძლეს პავლიკამ და იასამ მტრის რვა ჯარისკაცის დატყვევება. ამ მოგონებებს ღრმა ინტერესით ისმენდა დიდი და პატარა: ერთ-ერთი, რომ განმარტებას იძლეოდა, მთელი კრებული მას გარინდული უსმენდა. შემდეგ შთაბაგონებელი კილოთი მეორე წამოიწყებდა იგივე ამბავს; სიტყვა ბოლოს რუდენეზე ჩამოვარდა, მისი სიკვდილი არ სჯე-როდათ პარტიზანებს:

— სარწმუნოდ გვითხრეს, მწყემსების კარაქში მწოლიარე უნახავთო, მოწყალეების და დასტრიალებდა თურმე თავზე, — ამბობს ერთი.

— შე კი ასე გავიგონე. — განმარტავდა მწვერავი პარტიზანი, — მთებშია ამჟამად, პარტიზანებს ჰკრებს და სალაშქროდ ემზადებო!

მოსაუბრეს სხვა პარტიზანი სიტყვას ჩამოართმევდა:

— ჩვენ დაგვეძებს თურმე, განკურნებულა თუ არა, იმ დღიდან ჩვენს ძებნაში ყოფილა. არ იცის სად წავედით, სად ვიმყოფებით, იმედი უნდა ვიქონიოთ, აღრე თუ გვიან ჩვენს კვალს იპოვნის და ჩვენთან მოვალ.

ასე რწმენით და იმედიანათ იყვნენ რუდენევის მოსვლის მოლოდინში მებრძოლები.

აქ გასაკვირი არაფერი იყო: ვერ იმეტებდნენ და ვერ ურიგდებოდნენ იმ ადამიანის დაკარგვას, რომელიც მათ მამასავით უყვარდათ. ვალერსებოდნენ მებრძოლები რუდენევის ცხენსაც კი, რომელიც ახლა კვლავ შენაერთში იყო: ყოველ მებრძოლს მისი მამაცი მხედა-

რი გაახსენდებოდა ხოლმე ამ ცხენს დანახაზე, ორლიკი ერქვა რუდენევის ცხენს. შემდეგში რუდენევი დაიღუპა პიატიშკინის ახუქა. პირუტყვემა გაუძლო კარპატების მთების სუსხს. უწინებლად გადაჩა, თუმცა ის მთებში მეტად გახდა და დასუსტდა.

როგორც ვთქვით, ორლიკი რუდენევის სახელთან იყო დაკავშირებული. პარტიზანებს ახსოვდათ, თუ როგორ გაჰქროდ-გამოჰქროდა ორლიკზე მჯდარი რუდენევი; და ამ მოგონებების გამო ორლიკი შენაერთში ყველას უყვარდა.

მასხოვს როგორ სიფრთხილეს და წინდახედულებას იჩენდა ორლიკი კარპატების ვიწრო კლდოვან ბილიკებზე გადასვლის დროს; როდესაც უეცრივ თვითმფრინავები თავზე წამოგაწყვდებოდნენ ხოლმე, მოტორების ზუზუნს პირველად ის გაიგებდა, აწრიალდებოდა, ყურებს ცქვეტდა, თვალებს აფეთებდა, ადამიანებთან ერთად ისიც გარბოდა კლდეებში თავშესაფარად.

ბევრი ცხენი მოგვეყლა კარპატებში მტერმა, ორლიკი კი უწინებლად გადაჩა.

როცა მებრძოლებმა საუბრით გული იჯერეს, შემდეგ ცმევა-თამაში გამართეს. შუადამედე გასტანა პარტიზანების ამ გართობამ, საერთო მხიარულებაში მოსახლეობამაც მიიღო მონაწილეობა, ბალაიკებით მოვიდნენ ახალგაზრდები. კოვაკი, ვერშიგორა, პანინი და პავლოვსკი დიდბანს არ დარჩენილან პარტიზანებთან, შტაბში აღრიანად წავიდნენ და იქ თათბირი დაიწყეს.

1943 წლის სექტემბრის ოცდახუთს მშვენიერი დღია გათენდა: მოწმენდილი ლავეარდოვანი ცა, შემოდგომის ფუცხუნა დილასთან შეხამებული გულს მალამოდ დაედო. სოფლის ვიწრო გზაზე ჯიშინი ოთხფეხი საქონელი ზღაზუნით მიბლაოდა, ქოსა მწყემსი პირუტყვს სამოვარზე მიერეკებოდა.

ჩემთან მიწურში მგეკავშირე მოვიდა.

შენაერთის პარტკომის მდივნის პანი-  
ნის ბარათი გადმოძეცა—პარტიული კრე-  
ბა იყო მოწვეული, კომკავშირელებთან  
ერთად. პარტიული კრება ორი თვის  
განმავლობაში პირველად ინიშნებოდა.  
სხვა დროს პარტორგები ასეულებში  
თავისუფალ დროს ყოველთვის ახერ-  
ხებდნენ საუბრების ჩატარებას, ამჟა-  
მად მხოლოდ ბრონიცაში მოგვეცა  
მთლიანი პარტიული კრების მოწვევის  
საშუალება. კრებაზე ოცნებაც არ შე-  
გვეძლო აქამდე, ბრძოლების ქარიშხა-  
ლი მხოლოდ ბრონიცაში ჩადგა და მი-  
უყრდა.

პარტიულ-კომკავშირული გაერთი-  
ანებული კრება სოფლის განაპირას,  
ტყეში მოვაწყვეთ.

ამ კრებაზე ფრცვლი მოხსენებით გა-  
მოვიდა ამხანაგი პანიანი. მან შეაჯამა  
ჩვენი განვლილი ბრძოლების მიღწევე-  
ბი, აღნიშნა ნაკლიც, სუსტი მხარეებიც.

კრებაზე სიტყვით გამოსულმა ამხა-  
ნაგებმა დაასახელეს ის ზელმძღვანელი  
ამხანაგები, რომლებმაც ვერ გამოიჩინ-  
ეს ორგანიზატორული ნიჭი და უმნი-  
შვნელო ბრძოლებში დაჰკარგეს საგრ-  
ძნობი ცოცხალი ძალა. წინადადება შე-  
მოვიდა ზოგი უხერხემლო მეთაურის  
გამოცვლაზე.

პანიანმა წინადადება შემოიტანა ასე-  
ულის მეთაურებს გადმოეგზავნათ შენა-  
ერთის პარტკომში პარტიის და კომკავ-  
შირის წევრების დახასიათებები.

მგზნებარე სიტყვით გამოვიდა კოე-  
პაი.

— მტერი ცეცხლით და მახვილით  
ანადგურებს ჩვენს სოფლებსა და ქა-  
ლაქებს, მან ყველა გზა-ჯვარედინზე  
აღმართა სახრჩობელები. ჩვენი ვალა  
ვიხსნათ მოსახლეობა განადგურებისა-  
გან, ჩვენს ძმებს და დებს გავუწოდოთ  
ძმური ზელი, ვურტყათ მტერს დაუზო-  
გავად. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს  
ბელადის სიტყვები: „არ დაზოგოთ ვაზ-  
ნები ჩვენი სამშობლოს მჩაგვრელთა  
მოსასპობად!“—ამ სიტყვების შემდეგ

ამხანაგმა კოეპაიმა დასახა ჩვენი ბრძო-  
ლის უახლოესი ამოცანები. ჩვენი  
ფრიად საქმიანი ცვალებები იყავი  
იყო კრება. ამ კრებაზე ბოლშევიკური  
კრიტიკით და გულწრფელობით ითქვა,  
რაც ყველას აწუხებდა. კრების მონა-  
წილეებმა დაურიდებლად აღნიშნეს  
პარტიზანული ბრძოლების სუსტი და  
ძლიერი მხარეები, გააკრიტიკეს ცალ-  
კეული მეთაურების უუნარობა.

კოეპაის წინადადებით კრება, ინ-  
ტერნაციონალის, პარტიული ჰიმნის  
სიმღერით დაიშალა.

კრებიდან დაბრუნებისთანავე შევე-  
დქით დავალების შესრულებას, დავა-  
ზუსტეთ ბრძოლებში დაღუპული ამხა-  
ნაგების სიები და დავამუშავეთ პარ-  
ტიულ-კომკავშირულ ამხანაგების დახა-  
სიათებები. დამუშაებული მასალები  
შენაერთის პარტიულ კომიტეტში გა-  
დავგზავნეთ.

ბრონიცაში მყოფდროებამ ძარღვები  
დაგვიამა, მტერი არსად უკანებდა, სახ-  
ლებში ვიყავით დაბინავებული, ჩემი  
ასეულის შტაბიც იქვე იყო, სადაც შე-  
ვცხოვრობდი.

დილით ადრე ეზოში გამოვედი. ჩემს  
დანახვაზე მოხუცი სახლის პატრონი  
ზეზე წამოდგა და თავანიანად მომე-  
სალმა.

— ქართველი ბრძანდებით? — მე-  
კითხება მოხუცი.

— თქვენ საიდან იცით?! — გაოცე-  
ბით ვკითხე.

— თქვენი გვარი მითხრეს პარტიზა-  
ნებმა და მივხვდი, რომ საქართველო-  
დან იქნებოდით!

— კი მაგრამ საქართველო საიდან  
იცით თქვენ?

— ნამყოფი ვარ საქართველოში!

— როდის იყავით?

— საქართველოში საბჭოთა ხელი-  
სუფლების დამყარების დღეებში. იმ  
ხანად მე კავალერიაში ვმსახურობდი,  
დავლილი მაქვს თქვენი კუთხე, ქართ-  
ველი ხალხის ზნე-ჩვეულებას კარგად

ვიცნობ, თქვენებურ სტუმართმოყვარეობას ვერასდროს ვერ დავივიწყებ. ჩვენმა დღეიზიამ პირველად შირაქის ველით კახეთზე გამოიარა, დიდის აღფრთოვანებით გვხვდებოდა ყველგან ხალხი. კახეთის რომელ სოფელშიაც არ შევედით, დოქებით წითელი ღვინო გამოჰქონდათ. სხვა დროს მე ღვინისა არა ღიცილია რა; კახეთში დავლიე პირველად წითელი ღვინო. ოი, რა გემრიელი იყო, რა კარგი იყო! მომაკვდავის მობრუნება შეიძლება თქვენებური ღვინით. აი, ის თხელ თხელი პურები თქვენში, რა რიგ უხდება იმ დაღლილ ღვინოს. ჩაის ჭიქებით ვსვამდი. მაგრამ არ უწყენია ოდნავ მას ჩვენთვის. სულ გინდა რომ სეა, გული თხოულობს...

მოხუცმა გადხარხარა, როცა ნეტარების ეს მივიწყებული წუთები გაიხსენა.

— თქვენი სახელი? — ვკითხე მას.

— ალექსი!

— იცი რას გეტყვი, ალექსი, — ვუთხრე მას, — რახან ასე მოგწონებია საქართველო, ომი რომ დამთავრდება — მოდი, მეწვიე.

— ეხ, ნეტავი მართლაც მასე მოხდებოდეს. დიდ თავპატივს არ დავიწყებდი, სიამოვნებით წავალ ამ სიბერის დროს საქართველოში!

— გაბედა, რაც იქნება-იქნება, წამოდი. აგერ სულ მოკლე დროში ავუკრავთ მტერს ბარგა-ბარხანას, შემდეგ შესაძლო იქნება დამშვიდებული მგზავრობა. გაბედა!

ჩემს წინადადებაზე კისკისებდა მოხუცი. გადაქარბებული სიცილისაგან თვალებზე მოგუბებულ ცრემლს ორივე ხელით იშმენდა.

— რომელი სოფლიდან ხართ მამა-შვილობას? — მეკითხება მოხუცი.

— ორჯონიკიძის რაიონიდან, ალბად გაგიგონია ორჯონიკიძე: გეცოდინებათ ვინც იყო?

— ორჯონიკიძე როგორ არ ვიცი,

ჩემს დროს წითელი არმიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, შემდეგ კანტაშვილი კომისარი.

— მამ კახეთიც გინახავს არა?

— კარგად მახსოვს. ამინდი არ იყო იმ ხანად სახარბიელო, თებერვლის სუსხიანი დღეები იდგა, მაგრამ ჩვენებურ ამინდთან შედარებით, თქვენებური ამინდი ზაფხულად გვეჩვენებოდა. ერთ დღით ჩვენი კავალერია სოფელ წითელწყაროში მივიდა. მყუდრო სოფლად გვეჩვენა წითელი წყარო, ის იყო შევდგით სოფელში ფეხი თუ არა, ადგილობრივი სამხედრო ყაზარმიდან მენშევიკებმა ვერაგული თავდასხმა მოგვიწყვეს, ბრძოლის დროს მოგვიკლეს დღეიზიის უფროსი; ამხანაგი კურიშკო. საყვარელი ადამიანი იყო კურიშკო, დიდი გაბედული ვაჟკაცი და წითელ არმიელების გულითადი მეგობარი.

ალექსი არ სტყუოდა, მე მქონდა ნახი წითელწყაროში კურიშკოს ძეგლი.

— ამხანაგო ალექსი, — ვუთხრე მოხუცს, — წითელ წყაროში ადგილობრივმა ხელისუფლებამ კურიშკოს ძეგლი დაუდგა იმ ადგილას. სადაც ის მტარვალის ტყვიისაგან განიგმირა. მე ეს ძეგლი ჩემის თვალთ მინახავს.

მოხუცს გაეხარდა, თვალები გაუბრწყინდა.

— ის ღირსი იყო ყურადღების, მიხარიან ქართველებს მისთვის პატივი რომ უციათ: უკვდავ რომ უყვიათ მისი სახელი!

— წითელ წყაროს გარდა თუ სადმე იყავით, თბილისში ხომ არ ხარ ნამყოფი?

— არა, თბილისს ახლოს ჩავუარეთ. ქალაქში არ შევსულვართ. ვიყავით გორში, გზად გავიარეთ ამ ქალაქში, ცოტა ხნით შევჩერდით და დავისვენეთ. მახსოვს პატარა, კოხტა ქალაქია გორი. ჩვენი ბელადი სტალინი გორში დაიბადაო, ისიც გაგონილი მაქვს.

— მართალია, გორშია დიდი სტალინი დაბადებული.

— თუ არ ეცდები გორი ხილის ქალაქად არის თქვენში ცნობილი?

— ესეც მართალია, ბევრი და კარგი ჯიშის ხილი მოდის გორში.

— ლოყაითელი ვაშლები იყო ყველგან თაბახზე გამოლაგებული. იმ ვაშლების გემო ახლაც მაქვს პირში..

— ძველი მებრძოლი ყოფილხარ, ამხანაგო ალექსი, ჯერ ისეც მხნედ ხარ, თუ კი საქმე დაისაჭიროებს, ბარე ორ ახალგაზრდას აჯობებ!

— ეხ, ნეტავ ერთი ამ გერმანელების ჯაგრი ამოაყრევენა! ასეთი ძალადობა გაგონილა? მიცანი, კარი გამიღე, რაც შენ შეგიქმნია, შენი ოფლით მოგაბოვებია, ყველაფერი ჩემიაო. შეილებიც კი არ შეგვარჩინეს, ქალი და ვაჟი, ყველა გერმანიაში წაიყვანეს. ამ ერთი წლის წინათ ამ ჩვენს სოფელში გერმანელებთან ბრძოლა ჰქონდათ ადგილობრივ პარტიზანებს. გერმანელები გოროდნიციდან მოვიდნენ, ჩვენმა ბიჭებმა ისინი დაიფრინეს. მე იმ ბრძოლაში დაჭრილ გერმანელს თოფი ავაცალე, მას დღემდე ვინახავდი გაჭირებისათვის. ამას წინათ ჩვენმა პარტიზანებმა თავისი რიგების შესაესებად ამ სოფლიდან ახალგაზრდები წაიყვანეს და მე შაშხანაც მათ თან გავატანე.

— ჩამწარლებათ გერმანელებს, სანანებლად გაუხდებათ თავხედობა—ვეუბნები ალექსის!

— თქვენ გეცოდინებათ ალბათ რა ხდება ფრონტზე?..

— ეოი, გერმანელები დიდი ხანია ომს წაგებულად თვლიან, მაგრამ პიტლერი განაგრძობს ჯიუტობას, უმიზნოდ სწყვეტს ბრძოლებში ათასობით ჯარისკაცებს.

— ეხ, ერთადერთი ვაჟის პატრონი ვარ, პირველი თოფის გავარდნისთანვე გაიწვიეს ჩემი ვაჟი ჯარში, მის შემდეგ მისი არა ვიცი—რა, არა მგონია, რომ იმ ცოცხალი იყოს?

— ნუ გეშინია, — <sup>ვამწვივებ</sup> მოხუცს, — დამთავრდება ომი და შენი ვაჟიც შინ მოვა! <sup>ეროვნული</sup>

— იმედი ნუ მოგიძალოს დიერთმა, შენც მშვიდობით დაბრუნებულიყო საქართველოში — მიბასუხებს ის.

— ამხანაგო ალექსი, რამდენი ხანია მის შემდეგ, რაც თქვენს ხუტორში არ ყოფილან გერმანელები?

— დაახლოვებით ექვსი თვე იქნება, ამ ხანად გოროდნიცას სოროებს ვერ სცილდებიან, ჩვენმა ბიჭებმა მცველებით აავსეს გზები, გერმანელებიც ბევრი დახოცეს, ბევრიც ცოცხლად დაიჭირეს. გოროდნიცაში იდგა გერმანელების გარნიზონი; რამდენადაც ვიცი, თქვენ დაგიფრენიათ ისინი. ეს დაბარც ისე შორსაა ჩვენი ხუტორიდან, იქედან მოდიოდნენ ჩვენთან დაუპატივებელი სტუმრები.

— გაჰქონდათ რამე?

— ხელცარიელი როდი ბრუნდებოდნენ, გაჰქონდათ კართოფილი, კარაჭი, ფრინველი, ყველი და კვერცხი.

— თქვენი სოფლელები თუ არიან გერმანელების სამსახურში?

— ნუ მკითხავთ, თქვენი კირიმე, არიან ოთხი-ხუთი კაცი. როგორც კი დაიწყო ომი, ერთ დღეს დილა აღრიან ადგილობრივმა კომუნისტებმა გაგვიწვიეს სოფლელები კრებაზე. პარტიის რაიონული კომიტეტის წარმომადგენელი გამოვიდა იმ კრებაზე ვრცელი სიტყვით. მან სთქვა:

— ბელორუსიას დროებით სტოვეებს წითელი არმია, იგი კვლავ დაუბრუნდება ჩვენს მიწა-წყალს; დღით-დღეა მოსალოდნელი ამ ჩვენს ხუტორში გერმანელების მოსვლა. არ დაიბნეთ, იყავით ერთსულოვანი, მტერს მტრულად შეხედით. მოწინააღმდეგე შეეცდება მოსახლეობის გათიშვას და დაქსაქსვას, თბილ-თბილ ადგილებს შეგთავაზებენ. გაკეთებას დაგპირდებიან, პოლიციაში ჩაეწერეთო. ვეტყვიან. დუმილით შეხედით მოწინააღმდეგის წინადადებებს.

რამდენადაც შესძლოთ და მოგიხერხდეთ, წინ აღუდგით მტრის სურვილებს და ღონისძიებებს. არც ერთი მოქალაქე არ უნდა ჩაეწეროს მტრის სამსახურში.

— მერე როგორ შეხვდით პარტიის რაიონული კომიტეტის წარმომადგენლის წინადადებას, ხომ ატარებთ მას ცხოვრებაში?

— აგერ მოვახსენებთ: არ გასულა იმ კრების შემდეგ ოთხი-ხუთი დღე და გერმანელები მართლაც მოვიდნენ ჩვენს ხუტორში. მოსვლისთანავე შეგვეყარეს მოსახლეობა ხუტორის მოედანზე. შავქაძეებში ჩაცმულები შევხვდით მტერს, არც ერთი მათ მოწოდებაზე ხმა არ ამოგვიღია. ვაჩნევდით, არ მოწონდათ გერმანელებს ჩვენი კერპობა და გულცივობა, მაგრამ რაღას იზამდნენ. საღამოზე გაიწვიეს თავის სადგომში ერთი წყება მამაკაცები და მოსთხოვეს ზოგიერთს, შერჩევით, პოლიციაში ჩაწერა. უარით შეხვდნენ მტრის წინადადებას ჩვენები. გერმანელებმა იწყინეს:

— როგორ თუ უარს ამბობთ ჩვენს წინადადებაზე, გეტყობათ სიცოცხლე მოგებურებიართო; ცხელი დღე დაეყენებიათ გლეხებისათვის, დიდი მუქარით ოთხი სუსტი ნებისყოფის გლეხი დაეთანხმებინათ და ხელი მოეწერებინათ პოლიციის სამსახურში ჩაწერაზე. აი ის გლეხებია ახლა გერმანელების სამსახურში.

— ახლა სად არიან ის პოლიციელები?

— გოროდნიცაში იყვნენ, ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ, გულით როდი ემსახურებიან მტერს. მუდამ გვაცნობებენ ხოლმე, თუ რას აპირებენ გერმანელები. მათი წყალობით ბევრჯერ ვინსენით მოსახლეობა გერმანიაში გარეყვისაგან. ჩვენი სოფლის პარტიზანებს მუდმივი კავშირი აქვთ მათთან!

სალამოს ოცი საათისათვის კოვპაკმა მიხმო. შეკავშირის თანხლებით შტაბში წავიდა.

„ნეტავი რისთვის შექაბიან, ვერცრობდი, — ალბად პარტიული კრების გადაწყვეტილებასთან აქვს მისი განწყობება რაიმე კავშირი? ვინაშნაშნა“  
შტაბი იმ ხანად ხუტორის ერთ-ერთ განაპირა მყუდრო ადგილას, ლამაზ ქოხში იყო მოთავსებული.

კარი შევადე. ქოხში, მაგიდაზე ქონის კრაქი იდგა. ორ წელზე მეტი გავიდა, რაც მოსახლეობას ნაეთი თვალით არ ენახა; გლეხები შემონახული ქონიდან აცეთებდნენ ნათურებს, დიდი დაკვირვების შემდეგ შეეაჩნინე, რომ კოვპაკი, ვერშიგორა, პანინი, პავლოვსკი და ვოიცეხოვიჩი ქოხის შუა ადგილას მღვარი მაგიდის ირგვლივ იყვნენ შემოსხდარნი. შტაბის კრებულს მივესალმე.

— დავით, აქეთ, ახლო მოიწი — მეუბნება კოვპაკი. — დღეიდან ჩვენ პარტიული კრების დადგენილების განხორციელებას ვიწყებთ. ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი ჩვენი პარტიზანების გაერთიანებასთან დაკავშირებით, პარტიული კრების დადგენილების თანახმად, სახელდახელოდ დღეიდან ვატარებთ შენაერთის რეორგანიზაციას. ამხანაგო ვოიცეხოვიჩი, წაუკითხეთ ამხანაგ ბაქრაძეს ბრძანება!

ვოიცეხოვიჩი იმ ხანად ბაზიმას ცელიდა, შტაბის უფროსად მუშაობდა. სხვა დროს, როდესაც ბაზიმა შტაბს განაგებდა, ვოიცეხოვიჩი მის მოადგილედ ირიცხებოდა.

ვოიცეხოვიჩმა ბრძანების კითხვა დაიწყო, ვაჩნევ, რომ ვერშიგორას და პავლოვსკის ჩემსკენ უპირაფთ თვალითა იღიამებია. მე იმ წამში მივხვდი, თუ რას მოასწავებდა მათი ღიმილი...

ზემოდ ვწერდი და მკითხველს ალბათ ემასსოვრებო: კარბატების მთებში ყოფნის დროს კოვპაკმა და რუდნემა ბატალიონის უფროსობა შემომთავაზეს. იმ დროს მე წინააღმდეგი ვიყავი ბატალიონის უფროსად ჩემი დანიშვნისა. ვერშიგორას და პავლოვსკის ახ-

ლა მოაგონდათ ის შემთხვევა და ამიტომ იყო ნიშნის მოგებით ილიმებოდნენ: აბა, ახლა ენახოთ, თუ გაგივა უარიო...

კარბატებში ყოფნისას მე უარი ვთქვი ბატალიონის უფროსობაზე. და ეს იმიტომ, რომ ვერ ვიცნობდი ბატალიონის მებრძოლებს. პარტიზანულ ბრძოლების პირობებში კი თუ მეთაური კარგად ვერ იცნობს თავისი მებრძოლების უნარიანობას და ავკარგიონობას, მისი საქმე ძალიან ცუდად იქნება. ბრძოლებში მეთაური მაშინ აღწევს წარმატებას, როდესაც ის გაბედულად მოქმედებს, იცის ვინ, სად როგორ და რა დროს გამოდგება. მე ჩემი ასეულით მარტივ თუ რთულ ბრძოლებში მუდამ გაბედულად ვმოქმედებდი და ყოველთვის მიზანს ვაღწევდი.

მებრძოლთა კარგად შესწავლა მეთაურისათვის აუცილებელია. იმ ხანად კი იმ რთულ პირობებში, როდესაც ყოველ დღე და ყოველ გზაჯვარედინზე პარტიზანებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების წარმოება გვიხდებოდა, მებრძოლების პერსონალურად შესწავლის დრო არ იყო. პარტიზანის შესწავლა, როგორც ბრძოლის დროს, ისე მშვიდობიან პირობებშიაც ხდება. სახელდახელოდ ბატალიონის მებრძოლების შესწავლა ყოველად შეუძლებელი იყო. მე ჩემს ერთეულ პარტიზანებთან როგორც ჩვენში იტყვიან, თითო ფუთი მარილი მჭონდა შეკმული.

შტაბის დადგენილებით, მეცხრე ასეულს, რომლის მეთაური მე ვიყავი, შეუერთეს მთლიანად შეეჭვსე ასეული, ნაწილობრივად შეორე, მესამე, მერვე და მეთათე ასეულები. ჩემს მოადგილედ შეეჭვსე ასეულის უფროსი დეკტიოვი დანიშნეს.

როდესაც ვოიცეხოვიჩი ბრძანებას კითხულობდა, შტაბში ლენკინი, ეფრემოვი და ტუტერევი შემოვიდნენ, ისინიც გამოქანხნათ გადაჯგუფებას-

თან დაკავშირებით, მათ ასეულებშიც ხდებოდა ცვლილებები. **ერქინეშვილი** ჩემს მოადგილედ **გინდუნიძე** დეკტიოვი, მაიორის წოდებით იყო. მას ბადალი არ ყავდა მტრის ალყის გარღვევაში. ალყის გარღვევის დროს ის ხერხს უფრო მიმართავდა, ვინემ ლონეს. ხდება მეზადურს ხანდახან წყლიდან ახლად ამოყვანილი თევზი ხელიდან გაუსხლტება და ხახამზრარჩება, დეკტიოვიც თევზით გაძვრებოდა ხოლმე მტრის ალყაში და სანამ მტერი გონს მოვიდოდა, ის ამასობაში ათეულ კილომეტრს გასცილდებოდა.

პოლიტბელად ჩემს ასეულში ამხანაგი მოსკალენკო დაინიშნა. მოსკალენკო მომზადებული და განვითარებული კაცი იყო. ის კოვპაკის პარტიზანულ რაზმში 1941 წლიდან ირიცხებოდა.

ერთ-დროულად ჩემს დანიშნასთან, შტაბმა ამხანაგი სამა ლენკინი ცხენოსანი ესკადრონის უფროსად გააფორმა. სტეფანე ეფრემოვი მეხუთე ასეულის უფროსად დარჩა, ტუტერევი კი მეოთხე ასეულის უფროსად დანიშნა. ამათი ნაწილებიც შეაყვას ახალი მებრძოლებით. ამხანაგი პიატიშკინი, ყოფილი მეოთხე ასეულის უფროსი, იმ ხანად დაკრილი იყო, და საჭიროებდა ხანგრძლივ დასვენებას და მკურნალობას. განახლდებოდა თუ არა დიდ მიწასთან კავშირი, პიატიშკინი თვითმფრინავით დიდ მიწაზე გადიგზავნებოდა.

დაასრულა თუ არა ვოიცეხოვიჩმა ბრძანების კითხვა, კოვპაკს მეთაურებმა ხელი აუღლეთ „არის ამხანაგო უფროსო!“ — მოვახსენეთ და კარში გამოვედით.

ჩემი ასეულის სხვადასხვა ნაწილების შემოერთებით გადიდებას მე არ დაუფიქრებია, იმ ხანად ბელორუსიის ტერიტორიაზე, შედარებით მყუდროება იყო, ეს კი საშუალებას მაძლევდა მეომრები არსებითად შემესწავლა.



შტაბიდან ბინაზე დაებრუნდით, შტაბის გადაწყვეტილება ჩემს მოადგილეს ამხანაგ დემიდოვს და ასეულის ექიმს ციმერს ვუამბე. დემიდოვი ამ გადაწყვეტილებით ნასიამოვნები დარჩა. ამ ხანად დემიდოვი მწოლიარე აუადმყოფი იყო, მას ფეხში ქონდა მძიმე კრილობა მიღებული.

— დექტიოვის დანიშნებით მოხარული ვარ, — მითხრა მან. — მე აწი სამხედრო სამსახურისათვის ვფიქრობ მაინც ვერ გამოგადგები, ჩემი შეცვლა დექტიოვით დროულია.

კოვბაკის განკარგულებით მეორე დღისათვის შენაერთის მთლიანი კრება მოიწვიეს. ამ კრებაზე ახსნა-განმარტებით მოხუცი გამოვიდა. მან სთქვა:

— ის რეორგანიზაცია, რომელსაც ახლა ჩვენ ვატარებთ, ნაკარნახებია საქმის ინტერესით. მე არ შევედგები დეტალურად იმის განმარტებას, თუ რა უშევს საფუძვლად ჩვენს მიერ გათვალისწინებულ ღონისძიებებს, მხოლოდ ერთს ვიტყვი: ორ თვეზე მეტია ჩვენი შენაერთი ჯგუფებად გათიშული და დაქსაქსული იყო. ამ ხნის განმავლობაში პარტიზანების რიგებში დიდ ცვლილებები მოხდა: ზოგი მებრძოლი გამოგვყავდა, მომავალი ბრძოლები მოითხოვენ შენაერთის ნაწილების გადახალისებას და ამჟამად ჩვენ ამას ვატარებთ.

კოვბაკმა გააცნო კრებას შტაბის ბრძანება, განმარტა რომელი ნაწილი რომელს უერთდებოდა, ვინ ინიშნებოდა რეორგანიზაცია-ქმნილი ასეულების მეთაურებად, მეთაურების მოადგილეებად, პოლიტბელებად და ასე შემდეგ.

კრება დამთავრდა და დავიშალენით თუ არა, იმავე საათში შევედექით რეორგანიზებული ასეულების საქმეების მოწესრიგებას.

სასაცილო იყო გერმანელების მდგომარეობა. ისინი ხომ ყოველდღე ჩახაჩინებდნენ მრისახლებას კოვბა-

კის პარტიზანების გაქრობა-გახადგურებაზე, სინამდვილეში კი ყოველდღით-დღე ბრძოლებში მსჯობდნენ მუდმივად და ახალი იერიშებისათვის ვემზადებოდით.

XLIII

ჯერ ისევ ბრონიცაში ვიყავით, როცა ნაუშოვი მოვიდა თავისი ცხენოსნების ჯგუფით. მე ის არ მინახავს, მხოლოდ კოვბაკი და ნაუშოვი შეხვდნენ ერთმანეთს და ხანგრძლივად ისაუბრეს. ბრონიცაში რამდენიმე საათი დაკყო ნაუშოვმა და შემდეგ ბელორუსისაკენ განაგრძო გზა.

კოვბაკთან საუბარში ნაუშოვს ეთქვა, რომ მას ცენტრალურმა პარტიზანულმა შტაბმა თურმე დაავალა კარპატების მთებში შემოსულობა და ჩვენ დაგვხმარებოდა. ნაუშოვს ეს მოცანა, — მიუხედავად დიდი სურვილისა, — ვერ განხორციელებინა. მტერს ისე შეეკრა მისთვის გზები, რომ განზრახვა განზრახვად დარჩენილიყო, ნაუშოვი იძულებული გამხდარიყო ბარში დარჩენილიყო და იქ განეგრძო ბრძოლა.

ბოლო ხანებში პარტიზანები დიდ-მიწიდან სრულიად მოწყვეტილნი ვიყავით, არ ვიცოდით რა ხდებოდა ფრონტებზე, არ ვიყავით საქმის ცურაში. ამის მიზეზი ჩვენი რაციის უმოქმედობა იყო. ნაუშოვმა კი თურმე ყველაფერი კარგად იცოდა, მას კოვბაკისათვის ბევრი კარგი და გასახარი ამბები ეამბა. ამ ახალმა ამბებმა პარტიზანები გაგვამხნევა და აღგვაფრთოვანა.

ჩვენ უფრო ენერგიულად შევეუღქით მზადებას ახალი ბრძოლებისათვის. კოვბაკის პარტიზანული შენაერთის სამი ჯგუფი კვლავ გაერთიანდა. მაგრამ არ ვიცოდით სად იყვნენ მეთოხე ჯგუფები. ზედოზედ ვგზავნიდით იმ ხანად მშვერდაებს და შეუწელებლად ვეძებდით ჩამორჩენილ ჯგუფებს, მაგ-

რამ ამოდ, ამ ნაწილების კვალს მზევრავები ვერხად ვერ პოულობდნენ.

სწორედ ამ დროს ადგილობრივმა პარტიზანებმა გადმოგვეცეს, რომ მოსკოვ-ვარშავის შარა გზის გადაღმა, ტყის სიღრმეში პარტიზანთა დიდ ჯგუფს წაეწყვიდითო, ისინი აქეთ მოდიანო. ამ ამბავმა დაინტერესა მოხუცი: „ვინ იქნებიან ნეტავი, შესაძლოა ჩვენები იყვნენ“, კითხულობდა კოვპაკი. მაშინვე რჩეული მზევრავები შეჰყარა მოხუცმა და გაგზავნა იმ მიმართულებით, საიდანაც უცნობი პარტიზანების მოსვლა იყო მოსალოდნელი. ამ მზევრავთა ჯგუფის ხელმძღვანელად პოლიტხელი კოვალიოვი გამოიყო.

კოვალიოვი შეუდარებელი ავტორიტეტი იყო: მეტროპოლები მას შენაერთის მოძრავ ბიბლიოთეკას ეძახდნენ, მისი სხველე ჩანთა მუდამ გატენილი იყო პოლიტკურთხის ხასიათის წიგნებითა და გაზეთებით; რომელ სოფელშიაც კი მივიდოდა, ყველგან თავის მოძრავ ბიბლიოთეკას გახსნიდა, შეჰყრიდა მოსახლეობას, მოუთხრობდა რა ხდებოდა ფრონტზე და საერთოდ ჩვენს დიდ სამშობლოში. კოვალიოვი არაჩვეულებრივი მეხსიერების მატარონი იყო. ადრე ის ჯაფშნოსანი მატარებლის კომისრად მუშაობდა, მისი მატარებელი იცავდა დნებრის მარჯვენა ნაპირს, შემდეგში ტერიტორია, სადაც მისი ჯაფშნოსანი მატარებელი მოქმედებდა, ალყაში მოექცა, ამიტომ ჯაფშნოსანზე მყოფნი პირნი იძულებული გახდნენ მატარებელი აფეთქებინათ და თვითონ უკრაინის სოფლებში მიმალულიყვნენ. მტრის თვალის ასახვევად კოვალიოვმა ფეხსაცმელების შეკეთებას მიჰყო ხელი. ის ერთდროულად პარტიზანულ რაზმში მოხვედრაზეც ოცნებობდა. იმ ხანებში სპადშჩანის ტყეში კოვპაკის პარტიზანული რაზმი იყო დაბანაკებული. კოვალიოვს ბედმა გაუღიმა, მან შესძლო რაზმთან შეერთება. 1941 წლის ნოემბრიდან ის კოვ-

პაკის რაზმში ირიცხებოდა, მტრის წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ.

სწორედ ეს კოვალიოვი იყო, ვისკაც კოვპაკმა მზევრავთა ჯგუფის თანხლებით, რათა გამოერკვია, თუ ვინ იყვნენ ის უცნობი პარტიზანები. კოვალიოვის ჯგუფი ერთ პატარა ხუტორში მივიდა. გლეხები შეიარაღებულ პირების დანახვაზე პირველად შეშინდნენ. მერე ერთი გლეხი მზევრავებთან გაბედულად მივიდა და როდესაც მან კოვალიოვის შეკრძნულ საბჭოთა ორდენ-მედეგები დაინახა, მიბრუნდა და გლეხებს აღფრთოვანებულმა გასძახა:

— ხალხნო, ჩვენები არიან, ჩვენებიო! — გლეხებს გაუხარდათ და ერთდროულად დაიძრნენ ადგილიდან. მზევრავებს წრე შემოარტყეს და დაუსრულებელი კითხვა დაუწყეს: „ვინ ხართ? საიდან მოდიხართ? რა იცით ახალი? წითელი არმია მართლა ვაინადგურა მტერმა? გვეუბნებიან მოსკოვი ხანძარშია გახვეულიო“.

— ვინ გაამბოთ ეს კორები? — კითხა კოვალიოვმა გლეხებს.

— ადგილობრივმა პოლიციელებმა და გერმანელმა ქანდარმებმაო, — უპასუხეს თურმე გლეხებმა.

კოვალიოვს აღუხსნია გლეხებისათვის ყველაფერი, უთქვამს თუ რა ბინძურ კორებს აერცლებენ გერმანელები, მერე გადუშლია გაზეთ „პრავდის“ პირველი მაისის ნომერი და გლეხებისათვის უჩვენებია. „სტალინი. სტალინი!“ — ერთხმად შეუძახნით გლეხებს, როცა გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებული სურათი დაუნახავთ ბელადისა. ხელიდან ხელში გადადიოდა თურმე „პრავდის“ ნომერი...

მერე გლეხებს მუდარით მიუმართავთ კოვალიოვისათვის:

— ოღონდ ეს გაზეთი დაგვიტოვეთ და რაც გსურდეთ გვთხოვეთო! — კოვალიოვს გლეხებისათვის დაუტოვებია გაზეთი.

სხვათა შორის „პრავდის“ ის ნომე-

რა დიდი მიწიდან თვითმფრინავით იყო მოწოდებული. თვეობით ატარებდა საველე ჩანთით ამ ნომერს კოვალიოვი. რომელ ხუტორშიაც მივიდოდა, ყველგან გაღუშლიდა გლეხებს გაზეთს და უკითხავდა.

— დღეგრძელობა და კარგად ყოფნა ჩვენს სტალინს! — გაიძახოდნენ გლეხები.

კოვალიოვმა კი თავის მწვერავებითურთ კვლავ გზა განაგრძო. გარიყრაყზე ერთ პატარა სოფელს მიაღწენ და ვანაპირა ქოხის ფანჯარას მიუკაკუნეს, ეილაცამ შიგნიდან ფრთხილად ასწია ფანჯრის ლურჯი ფარდის ცალი ყუჩი და სასწრაფოდ ისევ დაუშვა.

— რა გნებავთ, ვინ ხართ? — ნამძინარუვი ხმით დაიძახა ქოხის პატრონმა.

— თუ არ დაიზარებთ და გამოგვხედავთ, დიდად დაგვაჯალებთ! — უპასუხა კოვალიოვმა.

— ამ წუთში! — გამოეხმაურა მას მასპინძელი. მან საჩქაროდ ჩაიკვია ტანსაცმელი, კარში გამოვიდა და მოულოდნელ სტუმრების დანახვაზე უეცრად შესდგა.

— არ დაეჭვდეთ, სამტროდ არ მოესულვართ, — უთხრა მას კოვალიოვმა.

— მტერი რომ არა ხართ, ამას მეც ვამჩნევ! — გაღიმებული სახით ჩაილაპარაკა მასპინძელმა.

კოვალიოვს დიდი ლოდინი არ დაუწყია, უთხრა მას ვინც იყო, რა მიზნითაც იყო მისული.

— მზად ვარ გემსახუროთ, რამდენად და როგორაც ეს შემეძლება, — უპასუხა ქოხის პატრონმა.

მასპინძელი ადგილობრივი სკოლის ისტორიის მასწავლებელი აღმოჩნდა, იმ ხანად სამსახურიდან მოხსნილი.

ამ მასწავლებელს კოვალიოვისათვის შემდეგი უამბია: „სამსახურიდან მომხსნეს გერმანელებმა, მითხრეს არ არის საჭირო ისტორიის სწავლებაო. ბედს დაეფორჩილე, აბა რა უნდა მექნა. ამ დამად შინ ვზოვარ და მეტრნეობას ვეწევი“.

კოვალიოვის შეკითხვაზე: „ზოვარათუ მოდიან გერმანელები სოფელში და რებრესიებს თუ მიგაგონებენ? — ჩვენს წავლებელმა უპასუხა: „არც მაინცდამაინც ზშირად მოდიან, რებრესიებს, რასაცვირველია, მიმართავენ, ძალით მიაქვთ პური და გააკავთ ახალგაზრდებში თავის ქვეყანაში სამუშაოზე!“

მასპინძელმა სთხოვა კოვალიოვს ბინად სხვაგან არსად წასულიყო, დარჩენილიყო მსლებლებით მასთან სახლში. დღეს ბურმისტრს მოველითო, უთხრა მან კოვალიოვს. გერმანელები ალბათ პირველ რიგში სურზე მიიტანენ იერიშს, პურის წართმევას მოინდობენ. სოფლელები წინააღმდეგობის გაწევას ფიქრობენ, დარჩით, კმაყოფილი იქნებით, ჩემს კოსტიუმს ჩაიცვამთ, ყველაფერი წესრიგზე იქნებაო.

— პოლიციელები ბევრნი მოჰყვებიან ბურმისტრს? — ჰკითხა მასწავლებელს კოვალიოვმა.

— ხელამდე შეიარაღებული პირი ახლავს ზოლზე სხვა დროს.

კოვალიოვმა დარჩენა გადაწყვიტა, უნდოდა ენახა რა მოხდებოდა სოფელში.

ამის შემდეგ კოვალიოვმა და მასწავლებელმა შეიძუშავეს ბურმისტრთან შეხვედრის გეგმა. კოვალიოვმა მასწავლებლის ახალი კოსტიუმი ჩაიკვია, ავტომატი თანმსლებ მწვერაგს ფომინს გადააბარა, თანაც ასე გააფრთხილა ფომინი:

— ჩემი ავტომატი მაზარის ქვეშ დაიკიდე და პირველ მოთხოვნისთანავე სასწრაფოდ გადმომიციო.

დანარჩენი მწვერავები შეიარაღებულნი უნდა მოსულიყვნენ კრებაზე. თავი ისე უნდა მოეჩვენებიათ პარტიზანებს ბურმისტრისათვის, ვითომ კარაქის, კვერცხის და ხორცის ასაყრებად არიან გებიტკომისრის მიერ სოფელში გამოგზავნილები. კოვალიოვი გებიტკომისრის რწმუნებულის როლში გა-

მოვიდა კრებაზე, დანარჩენ სამ პარტიზანს პოლიციელებად უნდა გაესაღებიათ თავი.

სოფლის მოედანზე მოსახლეობამ ნელნელა გამოსვლა იწყა. მათ ახალ კოსტიუმში გამოწყობილი კოვალიოვი შეუერთდა. სამი შეიარაღებული პარტიზანიც შორი-ახლო დადგა. ბურმისტრი ჯერჯერობით არა სჩანდა. მის პულოდინში მყოფნი სასოწარკვეთილი გლეხები გაუბედრებულ ბუზღუნებდნენ:

— ნეტავ როდის მოეთრევა ის ოხერი... გამოგვიძახებენ აღრიხან დილით და მთელი დღე განუკითხავად ვყრივართ აქ მშვიერ-მწყურვალნი. თუ ვიტყვით რამეს, ენას ამოგვაცლიან, არადა ამდენი ლოდინით გააწყალეს გული!

— ბატონყმობა დაგვიწყესეს—ჩიოდნენ ზანშიშესული გლეხები — მოგვეცი პური, ხორცი და კარაქი, ბრძანებენ ბატონები. ჩვენ თუ უკმა გვინდა, ამაზე არავინ ფიქრობს...

მზის ჩასვლისას ბურმისტრიც გამოჩნდა. ქმენით მოაგდეს ოფლში გაქაფული ცხენები მოედანზე ბურმისტრმა და სამმა მისმა მცველმა. ორი მცველი საჩქაროდ ცხენებიდან გადმოეშვენ, ერთმა მათგანმა ბურმისტრის ცხენის ლაგამს წააგლო ხელი, მეორემ უზანგი დასწია. ბურმისტრი წიფლის შორივით ძირს გადმოეშვა, კოვალიოვს თვალი შეასწრო და დააცქერდა:

— თქვენ ვინა ხართ? — შეეკითხა ბურმისტრი.

— გებიტსკომისრის რწმუნებული, ხორცის და კარაქის ასაკრებად ვარ აქ, ამ სოფელში მოვლინებული. მინდა ვისარგებლო დღევანდელი თქვენი მოწყვეული კრებით: თუ ვინცომაა ნებაყოფლობით არ გაიღეს გლეხებმა სანოვავე, მკაცრ ზომებს მივიღებ.

კოვალიოვის მტკიცე, დაჯერებულმა ტონმა ბურმისტრს ყოველგვარი ეპყები გაუფანტა.

— ეს შეიარაღებული პოლიციელები

თქვენ გახლავთ? — შეეკითხა ბურმისტრი: კოვალიოვმა პირდაპირ უპასუხა. ჩემი მხლებლები არიან. მტკიცე ბურმისტრი შებღმუკმუნხული წარსდგკრების წინაშე და რიხით დაიწყა სიტყვა:

— გერმანია პურს ვეთხოვს, უნდა მივეცეთ პური, ჯიუტობა არ არის საჭირო, გირჩევთ ნებაყოფლობით ჩაგვადართო უკლებლივ თქვენზედ შეწერილი ახალი მოსავალი, არ მოგვეცემი ნებით, სულ ერთია, ძალით წაიღებთ! ამავე დროს საჭიროა ერთი რამ იცოდეთ: გერმანიიდან სარწმუნოდ გვაცნობებენ, რომ თუ ვინცომა ჩვენ გლახობას მომავალში პური შემოაკლდება, პირადად პიტლერი იძლევა გარანტიას პურის მოწოდებაზე და საზრდოთი უზრუნველყოფაზე!

ბურმისტრის უკანასკნელ სიტყვებს გლეხების გაუბედრებულმა მამურებმა მოწყვა: ღეთის გულისათვის, თუ თავს დაგვანებებთ, კარგი იქნება, არც პიტლერის პური გვინდა და ჩვენსაზედაც ნუ გვედავებთ!

გლეხების ეს წამოძახილება, რომ მოისმინა, ბურმისტრი შედგა და კოვალიოვს გადახედა. გერმანელების მოხელეს გაკვირება აღბეჭდოდა საბუზე: „ხედავ, ამ თავებლებს, რას ბედავენო!“

ბურმისტრმა მათრახი ხელში მოიმარჯვა და შეუტია გლეხებს: „ნუ ჯიუტობთ და თავებდობთ. დღესვე შეუდგით პურის გამოთმვნას და შეწერილი ტირინახულის ტომრებში ჩაყრას. წინააღმდეგ შემთხვევაში თხროლის ნაპირას მწყრივში ჩადგებითო!“

აქ გულმა აღარ მოუთმინა კოვალიოვს, გლეხების ერთსულლოვანმა პროტესტმა ის გაამხნევა, ფომინს თვალთანიშნა აუტომატი გადმოეცეო. მან სასწრაფოდ მიაწოდა იარაღი. წუთიც და კოვალიოვმა აუტომატი მოიმარჯვა და ბურმისტრს რიხით შესძახა „ხელები შევით!“ ბურმისტრი დაშბლა დაცემუ-

ლივით დაეარდა და მიწის ფერი და-  
 ელო. პარტიზანები არ დაიბნენ, დას-  
 კვილეს და შეუტყეს ბურმისტრის  
 მხლებლებს, დაადგეს ავტომატები  
 გულზე და იარაღი დაჰყარეთო უბრძა-  
 ნეს. მცველებს დიდი თავებათეი არ  
 დასჭირებიათ, ფიცხლავ ვააგდეს ხე-  
 ლიდან თოფები. ბურმისტრი რამდენი-  
 მე წუთის შემდეგ გონს მოვიდა, წი-  
 ნაღმდევგობის გაწევა სცადა, მაგრამ  
 განრისხებული კოვალიოვის სახეს რომ  
 შეჰხედა — დამორჩილება ამჯობინა.  
 ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში  
 მოხდა. ამ სურათს სულგანახული გლე-  
 ხები სახეგაბრწყინებულები თვალ-  
 ყურს ადევნებდნენ.

— არ გაუშვათ ეს ქოფაკები, თორემ  
 თქვენი წასვლის შემდეგ სულ ერთი-  
 ნად აგვიკლებენო! — შუდარით მიმარ-  
 თეს გლეხებმა კოვალიოვს, მან დაა-  
 იმედა გლეხები: „ბურმისტრი და მი-  
 სი მხლებლები უკანასკნელად არიან  
 მოსული თქვენ სოფელში“. ამ სიტ-  
 ყევებზე გლეხებმა იწყეს უდარდელი  
 ხითხითი: „საბედისწერო ვახდა ბურ-  
 მისტრისათვის დღევანდელი კრება,  
 როგორც სჩანს თავს დააიწყებენ, მის-  
 დღეში თვალით არ ენახა პური, არ  
 ურჩია?“ გაიძახოდნენ გლეხები.

თვითონ კოვალიოვი ასე დააბოლო-  
 ვებდა ხოლმე ამ ამბის თხრობას:

— მე და ჩემი მხლებლები დაზვერ-  
 ვის მიზნით ვიყავით გაგზავნილები. ამა  
 მწვერაგებს როგორ შეგვეძლო ტყვეე-  
 ბიც ვეეტარებინა, ამიტომ იძულებული  
 გახდით ბურმისტრი თავის მხლებლე-  
 ბით სოფლის გარეთ ტყეში დაგვეტო-  
 ვებინაო...

XLIV

გზა განვაგრძეთ, სოფელ კამენკამ-  
 დე მივალწიეთ. მოხუცს მოთმინება არ  
 ჰყოფინდა, ელოდა მწვერაგებს, ძალიან  
 აინტერესებდა რა ამბავს მოიტანდნენ  
 ისინი, თანაც მეტი ლოდინი და დაყოფ-

ნება აღარ შეიძლებოდა. საშიში იყო,  
 რომ მტერი ძალებს შემოიკრებდა და  
 წინ ოლვესკ-სარნის რეინიგზის უბრა-  
 ვევიჭრიდა. ამიტომ კოვაკვი შიშითონდა  
 დაჩქარებით გაგვევლო ეს გზა.

1943 წლის 28 სექტემბერს, დილით  
 კოვაკვი მიბრძანა მომეწყო თავდაცვი-  
 იმ ადგილისა, სადაც ჩვენს შენაერთს  
 რეინიგზა უნდა გადაეკრა. ასეთივე და-  
 ვალება მიეცა ასეულის მეთაურს სტე-  
 ფანე ეფრემოვს. უნდა აღინიშნოს, რომ  
 ოლვესკ-სარნის რეინიგზის ხაზი ჰყოფ-  
 და პოლესის ვრცელ ტერიტორიას. ხა-  
 ზის მეორე მხარეზე იწყებოდა დაუს-  
 რულებელი ტყეები. სწორედ ეს ტყეე-  
 ბი შეუდარებელი თავშესაფარი იყო  
 ჩვენთვის. პოლესიე იყო ნამდვილი კე-  
 რა პარტიზანული მოძრაობისა. ამ ტყე-  
 სა გერმანელებს ძალიან ეშინოდათ.

პოლესიეში წარმოებულმა დივერ-  
 სიებმა წელში გასტეხა მტერი. ამიტომ  
 ოლვესკ-სარნის რეინიგზის ხაზი საგან-  
 გებოდ ჰქონდა მტერს მოვლილი და  
 გამაგრებული. გზის ორთავე მხარეებ-  
 ზე ეკლიანი მავთულის ღობე იყო აღ-  
 მართული, ხაზის ყოველ ათეულ მეტრ-  
 ზე მცველები იდგნენ.

დაკაობებულ პოლესიეში გადასა-  
 სჯელად იყო მხოლოდ ერთადერთი  
 ვიწრო გზა, რომელიც შუა სოფელზე  
 გადიოდა. გზის ჩაკეტვა ადვილი იყო:  
 მის ორივე მხარეზე მოვჭრიდით და  
 გზაზე დაეაწვენდით რამდენიმე მსხვილ  
 ტანიან ხეს. გზა საბოლოოდ გადაკეტე-  
 ბოდა და შემდეგში მასზე მოძრაობა  
 წყდება. ამიტომ იყო ასე თავისუფ-  
 ლად რომ გრძნობდნენ თავს პოლეს-  
 სიეში მყოფნი პარტიზანები. დასე-  
 ნება და თავისუფლად ამოსუნთქვა  
 პარტიზანისათვის მხოლოდ პოლესიეში  
 იყო შესაძლო.

რეინიგზის ხაზს პარალელურად შე-  
 რა-გზა მისდევდა. კოვაკვის წინადადე-  
 ბით უნდა შერჩეულიყო ხაზზე გადა-  
 სასჯელად ნაკლებად სახიფათო ად-  
 გილი. ასეთ ადგილად მან ხშირ ტყიანი

გზა აირჩია. ამ მიდამოს სახელად ლომ-ნიბუტკი ეწოდებოდა. და აი მე შევედგე ბრძანების შესრულებას: გადასასვლელიდან კილომეტრნახევარზე ჩავასაფრე ბიჭები. მტერს არ გამოუპარა ჩვენი მოძრაობა, ალღო აუღო ჩვენს სამზადისს, გააჩირაღდნა მამხალეებით ტყე და სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწია. იძულებული ვახდენე ჩვენები დაწოლილიყვნენ და ხოხვით გადაეცლოთ გზაზედ. ამასობაში ჩემი ასეულის ერთმა ნაწილმა მოასწრო ხაზზე გადაბრუნა და მოხერხებულ ადგილას ჩასაფრება. გასაქანი არ მივეცით მტერს, რამდენიმეჯერ სცადა მან შეტევაზე დადმოსვლა, მაგრამ ძლიერი შემხვედრი ცეცხლით სამჯერ ზედიზედ უკუვაქციეთ იგი. ამასობაში პარტიზანების შენაერთმა დრო ისელთა და უცნებლად გადავიდა ხაზზე. აქ, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელა ჩემი ასეულის მეტყვიამფრქვევემ ისაევმა. გერმანელებმა შეამჩნიეს მისი ტყვიამფრქვევი, სცადეს გაუნადგურებინათ იგი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ისაევის ტყვიამფრქვევმა ისეთი ძლიერი საბასუზო ცეცხლი გააჩაღა, რომ მტერი დაიბნა და მისი განადგურების ფიქრზე ხელი აიღო.

გათვალისწინებული გეგმა ჩინებულად შესრულდა, კოვპაყის შენაერთი ისე გადავიდა ხაზზე, ერთი კაცი არ დაუკარგავს. კოვპაყმა მეკავშირე გამოგიზავნა და მაცნობა ჩასაფრებიდან მოვხსნილიყავი და მათ შევეერთებოდი. ჩვენც აღარ დავციოყვნებია, შენაერთს გამოვუდგე. ყველაზე უკანასკნელად ისაევმა დასტოვა თავდაცვის ადგილი. როდესაც ის ასეულს შემოუერთდა, ურას ყოყინით მიეგებენ მას ბიჭები და გამარჯვება მიულოცეს.

— ძალიან გაუძელი ისაევ! — უთხრეს მას მეომრებმა, — აღარ გვეგონა თუ იმ ჯოჯოხეთურ ცეცხლს თავს დააღწევდი. ისე დაუტყბროლა ცხრილავდა მტერს შენი ტყვიამფრქვევი,

შენ რომ შემოგცქეროდით. ჩვენც მკლავში ძალა გვემატებოდა, რეზვიამვილი გაგვახსენა შენი ტყვიამფრქვევი ბრძოლაში.

— მე ხომ რეზვიამვილის მოწაფე ვარ, პირველად მან გამწერთნა სროლაში. მისი სროლის სტილი მაქვს ათვისებელი, ეს ხომ ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს! — თავმოწონეთ და კმყოფილებით სთქვა ისაევმა.

ის იყო დაამთავრა მან სიტყვა და უეცრივ წამოგვიადგნენ თავზედ თვითმფრინაეები, ააკავანეს ტყვიამფრქვევები და იწყეს ჩვენი დაბომბვა.

— თავს უშველეთ, გაითანტენით! — შესძახა კოვპაყმა. უეცრად მილაგმოლაგდნენ პარტიზანები. თვითმფრინაეები ხანგრძლივად განაგრძობდნენ ჩვენს თავზე ფრენას, ბოლოს შეტრიალდნენ, კურსი დასავლეთისაკენ აიღეს და, როდესაც საფრებიდან გამოეძვრით, ჰაერის ვეშაპები შორეულ ლაგვარდოვან ცის პორიზონტზე ბელურების ოღენები მოსჩანდნენ.

რკინიგზის ხაზის გადაღმა პოლესიეს უღრანი ტყეები იწყებოდა, ამ მხარეს პარტიზანების საბრძანებელი ეწოდებოდა. შევედით ამოვისუნთქეთ, როცა ამ ზონაში შევედგით ფეხი.

პოლესიეში ჩვენ პირველად ოლესკის რაიონის სოფელ ბელაევში მივედით, აქ ჩვენ ადგილობრივ პარტიზანულ რაზმს შევხვდით.

ორასი მებრძოლისაგან შესდგებოდა ოლესკელ პარტიზანთა ეს რაზმი. რაზმის უფროსმა ფედჩუკმა გვითხრა, რომ ბეგმა და საბუროვი თავისი რაზმებით კანატოპის მახლობლად არიან დაბანაკებულო. ამ ცნობამ ყველა გაგვახარა. საბუროვის რაზმს უკრაინაში რამდენიმეჯერ შევხვდით, კანატოპის მახლობლად ბეგმას და საბუროვის ყოფნამ დავგვიმედა, თუ ვინცობა მტერი დიდი ძალებით შემოგვიტყვდა, ბეგმა და საბუროვი უბრალო მაყურებლებად არ დარჩებოდნენ, უთუოდ წა-



მოგვეშველებოდნენ. ფედრუჟმა გვიამბო, რომ იმ ხანად ბეგმას განკარგულებაში კეთილმოწყობილი აეროდრომი იყო და მას დიდ მიწასთან რეგულიარული კავშირი ჰქონდა.

კანატობამდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილი რჩებოდა. კოვბაკის წინადადებით გადაწყდა, რომ შენაერთი რამდენიმე დღეს ბელაგეშში დარჩებოდა. ეს ჯერ ერთი საჭირო იყო იმისათვის, რომ დაგვესვენა და მეორეც—კოვალიოვის ჯგუფი უნდა დაგვეწვოდა, მას ველოლებოდით და აი ისინიც მალე გამოჩნდნენ. შურდულივით მოაქროლებდა ცხენს კოვალიოვი, უკან მას თავისი ბატალიონით მატუშენკო და გორკუნოვი მოსდევდნენ. ურას ყვირით შევხვდით მოსულებს დამხდურები. მატუშენკოსა და გორკუნოვის დანახვაზე კოვბაკმა აღფრთოვანებით შესძახა:

— აჰა, დღეიდან ჩვენი შენაერთი ისევ ძველებურად მთლიანია! რა ბედნიერებაა, რა კარგია, დღევრძელნი იყავით პარტიზანებო!

გულმა გული იცნო, ზეიმის ხასიათი მიიღო ამ შეხვედრამ, ხავერდოვანი ტყის სიღრმეში ჯგუფ-ჯგუფად გაიფანტნენ მოსულები და დამხდურები. ბიჭებს მოთმინება არ ყოფნიდათ, ვანგლილ ბრძოლებზე მოუთხრობდნენ ერთიმეორეს.

პარტიზანების შენაერთმა აქ რამდენიმე დღე დაჰყო. აქედან დაძვრის შემდეგ „ალთქმულ ქვეყანას“ — კანატოპს, მივალწიეთ. მოუხედავად გზა და გზა მრავალი დამარკოლებებისა, ჩვენი ოცნება განხორციელდა, უკვე კანატოპში ვართ!

ამხანაგი კუდრიავსკი თავისი მეოთხე ბატალიონით აქ რამდენიმე დღით ჩვენი ადრე მოსულიყო.

კანატოპში განსაკუთრებული თავდაცვის მოწყობა არ დაგვიკირებია. ეს საქმე საუცხოვოდ ჰქონდათ ადგილობრივ პარტიზანებს გათვალისწინებული და მოწყობილი.

განვიღო გაქირვებაზე ფიქრი / და მისი მოგონება გვიძინებდა. და არც გვინდოდა, ვეფხვნილი ვეფხვნილი გვეიწყო ის წამება და ქარცეცხლი, რომელშიაც ჩვენ გამოვიარეთ.

ჩვენი შენაერთი კვლავ აღსდგა და განმრთელდა, კვლავ ვსულდგმულობთ პარტიზანები, პარტიზანების მხარეში დღეს მაგრად გვიდგას ფეხი!

აქ დავიწყნარებთ აფორიაქებულ ძარღვებს, ჭრილობებს დავიშუშებთ და შემდეგში ჩვენთვის ჩვეული სიმშაგით ვეკვეთებით მტერს!

კოვბაკის ბრძანების თანახმად რამდენიმე კვირა უნდა დაგრჩენილიყო კანატოპში. სახელდახელოდ ავაგეთ მიწური სადგომები და აბანო. სადგომებს შუა მოედნები მოვკირწყლეთ ყვეთელი ქვიშით და ადგილ-ადგილ დავდგით გრძელი სკამები. მყუდრო პირობები იყო კანატოპში და ამან საშუალება მოგვცა პარტიზანთა შორის თეორიული და სამხედრო მეცადინეობა და გვეწყო.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში თანდათან აგრილდა, მერე საგრძნობი სიცოცხეები დაიჭირა, დროგამომშვებით შემოდგომის წერილი წვიმა ცრიდა. აქამდე ვის ეცალა ამისათვის, ახლა კი პოლესიეში შესაძლებელი გახდა გვეზრუნა საყრფაცხოვრებო საკითხებზე: შევაკეთეთ ფეხსაცმელები და ტანსაცმელი.

ბეგმას მიერ მოწყობილ აეროდრომზე ღამ-ღამობით ხშირად ეშვებოდნენ თეიმფრინაევი. ჩვენმა შენაერთმა ამ აეროდრომით საკმაოდ ისარგებლა: პირველ რიგში გადავგზავნეთ დიდ მიწაზე დაჭრილ-დაავადებულები. მივიღეთ სათანადო საომარი მასალა: კარბატებში ფეხის შედგმის დღიდან ეურნალ-გაზეთებს თითქმის ვერ ვნახულობდით, რადიომიმღები ხომ დაგვიდუმდა, ამიტომ ფრონტის ოპერაციებზე არ გვექონდა ნათელი წარმოდგენა. ბეგმამ დიდი პატივი დავცდო, ეურნალ-გაზეთები მოგვაწოდა. მგზავრი რომ

უღაბნოში ოაზისს წააწყდება და წყაროს ცივი წყლით გულს იჯერებს, ისე დაეწაფეთ პარტიზანები ეურნალ-გაზეთებს. ამასთან ერთდროულად თვითმფრინავმა აკუმულატორიც მოგვიტანა და რადიო მიძღვნიც ავაიმუშავეთ, მოსკოვს დავეუკავშირდით.

ამხანაგ ბეგმას შენაერთი ორმოცდაათი კილომეტრის დაცილებით იყო ჩვენგან დაბანაკებული.

კოვაკი ესტუმრა ბეგმას. პარტიზანთა ორი შენაერთის ხელმძღვანელებმა ხანგრძლივად ისაუბრეს სამხედრო ოპერაციების გეგმა-წესრიგიანობაზე.

იმავე დროს, ხუტორ კანატოში ყოფნის დროს ჩვენ დავეუკავშირდით პოლონელების პარტიზანულ დაზვერვას. ამ უკანასკნელთ ტყვიაწამალს და იარაღს ვაწოდებდით.

მთელი ამ წიგნის მანძილზე მე იმდენჯერ ვახსენე კანატოში, იმდენი ვილაპარაკე მასზე, რომ მკითხველს შეიძლება ის მკიდროდ დასახლებულ ვეება სოფლად წარმოუდგეს. სინამდვილეში ეს იყო პატარა ხუტორი, სულ ოთხი-ხუთი ქოხიდან შემდგარი. ამ ხუტორის ერთ-ერთ ქოხში შენაერთის შტაბი მოთავსდა, იქვე მდებარე ორი პატარა ქოხი მზევარების და მეკავშირების ნაწილებმა დაიკავეს.

ამხანაგ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუმჩევს კოვაკმა რეიდის ბრწყინვალედ დასრულება და კანატოში მისვლა აცნობა. „განელოლ რეიდზე დაწვრილებითი ცნობებს წერალობით მოგახსენებთო“—ტყუობინებდა ამხანაგ ხრუმჩევს მოხუცი.

ჩვენს შენაერთს კარგად იცნობდა კანატოშის მახლობელი სოფლების გლუშკევიჩის და მილაშკევიჩის მოსახლეობა. კარბატების რეიდის წინ მოუხდა ჩვენს შენაერთს ამ სოფელზე გაეღა. შემდეგში მტერმა მიწასთან გაასწორა ეს სოფლები. კარბატების რეიდის წინ ამ სოფლის გლეხებმა გულუხვი შეხვედრა მოგვწყვეს, ვაცი-


ლებამაც ზემის ხასიათი მიიღო. ვერად დაუჯდათ გლეხებს ჩვენიან დამგობრება: არ გამოეპარათ ჩვენს გლუშკევიჩელების და მილაშკევიჩელების პარტიზანებთან კარგი ურთიერთგანწყობილების ამბავი: ცეცხლს და მახვილს მისცეს ოკუპანტებმა ორივე სოფელი. თვალწარმტაცი კოხტა სახლებიდან მხოლოდ ნამოსახლები დარჩენილიყო, ყველგან მუხლამდე ფერფლი იდგა. ერთი სულიერი ადამიანი არ დარჩენილიყო იმ არე-მარეზე, დიდი და პატარა ყველანი ტყეში გასულიყვნენ. ასეთი უბედურების მიუხედავად, დაზარალებულთ არც ერთხელ არ წამოცდებოდათ პარტიზანების მისამართით საყვედური, თურმე ერთი თვის გასვლის შემდეგ ნელ-ნელა იწყეს გახიზნებულებმა ტყეებიდან გამოსვლა და ახალი სახლების აღმართვა ნაპარტახალ ნამოსახლარებზე. მტერმანის სოფლები ხელმეორედ გადასწვა და გაასწორა მიწასთან. კიდევ ხელმეორედ დასჭირდათ გლეხებს ტყეში გასვლა. ჩვენი შენაერთიც სწორეთ იმ დროს მივიდა კანატოში, როდესაც გლუშკევიჩელები და მილაშკევიჩელები გასულები იყვნენ ტყეში. გაიგავს რა გახიზნულებმა კანატოში ჩვენი მოსვლა, მოხუცმა და ახალგაზრდამ. ქალმა და კაცმა, მოიბრინეს ხუტორში და ჩვენს დანახვაზე ცას დაეწიენ სიხარულით.

— რამდენჯერ გადაწვეს გერმანელებმა თქვენი სოფელი?—ვეკითხებით გლეხებს.

— ორჯერ!—იყო პასუხი.

— ტყეში როგორ სძლებთ? ქალები, ბავშვები, როგორ შეიწყვეს ტყეს?

— გაჭირება მიჩვენე და გაქცეეას გიჩვენებო, ნათქვამია. წარმოიდგინეთ ყველანი კარგად ვგრძნობთ თავს, ტყის პირობებს დიდიც და პატარაც კარგად შეეგუა. ავადმყოფობა რაა, ჯერ არ ვიცი; მერე ცის ქვეშ როდევცხოვრობთ, ტყეში ბინები ავაგეთ.



ისეთი მიწურები ავაშენეთ ტყის სიღრმეში, რომ ნახოთ მოგეწონებათ: საზრდოს ტყეში დროულად გატანა შევძელით, პურის ერთი მარცვლი არ დაგვიკარგავს, სულ გადავმალეთ. ტყეში ვნადრობთ, ვთევზაობთ და ასე ამრიგად დღეებს მივითრევთ!

— გულს ნუ გაიტებით მეგობრებო! — ვეუბნებით გლეხებს. — ომი დასასრულს უახლოვდება, დღეს თუ ხვალ მტერი დამარცხდება, გამარჯვებას რომ მოვიპოვებთ, შემდეგ ყველაფერს მოვესწრებით, თქვენი ამაგი, თავგანწირულობა სათანადოდ დაფასდება!

— ჩვენც ამ იმედით ვცოცხლობთ, ცის შანანსავით მოველით ომის დამთავრებას, კარგი ამბები გვესმის ამ ბოლო დროს. ეტყობა ჩქარა განადგურდება მტერი...

— უფსკრულისაკენ აქეთ პირი ნაბრუნები, გაპირებებს ცოტა ხანს კიდევ აუ გაუძლებთ, მალე გაიგონებთ ჩვენს ქვეყანაში გამარჯვების ყოინას!

— ღმერთმა გისმინოთ, შეიღებო! — გვეუბნებიან მოხუცი ქალები, და კაცები.

გერმანელები, ცხადია, ყველგან ერთნაირად იქცეოდნენ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისინი პოლესიეს ტყეებში უფრო მეტად შეზღუდულად გრძნობდნენ თავს, ვიდრე ტრამალეებზე. უკრაინაში ყოველ მოზრდილ სოფელში იდგა მტრის გარნიზონი, გერმანელების შიშით გლეხებს ენა ჰქონდათ ჩავარდნილი, ტერორიზებული იყო მთელი მოსახლეობა. ჩემთვის ბევრჯერ უთქვამთ გლეხებს — „მტრის მიერ იქამდე ვართ შევიწროვებული, რომ ქუჩებში ჯოხით ხელში ვერ გამოვსულვართო“. პოლესიშიაც ცხადია, იმავე რეპრესიებს მიმართავდა მტერი, მხოლოდ აქაური ტერიტორიული მიუდგომლობა, უგზობა და ნიადაგის დაქობიანება, მტრის ჯარის საბრძოლო უნარიანობას ძალზე ანელებდა, მერ-

ძოდ მილაშვიელები და გლეხები ჩელები მტრის მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ სოფლებში ჩვენი ორჯერ გადაწვა-გადაბუგვამ ვერ გასტება გლეხობა, მოწინააღმდეგის დანახვაზე ამკარა ბრძოლაში ებმოდა მასთან დიდი და პატარა. და განა მარტო ამ სოფლის მკვიდრნი? ყოველი უკრაინელი და ბელორუსული სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეობა ამხედრებული იყო მუხთალი მტრის მოსასპობად. ეს იყო უძლიერესი საფუძველი პარტიზანული მოძრაობისა.

კანატობის მყუდრო პირობებში საშუალება მოგვეცა იარაღი შეგვეკეთებინა, შენაერთში გვეყვოდა იარაღის შემკეთებელი — დახელოვნებული ოსტატი, რომელიც დღედაღამე მუშაობდა რამდენიმე კვირაში მან შესძლო ყველა მოცვეთილი. იარაღის წესრიგში მოყვანა. გადაჭრილი ფიჭვის მორი ჰქონდა დაზგად გამოყენებული. მუდამ გარს ეხვია პარტიზანები, თვალმოუცილებლად შესცქეროდნენ ისინი ოსტატის თავგამოდებულ მუშაობას.

— ისწავლეთ ძმებო, პარტიზანისათვის საჭიროა, რათა მან კარგად იცოდეს იარაღის მოხმარასთან ერთად მისი დაზიანებული ნაწილების გასწორება და პირველ რიგში შამხანის თუ ფტომატის დაშლა-აწყობა — მეგობრული რჩევით მიმართავდა პარტიზანებს იარაღის შემკეთებელი.

კანატოში დიდი მიწიდან თვითმფრინავით სტამბაც მოგაწოდეს. დიდი სამსახური გაგვიწია პარტიზანებს სტამბამ. ვიწყეთ ფურცლების ბეჭდვა განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდნენ ჩვენს ფურცლებს როგორც პარტიზანები, ისე მოსახლეობა. სტამბაში უმთავრესად რადიოთი გადმოცემული ფრონტის ამბები იბეჭდებოდა, აგრეთვე ვაქვეყნებდით განვლილი პარტიზანული ბრძოლების შესახებ და

წერილ ლექსებს, ვეწეოდით პროპაგანდასა და აგიტაციას.

ჩვენს მკითხველებს ემახსოვრებათ, რომ ვერშიგორა ომის დასაწყისში ერთერთი სამხედრო ნაწილის მიერ იყო მტრის ზურგის დასაზვერავად გაგზავნილი, იგი პარაშუტით ბრიანსკის ტყის მახლობლად დაეშვა; იქ მოულოდნელად კოვბაკის რაზმს წააწყდა, მას შეუერთდა და საბოლოოდ მასთან დარჩა. ამ ხანად ვერშიგორა გამოიძახეს თავის ნაწილში. ის ბევრს აეროდრომიდან მოსკოვში გაფრინდა. იმავე ხანებში თვითმფრინავებმა იშვიათი ფოსტა მოგვითანეს. ოთხი თვის შემდეგ პირველად მივიღეთ წერილები. ეს იშვიათი დღე ყველას გულში სამუდამოდ აღიბეჭდა. ფოსტით მე ათი წერილი მივიღე. ნაძვის ძირში მოეჯექი, სასწრაფოდ კონვერტები გავხსენი და ყველა თანმიმდევრობით გადავიკითხე.

რა სიამოვნებით და ხალისით იკითხებოდა ოჯახიდან თუ მეგობრებიდან მიღებული წერილები. ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს საქართველოში ვიყავ. აგერ დედის წერილი. ივენანასავით მესმის მისი საყვედურები. „დათიკო, დედა, რატომ დაგვივიწყე, წერილებს რატომ არ იწერები?! თვეები ისე გავიდა შენი არა ვიცით რა. იქნება ავიდ ხარ, ან არ გცალია, სხვა გაქირება არ მინდა წარმოვიდგინო და არც სხვა რაიმე ვიფიქრო“.

ეს დღე ბედნიერი იყო არა მარტო ჩემთვის: ყოველ ხის ძირში ნახვდით წერილით ხელში ქანდაკებასავით უმოძრაოდ მდგარ პარტიზანს: იმ წუთებში მიუხრდა პარტიზანთა ცხოველყოფილი ბანაკი, მხოლოდ ფართო უძრავ თვალებს ვხედავდი ირგვლივ და სიფრიფანა ქალაქებში ჩარგულ გაფითრებულ სახეებს. კითხვა დამთავრდა. სხვებთან ერთად ჩემი ასეულის მეტყველამფრქვევებმა შჩერბატმაც დის წერილი მიიღო. მისი ომში დაღუპვაზე აცნობებდა მას თავისი დაი. ანთებუ-


ლი მოიჭრა ჩემთან შჩერბატ და ხმამალა შემეკითხა: „სანამდე უნდა ვიჯდე აქ, ბრძოლაში რა როლს შევასრულებთ?!“ შჩერბატის საოცრად აღელვებული და აღეწილი ჩანდა. მან წერილი მომაწოდა: „აი, წაიკითხე ამხანაგო მეთაურო, ერთი ძმა მყავდა და ისიც მტერს მოუკლავს, მე ვერ მოვისვენებ. სანამ სასტიკ შურს არ ვეძიებო“.

შჩერბატის ძმა ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ცნობილი ტანკისტი ყოფილა. ქალაქ სტალინოს აღების დროს ის თავისი ტანკით პირველად შეჭრილიყო ქალაქში, ზუსტი და გაბედული ცეცხლით მტრის ბატარეა მწყობრიდან გამოეყვანა. ამ დროს მტერს შენიღბული ქვემეხით, ტანკთან ერთად, შჩერბატიც დაეწვა. შჩერბატის ძმამ სიცოცხლეში ვერ იხილა მაღალი ჯილდო, მას დაღუპვის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მეტყვიამფრქვევე შჩერბატი ყველა ბრძოლაში თავგანწირვით ეკვებებოდა ხოლმე მტერს, ბევრ ფაშისტს დაუბნელა მან შხე. ერთ-ერთ გააფთრებულ ბრძოლის დროს, როდესაც მდინარე დასავლეთ ბუჯხე გამოველიოდით, ის გმირულად დაეცა. ამ უბაღლო მეტყვიამფრქვევის გმირობაზე ჩვენ შემდეგშიაც გვექნება ლაპარაკი.

იმ ხანებში კოვბაკმა მთავარი პარტიზანული შტაბიდან ბრძანება მიიღო, მოსკოვში სასწრაფოდ თხოულობდნენ მოწინავე და საუკეთესო პარტიზანთა სიას, განსაკუთრებით მათს სიას, ვინც კარპატების რეიდის დროს თავი ისახელა. თანაც ცალკეული პარტიზანების საბრძოლო საქმიან დახასიათებას გვთხოვდნენ. დიდი ფაცა-ფუცი ატყდა პარტიზანთა ბანაკში: ვადგენდით სიებს, ეწერდით დახასიათებებს და მოსკოვში ვგზავნიდით.

შემოდ უკვე აღვნიშნე, რომ კარპატებიდან წამოსვლის წინ შესაჯრებ პუნქტად კანატოპი გვქონდა დანიშნული.



და აი ახლა ყოველდღე სისტემატურად მოდიოდნენ კანატოპში თითო ორ-ორი უკან ჩამორჩენილი პარტიზანები.

ახლადმოსულები თავიანთ ასეულებში იარაღით ცხადდებოდნენ, ზოგი მათგანი ორი-სამი ავტომატიიაც კი. ეს ავტომატები დაღუპული ამხანაგების იყო. იყო იშვიათი შემთხვევებიც, როცა ჩამორჩენილი პარტიზანი უიარაღოდ ცხადდებოდა შენაერთში. უიარაღოდ შენაერთში მოსული პარტიზანი უფლება აყრილი იყო: ვინ იცის რა დამცირება და დაცინვა არ მოელოდა შემდეგში მას, ასეთ პარტიზანს ჯოხს ვაძლევდით ხელში და მწყემსად საქონელს მიუყუყუნებდით. მწყემსის, როგორც ასეთის, პროფესია კი არ იყო სათაყილო, მაგრამ მეზობლის მწყემსად წამოყენება ჩვენთან ერთგვარ სასჯელად იყო მიჩნეული.

სწორედ ამ ხანებში სრულიად მოულოდნელად მშვერდავებმა გრიგოლ იაკობის-ძე ბაზიმა მოიყვანეს კანატოპში. მას ორი თანამებრძოლი — სენიჩენკო და ბიჩკოვი ახლდნენ. ბაზიმას მოულოდნელად მოსვლამ პარტიზანებში არაჩვეულებრივი აღფრთოვანება გამოიწვია.

— სად იყავ დღემდე, გრიგოლ იაკობის-ძე, საიდან მოდიხარ? თავი რატომ გაქვს შეხვეული? — ეკითხებოდნენ მას პარტიზანები. ბაზიმა მისთვის ჩვეული სიდინჯით ყველას აძლევდა შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს.

გამხდარიყო ბაზიმა, მიწის ფერი ეღო, საავადმყოფოდან ახლად გამოწერილს ჰგავდა.

— საიკვდილს ბეწვზედ ვარ გადაჩენილიო, — გვითხრა მან. — რომ ეს ორი შეგობარი არა, — ხელი სენიჩენკოსა და ბიჩკოვისაყენ გაიშვირა, — ცოცხალს ველარ მნახავდითო!

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბაზიმა ოთხი პარტიზანის თანხლებით საგანგებო დანიშნულების დაზვერვაზე წავიდა

და მას შემდეგ მთავარ ნაწილთან შეერთება ველარ მოახერხა. ერთხელ ტყეში ის გერმანელებს თავს შეხვედრის და მათთან ბრძოლაში ჩაბმულიყო. ბრძოლის დროს თავში მიძიმედ დაჭრილიყო, უგრძობლად მიწაზედ დაცემული ვნახათ მხლებლებს, ორ პარტიზანს — ბიჩკოვს და სენიჩენკოს, — ზურგით ეტარებინათ ტყე-ტყე ბაზიმა. დალილ-დაქანცული მშვერდავები ტყეში პატარა ნაკადულს თავზედ წასდგომოდნენ, დაჭრილისათვის წყლით წყლული სუფთად მოებნათ და თავი შეეხვიათ.

ბევრი სისხლი დაგვარგა კრილობის მიღების შედეგად გრიგოლ იაკობის-ძეს, დასუსტებულიყო და სიარული არ შეეძლო. ამ მიძიმე მდგომარეობაში ბაზიმა თურმე საკუთარ თავზე მეტად შენაერთის დოკუმენტებს უფრთხილდებოდა. მას ზომ შტაბის საქმეები მუდამ თანა ჰქონდა.

ბაზიმას თავი ისეც ჰქონდა შეხვეული. როდესაც კრილობა ნახეს, ექიმები გაკვირდნენ. „მეტად სერიოზული კრილობააო, — სთქვეს მათ, — ასეთი კრილობით განკურნება ათ შემთხვევაში ერთი თუ ხდებაო!“.

შენაერთში მოსვლის პირველ დღესვე ბაზიმამ თავის მხლებლებთან სენიჩენკოსა და ბიჩკოვთან ერთად სურათი გადაიღო.

ექიმების დასკვნით ბაზიმასათვის საჭირო იყო ნორმალურ პირობებში ხანგრძლივი დასვენება და მკურნალობა. გადაწყდა გრიგოლ იაკობის-ძის გასტუმრება დიდ მიწაზე.

ბაზიმა დილით აღრე, მოსკოვში გაფრენის წინ მოვიდა ჩემთან, გრძობაზერად და თბილად, მამაშვილურად დამემშვიდობა, გადამოცნა და მითხრა: „ვირტასო დავით, მე იმედს არ ეკარგავ, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევხვდებით, ჩემი დიდი სურვილია ომის დამთავრების შემდეგ მშვიდობით დაბრუნდე საქართველოში!“

ბაზილას უმძიმდა შენაერთის დატოვება. მაგრამ ხედავდა, რომ სხვა გზა არა ჰქონდა, ხანგრძლივი მკურნალობა აუცილებელი იყო. ამიტომ ის გასაფრენად ემზადებოდა.

სულ მალე ბაზილა გაფრინდა მოსკოვში.

## XLV

ომის დროს მებრძოლი ხშირად ფიქრობს თავისი ოჯახის წევრებზე, ცხადში და სიზმარში მოჩვენებად ხედავს ცოლის თუ შვილის, დედის, მამის, ძმის და სხვა ახლობლების სახეებს. ხშირად მინახავს დანადგლიანებული, პირქვე მიწაზედ ჩამხობილი პარტიზანი, ამ ყოფაში ის მეტწილად თავისიანებზე ოცნებობდა და ჯავრობდა.

იყვენ ჩვენს შენაერთში ახალგაზრდა მებრძოლები, რომლებიც სწორედ ამ ომის წლებში დავაყვაცდნენ, აქ გაიღვიძა მათს გულში სიყვარულის წმინდა გრძნობამ.

აქ მინდა საშა ტუტერევის ამბავი გავიხსენო.

ჩვენი შენაერთი მტკიცე ოჯახს წარმოადგენდა. ამ დიდი ოჯახის წევრნი, სხვადასხვა პროფესიის და ტემპერამენტის ადამიანები მშობლიური გრძნობით იყვნენ ურთიერთმოორის დაკავშირებულნი.

პარტიზანული ბრძოლის პირობებში მებრძოლს ყოველ ნაბიჯზე საფრთხე და განსაცდელი ელოდება, ამავე დროს პარტიზანი ხედავს და გრძნობს, რომ ვაკირების დროს ის მართო არ დარჩება, თანამებრძოლნი მას მშობლიურ მზრუნველობას გაუწევენ. პარტიზან საშა ტუტერევის ამ საერთო გულთბილმა ატმოსფერომ გააბედინა ისეთი ნაბიჯი გადაეღა, რომელზეც ცხოვრების მშვიდობიანი პირობებშიაც დიდხანს ფიქრობს ადამიანი. იმ დროს როდესაც ყოველ დღე მკერდი ტყვიასთავის ჰქონდა მიშვერილი, ტუტერევა

ოჯახის შექმნა, ცოლის შერთვა თქვირა და გადაწყვიტა. ის ამბობდა:

— მთელი გატაცებით მსურს ცოლი, პარტიზანთა რიგებში მისი მოსვლისთანავე ჩვენ ერთმანეთს სიტყვა მივეცით, ახლა საქმის დაბოლოებაში ხელს არაფერი გვიშლის, გავათავებთ საქმეს და ის იქნება!

ასე მსჯელობდა ტუტერევი და მართლაც მალე მან სიტყვა საქმედ აქცია. დასავლეთ უკრაინაში მისვლის პირველი დღისთანავე შენაერთში ხმა გავრცელდა: საშა ტუტერევი და ოლია შეუღლდნენო. ამ დღიდან ახლად შეუღლებული ცოლ-ქმარი სისტემატურად თითქმის ყოველდღე ავტომატებით ხელში მხარი-მხარ იბრძოდნენ.

ოლია ჯანღონით სავეს ახალგაზრდა ქალი იყო, მალზე ლამაზი გარეგნობის. საშუალო სიმაღლის მოქნილი ტანი ჰქონდა, თეთრი მრგვალი სახე და წაბლის ფერი ხუჭუქა თმები, — ორივე მხარეს საფეთქლებზე ჩამოშვებული. მისი ფართო და გონიერი თვალები, მისი მიხვრა-მოხვრა ქალურ სინაზეზე მეტყველებდნენ, მაგრამ იმავე დროს იგი საუცხოო მებრძოლი იყო. ხანდახან ტუტერევის ამხანაგები ეტყოდნენ ზოლმე, რომ ოლია შენზე გაცილებით უკეთესი მებრძოლიაო. ამ სიტყვებს საშა ხუმრობად ღებულობდა და სიცილს იწყებდა, თუმცა ცოლი ქმარს ბრძოლებში არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდა, ამას ყველა ვხედავდით.

ერთ დილით შტაბში რომ მივედი, შევამჩნიე — განსაკუთრებული მხიარულება იყო. მეუთურები იცინოდნენ, ხითხითებდნენ, საშა ტუტერევის ყურს უწევდნენ. ჩემს დანახვაზე ერთხმად მომამახეს ბიჭებმა: „დავით, საშას ვაჟი მიულოცეთ“. ამხანაგებმა მიაშხეს, რომ ოლიას ვაჟი შეძენოდა; როგორც ზევით აღვნიშნეთ, კანატაში თავისუფალი დრო ბევრი გვექონდა, ამიტომ გადაწყვიტეთ პატარა „საქეობო“ ნაღიმი გაგვემართა: სიღორ არტემის-ძე-

საც ვთხოვეთ მონაწილეობა მიეღო. დიდს სიამოვნებით დაგვეთანხმა მოხუცი. მან განკარგულება გასცა, რომ ოლია მიწურიდან სინათლიან ოთახში ვადმოვეყვანათ. ეიშოვეთ არაყი, საყმარ სურსათი და გარმონიც ავაჭრიალეთ. როგორც ამ ნადიმობის მიზეზი, ტუტერევი მაგიდის თავში დავსვით, თან ბავშვისათვის სახელის შერჩევა დავიწყეთ. პირველი სიტყვა საშა ტუტერევს მივეცით. ტუტერევმა თვალუბი ძირს დახარა, შუბლზე ხელი გადაისვა და წარმოსთქვა:

— ამხანაგებო, მე ბავშვისათვის ზედგამოკრილი სახელი შევარჩიე, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გეპნებათ!

— აბა, აბა, სთქვი!

— მოდით ბავშვს ვიქტორ კარპატსკი დავარქვათ, ჩვენი სახელოვანი რეიდის პატრესაცემად.

— კარგია, კარგია, ზედგამოკრილია, ჩინებულია! — შესძახეს ერთხმად ტუტერევს მონადიმებმა და პირველად ვიქტორ კარპატსკის სადღევრძელო შეისვა. მოხუცი ჩვენს ყრამულს ყურს უგდებდა, მერე ოლიას საწოლთან ახლოს მივიდა, ბავშვს დააცქერდა და ასე სთქვა:

— შემოგვემატა ერთი პარტიზანი, პატარას პარტიზანული ფიცი უნდა მივაღებინოთ, — შემდეგ მან აიღო ჭიქა და წარმოსთქვა:

— ესვამ ოლიას და საშას სადღევრძელოს. ორთავეს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბოლოს ბავშვს გადახედა და დასძინა: — ძველად უთქვამთ: „ის ურჩვენია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“, და მომცინარე თვალები საშას მიაპყრო, ჭიქა-ჭიქაზე მიურახუნა და არაყი გადაკრა.

ოლია სოფელ სტარაია გუტადან იყო. როდესაც ჩვენი შენაერთი სტარაია გუტაში იდგა, ქალი იმ ხანებში ჩაეწერა პარტიზანთა რიგებში.

„ქობის“ შემდეგ პატარა ვიქტორ

კარპატსკი, დედასთან ერთად, თვითმფრინავით მოსკოვში გაეგზავნეთ.

და აი, ომის დამთავრების შემდეგ, წლებანდელ შემდეგ, ზაფხულზე საშა ტუტერევი თბილისში მესტუმრა. ძალზე გამეხარდა, როცა მან გადმომცა, რომ ოლიაც და პატარა ვიქტორიც ძალიან კარგად და ჯანმრთელად არიანო.

მაგრამ ასევე ბედნიერი როდი იყო კოლია ბოგოლიუბოვის სიყვარული. კოლია ჩემი ასეულის მწედ ირიცებოდა. ის იყო მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა პარტიზანი. რა უნდა დაგვევალება ბოგოლიუბოვისათვის, რომ მას დროზე და ხარისხიანად არ გაეყვებინა.

შენაერთში მოსვლის პირველ ხანებში ბოგოლიუბოვის სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა სატრფოსთან. როცა ბოგოლიუბოვი შეეყვარებულის წერილს მიიღებდა, თითქოს ხელახლა დაიბადებოდა ხოლმე. ოხუნჯობდა, იცინოდა, გარბი-გამორბოდა. ყველაზე მამაცად ის სწორედ ამ წერილების მიღების შემდეგ იბრძოდა. ასეთ განსაკუთრებულ ხასიათზე რომ შეისწრებდნენ მეზობლები ბოგოლიუბოვს, იტყოდნენ ხოლმე: „შეეყვარებულიდან აქვს უთუოდ კოლიას წერილი მიღებულიო“!

მაგრამ ბოლო ხანებში ქალი ძალიან იშვიათად უგზავნიდა წერილებს კოლიას. ამ გარემოებამ ბოგოლიუბოვი ძალზე დააღონა, ყველასათვის თვალსაჩინო გახდა ეს სიცოცხლით სავსე და მკვირცხლი ადამიანი როგორ ღელავდა და ჯავრობდა.

კანატოპში ყოფნის დროს ვხედავ ერთხელ წამოწოლილია ტყეში ჩვენი კოლია და დაბალი ხმით მოსთქვამს:

— ჩვენ ხომ სიტყვა გვაქვს მიცემული, ავი მიმტკიცებდი და მეფიცებოდი, უშენოდ დღე დაბნელდეს, ერთ საათს ნუ ვიცოცხლოო... თვეები გადის ახლა და შენი არავიციო-რა. წერილის მოწერას მაინც რა გიშლის?!

ვაი თუ ცოცხალიც არ იყო ჩემო ღიზა...

გული დამწვა მებრძოლის სიტყვებმა. მივუახლოვდი.

— რა მოგივიდა კოლია, ხომ არაფერი გიჭირს? — შევეკითხე ბოგოლიუბოვს.

კოლიამ უხერხულობა იგრძნო, ზეზე წამოიწია და დაბალი ხმით ჩაილაპარაკა: „ცუდი არაფერია, მარტოკა დავრჩი ტყეში, მივწეკეი და ფიჭვებს მივეცი, წარსულიდან ზოგი რამ მომაგონდა და ბოლმამ შემიპყრო!“

— რა მოგაგონდა ასეთი?

— ბედნიერი წუთები მოვიგონე, ამხანაგო მეთაურო!

— მაინც?

— მაინც ის, რომ საცოლუ დაეტოვე სტალინგრადში,—ამ სიტყვებზე კოლიას სახე აემღვრა.

— მერე რა მოხდა, დაბრუნდები და საცოლუც იქ დაგხვდება.

— ნეტავი აგრე იქნებოდეს, მაგრამ ვმისობ ვაითუ ცოცხალი ვერ ვნახო. სტალინგრადთან ხომ დიდი ბრძოლები იყო, ვინ იცის რა დაემართა.

— ეჭვებს ნუ შეუპყრისხარ.

— ცოცხალი რომ იყოს, წერილს გამომიგზავნიდა, სხვა დროს ხშირად ეღებულობდი მისგან წერილებს, ახლა სამ თვეზე მეტია, რაც სდუმს, არაფერს არ იწერება.

— ამ სამ თვეში ჩვენთან წერილი სხვამ ვინ მიიღო, შენ რომ მიგელო...

— ეს მართალია, მაგრამ ორი დღის წინათ ხომ ყველამ მიიღო დასტობით წერილები. მეც ხუთი წერილი მივიღე, მხოლოდ იმისი წერილი არ მიმიღია.

— სად დასტოვე ბოლო დროს შენი საცოლუ?

— სტალინგრადის მცხოვრებია, ეხ, არა მგონი ცოცხალი იყოს, თორემ ასე უყურადღებოდ არ დამტოვებდა! ომს რომ არ მოესწრო, მალე მოვაწერილთ ხელს, ბევრი არაფერი გვიკლდა!—ბოგოლიუბოვი შეჩერდა და ცოტახნის

დუმილის შემდეგ, მთრთოლოვან ხმით წარმოსთქვა:

— რა ბედნიერი ვეყავი, ჩემო მამა! წუთები იყო! მთავარიან ღამეში მდინარე ვოლგის ნაპირზე დაესხდებოდით, ტკბილ საუბარში ვათენებდით დამეებს! კარგად რომ არაა მისი საქმე, ამას არ უნდა ღაპარაკი, წერილს უთუოდ მომწერდა, ის ხომ ჩემს მზეს ფიცულობდა!

კოლიას ცრემლებით ავესო თვალები. მიწოდდა მისთვის ნუგეში მიმეცა, მაგრამ როგორ და ან რა შეთქვა, არ ვიცოდდი!

— იცი, რა ვითხრა კოლია, შენი ამჯავრით სასოწარკვეთილებამდე მიღიხარ, ბავშვივით სტირო. ვინ იცის ახლა შენი საცოლუ სად არის, იქნებ ისიც ფრონტზეა და ველარ მოგაწვდინა წერილი. აბა ასე გულის გატეხა ვის გაუგონია. შენ ხომ მებრძოლი ხარ. განა ეს შეგშვენის. აი გავათავებთ ომს და ისევე შეგხვდებით ერთი-მეორეს.

— ნეტავ აგრე იქნებოდეს და!.. —

კოლიას კვლავ აუჩვილდა გული და ცრემლები გადმოსცივდა. ვეძებ შესაფერ სიტყვებს, მიწდა კოლიას მწუხარება შევეუმსუბუქო, მაგრამ საღ მოეძებნო ასეთი სიტყვა. განა ეს აღვილია?!

#### XLVI

სწორედ ამ ხანებში შენაერთში ცნობა მივიღეთ, რომ ჩეხოსლოვაკელი პოლკოვნიკი იოზეფი წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდაო. ამ ამბავმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია პარტიზანთა რიგებში.

ჩვენს მკითხველებს ახსოვთ ალბათ იოზეფმა, რომ განუტყაბდა ჩვენგან მიგზავნილ მხვერავ ქალს: „ასე გადაეცი კოპაკს, რომ მზად ვარ თქვენთან გადმოვიდე და თქვენთან ერთად მხარდამხარ ვიბრძოლო ვერაგი მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ჩემი ოცნების გან-

ხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ამ ნაბიჯს შესაძლოა დიდი მსხვერპლი მოჰყვესო.“

იოზეფის ჩვენს მხარეზე გადმოსვლა ყველაზე მეტად აღექსანდრა კარბოვნა დემიდიჩის გაუხარდა. ალტაცებულმა ქალმა პირდაპირ ფრთები შეისხა; მკითხველმა იცის, რომ აღექსანდრა კარბოვნა იყო ის ქალი, რომელიც კოვბაკმა იოზეფთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა. კმაყოფილი იყო ქალი, რომ მისთვის იოზეფს სიმართლე უთქვამს: „მომარჯვებულ დროს გადმოვალ თქვენს მხარეზეო“.

არაგის ჩვენთაგანს მაშინ იოზეფის გულწრფელ განცხადებაში ეჭვი არ შეჰპარვია და ამ ხანად ახლა თავისი ნათქვამი იოზეფმა საქმით რომ დადასტურა, მისი ეს ნაბიჯი ყველას ბუნებრივად გვეჩვენა.

კანატოში ხანგრძლივი და საფუძვლიანი დასვენების დროს ამხანაგებს, პანინს და ანდროსოვს საშუალება მიეცათ შენაერთში პარტიული კრებები ჩატარებინათ. ამასთან ერთდროულად მობილიზაცია უყვეს ყველა პოლიტხელს და პარტიორგს და დაავალეს, რათა მოსახლეობაში ოქტომბრის რევოლუციის შესახებ დრო სამზადისი მაღალ დონეზე ჩატარებინათ.

დიდი წარმატებით მიიწეოდა წინ წითელი არმია; მან ზედიზედ გაანთავისუფლა ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრები, როგორიცაა: ხარკოვი, კურსკი, როსტოვი, ორიოლი, პოლტავა და სხვა ქალაქები.

წითელი არმიის ამ ბრწყინვალე გამარჯვებებმა დიდი სტალინის სტრატეგიული გეგმის ამ დიდებულმა ტრიუმფმა პარტიზანებს ახალი ძალღონე შეეგმატა. იმ ხანად ჩვენი შენაერთი დიდმიწიდან მოწოდებული საომარი მასალით და სხვა სამხედრო სამკაულთ საქმიად მომარაგებული იყო. არცხრებოდა მოხუცი; მართალია, კარბოვნის რეიდი ჩვენ დიდი წარმატებით

დაეამთავრეთ, მაგრამ მოპოვებული გამარჯვებებით კოვბაკი რაღაც კმაყოფილდებოდა, ის ახალ ბრძოლებში აღნიშნობდა, გატაცებით ემშობებოდა.

კანატოში მოსელამდე კოვბაკი ახალგაზრდული სიმშაგით ებმობა ყველა ბრძოლებაში, მას დღე-ღამე გასწორებული ჰქონდა, ძილი და დასვენება არ იცოდა. დაღლილობა მან მხოლოდ კანატოში იგრძნო. საფუძვლიანი დასვენების შემდეგ მოხუცმა ენერგია მოიკრიბა და იწყო ახალი ბრძოლების წამოწყების შესაძლებლობაზე ფიქრი და ლაპარაკი.

ჩვენმა შენაერთმა განვილილ ბრძოლებაში რიგითი მებრძოლებთან ერთად ექიმებიც დაჰკარგა. ამ ბოლო დროს მწვავედ განვიციდილით ექიმთა ნაკლოვანებას. საკურო იყო რეზერვის შევსება.

კოვბაკმა მოსკოვიდან გამოითხოვა ექიმები. უკრაინის პარტიზანულმა შტაბმა ჩვენს შენაერთს ახალგაზრდა, მკვირცხლი, დიდი ენერგიის მქონე ქირურგი, სკრიპნიჩენკო გამოუგზავნა. სკრიპნიჩენკომ საქმის ცოდნით და ავადმყოფების მიმართ გულისხმიერებით ისახელა თავი. დახელოვნებულმა და დაუზარებელმა ქირურგმა ბევრს დაავადებულ პარტიზანს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

იმ ხანად, როგორც ამაზედ ზევითაც ვსთქვით, დიდი ოქტომბრის დღესასწაული ახლოვდებოდა.

1943 წლის ოთხ ნოემბერს კოვბაკმა შტაბში მიხმო. მალე სხვა მეთაურებიც მოგროვდნენ. კოვბაკმა შემდეგი სიტყვით მოგვმართა:

— ამხანაგებო, მეთაურებო, ოქტომბრის დღესასწაული ახლოვდება, საჭიროა მას ღირსეულად შევხვდეთ, მივეუძღვნათ დიდ ოქტომბერს განსაკუთრებული საგმირო საჩუქარი. აქ ჩვენგან ძალზე ახლოა ოლესკა-სარნას რეინიგზა. პოლესიეში მტრისთვის ეს ერთადერთი მაგისტრალია: გაჯანაღვროთ ეს გზა, მოუღწყოთ მტერს დივერ-

სიები, ამით ჩვენ მტრის მატერიალურ ბაზას დავასუსტებთ, ეფიქრობ ამაზე უკეთეს ჯილდოს, დღევანდელ ჩვენს პირობებში, ოქტომბრის დღესასწაულს ვერ მივუძღვნით!

ყველა მოიწონა კოვბაკის წინადადება, გადაწყდა გზის განადგურება და სხვა სადივერსიო მუშაობის ჩატარება.

— დაელოდეთ, დღეს ან ხვალ მტარის ბრძანებას მიიღებთ, — გვითხრა კოვბაკმა მეთაურებს დამლის წინ, კრება დამთავრდა, ამ დროს შორიდან ნაცნობი სიმღერა მოისმა. დახვერციდან დაბრუნებული ჩვენი ბიჭები, ექვსი დღის მოგზაურობის შემდეგ, პარტიზანული სიმღერით, რუდნევის საყვარელი სიმღერით ბრუნდებოდნენ. გულზე მოგვხვდა ეს სიმღერა ყველას, სიმონ ეასილისძე დაგვიღვდა თვალწინ, დავდუმდით და გავქვეყდით ერთ ადგილზე.

იმ სიმღერაში ცოცხლებოდა ჩვენი საყვარელი რუდნევი, ჩვენი დაუვიწყარი კომისარი. გაგვახსენდა — რუდნევი მწუხრის ეპოს ბანაიდან დაშორებით ნაძვის ჯირკვზე ჩამოჯდებოდა და ფიქრებს მიეცემოდა ხოლმე. პატარა რადიკი გაჩნდებოდა ასეთ დროს მასთან და მუხლზე ჩამოუჯდებოდა. მშობლიური მზრუნველობით ბავშვს მამა მაგრად ჩაიკრავდა. ორი სამი წუთი და მამა-შვილის მომაჯადოებელი მელოდია გულჩათხრობილ ტყეს მოეფინებოდა. სულგანაბული უსმენდნენ ამ მელოდიას მებრძოლები. სიმღერის მოტივი და სიტყვები ყოველთვის ურთი და იგივე იყო, მაგრამ მას მუდამ ხალისით ვუსმენდით პარტიზანები. მოგვყავს აქ ამ ლექსის ტექსტი:

В чистом поле, поле под ракитой  
Где клубится по ночам туман,  
Там схоронен, там лежит зарытый  
Там схоронен красный партизан.

Я сама героя провожала  
В дальний путь на славные дела.

Госую саблю подавала,  
Воронова коня вела.

На траву, да на траву  
Он устал простреленный  
За Советы да страну родную  
Отдал жизнь героёнку свою!

თ ამ სიმღერას მღეროდნენ ახლა მშვერავები.

ვიღვეით და ვუსმენდით. ქანდაკებასავეთ უმოძრაოდ გაჩერებულიყო ჩვენი მოხუცი. სჩანდა ისიც მძიმე წუთებს განიცდიდა; მერე თავი მალა აიღო და აცხცახებული ხმით წარმოსთქვა:

— სადა ხარ, ჩემო მორბელო შევარდნო, უშიშარო რაინდო, ჩვენი შენაერთის ნამუსო, საყვარელო ადამიანო!

სთქვა და ხელი ჩაიქნია. დემილი აღარავის დაურღვევია.

მალე ჩვენ შევეუდვეით თათბირზე დასახული გეგმის განხორციელებას: პარტიზანებმა ოლექსკ-სარის რკინიგზაზე მტრის ეშელონები ააფეთქეს, ლიანდაგი აჰყარეს. შეშფოთდნენ გერმანელები, სახელდახელოდ მიჰყვეს ხელი დანგრეული გზის აღდგენას მაგრამ მათი ცდებისაგან არაფერი გამოდიოდა, ჩვენ ხელახლა ვანგრევედით მტრის მიერ სასწრაფოდ შეკეთებულ გზას.

ამ ხანებში მოსკოვიდან ვერშიგორამ რადიოგრამმა გამოგზავნა: კანტომში შენაერთის მისამართზე იგზავნება სამხედრო მასალით და მედიკამენტებით დატვირთული თვითმფრინავი, შეხვედრა მოუწყეთო.

თვითმფრინავების მიღებაში ჩემი ასეული იყო დახელოვნებული: შევარჩიეთ ტყის პირად მოხერხებული პატარა მინდორი, ცეცხლი გავაჩაღეთ და თვითმფრინავს დაველოდეთ.

ღამის ორი საათი იქნებოდა და თვითმფრინავიც გამოჩნდა. მფრინავმა მალე შენიშნა ჩვენი დაბანაკების ადგილი: ორჯერ მოხაზა კამარა პატარა

მინდვრის თავზე და თანმიმდევრობით, ერთი-ორი წუთიანი ინტერვალების დაცვით, ჩამოყარა ძირს ტვირთი, ბოლოს რადისტიც დაეშვა უვნებლად ძირს. ახალი რადიომიმღები ჩამოიტანა თან რადისტმა. კოვბაკმა რადისტი ჩემს ასეულში გამოგზავნა. რადისტი ომის დამთავრებამდე დარჩა ჩემთან.

კანტაოში არამც თუ მარტო დავისევენეთ, სამხედრო მასალის და იარაღის მარაგიც გავიჩინეთ. ამასთანავე ერთდროულად სამხედრო ვარჯიშიც გავაცხოველეთ და ახალი ბრძანებისათვის ახლა მზად ვიყავით.

მოსკოვიდან გარდა რადისტისა, გამოგვიგზავნეს დახელოვნებული მენაღმე-ინსტრუქტორი ვალოდია დუბინური. მან პლატონ ვორონკოსთან ერთად გაეწვრთნა და მოამზადა სულ მოკლე დროში ათეული მებრძოლი ამფეტქებელი.

პლატონ ვორონკო შესანიშნავი მეთაური იყო. ახლა ომის შემდეგ მან თავი ისახელა აგრეთვე როგორც ნიკიერმა პოეტმა.

დიდი ოქტომბრის ოცდაექვსი წლისათვის სადღესასწაულო სამზადისი წარმატებით მიმდინარეობდა: ტყით შემოფარვლული მომცრო მინდორის შუა ადგილას ტრიბუნა აღიმართა, სწორი გზებით დაისერა მინდორი და ყვითელი ქვიშით მოიყარწყლა. სამას-ოთხასი ნაძვის ხე დაირგა ახლად გაყვანილ გზების ორთავე მხარეზე და ხეივნის შემოსასვლელში ცოცხალი მცენარეულობით შორთული თაღი დაიდგა. თაღზე პარტიზანების მიერ სოფელ გლუშკევიჩიდან მოტანილი სტალინის და მოლოტოვის სურათები გამოვკიდეთ. ეს სურათები კომკავშირულ გოგონას ჰქონდა გადამალული.

ამის შემდეგ სოფლებში, ბატალიონებში და ასეულებში ჩავატარეთ საზიგო სხდომები, ჩვენმა პოლიტხელებმა და პარტორგებმა ყველგან გააკეთეს მოხსენება.

ექვს ნოემბერს შესდგა სასიგნო სხდომა. ამ სხდომას ესწრებოდნენ ჩვენი შენაერთის მიერ მოწვეულნი მხედრობრივი და პოლონელი პარტიზანების წარმომადგენლები, მახლობელი სოფლების კოლმეურნეები.

ოქტომბრის სადღესასწაულო მიტინგზე განუზომელი აღტაცებით მოვისმინეთ რადიოთი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მოხსენება: ჩვენი რადიომიმღები უკვე კარგად მუშაობდა. დამსწრე საზოგადოების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, საყვარელი ბელადის ყოველი წინადადება მქუხარე ტაშით იფარებოდა.

სიღორ არტემის-ძე კოვბაკი ამ კრებაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. მან შეაჯამა და დააზუსტა ორი წლის და ორი თვის მანძილზე წარმოებული ბრძოლები. ამ კრებაზე კოვბაკმა განაცხადა:

— ამხანაგებო, ძვირფასო თანამებრძოლებო, კოლმეურნეებო, ადგილობრივი და პოლონეთის პარტიზანებო, ბელორუსიის და უკრაინის შრომელებო, გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს, დიდი ოქტომბრის ოცდაექვსი წლისთავს...

— ჩვენი პარტიზანული მხურვალე სალაში წითელ არმიას და მის უმაღლეს მთავარსარდალს ამხანაგ სტალინს. ჩვენი სალაში საბჭოთა ქვეუნიის ყველა შრომელს.

— ამხანაგებო! ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში აღიარებულია ერთი დიადი და უკედავი ჭეშმარიტება: „არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებმა ვერ შესძლონო!“ ეს სიტყვები ამჟამად ჩვენს მიერ განუღებ საბრძოლო გზას და ჩვენს მიღწევებს საესებით შეესაბამება. ამჟამ დროს არ არის დასაშალი, რომ ამ პერიოდში ჩვენ ბევრჯერ მოვექცეთ ჩიხში, იყო ისეთი კრიტიკული მომენტები, როცა ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ვმძირულ ბრძო-

ლებში პარტიზანებმა ყველგან დავაღწიეთ თავი განსაცდელს და ყველგან გამარჯვებულები გამოვედით.

— ამხანაგებო! კარპატების რეიდის, დელიატინის ტრაგედიის, რასულინის ბრძოლების შესახებ ისტორია იტყვის თავის დროზე სწორს და მიუდგომელ სიტყვას.

— არ დაივიწყოთ კარპატებში გატარებული დღეები: მთელი კვირათობით უსმელ-უტყმელი ვრჩებოდით, მხოლოდ მოცივი იყო ჩვენი სადილ-ვახშამი, ტანსაცმელზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი და მაინც ვებრძოდით და ვანადგურებდით მტრის ტანკებს, მძიმე არტილერიას, ნაღმტყორცნებს. მართალია ჩვენ დავკარგეთ მძიმე იარაღი, ეს მძლავრი დასაყრდენი ხელიდან გამოგვეცალა, მაგრამ მეორე უპირატესობა, რაც მთავარი იყო და არის დღესაც ჩვენთვის, ხალხის თანაგრძნობა ბოლომდე შევინარჩუნეთ: ხალხი გემოსხავდა, როცა გვეოღა, გვეკებავდა, როცა გვშოიდა, ხალხი აესებდა ჩვენს რეზერვებს, ჩვენს რიგებს.

— დელიატინის ბრძოლის შემდეგ ტაქტიკური მოსახრებით ხუთ ჯგუფად დაიყო ჩვენი შენაერთი, დამოუკიდებელ ბრძოლებს აწარმოებდნენ ეს დაცალკეებული ჯგუფები. ამჟამად კვლავ მთლიანია ჩვენი შენაერთი. მტერს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ჩვენი განადგურება, ბევრჯერ აცნობეს ქვეყანას გერმანელებმა კოვბაკის პარტიზანების შენაერთი აღარ არსებობსო, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; ამ კოორკანობით მტერმა ვერაფერი გაიტანა.

— ამხანაგებო, პოლესიეში ჩვენი მოსვლა დაემთხვა დიდი ოქტომბრის ოცდა ექვსი წლის თავს. ნება მიბოძეთ დღევანდელ დღეს გაგახსენოთ ჩვენი პარტიზანული შენაერთის საბრძოლო მიღწევანი: სპადჩინის ტყეებიდან დაწყებული დღემდე გავლილი გვაქვს რამდენიმე ათასი კილომეტრი გზა. ეს

მანძილი გავიარეთ უკრაინის, უნგრეთის და ბელორუსიის თერამეტი ვლუჩის მიდამოებზე. გავანადგურეთ მთელი მეთი ათასი ფაშისტი, ლიხნდავიდას გადავადეთ და მწყობრიდან გამოვიყვანეთ სამოცდა ორი ეშელონი, ავაფეთქეთ ორას ორმოცდა თექვსმეტი ხიდი, ხანძარში გავხვიეთ და მოვსმეთ ორმოცდათექვსმეტი სხვადასხვა საწყობი და ნავთის ორი სარეწო, მდინარეს შევეურთეთ ნავთსაცავის აუზები და წყალს გავატანეთ ორმოცდაათიათას ტონაზე მეთი ბენზინი, ხმარებიდან გამოვიყვანეთ და ჩავეფუშეთ ორასი კილომეტრის მანძილის მოცულობის სატელეფონო და სატელეგრაფო გაყვანილობა, ორმოცდა ათი კავშირგაბმულობის კვანძი, გავანადგურეთ ხუთასი ავტომანქანა, ოცი ტანკი და ჯაგუნოსნები.

— ამხანაგებო, ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, დიდი გზა გვიძვეს წინ, კანატობი როდია ჩვენი უკანასკნელი პუნქტი. მომავალშიაც მტერს ვეკეთებით ოქ, სადაც ნაყლებათ მოგველის, ან სრულიად არ მოგველის, პარტიზანები მაშინ გავუშვებთ იარაღს ხელს, როდესაც გათავხედებული მოწინააღმდეგე უსიტყვო კაპიტულაციას განაცხადებს და ჩვენს წინაშე დაიროქებს.

საზეიმო მიტინგის დასასრულს მოჰყვა პარტიზანების თვითშემოქმედების საღამო. ამოქმედდა „ადა“, სადივერტისმენტო კულეტებით მან ბევრი აცინა ხალხი.

კარგი იყო გრიშა დოროფეევის ორკესტრიც.

მჭუხარე ტაშით გამოჰყავდა ზედინედ ტრიბუნაზე მრავალ ათასიან დამსწრე საზოგადოებას „ადა“ და დოროფეევი.

გვიან საღამომდე ისმოდა ხეივანში მოსეირნე ხალხის ყრიაბული და სიცილ-კისკისი.

ამ სურათით გაოცებული კოლმეურ-



ნეგები ერთი მეორეს გაკვირვებით ეკითხებოდნენ: „სად ვართ, ნუთუ ისევ მტრის ზურგში ვართ“.

დრო ნაშუალამევს უახლოვდებოდა. მოზემეტა სიმღერა და ურამული ცას წვდებოდა, ჩვენი ბიჭები სოფლის გოგონებს აცალებდნენ გარმონების გადაბმული კრიალით.

გათენდა მეორე დილა და ჩვენ შევიტყუეთ სასიხარულო ამბავი—საბჭოთა არმიამ გაანთავისუფლა უკრაინის დედაქალაქი კიევი. ამ ამბავმა პირდაპირ ფრთები შეგვასხა, ეს მართლაც დიდებული ზეიმი იყო.

დილით ადრე მოხუცი მართახით ხელში, თავისი ჩვეული მჩუქრე ფულთას სცემდა და მიმოღებდა: *ჩვენს წინა წევოს პაპიროსს სწევდა, ერთ ადგილას წუთით შეჩერდებოდა, მიიხედ-მოიხედავდა და ისევ გზას განაგრძობდა.*

მე მას შეუმჩნევლად შორს ჩავუარე, შევჩერდი, ფიქრებში გართულ მოხუცს დიდხანს ვუცქირე. თან გულში ჩავილაპარაკე: ნეტავი რას ფიქრობს ჩვენი მოხუცი, საით მიჰყავს შემდეგში ჩვენი შენაერთი?

პირველი წიგნის დასასრული.



# 200 წელი ი. ვ. გოეთეს დაბადებიდან



ი. ვ. გოეთე

## ლექსები



მიხეილენი.

იციობ იმ მხარეს, სად ლიმონნი ყვავიან ველად,  
სად ზშირ ფოთლებში ფორთოხალი იჭრისფრად დელავს,  
სად ლურჯი ციდან წელი სიო უბერავს დაბლა,  
სად ჩემად დგინან წყნარი ტვია, მაღალი დაფნა?  
იციობ შენ კარგად ეგზომ ლამაზ, ტურფა მიდამოს?  
წავიღეთ იქით!

შეგობარო, შენც ჩემთან წამო!

იციობ შენ იმ სახლს. — მსხვილ სვეტებზე ისვენებს კერი  
და ბრწყინვალეზენ დარბაზები მუნ მშვენიერი,  
ქანდაკებანი რომ მიცქერენ თვალშემართული:  
„რა მოგდის, ბავშვო, რა ფიქრით ხარ ნეტავ გართული?“  
იციობ შენ იმ სახლს, იმ დარბაზებს 'ნელ-სასიამოს?  
წავიღეთ იქით!

მბრძანებელა, შენც ჩემთან წამო!

იციობ იმ მაღალ და ღრუბლებით დაბურთულ მთასა,  
სად მიმავალი ჯორი ნისლში მიიკვლევს გზასა;  
სადაც მღვიმეში ცხოვრობს დრაკონთ შთამომავალი  
და კლდეზე მიჭქებს ნაკადული სწრაფმიმავალი?  
იციობ იმ მხარეს, ეგზომ ლამაზ, ტურფა მიდამოს?  
გზა იქით მიდის!

მამაჩემო, წავიღეთ, წამო!



ზღვის სიმშვიდე

სიჩუმეა, ზღვის ხმაური  
 აღარ ისმის — დასცხრა წყალიც  
 და გადასცქერს მეზღვაური  
 ერთელ ზედაპირს ფერშემკრთალი.

სიო არ ქრის არც ერთ მხრიდან,  
 სიმშვიდეა ირგვლივ მკედრული  
 და თვალუწვდენ ნაპირიდან  
 ეკიდებათ ტალღებს რული.



შუალამისას.

შუალამისას ეკლესიის ეზოზე წყნარად  
 მე ბავშვობისას დავდიოდი წმინდა მამასთან.  
 ღია ლავარდში ვარსკვლავები ბრწყინავდნენ მარად  
 და იცინოდნენ ისე ნაზად, ისე ლამაზად,

შუალამისას.

ხოლო როდესაც ვარს მომადგა ყრმობისა ჟამი,  
 შეყვარებულთან მივდიოდი ტკბილ პაემანზე,  
 კვლავ მეფრქვეოდა ბრწყინვალემა ჩრდილოურ ღამის  
 და მივდიოდი, მივდიოდი განცხრომით სავსე,

შუალამისას.

და სად ელვარე სავსე მთეარის სხივები ბასრი  
 ჩემს გარეშემო ჩამოწოლილ წყვილიადს ჰკვეთავდა,  
 იმ შორ ნათელში დაუმცხრალი ლტოლვილი აზრი  
 ჩემს განვლილ დღეებს და მომავალს კარგად ხედავდა,  
 შუალამისას.



მიძღვნი

(„ფაუსტიანი“)

კვლავ მოირხვევით, აჩრდილებო, ერთხელ რომ განაზეთ  
 ეამსა ყრმობისას, ბუნდოვანი ნისლით ფარული!  
 რომ ვცადო ნუთუ გამოვიწვევ კიდევ თქვენს სახეს,  
 ან ამ ოცნებით თუ ეწვევა გულს სიზარული?



ქართული  
წიგნების  
კავშირი

მაინც მოიწევთ! მამ კეთილი, სალამი თქვენდა,  
ორთქლის ნისლიდან, ღრუბლებიდან მოსულნი ჩემ  
ქაბუკურ ღელვით გული არის გარემოცული,  
რაკი მოესმა თქვენი ქროლვის ხმა ჯადოსნური.

თქვენ ჩემთან მოგაქვთ სურათები მზიარულ დღისა  
და საყვარელი აჩრდილები ისევ დგებიან;  
მსგავსად ნახევრადდაფიწყებულ ძველ ლეგენდისა,  
სიყვარული და მეგობრობაც თან მოჰყვებიან;  
სევდა ახლდება, კვლავ მწუხარე ბრაზით ვინთებით,  
ცხოვრება რომ ქრის გამოუცნობ ლაბირინტებით,  
და ვუხზობთ იმას, ვინაც ბედის სასტიკმა ქროლამ  
მოტყუებული ამ ქვეყნიდან შორს გადისროლა.

ველარ მოისმენთ აწ, სულებო, სიმღერას ჩემსას,  
რომელთ ვსმენიათ უწინ ჩემი ჰანგი პირველი;  
შემომეფანტნენ მეგობრები, აღარცინ შემჩნა  
და იმ სიმღერის ეჭოც მისწყდა გასაყვირველი.  
ჩემი სიმღერა ახლა უხზობს იმ უცნობ ბრბოსა,  
ვისვანაც ქება გულს საშინელ ნაღველით მოსაეს.  
და ის კი, ვისაც შენ უმღერდი, ჰანგო ტიალო,  
თუ ცოცხლობს კიდევ, უგზო-უკელოდ დახეტიალობს.

ისევ მეწვია უწინდელი სურვილი მძლავრი,  
სულთ სამეფოდან რომ მესტუმრა ნუგეზისმცემი,  
და თითქოს ეღერდეს ეოლოსის განთქმული ქნარი,  
უცნაურ ჰანგზე მოლივლივებს სიმღერა ჩემი;  
თრთოლვა მედება, თვალეზიდან მდის ცრემლის ღვარი,  
სასტიკი გული აწ გამზდარა ჩვილი და წყნარი;  
რაც ხელთ მიბყრია, თითქოს არის ის შორს-მყოფელი  
და რაც შთანთქმულა, მეჩვენება მე ახლობელი.

თარგმანი გერმანულიდან ვახტანგ გიფუნელიანა.

## დავით აღმაშენებელი

### ტრილოგია

თავი მესამე \*



#### XVIII

#### შავი ოცობა

„მიუხედავად მრავალგზისი ცდისა, ჯოჯიკიმ და მე დიდხანს ვერ შევძელით დავით მეფის პასუხის სულტან შარქიაროვისათვის გადაცემა“. სწერდა გიორგი ჭყონდიდელს არამაის არშარუნი ისპაჰანიდან.

„ბოლოს როგორც იქნა შევესრულეთ თქვენი ნაბრძანი, მაგრამ ამ წიგნის გადაცემას ლამის იყო არ ემსხვერპლა ჯოჯიკი თავათ, იგი ჯერაც ფრიად დაუძღურებულია და ამიტომაც ვიპიტაკებთ მის მაგივრად.

თქვენს მიერ სულტანის სახელზე გამოგზავნილი წიგნი სამეფო ბეჭდით დაბეჭდული იყო, ამიტომაც ჩვენ ვერ გავხედეთ მისი გახსნა, ხოლო დივანხანას წინამდგომმა ამირ ბენ ანიმამ არ ისურვა ისეთი წიგნის მირთმევა სულტანისათვის, რომლის შინაარსი მან თავათ არ იცოდა.

მივიღოდით ისპაჰანის სასახლეში, გამოგვეკითხავდა:

საიდანა ხართ, რომელმა ამირამ გამოგზავნათ, ძღვენი თუ მოგაქეთო? სულტანს წიგნი უნდა მივართვათ-თქო დავით მეფისა.

მიუვგეთ.

რა სწერიათ იმ წიგნში?

წიგნი დაბეჭდულია და მისი შინაარსი ჩვენ არ ვიცით მეტეი.

„თუ თქვენ არ იცით მაგ წიგნში, რა სწერია, მაშინ არც მე ვიცი როდის მიგიღებთო სულტანი.“

ვეითბრა და უცხვირპიროდ გამოგვისტუმრა ამირ ბენ ანიმამ.

ამასობაში ჩვენ გავიგეთ, რომ დაუცხრომელმა ომებმა ისე დააღარიბეს სულტანის სატურკლენი, იგი უძღვროდ აღარავის ღებულობდა, ამიტომაც ჯოჯიკიმ და მე გადავწყვიტეთ, უმნიშვნელო რაიმე ქრთამი თან მიგვეტანა, რათა საბაბი გვექონოდა, ძღვენი მოგვაქვსო, გვეთქვა.

მეხუთედ მისულთ ამირ ბენ ანიმა დივანხანაში არ დაგვიხვდა. მის მაგივრად მიგვიღო სასახლის მესტუმრეთუხუცესმა — სუფრაჯი-ბაშიმ, ამირ ტეგამ.

ჯერ წიგნის წარმომგზავნელის ვი-

\* გაგრძელება „მნათობი“ № 7.

ნობაც არა კონდა გაგებული, ისე გვითხა ამირ ტეგვამ: ძღვენი თუ მოგაქვთო?

როგორც კი ვუთხარი, ძღვენი მოგვაქვს-მეთქი, შებლი გახსნა, მოღუ-მულმა მესტუმრეთუხუცესმა, გვეაჯა: დაბრძანდით, დაისვენეთო!

დაგვიყვავა: ჩვენი ჩაცმულობის მიხედვით რა დაასვენა, ქრისტიანები ვიყავით, შეგვეკითხა:

რუმის<sup>1</sup> კეისარმა ხომ არ წარმოგზავნათო ალექსიოს კომნენიოსმა?

როცა ჩვენი პატრონის, დავით მეფის სახელი გაიგონა, კვლავ მოიღუშა, ზეაწყობა თავისი დაფანჩვეული წარბები და სთქვა:

„აჰა, ეგ ის დავუდ მეფეა, გაურჯისტანში თურქებს რომ ებრძვის? კავკასიას თავის სამკვიდროდ რომ აცხადებს, არა? "

მე ამასწინათ დივანხანაში წიგნი ვნახე, ირანისა და არაირანის დიდი სულტანი წერდა მას ხარაჯის გამო.

კეთილი, კეთილი, რაკი ძღვენი გამოუგზავნია, ხარაჯაც უქირანია როგორც ჩანს!

ახლა ეს მითხარით, მაგ დავუდ მეფემ მართლა მოკლა თავისი მამა? "

ჩვენ მიუვუგეთ:

„არა, რასა ბრძანებთ, ვინ მოგახსენათ ეგა? "

„აქ ისპაჰანში იმყოფება სარწმუნო კაცი თქვენი მეორე მეფისა, დამავიწყდა მისი სახელი... "

სთქვა, .ცერი და უსახელო თითი ერთიერთზე მიატაკაუნა.

„ამირა ლიბარიტ... "

ჰო, ამირა ლიბარიტის სარწმუნო კაცია ისპაჰანში, გაურჯისტანის მწარე ღვინოებს რომ ჰყიდის... "

აღლაჰ, გამახსენე... ვარსიმ ვარძელი... სწორედ იმან თქვა? "...

<sup>1</sup> რუმს უწოდებდნენ მუსულმანნი მეორე რომის იმპერიას, ე. ი. ბიზანტიას.

„სიცრუეა, უფალო, ნათრე მუფე ლეთით ცოცხალია.“

„კეთილი, მამ ხელუხუცესი ჩვენია? "...

„არა და არა, უფალო, მიუვუგეთ, ჩვენ ქრისტიანნი ვართ და ასეთი რამ კაცისობას არ მომხდარა ჩვენს ქვეყანაში.“

„მამ იგი ცოცხალია და უტახტოდ შთენილი, არა? "

„არც ეგა, უფალო, იგი თანამეფეა.“ მესტუმრეთუხუცესმა წარბები მოღუშა კვლავ:

„რაო, ორი მბრძანებელი ერთ ტახტზე? "

ჩვენში ასეთი რამ არ იქნება, სულტანი ერთი უნდა იქნას, ისე როგორც ალლაჰი, ცათა და ხმელთა მპყრობელი.“

მცირე ხანს სდუმდა მესტუმრეთუხუცესი და ჯოჯიკის მიუბრუნდა:

„ხომ სასიამო ამბავი სწერია მაგ წიგნში, მე თქვენ გაფრთხილებთ წინასწარ: ჩვენი სულტანი სამართლიანია და სტუმართმოყვარე, მაგრამ საქირო შემთხვევაში, იგი ისევე სასტიკია, როგორც ალლაჰი, ყოველთა შემწყვლელ და ყოველთა განმკითხველი“.

ჯოჯიკიმ მიუგო:

„ჩვენ ვეღარ გავბედეთ ჩვენი დიდი მეფის მიერ სულტანისადმი მიწერილ გრაგნილის გახსნა, ამიტომაც არ ვიცით, რას იწერება ჩვენი პატრონი.“

„თქვენ არ იცით, არა? კეთილი, კეთილი.“

ცხადია, რაც არ იცით, ის არ გეცოდინებათ, რაც არ წავიკითხავთ, იგი არ გეხსომებათ.

კეთილი, მე მოვახსენებ დიდ სულტანს, თქვენ რომ ძღვენი მოგაქვთ და წიგნი გაურჯისტანის მეფისა, დავუდისაგან.

კეთილი, კეთილი, თქვენ აქ დაისვენეთ მცირედი, მე დივანხანაში, გავივლი და მანდ ვიკითხავ როდის ჩამობრძანდება დიდი სულტანი.“



ესა სთქვა მან ცხვირში საყურეგაყრილმა ზანგმა შემოიტანა ატმებით საყურე ოქროს ლანგარი და ოქროს სურაპი თრიაქის ღვინითა.

„კეთილი, თქვენ ეს ღვინო გასინჯეთ და მე ახლავე გვახლებით.“ სთქვა და დაგვტოვა ნოხებით მოგებულ დარბაზში, რომელშიაც ერთადერთი ტაბაკი იდგა სადაფით მოოჭვილი, უამრავი მუთაქები და ბალიშები ეყარა ძირს გაშლილ ორბოვანზე.

ჯოჯიკიც საგონებელში ჩაეარდა. ჩვენ დიახაც ვიცოდით, რაც ეწერა დავით მეფის წიგნში, გვეთქვა მესტუმრეთუხუცესისათვის:

ხარაჯზე უარი შემოუთვალაო ჩვენმა პატრონმა სულტანს?

ამას ვერა ვებუდვადით, რადგან თქვენ არ გიბოძებიათ ამის ნება ჩვენთვის.

საყურებიანი ზანგი თავზე გვადგა და თრიაქის ღვინოს გვაძალეზდა, ხოლო დარბაზში ისეთი სიციხე იდგა, ოფლი გვასქდებოდა თხემზე.

სულო ცოდვილო, შევეშინდი ოდნავ, რადგან მე ჯოჯიკიზე უფრო ხანგრძლივად მიცხოვრია ისპაჰანში და კარგად ვიცი სულტანის გულმხეცობის აზბავი.

ამიტომაც ფრიად დამაფიქრა მესტუმრეთუხუცესის — ამირ ტეგვას ამგვარმა გაფრთხილებამ.

ამირ ტეგვა დივანხანიდან მობრუნდა გვამცნო:

მხოლოდ დღეს ჩამობრძანდა სულტანი და სვალისათვის გაწვიათო, სხვა ელჩებთან ერთად.

ბარე სამი „ხვალე“ გავიდა.

თვითაც კარგად მოგეხსენებათ, ისპაჰანის სასახლის კარისკაცი განგებ ართულებენ სულტანთან სადარბაზოდ მისვლას, რათა კარგად შეაგნებინონ მის ნახვის მოსურნეს, თუ რამდენი ჯაფაა გადასატანი, რათა „სარწმუნოების ზედსაყრდენის“ ხოლმე „ქორსოს, „ზიშია“.

ნოების ზედსაყრდენის“ ხოლმე „ქორსოს, „ზიშია“.

ამ აუტანელ პაპანებამ, რომელმაც ელჩებს, მოციქულებს, სათაყვანოდ მოსულ ამირებსა და ხოჯებს, მეძღვნეებსა და შორეული ქვეყნების დიდვაჭრებს მსტოვარებსა და მსტოვართმსტოვარებს.

გვალოდინებდნენ...

გვალოდინებდნენ ჯერ მზვარეში, მერმე დივანხანას წინამდგომი მოიყვანდა წერაქცულიან ზანგებს.

გავატარებდნენ სასახლის სვეტებიან კარიბჭეებთან, სადაც ქვის ლომებს შორის ჯაჭვებით დაბმული ცოცხალი წვანან და დერინავენ, იმ სპილოების მახლობლად, რომელთაც ურწმუნო ასასინებს და მწვალებლებს მიუგდებენ ხოლმე გადასათქვრად.

მისაღებ დარბაზში მიგვიყვანდნენ, აქ უზარმაზარი ფარჩის ფარდა ახდილი დაგვიხვდებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გვალისა ამირ ტეგვამ მრავალგზის აღთქმული „ხვალე“.

დიდის ზეიმით წამოგვასხეს მაიდანთან ისპაჰანის სასახლისაკენ.

ჩვენ შორის იყვნენ, ხატკეთიდან, თურქმანების ქვეყნიდან და ჰინდუსტანის მაჰარაჯების სახელით წარმოგზავნილი ელჩნი საომარ სპილოებზე აღმზედრებულნი, დიდვაჭარნი, ბიზანტიის კეისრისა, იკონიისა და ნიკეას სულტანთა კაცი სარწმუნონი.

ჩვენს უკან მოედინებოდნენ აბრეშუმითა და ნაირნაირი ქსოვილებით დატვირთული სპილოები, არაბული ცხენები, ჯორები და სახედრები.

ოთხ მხედარს მოჰქონდათ საღმასურის ჯაჭვის საყურველნი, მათ მომდევნო სხვა ოთხს, აბრეშუმის კარები, ჰინდური შუბები, წვეტმოშხამულნი, ზოგს ქარვის ყავარჯნები მოჰქონდათ.

1 ზიშია — არამუსლიმ. ებრაელს, ბერძენს, ქართველსა და სომეხს უწოდებდნენ თურქნი.

ზოგსაც უზარმაზარი ხმლები ოქროს ხარნიშით მოოკვილნი.

სამ გოლიათურ ვერცხლის თორს სამი ჯორი მოათრევედა, ზოგს ქორ-შავარდენნი და მიმინონი მოჰყავდა თან (ამ ბაზებს უამრავი პატიოსანი თვლები ჰქონდათ ფეხზე დაკიდებულნი), ზოგსაც ბიზანტიური შეძებრები, ორ წყვილად მოდენილ სახედარზე ქარვის ავი დაედგათ, ქარვისავე ნიჩბიანი.

ამ ფასდაუდებელ საჩუქრების პირისპირ ჯოჯიკსა და მე მოგვექონდა ერთი შუბი და ერთიც სპილენძის ფარი, მართალია, ორიოდვე პატიოსანი თვალი ჩავადგმევინეთ იმ ფარში, მაგრამ მაინც ჩვენს მიერ წამოღებული ძღვენი მხოლოდ ამას ამცნობდა დაკვირვებულ კაცს:

თუ თავს დაგვესხმებით, შუბითა და ფარით გაგიმასპინძლდებითო.

ჩვენ ასეთი რამ თქვენგან ნაბრძანი არა გვექონდა, მაგრამ რაკი უძღვნოდ არ მიგვიღეს სასახლეში, ეს ხერხი მოვისაზრეთ ჩვენის მოკლე ჰკუთთა.

ისპაჰანის სასახლემდის რა მივალწიეთ. წერაქვეულიანი ზანგები და თურქომანი შუბოსნები წინ შემოგვეგებენ.

მეძღვენენი, დიდვაჰარნი და მსტოვარნი დაამწყრივეს, ხოლო ელჩნი და კაცნი სარწმუნონი დიდ კარიბჭესთან მიგვიყვანეს.

კარიბჭეთა სვეტის თავებზე პირდაღრენილი ლომების ქანდაკებანი იდგნენ, მხარმარჯვნით ჯაჭვით დაბმული ლომები დვრინავდნენ, ხოლო მხარმარცხნით სულტანის საომარი სპილო იდგა.

კარიბჭეში შესულთ წინ შემოგვეგებნენ მესტუმრეთხუცესი — ამირ ტეგვა. დივანხანას წინამდგომი ამირ ბენ ანიმა, სულტანის მეხმლენნი და სუფრაჯნი.

მესტუმრეთხუცესი და დივანხანას წინამდგომი წინ წავგიძღვენენ და მივეყვით ვენახით და ხატური გლიცი-

ნებით დატვირთულ ხეივანს, სულტანის საზაფხულო ფანქარებზესავე მიმავალს.

ხეივანის გაღმა-გამოღმა ზანგი და თურქომანი მხედრები იდგნენ, მათი წოწოლა ქედები სირაქლემის ფრთებით იყენენ დამშვენებულნი.

ბოლოს მივალწიეთ დივანხანამდის, რომლის გვერდით მოთავსებულია ელჩებისა და სარწმუნო კაცთა მოსასვენებელი ფანატური.

დივანხანას მხარმარჯვნით და მხარმარცხნით არაბ მეჯინიბეებს ჩაემწყრივებინათ ოროცდაათი თეთრი ცხენი, რომელთა ძუა-ფაფარი ინით იყო შეღებილი, ამ ცხენებს ასალის ნაკვალად ფოცხვერის ტყავებით ჰქონდათ დამშვენებული გავა.

ზედ დივანხანას კარებთან ხუთი თეთრმენდლიანი მეჯინიბე გვერდს მოსდგომოდა ხუთ არაბულ ულაცს, ამ საომარ ცხენებს ბაჯალლო ოქროთი შემკული უნაგირები ზედ ედგა, ხოლო მათი სამკერდენი და საძენი დიდრონი აღმასებით შეემკოთ.

უზარმაზარ შადრევანის წინ ოქროს გეჯები იდგნენ სულტანის ცხენების დასამწყურვალებლად ხმარებულნი.

ლაწინაურდა ამირ ტეგვა და გვამცნო:

„აბუ მუსაფერ რუენ აღდინ ბარქიარიკ, ირანისა და არაირანის სულტანი, საზაფხულო სასახლეში მიგიღებთ სტუმრებს“.

საზაფხულო ფანატური ხილის ბაღის შუაგულში იყო გამართული.

დიდი დარბაზის მარმარის სვეტებს შორის გაბმულ ოქროს შიბეპზე ეკიდა ლომებითა და ფარშავანგებით მოხატული დიდი ფარდა, რომლის ორივე ფრთა ჩვენი მუნ მისვლისას კიდები-სავე მისწი-მოსწიეს.

შიგ შუაგულ დარბაზში ვეებერთელა აუზი იყო წყლისა, რომლის ზედაპირზე ყვავილები, ატმები, ყურძნის მტევნები და თურინჯები ცურავდნენ.

უზის კედლებზე გამართულ ხარის-  
ხებიან თახჩებზე ოქროს სურები, ფია-  
ლები, აზარფეშები და სამწღვეურები  
ჩაეშვქრივებინათ.

შდრევანს გადაღმა კერიდან ჩა-  
მოშვებულ ნოხზე ოქროს ტახტი იდგა,  
სულტან ბარქიაროკი მოღუშული,  
თავჩაქინდრული იჯდა ზედ და ქარვის  
კრილოსანს ათამაშებდა თავისი გრძე-  
ლი, გამხმარი თითებით, რომელთა ნუ-  
შისებრ მოგრძო ნუნები კიასფერი  
ინით იყვნენ შეფერილნი.

სულტანს ზედევა თურინჯისფერი,  
უსახელო „კაჟრდი“, ოქრონემსულით  
ნაკერი სრულად, თავზე წყლისფერი  
მენდილი ეხურა, ბერძნული თხილის  
ოდენა აღმასი ბრწყინავდა ზედ, ხო-  
ლო თავსაბურავის მისის კოწოლს წე-  
როს ფრთები ჰქონდა დატანებული.

სულტნის გვერდით ოქროსვადიანი  
ხმალი იდო, ვერცხლის მშვილდი, ერ-  
თადერთი ისარი და სპილოს ძვლის  
კაპარჭი.

სულტნის მხარმარცხნით იდგნენ  
ვიწრომხრებიანი თებოვანიერი ყმა-  
წვილები ბარე ოცდაათი, როგორც  
გვიან გავიგეთ, ესენი ყოფილან მცირე  
სულტნებისა და ამირების ვაჟები,  
მძველად გამოგზავნილნი ისპაჰანის სა-  
სახლეში, ზოგიც სულტნის ჰარამხანის  
მამშვენებელნი.

ულამაზესი მათ შორის შერისტანე-  
ლი კაბუჯი თავზე ადგა სულტანს. მას  
დიდი მარაო ეკირა ზელში და აგრი-  
ლებდა ოფლიანს. ეს მარაო კეთდება  
თურმე ჰინდუსტანის ზღვის ერთგვარი  
ცხოველის. „მაჰერი კუტას“ ბოლოსა-  
გან.

სულტნის მხარმარჯვნივ ოქროპე-  
დილ სელზე იჯდა მხარგრძელი, თო-  
როსანი ვაჟაკი, რომელსაც მაღალი,  
შავი მენდილი ეხურა თავზე.

ქროლა თვალები ჰქონდა გრძელკი-  
სურა და ლაწვემალალ თურქომანს. რო-  
გორც გვიან გავიგეთ, იგი ყოფილა  
ბაღდადის მოურავი, ნეჯამ აღღინ

ილლაზი, რომელიც თავის დროზე  
ანისს თავს დაესხა. იგუჯერეს უღრის  
სულტან ტუტუმს შუგულმანსაჟუჟა-  
როკთან ბრძოლაში, ამჟამად ბარქია-  
როკის მემხრე ამირთა ამირებს შორის  
პირველია.

ილლაზის გვერდით უსხდნენ იზ  
აბუ აბდალაჰ მოსეინ, ლისტიფიასუბ-  
ცესი, ტულრისმცველი, სხვა ამირები  
და დიდებულნი.

ელჩები, მოციქულები და სარწმუნო  
კაცი რიგრიგად მიჰყავდათ სათაყვა-  
ნოდ სულტანთან.

მე გაშვებულნი ვიდგეი და ვუთვა-  
ლავდები, როცა ამირ ტეგგამ და  
ამირ ბენ ანიმამ ორივე ხელი წაავლეს  
თითო მკლავზე ჯოჯიკის და ასე ხე-  
ლებგაყრული მიჰგვარეს იგი სულ-  
ტანს.

სტუმრისათვის მკლავში ხელების  
წაველება შემოიღეს სულჯუეიანთა  
სულტანებმა მას შემდეგ რაც სულტან  
აღფ არსლანს, ვითომდაც სათაყვანოდ  
მოსულმა, ასასინმა იატაგანი ამგვრა  
მუცელში.

როცა ჯოჯიკი სულტანის მუხლებს  
მიეახლა, კარგად ვხედავდი, თუ რო-  
გორ დაიხარა იგი ძირს, ზედ მუხლამ-  
დის მიიტანა ტუჩპირი, მაგრამ არ  
უკონია ზედ.

სულტანი თრიაქნასავამი სჩანდა, ისე  
ქუტავდა იგი თვალებს. ვგონებ არც  
შეუნიშნავს მას ეს ამბავი, მაგრამ, რო-  
ცა გავიფიქრე: ვაჰ, თუ ამირ ტეგგამ,  
ან ამირ ბენ ანიმამ ეს შენიშნეს მეთქი,  
თიბები ყალყზე დამიღდა შიშისგან.

მუხლზე მთხვევის შემდეგ ზემოთ  
ხსენებულ ორივე ამირს სტუმრები  
მიჰყავდათ დარბაზის ბოლოს, სადაც  
დიდდიდნი ამირნი, დიდებულნი და  
სულტანის ნათესავნი ისხდნენ დაბალ  
სულებზე.

სარწმუნო კაცთა მხლებელნი და  
თარჯიმანნი განზე გაგვიყვანეს და  
დაბალ საეარძლებზე დაგვსვეს, ჩვენს



ქვემოთ ისხდნენ მეტრიონი, მუშათნი, სახჯისა და ცამშარას დამკვრელნი და მოცეკვავენი, რომელთაც „კახბუქას“ უწოდებენ თურქნი.

ვიდრე ელჩებსა და მოციქულებს სათაყვანოდ მიჰკვრიდნენ სულტანს, ამირ ტეგგა წინასწარ ურჩევდა მათ: მოკლედ მოეხსენებინათ საუწყებელი სულტანისათვის, რადგან ბარქიაროვს გრძელი ლაპარაკი სძულსო, აგრე არწმუნებდა ყველას.

განა მარტო გრძელი საუბრის მოსმენა არ შეუძლია ბარქიაროვს, დიდტანიანი წიგნებიც სძავს, აგრე ამბობს თურმე: ყურანის გარდა ყველანი დასწეთო დიდტანიანი წიგნები.

სულტანი თითქმის ყველას გასხიპული თავაზიანობით ეგებებოდა, მხოლოდ მაჰარაჯას ელჩთაგანს გაულიმა ერთს თავაზიანად, თავს უქნევდა ამირებისა და მცირე სულტნების მიერ წარმოგზავნილ მეძღვენეთა, სამაგიეროდ მოღუშული შეხედა როგორც ბიზანტიის კეისრის მოციქულს, ისე ჯოჯიკისა და სომეხთა მთაერების სარწმუნო კაცთა.

ბოლოს დაწინაურდა ამირ ტეგგა და დიაცური წვრილი, წვრილი ხმით ამცნო სტუმრებს:

სულტანთა, მეფეთა, ამირთა და მთავართა მიერ წარმოგზავნილ ეტრატებს დივანხანა ამ დღეებში გაარჩევს და თავის დროზე პასუხს მიიღებენ ელჩნი, ახლა კი ირანისა და არა ირანის სულტანს მოლხენა ნებავსო.

სტუმრები ვაკვიყვანეს სასადილო სეფე-დარბაზში და კილიდან კიდემდის გრძლივ გაკიმულ სუფრას მოუსხეს.

ხალასი ოქროისა და ვერცხლის ჭურჭელი და იდგა ირგვლივ, ფირუზისფერი ქაშანური თეფშები, ბროლის ფიალები და ვერცხლის სურები.

სულტანის, ამირთა და დიდებულთა წინ იდგნენ ოქროს სინები, ლანგარები, ზურმუხტითა და ლალით მოოჭვილნი „სურაბი“ და „ფიალი“.

ჩემს გვერდით მჯდარმა მისიკლმა სომეხმა წამურჩულა: *ეგრე ვენუსლი* „მთელი ეს ჭურჭეტი მსაქარაფიქრისა და სომხეთის მეფეთა საჭურჭლეებიდან, ზოგიც ბიზანტიელ დიდაზნაურთა სასახლეებიდან გახილული აქეთ სელჯუკიანებს“.

ოქროს ლანგარებით შემოჭონდათ რამდენსამე სუფრაჯის ნაირნაირად შეფერილი ღრინჯის კერძები, ქიშმიშითა და შაქრით დამტკბარნი.

სულტანის მახლობლად მსხდარნიც მღუმარედ სკამდნენ, მეტ წილად ხელით.

როცა ბატენის ხორცილ შემზადებული კერძები მოიტანეს სუფრაზე, თავით სულტანი და ამირები ხელით მისწედნენ ბატენის ბარკლებს, კბილით ღრღინდნენ ძვლებს, მერმე ილოკავდნენ თითებს, ამოყინებდნენ, შეისყვენებდნენ მცირეს.

ერთ ორ სიტყვას გადაულაპარაკებდნენ ურთიერთს, ისევ სკამდნენ და კიდეც ამოყინებდნენ...

თავით სულტანი თავჩაქინდრული შეეცქოდა თავის ულუფას, ერთ ორჯერ ლისტიფიასუხუცესი მოხხმო, რალაც წასჩურჩულა და ისევ დაითრია მორიგი ბარკალი.

ამირ ბღლაზი ნადირივით გლეჯდა ხორცს, ახრამუნებდა ძვლებს ხელის ვულით იწმენდა თავის სქელ ლაშებს, ხანაც იმავე ხელით შუბლზე ჩამოღვარულ ოფლს იხოცდა და მორთავდა ბოყინს...

ერთბაშად გაისმა სახჯის ხმა, გამოჩნდნენ ყვითელჩაჩიანი მასხარები, ისინი რალაცას ოხუნჯობდნენ, მაგრამ ბარქიაროვს არ ეცივნებოდა, მხოლოდ ამირები ხარხარებდნენ.

ამირ იღლაზი განავრძობდა ბატენის ბარძაყის ღრნას, იგი ძვლის ნამუსრევს მოურიდებლად იყრიდა ფერთხთით.

მოდიოდნენ სუფრაჯები, ნაირნაირი

კერძებით დატვირთულნი ოქროს ლანგარები მოჰქონდათ კვლავ.

მე და ჯოჯოკი კრიჭაშვიკრული ვისხედით, თავაზიანობისათვის ვეციცქნიდით ოდნავ, რადგან მათი ქიშმიშიანი და დამაქრული კერძები, გულის ამრევად გვიჩნდა, თანაც ვნატრობდით, რაც შეიძლება მალე შემოგეტანათ სუფრაზე ღვინო, რათა მეინახეთა დათრობით გვესარგებლნა და სასახლიდან გაპარვა მოგვეხერხებინა როგორმე.

ბოლოს მოვიდა სუფრაჯი-ბაში, მის უკან მომავალმა მსახურებმა მოართვეს სულტანს და მის გვერდით მსხდარ ამირებს გარეული ვირის მწვადები.

გარეული ვირის ზორცი, სულტნის საყვარელ კერძად ითვლება, ლექსიც ცნობილია ისპაჰანში ამგვარი:

„გერ ბირჯან კუნელ ბაჰამ ვერი,  
ნემენ შაი მალა ბაშენ სემური.“<sup>1</sup>

სადილი რა მოთავდა, ოქროს ტაშტი და სურაჰი ჩამოატარეს ტფილი წყლით დაგვაბანინეს ხელები.

ამირ ტეგვამ წამოიძახა:

„სუფრე შაკინე, სულტანე დოვლათინე.“<sup>2</sup>

ისევ დაწინაურდა ამირ ტეგვა და ამცნო სტუმრებს:

ახლა ქეიფს იწყებსო ირანისა და არაირანის სულტანი, თანაც გამოგვიცხადა:

თქვენ სასახლის ბაღში შეიცადეთ, ჯერ სულტანი წაბრძანდება ჰასარჯირბში, შემდგომ ამისა ცხენებს მოგართმევთ ამირაზორი და წამოგიყვანთო.

ჰასარჯირბი სულტნის ნაკრძალია, ისპაჰანიდან ორიოდე ფარასანგით დაშორებული.

ულრან ტყეს რამდენიმე ფარასანგის მანძილზე გაციმულს, გარს არტყია ძალი გალავანი აგურის მარქვანულს. ამ ტყეში უამრავი ტყეზინაღმსობა, აურაცხელი გარეული ვირი, შველი, ირემი, ხოხობი, კურდღელი და სხვა მისთანანი.

ორიოდე საათით ადრე ვიდრე სულტანი და მისი ჰარამხანა ჰასარჯირბში სანადიროდ გაემგზავრება, მაიდანზე გამოვლენ ბუკით აღქურვილი მამახურნი და მედუმბულენი, შემზარავი ხმით, ამცნობენ ხალხს:

სულტანი მობრძანდებაო.

ბუკის ხმას, დუმბულის ცემას და მამახურების ყვირილს რა შეიცნობენ მღაბიორნი, ელვის უსწრაფესად იცლებნა როგორც მაიდანის, ისე მახლობელი ქუჩები და ქუჩაბანდები, თავზარდაცემული ბრბო სარდაფებს აფარებს თავს, რადგან ვისაც სასერიოდ გამოსულად შეიცნობენ, თავებს დააყრვეინებენ სულტნის მეხმლენი.

ამირები და დიდებულნი უკან მისდევდნენ ცხენდაცხენ სულტანს, ბოლო ამ უკანასკნელთ ცხენებზე აღმხედრებულნი სიძვის ბიჭები და საჭურისები მიჰყვებოდნენ.

სულტან ბარქიაროკს ვირებზე ნადირობა ჰყვარებია თურმე.

შევედით თუ არა ჰასარჯირბში, მყისვე საფარველი ახადეს ავაზებს და სულტანი ცხენდაცხენ გამოუდგა გარეული ვირების ჯოგს, რომელიც საგანგებოდ გამოორქევს მარეკებმა იმ წუთში.

სამინელის სისწრაფით მოსწყდნენ ავაზები და გამოუდგნენ დამფრთხალ ჯოგს ვირისას. ზოგს უკან ფეხში წაატანდნენ კბილებს, ზოგს ზურგზე შეახტებოდნენ, გაინაპირებდნენ, სადმე კატაბარდში და მიუწყებოდნენ გაგუდულ მსხვერპლს.

და როგორც სნეულის სხეულზე მიშველებული წურბლები გაიტყინებიან სისხლით, მოვა აქიმი და მოძრაო-

<sup>1</sup> ბაჰამს შემწვარი ზორცი აქვს ვირისა, დატყებს იგი ამ სანუკიარი კერძით, დეე, შენს თვალში უფრო უმნიშვნელო ხყავს, ვიდრე ფიჭი ბოთომალისა.

<sup>2</sup> აქურბე (უფალი) ეგ სუფრა, ამრავლე დოვლათი სულტანისა.

ბის უნარდაკარგულთ უწყინრად ჩამოხვეტს ძირს, ასე მიდიოდნენ სისხლით გაღებულ ავაზებთან მენადირენი და მოაცილებდნენ მათ ვირის ლეშებს.

როცა გამაძლარი ავაზები უკვე აღარ ვარგოდნენ სანადიროდ, სულტანმა და მისმა ამირებმა სხვა ჯოჯი ვირებისა შინ გაიგდეს, ცხენდაცხენ, ჯერ ისრები დაუშინეს, მერმე წამოეწიენ დაოსებულ ნადირს და ხმლით დაუწყეს ჩეხვა.

ვირებზე ნადირობის დროს მოხდა ასეთი ამბავი:

ჯოჯის დევნისას ბარქიაროკს თან ახლდა ორი უწვერული ჭაბუკი, ერთი ჰამადანელი, ხოლო მეორე ხეზისტანელი.

ჯერ ჰამადანელს უბრძანა სულტანმა წამოსწოდა ჯოჯის უკან მორბენალ ვირს და ისრით მოეკლა იგი. ყმაწვილმა ცხენი გააჰვნა, ესროლა ისარი. მაგრამ დააციდნა ოტებულს.

ხეზისტანელმა სიცილი დააყარა ხელმოცარულ მონადირეს. ჰამადანელმა დაწინაურება აცალა სულტანს, მიუბრუნდა ხეზისტანელს და ხმლით წააცალა მარჯვენა ყური.

სულტანი ვაცოფდა, მენადირეთუხუცესს უბრძანა, ორივე ყური დაეჭრათ ჰამადანელისათვის.

მენადირეთუხუცესს შეებრალა ყმაწვილი, არ შეასრულა სულტნის ნაბრძანა, დაქვეითდა, სულტნის ცხენის ფეხებს შემოხვია ორი მკლავი და ეაჯა პატრონს: მამატიეო ეს ურჩობა ამ ჯერად.

ადექიო!

უბრძანა სულტანმა.

როცა მენადირეთუხუცესი წამოდგა, ხმალი გადაუქნია სულტანმა. ორივე ყური დაათალა, ხელში მისცა მათ პატრონს და დასძინა:

რაკი სულტნის ბრძანება აღარ ესმით ამ ყურებს, აღარ დაგვირდებო ამიერიდან ისინი.....

უკვე შეღამებული იყო, როცა ნადი-

რობიდან მობრუნებულნი სულტნის ბაღში მიგვიყვანეს. ხეებს შორის გაბმულ მოოქროვილ შიბეზე, ვერცხვით ფარები ეკიდა. ბაღის კიდეს დიდი აუზი იყო წყლისა, აუზს გადაღმა ფირუზისფრად მოკიჭული სასახლე. ძალათალიან ფანჩატურებს ქვეშ მადრევენები სჩქეფდნენ, ამ სასახლეს სარკის იატაკი ჰქონდა, მოკიჭული კედლები და ჭერი, ასე რომ შიგ შესული მრავალგზის ხედავდა საყუთარ ლანდს.

ჭეიფის თავეციობა იურვა ნიზამ აღმუკის ვაჟმა, იზხ აბუ აბდალაჰ მოსეინმა, ბაგრატ მეფის დისწულის შვილმა.

მოსეინი თავდაპირველად პაწია ფილებით მიართმევდა სულტანს ტყბილღინოს. ბუზღუნებდა ბარქიაროკი: დიდდიდნი მოატანიეო!

ისევე გამოვიდნენ მუყაოს ჩაჩიან მასხარები, ამოდ იჯღანებოდნენ, მაგრამ არავის მოუნდა სიცილი.

წარბები მოღუშა სულტანმა, ამირ ტეგვამ გარეკა მასხარები, ახლა პინდოსტანელი მოცეკვავე დიაცნი შემოვიდნენ, მცირე ხანს ცეკვავდნენ ისინი; ისევე მოიღუშა სულტანი, ახლა ირანელი მესანჯენი და ნახევრად შიშველი „კახბეჰა“ მოაყვანიდა ამირ ტეგვამ.

როცა ეს უკანასკნელნიც დაითხოვეს და ბარქიაროკის სიძვის ბიჭებმა დაიწყეს ცეკვა, საასპარეზოდ გამოვიდა შერისტანელი ჭაბუკი ეწრომსრებიანი და გრძელკისერა. ლურჯთვალეზასა და ფერმკრთალს ისეთი პაწია უღვაშები ჰქონდა ტუჩების კუთხეებში, როგორც ახლადშეღვრებულ ქალწულს აჩნია ხოლმე ზოგს.

ტანკენარი ჭაბუკი ცეკვავდა თავდავიწყებით და წაბლისფერი კელღლები მის პაწია, იჯიშიან ყურებს ეცაცუნებოდნენ, მისი ლელივით რხეული ტანი ტოკავდა სანჯის მომჯადობებულ ხმაზე. და როცა იგი სულტანს მიეახლებოდა



ცეკვით და მონურად თავს დაუკრავდა, ხშირი კულულები გადმოედვრებოდა მარმარისებრ თეთრ შუბლზე.

სულტანმა ღვინის სმას უმატა.

დასცილიდა ფიალას, თვალს შეაქვლებდა მოცეკვავებს, ისევ დასცილიდა და კვლავ მოითხოვდა ღვინოს.

როცა შერისტანელმა კაბუქმა ცეკვა მოათავა, ფეხზე ეამბორა სულტანს, თავათ გაღვარულმა ოფლში, კვლავ ზელში აიღო უზარმაზარი მარაო, მაჰერი ეტას ' ბოლოსაგან გაკეთებული და სულტანის გაგრილებას შეუდგა.

ბოლოს სულტანი აუყვირდა პოსეინს:

„მოშიტანეთ გაფრჯისტანის ღვინო, შენ ხომ სანახევროდ გაფრჯი ხარ, მეც ძლიერ მიყვარს გაფრჯისტანის ღვინო.“

ბარქიაროცმა შენიშნა ერთ მოხუცებულ სუფრაჯის უხალისოდ მოჰქონდა ქართული ღვინო.

სულტანმა ამოშობინა სუფრაჯი.

ვეებერთელა ფიალა წინ დაუდგა.

ხმალი გააძრო. გვერდით დაუდო ფიალას და უბრძანა სუფრაჯის:

დალიეო.

მოხუცმა დაუნოქა თავის პატრონს:

ეაჯა: მე ვერ ვსვამო გაფრჯისტანულ მწარე ღვინოს.

დალიეო, კვლავ უყვია სულტანმა.

ფიალა ზელში აიღო სუფრაჯიმ. მოსვა მცირედი. ვაგლახად დაიღრია და დაუცლელი ფიალა სუფრაზე დადგა.

მაშინ ხმალი აიღო სულტანმა და ბარძაყში აძგერა მოხუცს.

როცა ამირ ტევამ გასისხლიანებული სუფრაჯი გააყვანინა, სულტანი შერისტანელ კაბუქს მიუბრუნდა:

„შენ ხომ ერთგული ხარ სულტანისა.“

„სიკვდილამდე, ჩვენო პატრონო.“

მღეგო შერისტანელმა.

„მამ დალიე.“!

შერისტანელმა კაბუქმა მსმალ-მოსცალა, ბარბაციტ წარსულს წყვეტა რეული, მუხლის თავზე შემოეხვია სულტანს და წამოიძახა:

„ღმერთო აცოცხლე ჩემთვის დიდი სულტანი მრავალყამიერ.“

ეს ისე მოეწონა ბარქიაროცს, აღმასისვადიანი ოქროს ხმალი მოატანინა ლისტიფიასუხუცესს და უბოძა ყმაწვილს.....

ასეთ უთავყამო ქეიფს ეუშვირეთ ჯოჯიკიმ და მე გათენებამდის, არც მწარე ღვინოს გვაძალბდა ვინმე და არც ტკბილს.

ქეიფის მიწურულში გაღეშილი იზა აბ-აბდალამ პოსეინ მოგვეხლა, თავაზიანად გამოგვეცნაურა, ღვინო შემოგვთავაზა:

კეთა დაგვარიგა: ურჩიეთ თქვენს მეფეს დაუდს, უკან წაიღოს თავისი პასუხი, თორემ დიდძალ სპას წარმოგზავნისო სულტანი...

ჯოჯიკი მღმებარედ უსმენდა მთვრალს, არც პოს ეტყოდა, არც არას.

იმ დილით აიჩემა სულტანმა: ახლა წეროზე სანადიროდ წავიდეთო.

უგონოდ მთვრალები იყვნენ, როგორც სულტანი, ისე ამირ ილღაზი, დანარჩენი ამირები და დიდებულნი.

ბარქიაროცი თავის ცხენს ფაფარზე წაეპოტინა, მაგრამ უზანგში ფეხის შედგმა ველარ შესძლო, ამირ ტევამ ორი მეჯინიბე მიჰგვარა, სამმა კაცმა ძლივს აათრიეს უნაგირზე იგი.

ამირებიც შესხდნენ, მათრახებს აღლმუნებდნენ, უთავყამოდ დაჰქნებდნენ ცხენებს, მაიღნის ენაზე ილან-ლებოდნენ.

ბოლოს გული აყრია სულტანს; ისევ ჩამოათრიეს ცხენიდან, დიდხანს იყო ამონერწყვით გართული, ბოლოს წელში გაიმართა და ყვიროდა:

1 მ ა ზ რ ი ე ტ ა — ჰანდესტანის ზღვის ცხოველია ერთგვარი.

მთელ ქვეყანას გაეყვებით ხმალში. წვერულეაში ნარწყევში კქონდა ამოზუზული, მაგრამ ვერაინ უბედავდა ამის თქმას.

ბოლოს ხმალი ამოიღო, თავით ბრუნავდა, ხმალს ატრიალებდა ჰაერში, იგიც მიიდანის ენაზე ილანძლებოდა, ამირები მის გარშემო ცეკვავდნენ, ყოივნებდნენ და ერთსადაიმევე თურქულ სიმღერას ვეიროდნენ.

და ეს სიმღერა აგრე იწყებოდა:

...ჩვენი მხედრები მთელ ქვეყანას  
გადათქერავენ,  
რუმის სამეფო ჩვენ გაეთელეთ  
ცხენების ფლოკვით,  
გაიურები ისპაჰანში მოდიან  
ჩოქვით,  
ჩვენს იერიშებს ვეღარ უძლებს  
უკვე ვერაინ,  
ჩვენი ცხენები მთელს ქვეყანას  
გადათქერავენ“...

\*  
\*  
\*

სამი დღე გავიდა და დივანხანას წინამდგომმა ამირ ბენ ანიმამ ისპაჰანის სასახლეში გეიხმო ჯოჯიკი და მე.

როცა წერაქვეცულიანმა ზანგებმა დივანხანაში შემოგვიყვანეს, მუნ დაგვხვდნენ ორხოვაზე ინახით მწოლარე ამირ ბენ ანიმა და ამირ ტეგვა.

ისინი ნარგილეს შეექცეოდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ. ჩვენი შემოსვლა რა შეიცნეს, დივანხანას წინამდგომმა ნარგილეს საპირე გამოილოლაშებიდან, განზე გადააპურკყა და შეგვეკითხა:

„თქვენ შორის რომელია სარწმუნო კაცი გაურჯისტანის სულტანისა?“

ჯოჯიკიმ მიუგო:

მე ვარო.

ამირ ბენ ანიმამ უემურად ახედდა-ხედა ჯოჯიკის. არაფერი სთქვა, მერმე მე მომიბრუნდა:

„შენ ვინლა ხარო?“

მე მისი ნაცვალი დახლოვარდი და თარჯიმანი-მეთქი.

ამირ ტეგვამ ნარგილეს საპირე ძიამვირა ჯოჯიკისაყენ და ეუბნება დივანხანას წინამდგომს:

„ეგ ის ზიშიაა, რომელმაც არ ინება სულტანს მთხვევოდა მუხლზე.“

დივანხანას უფროსი უარესად მოიღუშა, ისევე გადააპურკყა განზე და უთხრა ჯოჯიკის:

„შენ იცი თუ არა, უფალო, მრავალი ასეული ათასი მართლმორწმუნე რომ ნატრობს სულტანის მუხლებზე მთხვევას?“

ჯოჯიკიმ მშვიდად მიუგო ამირ ბენ ანიმას:

„იმის გამოძიება, თუ რამდენი მუსულმანი მიელტვის თქვენი სულტანის მუხლზე მთხვევას, ჩემი საქმე არაა, უფალო.“

რაიცა შემეხება პირადად მე, ერთადერთი კაცი მეგულება ამ ქვეყნად, ვისაც სიამოვნებით ვემთხვევი მუხლებზე, და ეს გახლავთ ჩემი მეფე და ჩვენი პატრონი.“

ახლა ამირ ტეგვამ გადააფურთხა განზე და ეუბნება ჯოჯიკის:

„იმ ღამეს სტუმარი იყავი ჩვენი, ამიტომაც მე არ ვამცნე ეს ამბავი სულტანს, ეგ შენი ბედი, თორემ სპილოს გადავათქერიებდით შენს თავს.“

რადგანაც შენ ჯერ ყმაწვილი ხარ და გამოუცდელი, ამიტომაც ჩვენ ორივემ გადავწყვიტეთ, სულგრძელად მოგვეკეთ.

იმისათვის რაც იმ დღეს ჩაიდინეთ, გარდა ამისა, დავუდ მჭფის თავხედური წიგნის მოტანისათვის, ქაშანს გაგავზავნით დღეს ხეალ...

ბოლო თქვეს პატრონს. ხარაჯახე ღარის თქმისათვის, საკადრისს პასუხს გასცემს დიდი სულტანი სულ მალე.

თანაც გირჩევ, კაბუკო, ყურანის ლექსი მიინიშნო ერთი:

.....და დღესსა ერთს ურწმუნოებს



ცეცხლს შეუტზნებენ და ეტყვიან: მამ  
გემთ სასჯელი ესე მუქაფად ურწ-  
მუნობისა თქვენისა...“.....

ჯოჯიცი ქვეშეცნულად მიხვდა, ქა-  
შანში გაგზავნა სასიამო ამბავს არ  
წარმოადგენდა, მაგრამ იმ წამების გა-  
მო, რომელიც მუნ განმზადილი იყო  
ძისთვის, რა თქმა უნდა მიახლოებული  
წარმოადგენდა არა ჰქონდა.

დავით მეფის ბრძანებისამებრ მე არა  
ერთხელ ვყოფილვარ ქაშანში, ცხენე-  
ბისა და თორ-აბჯარის შესასყიდელად,  
ამიტომაც წინასწარ ვიცოდი ბევრი  
რამ.

ქაშანს აგზავნიან ჩვეულებრივად  
ასასინებს, მწვალებლებსა და სულტა-  
ნის ოჯახის წევრთა სიცოცხლეზე ხელ-  
მყოფებს.

მე ერთ წუთსაც არ მოვცილებივარ  
ჯოჯიციის, მაგრამ განზრახ არაფერი  
ვამცნე, რადგან კარგად მესმოდა გან-  
საკდელზე უფრო სამძიმო მისი მოლო-  
დინი რომ არის.

ქაშანი შემორტყმულია თიხის გა-  
ლავნით, რომლის წრიული სიგრძე  
რამდენსამე ფარასანგს აღემატება.

ეს ქალაქი ცნობილია საჭურველის  
ოსტატებითა და ქაშანური ფაიფურის  
ხელოვნებითა. აქ დიდძალი აბრეშუმში,  
ქსოვილები და ბეწვეული მოაქვთ ჰინ-  
დუს ქვეყნებისა და ხატაეთის დიდ-  
ვაჭრებს.

ქაშანში უწყლობაა ზაფხულობით  
დიდი, რადგან აუტანელი ჰაბანებისა-  
გან უფსკრულში გათხრილი კებები შრე-  
ბიან და ამის გამო მრავალი ათასი  
მდაბიორნი უწყალოდ იხოცებიან.

ყოკა წყალი ამ დროს ერთი დინარი  
ღირს, უპოვარნი და გლახკანი საკუ-  
თარ შვილებს ჰყიდიან ამ ხანებში ქა-  
შანის ბაზარზე. საერთოდ მონებით  
ვაჭრობა ნიადაგ ჰყვავის ამ ქალაქში.

ქაშანი ცნობილია თავის მორიელე-  
ბითაც. ასე რომ, როცა თურქნი ვინმეს  
დასწყევლიან, აგრე მიაძახებენ:

„აქრახ ქაშან და ბესტ სენეტ“.

ქაშანის მორიელმა დაგვესლოსო  
თითქმის ყოველ სახლში ათასობით  
ბუდობს ცერის სიმსხო ~~მეტი~~  
მორიელი.

იქაური მორიელი ძლიერ წააგავს  
მდინარის კიბოს, ოღონდ ესაა, მო-  
რიელს კიბოსებრ წამახული ღინგი  
როდი აქვს, არამედ უფრო ბლავვი და  
როცა იგი გარბის, ზეაწეული აქვს ბო-  
ლო.

განა მარტო შავი, ცეცხლისფერი მო-  
რიელიც ბევრია ქაშანში, ზოგიც მო-  
ხარშულ კიბოსებრ წითელი.

ზაფხულობით ქაშანის მოსახლეობა  
მრავალგვარი საშუალებით იგერიებს  
ამ მორიელების შემოსევას. მდიდარ  
სახლებში მალაღ ხარაჩოებს „ჯარ-  
პაის“ გამართავენ ხოლმე, დიდი და  
მცირე ამ ჯარპაიზე გაიტანს თავის  
ლოგინს.

ხოლო უპოვარნი, რომელნიც ჩვეუ-  
ლებრივად მიწურებში ცხოვრობენ, ან  
მაიდანზე ათევენ ღამეს, ათასობით  
იხოცებიან, ასე რომ ქაშანის ქუჩებში  
დილით გველილი ფეხს გადააღაჯებს  
ხოლმე მორიელისაგან დაოსებულთა  
ცხედრებს.

არსებობს კიდევ სხვა საშუალებაც.  
ეს არის სპილენძის „აულ“. ამ ფულს  
აღებენ მორიელის ნაკებზე, არც ეგ  
მოეპოვებათ ღარიბებს და ამიტომაც  
მესრს ავლებს მათ ქაშანური მორიე-  
ლი.

ხომ ეგზომ საშინელია ქაშანური  
მორიელი, მაგრამ მასზე უფრო ამაზ-  
რზენია ქაშანური შავი ობობა, რომელ-  
საც „როთელს“ უწოდებენ ქაშანე-  
ლები.

როთელი კვიტიყრის სახლებში ბუ-  
დობს, გარდა ამისა, იგი ეტანება ჯამ-  
ფაზიას მინაგვარ მცენარეს, რომელსაც  
„ტრემენს“ უხმობენ სპარსნი.

ეს ტრემენი ღარიბების ქონებაების  
გარშემო იზრდება, ხანდახან ამ ბალახ-  
ში დაბუდებული შავი ობობის ოჯგო-

ნები აიყრებიან ღამით და სახლებს შეეხიზნებიან.

ცხოველთა შორის ერთად-ერთი არსება ახერხებს როთელის შემუსვრას, აგ არის ცხვარი. ცხვარი ჭამს კიდეცაა როთელს.

ეს შავი ობობა ღამით თავს ესხმის მძინარეს, არც ჭანგით გესლავს თავის მსხვერპლს, და არც ხორთუმით, შიშველ ადგილს მოუძებნის და სითხეს დააწვეთებს გესლიანს. როთელის მიერ დაგესლილი სხვადასხვა რიგად ამქლავებენ ავადგახდომას.

ერთნი სირბილს იწყებენ, ხტიან აქეთ იქით ეხეთქებიან, ზოგსაც სიცილი აუვარდება,

კისკისებს,

ხარხარებს,

ცოფდება.

ზოგი ცეკვას შორთავს,

კეკვავს,

კეკვავს და მერმე ტირილს დაიწყებს, ხოლო ზოგს ძილი დაეუფლება.

როგორც კი გესლი მთელს სხეულს დაივლის, ძილი დაეუფლება მას გაუძლისი, ვერც ნჯღრევით, ვერც ცივი წყლის სხურებით ვერ აღვიძებენ ავადმყოფს...

სელჯუკიანთა სულტანებს ჯერ კიდევ ირანის დაპყრობის დროიდან ქაშანში მოწყობილი ჰქონდათ საწამებელი სახლები, მორიელებითა და როთელით გავსილი.

როგორც მოგვხსენებთ, სულტან ალფ-არსლანისა, ვაჟის მისის მალიქ-შამს და სელჯუკიანთა დიდი ვაზირის ნიზამ ალ-თულეის მოკვლის გამო რამდენიმე ათასი ასასინი შეიპყრეს, ზოგი ცხენის ძუას გამოაბეს, ზოგიც ქაშანში წარგზავნეს და როთელის სახლებში ამოჰხადეს მათ სული.

რადგან ამგვარი სახლი არც ისე ბევრია ქაშანში, სამსამ დღეს ამყოფებენ დამნაშავეებს შიგ, მეოთხე დღეს ჩამოივლიან შუბოსანი ზანგები, გააღებენ ბნელ სარდაფებს იატაკზე მიმოყ-

რილ დაგესლილ ადამიანებს დაღობიან აქლემებს აკიდებენ ლეჩხუმელთა საგოდებელისაყენ წაათხმელობით

ამირ ტეგვას დამტკრებიდან სამი დღე გავიდა.

საგონებელში ჩავეარდით ისპაჰანელი ქართველნი და სომეხნი, აღარ ვიცოდით როგორ გვეშველა ჯოჯოკისათვის. ბოლოს გადავწყვიტეთ ისპაჰანიდან ვაქცეულიყავით როგორმე ცხენები მზად გვყავდა, მაგრამ გამგზავრების წინა ღამით უცნობი შუბოსნები თავს დაესხნენ ჯოჯოკის და ისპაჰანიდან გაიტაცეს.

ჯოჯოკის ბინა ჰქონდა ქართველდენით მოვაჰრის მონასელიძის სახლში. აქ თავი მოიყარეს ისპაჰანში ბინდარმა ქართველმა და სომეხმა დიდებულებმა, სამღვდლოთა, ოქრომჭედლოთა, ცხენებით მოვაჰრეთა და დიდძალი ღირებუმი მოაგროვეს.

გადავწყვიტეთ მე და მონასელიძე დაუყოვნებლივ წავსულიყავით ქაშანს.

ერთი კვირის მანძილზე დაუცხრობლად ძებნისა და გამოკითხვის შემდეგ ცნობა მოგვაწოდა ერთმა სომეხმა აქიშმა ტიგრანიანმა:

დავით მეფის სარწუნო კაცი შეიდ ზანგს ჩაუყვანიათ ამ წინეებში ქაშანს და ჯამეეს გასწვრივ მდებარე „როთელის სახლში“ უნდა ჰყავდეთ დამწყვედული თურქებს.

ეგ შენობაც ჩვეულებრივი მდაბიორული ნაგებობაა სპარსული, ყრუ კედლებით ქუჩისკენ მიქცეული.

ტრემენითა და ჯამფაზით დაფარულია მის გარშემო მდებარე ეზო. კუთხეებში უსარკმლო, ერთკარიანი გოდოლებია, შუბოსანი ზანგები ჩასაფრულნი არიან დღისით და ღამით მანდ.

აქიში ტიგრანიანი დაფაცურდა. ვიღაც ბნელ საქმეთა ოსტატნი გამოსჩხ-

რცა და, როგორც იქნა, ათას დირკემად მოვისყიდეთ ამ სახლის მეთვალურე ცალთვალა თურქი, ვინმე მეხტი ბენ სოლიმან.

მეხტიმ განგეზრახა იდუმალ: სამ დღეს გვეყავდა როთეაღის სახლში ის გაურჯი და თუ არა ვცდები, მოკვდა და სომხების საგოდებელზე წაიღესო ზანგებმა ღამით.

წავედით სომხების საგოდებელზე, ამაოდ ვძებნეთ მუნ დაყრილ უბატრონო ცხედართა შორის, მაგრამ ვერსად ვნახეთ ჯოჯიყის გვამი.

ისევ ვინმეთ ცალთვალა მეხტი და ვეაჯეთ, სიძარტლე ეთქვა ჩვენთვის. მეხტიმ თავისი ყვითელი ღოჯები გამოაჩინა, ვაგლახად დაიჯღანა, კეფაზე მოიფხანა.

„სიძარტლე! კმ!

განა თქვენ არ იცით სიძარტლე გაცილებით მეტი რომ ღირს, ვიდრე ტყუილი?

ერთი ათასი დირკეში კიდევ უნდა სიძარტლეს... ოღონდ არ დამღუპოთ, არ გამთქვათ.“

სოქვა და თავისი ერთადერთი თვალით მოგვაშტერა გამსკვალავი მზერა...

ამ საზიზღარი კაცის შემოხედვა ჩემს სიკოცხლეში არ დამავიწყდება, თავთარუმბივით გაზიზინებული და ახმახი, ზღაპრულ ციკლოპს ჰგავდა მეხტი.

კიდევ ჩავაცეცხლეთ ერთი ათასი დირკეში, სიხარულის შუქი აციმციმდა მარლია კამჩის თვალისებრ მზერაში და წარმოშაქრა მეხტიმ:

„ის გაურჯი დიდხანს ებრძოდა მორიელებსა და როთეაღს, მხოლოდ წუხელ მოკვდა და ჯერაც არ გაგვიგზავნია საგოდებელზე...“

ბევრი ვევედრეთ მოეცა როგორმე ცხედარი, მაგრამ შორს დაიჭირა ასეთი რამ. ეს და დაგვიპირდა:

„აჲლამ სხვა მიცვალებულებთან ერთად ქურთების საგოდებელზე გავატანინებ მის ცხედარს ზანგებს, მერმე თქვენ იცით, საგოდებლის მეთვალურე

მოიმადლიერეთ და სადაც გინდა, იქ წაიღეთ თქვენი მკვდარი.“

ოღონდ იცოდეთ, გათქმულნი ვართ და გაიტანოთ, გვამი.“

გულშემოყრილნი წავედით იმ ღამესვე მე და მონასელიმე ქურთების სასაფლაოზე, მაშხალები თან წავიღეთ და მთელი ღამე ვათიეთ მანდ.

როგორც იქნა საგოდებლის მეთვალურეც მოვიქრთამეთ, ქურთი ვინმე ტიტარა.

ტიტარამ ასეთი პირობა დაგვითქვა: „თქვენ აქ ქვის ყორეებში დაიმალეთ, ცხედრები უთენია მოაქეთ ხოლმე ზანგებს, თუ შზის ამოსვლამდის შესძლებთ თქვენი მკვდრის გატანას, ხომ კარგი, თუ არა და უფრო გვიან ვერ დაგანებებთო ცხედარს.“

თენღებოდა, როცა ფაღნიანმა აქლემებმა მოზიდეს მორიელებისა და როთეაღის მიერ დაგესლილი ცხედრები და მიწაზე დაჰყარეს ისინი. გაუძღისი სუნი ცხედრებისა იდგა მთელ სასაფლაოზე, დაუშარხავნი ეყარნენ წინაღლებში მოტანილი მკვდრებიცა.

ზანგები და აქლემები რა გაბრუნდნენ, ჩვენ ქვის ყორედან გამოფევერით, მაშხალები ავანთეთ და შევეღუქით ძებნას.

უბედობა ის იყო, რომ როთეაღის სახლში უსამოსოდ შეაგდებენ ხოლმე აღამიანებს, შიშველი ცხედრები ხომ ძნიად გასარჩევია ურთიერთისაგან. გარდა ამისა, ეს ცხედრები ისე დასიყვებულნი იყვნენ როთეაღისა და მორიელებისაგან დაგესლილნი, ბარე ორმოცდაათ ცხედარში ვერავინ ვიპოვნეთ. ვინც მიახლოებით მაინც მგვანებოდა ჯოჯიყის.

„მოგვატყუა იმ სახეძალმა მეხტიმ!“

ამბობდა მონასელისმე. მე ხალახლა ჩამოეუარე ცხედრებს და განვაგრძობდი ძებნას. ქურთი მესაფლავე ტიტარა თავზე გვადგა და დაგვიჩაოდა:

„თენღება, თენღება, მალე წაიღეთ

აქედან, თორემ სამივეს ჩაგვყუდებენ როთელის სახლში.”

ახლა სათითაოდ ვიღებდით ყოველ მიცვლებულს, ყოველ მხრიდას ვათვლიერებდით, ტიტარა ბუზღუნიდან ჩხუბზე გადავიდა.

„გამეცალეთ აქედან, თორემ ყვირილს მოვართვ ახლავე.“!

უკვე შეთენდა, და როგორც კი თვალი დაადგა ამ ამაზრზუნ სანახაობას მზემ, ერთ შიშველ ცხედრის წინ მუხლი მოიყარა მონასელისძემ და ხმამაღალი გოდება მოართო.

ისევ მოვარდა ტიტარა, აყვირდა: აქ არ გაბედოთო ტირილი.

მონასელისძემ შეიცნო ჯოჯიკი, თუმცა მას საესებით დასახიჩრებული ჰქონდა სახე. მონასელისძეს გახსენებია, რომ ჯოჯიკის თურქებთან ბრძოლის დროს, ლავიწი ჰქონდა ჩალეწილი ჩუგლუვით.

ადვილად წარმოსადგენია ჩვენი სიხარული, როცა მონასელისძემ მაჯა გაუუსინჯა გონება მიხდილს და მეც დამარწმუნა, რომ მარცხენა მაჯაზე ოდნავ სულ ოდნავ რომ ღიძლამობდა ძარღვი.

როცა ხელახლა მოვიდა ტიტარა, ჩვენ განზრახ განვაგრძეთ წუხილი, რათა მისგან დაგვეშალა, მიცვალებულის ნაცელად ცოცხალი რომ ვიპოვნეთ.

თან მოტანილ სუღარაში გავხვიეთ ჯოჯიკი და აქიმის ტიგრანიანის სახლში წავიყვანეთ იგი.

ჯოჯიკის დაავადება უმთავრესად გამოიხატებოდა ძილისადმი მიდრეკილებაში. ამოდ ვაყნოსებდით, მძარსა და ნიორს, ვუზღუდით საფეთქლებს, ვასხურებდით ცივ წყალს.

წამოვყენებდით სარეცელზე, ისევ წაიქცეოდა ბაღში და მინებდებოდა ძილს.

გვანუგეშებდა აქიმი: როთელისაგან დაგესლილი არა ერთი მომირჩენიაო, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ

უახლოეს დღეებში უნდა დაგესლილი ქაშახი და გაცელოდით აქაურობას.

ტიგრანიანმა აღუყვარა მისი და მსახურებს სასტუმარს და მისი შემოსვლა.

შელამდა თუ არა, აქიმობას შეუდგა...

ჯოჯიკი მორიელისაგანაც დაგესლილი აღმოჩნდა. ამიტომაც თრიაქი აქამა აქიმმა მას, მერმე კირჩხიბი შეაწვევინა სპილენძის ქვაში და ავადმყოფის საკმელში აურია.

მეორე დღეს აიღო ძაბრი, პირი გაუცხხინით ავადმყოფს და დიდძალი მაწონი ჩავასხით.

მერმე მოათრია დიდი ყუთი, ბარე სამი მხარის სიგრძე-სიგანისა, ოთხივე კიდეზე თოკები შეაბა მას, თოკების ბოლო ქერზე მიამაგრა.

ჩავაწვინეთ ავადმყოფი შიგ, ზეგწოეთ ყუთი, ვაბრუნეთ მანამდის, სანამ დაიღვარქნებოდნენ თოკები და მერმე ხელს შევეუშვებდით, სწრაფად დატრიალდებოდა ყუთი, ისევ დავაბრუნებდით, კვლავ დავღვარქნიდით თოკებს. ისევ შევეუშვებდით ხელს.

ამგვარად აბრუნა და ატრიალა ავადმყოფი აქიმმა, სანამ თვალი არ გაახილა სნეულმა და პირისღებინება არ დააწყებინა.

მესამე დღეს ენა ამოიღვა ჯოჯიკიმ. თავდაპირველად ისე გადაუშვლად ტიტინებდა, როგორც ბაღი, რომელსაც სიტყვების ურთიერთან დაკავშირების უნარი არა აქვს.

ჩვენ ვერ ვუცადეთ ჯოჯიკის გამომჯობინებას ქაშახში, როგორც კი ოდნავ მოღონიერდა და პირამდის კოვზის მიტანა შესძლო. გადავიცეთ სამივემ თურქი დიდვაჭრების კაბა-ჯუბანი.

ქაშახში ცხენები ვიყიდეთ. ფოცხვერის ტყავებით შევმოსეთ ქაშახურად ისინი, შევიძინეთ სამჯორიანი ტახტრე რაჰვანი. ჯოჯიკი შიგ ჩაესვით და დაავადებით არღებილისკენ მიმავალ საქარავენ გზას.



მე აღარ შემწყვეს არც ძალი და არც გამოთქის უნარი, მამაო გიორგი, იმის საუწყებლად, თუ როგორის წამებით მოვალწიეთ ვაპარშაპატამდის...

აქ დავისვენებთ მცირე ხანს, რადგან ჯოჯიკი ძლიერ დაუძლურებულა ცალკერძ წამებისა და ცალკერძ გზისაგან.

ვაპარშაპატში ოდნავ გამოკეთდა იგი. მასთან ერთად ჩაუყვანიათ ქაშანს, ორი ამირა ბარქიაროკის ძმის, მოჭამედის მემხრეთაგანი და ერთი დმანისელი სომეხი დიდვაჭარი, ვართანი, რომელსაც ასასინებისთვის ფულადი დახმარების გაწევა შეუწყამებიათ თურმე.

ვართანს წვრილად ცოდნია, თუ რა განსაცდელი მოელოდა ქაშანში მათ და ამიტომაც გაურფხილებია ჯოჯიკი: როცა როთეაღის სახლში დაგამწყვდევენ, უნდა ვეცადოთ, არც კედელს მივეყრდნოთ, არც იატაკზე დავეწვეთ როგორმე.

ხანგრძლივი საუბრის უნარი ჯერაც არ მოუტრეფია ჯოჯიკის, ამიტომაც ეს ლა გვიამბო:

„ქაშანში ღამით მიგვიყვანეს და ჯამეეს გასწვრივ მდებარე „როთეაღის სახლის“ ერთ სარდაფში ჩავგადდეს მე და ვართანი. ამირები სადღაც გააქრეს. სარდაფში ისე ბნელოდა, არც კი ვიცი რამდენ დღეს ვიდევით ფეხზე...

დავდივართ, დაეწროილობთ მე და ვართანი.

არსიდან ისმის აღამიანის ხმა, მხოლოდ გუშაგების სტვენა მოგვეწვდება ხანდახან.

დავდივართ, დაეწროილობთ...

დავიქანცებით, მივეყრდნობით ერთმანეთს, ისევე დაეშორდებით ურთიერთს ბნელში...

„კედელს არ მივეყრდნო, არც დაწვე!“

შემძახებს ვართანი.

„არ დაგეძინოს, არ დაგეძინოს!“ მიყვირის ბნელში მოფათურე.

უერს მივუგდებთ, თუ დაიძინეს რაიმე.

ხანდახან ევრძნობთ, ღრუბლებს და რი მწერი გვეცემა თავსა და მხრებზე.

ისევ დავდივართ, და დაეწროილობთ...

შეესდგებით თუ არა მცირე ხანს, უკვე მიცოცავს შიშველ ფეხებზე ბუსუსებიანი არსება გულისამრევი და ამაზრზენი.

ისევ დავრბივართ, დაეძრწივართ ბნელში.

შეედგებით მცირე ხანს: ისევ დაგვეცემა რაღაც თავზე, შეეძაგდაგდებით. ძირს დაენარცხება რაღაც ხობეკერიანი არსება, არც ვიცი თუ მორიელია თუ როთეაღი?

საშინელება ის დეო, ჩვენ არ ვიცოდით, თუ საიდან გვეპარებოდა სიკვდილი, ბოლოს რა ანაგობის იყოს ის როთეაღი?

არ ვიცოდით დილა იყო თუ საღამო, დღე იყო თუ ღამე.

მოვიდნენ შუბოსნები და ვართანი წაიყვანეს.

მძებვით გადაეხვიეთ ურთიერთს და გამოვეთხოვეთ სამუდამოდ ერთიმეორეს.

დაერჩი მარტოხელა სიკვდილის პირისპირ.

ვღაგავარ ბნელში და აღარ ვიცი კიდევ თუ გადავდგამ ნაბიჯს. სრული მყუდროებაა ირგვლივ.

თვალშეუღვამი სიბნელეა ირგვლივ და სიზმარივით დაემორჩილებ ბნელ სარდაფში...

არც კი ვიცი, რამდენი ხანი გამოხდა...

უვრძნობ მომეძალა დაღალულობა, იოგები მისუსტდება, სხეული დამძიმდა, მიწისკენ მიიწევს უკვე....

თვლები მეწვის უძილობისაგან. საფეთქლებში ჩაქუჩებს მცემენო თითქოს.

შინდა გავიშოთო მიწაზე გრძლივ.  
 გადავწყვეტ: დაევწები და ძილს მივე-  
 ცემი, რაც მოსახდენია მოხდება ალ-  
 ბად მაგრამ თითქოს ვილაც ჩამძახის  
 ყურში:

„არ გავიწყრეს ღმერთი, არ დაგვი-  
 ნოს...“

თვალებს ვისრეს, ისევე მოვიკრეფ  
 ძალას და დავლასლასებ ბნელში.....

საშინელია შეგნება იმისა, რომ არ  
 შეგიძლია არც ჯდომა, არც წოლა და  
 მიწაზე ერთი მტკაველი სივრცე არ  
 არის, რომელზედაც უშიშრად ფეხის  
 დადგმა შეიძლებოდეს;

ბოლოს დამძალა ძილმა, რომელიც  
 სიკვდილის შიშზე უფრო ძლიერი აღ-  
 მოჩნდა.....

მერმე ის იყო წაქცეული და მას  
 შემდეგ აღარც კი მახსოვს რომელ  
 დღეს, ან რომელ საათს რომელი რი-  
 თეაღმა ან როგორი იყო იგი.....

\*  
 \*  
 \*

ვგრძნობ ისედაც გამიგრძელდა სა-  
 უწყებელი, ყოვლად ნეტარო მამათ  
 გიორგი, დასძენდა არამაის არშარუნი.  
 „სხვა დანარჩენს თავათ მოგახსენებთ  
 ჯოჯიკი. ამ სამ დღეში ვაპარშაპატი-  
 დან დმანისს მიმავალ ჭარავენს გამოვე-  
 ვებით, ღეთის შემწეობით.

ჩვენი ბედი, თურქები სულტნიდან  
 დაწყებული უკანასკნელ მონასპამდის  
 მექრთამენი რომ არიან, ისინი მაჰმად-  
 ზე მეტად თავყანს სცემენ ოქროს მა-  
 მონს.“.....

(გარბელება იქნება)

ალექსანდრე მანასია

## ფოლადის ქალაქის ქრონიკები

„მეტალურგიული ქარხნის შექმნა, რომელიც ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით შენდება, საქართველოს ბოლშევიკებისათვის უდიდესი სავაჭრო ამოცანაა“.

კ. ნ. ჩარკვიანი

★

### რუსთავის დილა

★

მე მახარებს და მიტაცებს  
თბილისში დილის შემოსვლა,  
როცა ქუჩებს და ეზოებს  
დღის ბრწყინვალება შემოსავს.  
გაიღებთან ფანჯრები,  
გაიხსნებიან კარები,  
გადვიებული სახლების  
გაზარებული თვალები.  
მივალ, და ადამიანთა  
ტალღებს ვერ გადავურჩები,  
თითქო ქუჩები მოდიან,  
და ერთდებიან ქუჩები.  
მე მიყვარს დილა ასეთი,  
ჩემი თბილისის ცისკარი,  
გზაზე რომ ტევა არ არის,  
და გზა გზისაკენ იქპარის.  
მე მიყვარს დილა ასეთი,  
საბრძოლოდ ამხედრებული,  
ჩემი ლამაზი თბილისი,  
შრომისთვის გაღვივებული.  
შავრამ სხვა არის რუსთავში  
დილის საღუტის ანთება:  
რუსთავში აღრე თენდება  
და, მგონი, სულ არ ღამდება.

და მგონი სულ არ ღამდება,  
თვალი ვეღარ ჰკვრეტს უკუნეთს,  
რუსთავის ნათელ ღამეშიც  
ფოლადის ცეცხლი გუგუნებს.  
მზის მოსვლას ასწრებს ყოველთვის  
ფოლადის ცეცხლის სინათლე,  
და რუსთაველი ვაეკაცი  
სხვა ნათელს არც კი ინატრებს.  
გაღვიძება, ადგება,  
მოუსმენს კრემლის კურანტებს,  
მოსკოვის გულისცემასთან  
თავის გულს დააყურადებს.  
მასთან შემოვა სტალინი,  
მხარზე მარჯვენას დაადებს.  
ფოლად-ქალაქის მშენებელს  
გამარჯვებისთვის აანთებს.  
ცაზე არა ჩანს მზის შუქი,  
მიმავალს მზე ეციდება. —  
გვერდით მიყვება სტალინი,  
ვით გამარჯვების დიდება,  
და რუსთაველი ვაეკაცი  
მუშაობს, ჰქმნის და აშენებს,  
მწყურვალე გამარჯვებისა,  
სტალინის სახელს ახსენებს.

სტალინის სახელს შემღერის,  
 გულში რომ ვერ დაატია,  
 ის ყველა სახლში შემოდის,  
 ის ყველა გულში ხატია.  
 რუსთაველებმა იციან,  
 რომ შათთან ცხოვრობს სტალინი,  
 ის გამარჯვების დროშაა,  
 ბრძოლაში გამოტანილი.

ფოლადის ცეცხლი ათქვის  
 ფოლად-ქალაქის განთიადს,  
 ფოლადის დიად ძალს  
 სტალინის ნება ანთავს.  
 სულ სხვაა დილა რუსთავეის,  
 ფოლადში ამღვრებელი,  
 ის საქართველოს დილაა,  
 სტალინის გაბუნებელი.

## ძ მ მ ბ ა



მტერს მიღეწაედნენ ვაეები,  
 ანთებდნენ ხმაღს ვაეკაცურად.  
 ერთმა ქართველმა უკლებამ  
 ბუგი პირველმა გასცურა.  
 ქართველი ვაგი უტევდა  
 უკრაინელთა მხარდამხარ,  
 რომ ისევ ბალად ექცია,  
 რაც დაიწვა და გადახმა.  
 იგი პირველი მიიჭრა,  
 პირველმა დასცა მახვილი  
 და უკრაინამ გაიგო  
 ქართველი ვაგის ძაბილი.  
 ბოსტან-ქალაქსაც შეესმა  
 სალუტის გრგეინვა შორიდან...  
 ბოსტან-ქალაქის კარებთან  
 უკრაინელი მოვიდა.  
 ქართველ ვაეკაცთა მხარდამხარ  
 გაქცევა საბრძოლო ბრძანებას  
 და კორობოვის მარჯვენას  
 მიწის წიაღი დანებდა.

მოვიდნენ დიდოსტატები,  
 ტრამალზე დასცეს კარავი  
 და ძველ ნანგრევებს დააჩნდა  
 სიამე დაუფარავი.  
 შავმა ქვებმა და ლოდებმა  
 შავები გადაიშალეს,  
 არ დაიმურეს სიმტკიცე,  
 სურვილი არ დაიშალეს,  
 თქვეს: საძირკველი ჩვენა ვართ  
 დიადი მშენებლობისა,  
 სანდოა ჩვენი სიმაგრე,  
 ძველი ქართული წრთობისა...  
 დაჩნდა პირველი შენობა,  
 დაჩნდა პირველი ღუმელი,  
 რომ დაიბადოს ქართული  
 ფოლადი გაუღუნველი.  
 აღდგა ქალაქი რუსთავი,  
 მრავალგზის შხოლოდ ნაცარი,  
 ქართველი მუშის დიდება,  
 მისი ნათელი ტაძარი.

## გოსტან-ძალაჲი



მე იაღლუჯის მთებმა მიაშბეს  
 წყაროთა ამოდ ნაკამკამარი,  
 რომ აქ ლამაზებს, ქართველის ასულებს  
 ერქვათ ნათელა, ერქვათ თამარი.  
 იყო ქალაქი, რუსთავე-ქალაქი,  
 როგორც თბილისის ხელი მარჯვენა,  
 ქართველთ აქედან ესმათ პირველად  
 სიტყვა „დიდება“ და „გამარჯვება“.  
 იღეწებოდნენ თემურ-ლენგები,  
 გამჩაღებულნი ქვეყნად ომისა,  
 რუსთაველ ვაეებს, ფოლადურებს,  
 ერქვათ ზვიადი, ერქვათ ლომისა.  
 წელი გასულა ათასხუთასი  
 და ახლაც ისმის ქვათა ლაღადი:  
 ციხის ნანგრევებს ახლაც ატყვიათ  
 ხმლისა და სისხლის შავი ნახატი.  
 იღგა რუსთავი, ციხე ამაყი,  
 როგორც ამაყი გული ქართველის,  
 მკედელი მტერზე გამარჯვების,  
 ბევრჯერ დამწვარი და განთელი.  
 იყო რუსთავი, წყაროთა თავი...  
 წყაროთა ლურჯი სანაპირონი  
 ველურ ტომებზე. ველურ ტახებზე  
 ქართველ მეფეთა სანადირონი.  
 სამასი წელი დღულდა ქვეყანა,  
 იბრძოდა სამას არაგველივით.  
 რომ ზაქართველოს ისევ ენახა  
 რუსთავე-ქალაქი კვლავ აღდგენილი.  
 მოვიდა კაცი, თვითონ ფოლადი,  
 დიდი არწივი ქართლის ალაგის,  
 თქვა: უბრძოლიათ აქ ფოლადკაცებს,  
 და ერქვას რუსთავს ფოლად-ქალაქი!

— — —

## მეტალურგები



★

მე, ბერიშვილო ჯიბრაილ,  
შეჯიბრში გამარჯვებულს,  
სადაც ფოლადი გუგუნებს,  
იქ შენი გულიც მეგულვოს.  
ვაჟი ხარ, ვაჟა ვიწოდებ,  
ფოლადსაც ვაუტოლადდი,  
ქართველმა ბიჭმა დაიპყარ,  
ღაიმორჩილუ ფოლადი.  
ახლობელი ხარ, ჩემი ხარ,  
ქართველი კაცის ყალიბის,  
რუსთავ-ქალაქის ვაჟკაცი,  
მისი ოსტატი ხალიბი.  
შენ გახარება, ქაბუკო,  
და გამარჯვება მარადის,  
მე შენსკენ მომიხაროდა,  
სიმღერით გზას ვიკვალავდი.

ვმღერივარ გალადებულს,  
ლექსი ვარ დაუძრახველი,  
შენი სახელი მიტაცებს  
და ხარებავას სახელი.  
ჩემი სამშობლო დიდაა,  
ერცელია ზღვიდან ზღვებამდე,  
ყველგან ვისმენდე თქვენს ამბავს,  
თქვენს გამარჯვებას ვხედავდე---  
მე ყოველ დილით აქა ვარ,  
ფოლადის ქალაქს ჩაუველი,  
ხან ზედგინიძე შემხვდება,  
ხან კიდეც გომელაური.  
მხვდებიან ქართველის ვაჟები,  
ფოლადის წყალში ცურვილნი,  
გულანთებულნი შეტყვიით  
და გამარჯვების წყურვილით.

## სტალინის ქუჩა რუსთავში

★

მე ერთი ქუჩა მხიბლავს გზაფართო,  
ყველა ჩვენგანს რომ გვხიბლავს და გვიყვარს,  
რჩეული ქუჩა ის არის მარტო,  
რომ გაგვიტაცებს და წინ წაგვიყვანს.  
რჩეული ქუჩა ერთია მხოლოდ,  
რომელიც ყველას იერთებს ქუჩებს,  
რომელიც ყველას იერთებს ქუჩებს  
და ერთადერთს და მართალ გზას ურჩევს.  
ყველა ქალაქი შეტრფის ამ გზასა,  
ამ ქუჩას შეტრფის ყოველი მკვიდრი,  
და ერთი კუთხეც არ არის არსად,  
სადაც სტალინის ქუჩა არ მიდის.  
ახლა სიხარულს ბოლო არ უჩანს,  
რუსთავს აენთო ქუჩა გზაფართო,  
რუსთავს აენთო სტალინის ქუჩა,  
რომ ყველა ქუჩას გზა გაუნათოს.  
სტახანოველთა და მშენებელთა.



მეტალურგთა და სკოლის ქუჩები,  
 ფოლად-ქალაქის ვაჟი-ცურ დღეთა  
 პირველი ცეცხლით განაშუქებნი,  
 გულგასახარად წამოიმართნენ,  
 ბოსტინ-ქალაქსაც გახედეს ერთხელ  
 და შეაფრქვეეს სახლებს სინათლე,  
 სტალინის დიდ გზას რომ შეუერთდნენ.  
 სტალინის ქუჩა ანათებს ირგვლივ,  
 ის ყველა გზაზე უფრო დიდია,  
 გამარჯვების გზას წარმართავს იგი,  
 და ყველა გზებიც მისკენ მიდიან.

და ბ ა დ ე ბ ა



შემე ვერ მოასწრო ამოსვლა,  
 ცამ კიდეე გაცისკარება,  
 საყვირმა დილა გვაუწყა,  
 ვით დაბადების ხარება.  
 დაირწა თეთრი აკვანი,  
 სათუთად ნაჩუქურთმევი  
 და იაენანა გაისმა  
 წლების მანძილზე უთქმელი.  
 ყმა იწვა პირმოცინარე  
 (ია და ვარდი ფენია!), —  
 დარბაზის ცისფერ კედლებზე  
 ღიმილი დაუნენია.  
 მოფრინდა იაენანინა —  
 აკვნის ღულუნე ფრინველი,  
 გაჩნდა მარადი სიმღერა  
 და სიხარული პირველი.

ხარაჩოებში ჩასმული,  
 ჯერ კიდეე დაულურსმავი,  
 ხარობდა სახლი ახალი,  
 ხარობდა მთელი რუსთავი.  
 შეიფრთხილეს ფრთოსნებმა,  
 ზეცას გაეკრა მერცხალი;  
 — ბიჭო, მალხაზო, ვისი ხარ,  
 ვაჟი ხარ თუ ნაპერწყალი.  
 კვლავ იაენანა ღულუნებს,  
 ვით დედის გულისნადები:  
 — ფოლად-ქალაქის ჭაბუკო,  
 გულითამც დაფოლადდები.  
 ქალაქის ქუჩებს შეენთო  
 ხმა ტკბილი, გასაკვირველი:  
 — ვარსკვლავებს ეთამაშება  
 ყრმა, რუსთაველი პირველი.

## მშენებლობის უფროსი



შუალამისას წამწამთა  
თვალს ჩრდილი დაეფარება,  
წამია თურმე, მდინარეც  
ძილისკენ გაიპარება.  
შუალამისას წამწამთა  
თვალს ჩრდილი დაეფარება,  
ძილი სჭირდება ვაჟკაცსა,  
ძილი კი არ ეკარება.  
ზის გიორგაძე, მუშაობს,  
კვლავ გეგმავს, ხაზავს, ალაგებს,

ფოლად-ქალაქის ცხოვრებას  
ბოლშევიკურად განაგებს.  
მან დასვენება არ იცის,  
და დროც არ იცდის აშკარად,—  
წუთი ის ჯარისკაცია,  
გამარჯვებას რომ აჩქარებს.  
მან დაღლილობა არ იცის,  
თუმც ფოლადს შეგვიბრებია, —  
გამარჯვებისთვის ზეიმში  
მებრძოლნი არ იღლებიან.



მეორე სიტყვა ამხანაგ ძირილი  
უკლებავი



ბრძოლაში გავეფხებელი,  
მტერს რომ მუსრავდი უკლებლივ,  
ერთხელაც კი არ დაგლია,  
ვაჟო, ვაჟკაცის მუხლები.  
სადაც საშინლად წიოდნენ  
ტყვიები სიკვდილიანი,  
იქ ისწრაფვოდი ფეხმარდი,  
იქ არ იყავი გვიანი.  
სადაც მტერს მიუხაროდა,  
შენს მახვილს იქ უმიზნებდი  
და მტრის ვერაგულ სიცოცხლეს  
თვით სიკვდილამდე მისდევდი.  
ყველგან თან გახლდა იმედად,  
გულიდან განუყოფელი,  
პარტია, ჩვენი პარტია,  
ჩვენი გრძნობების მშობელი.  
და როცა ბუგის ნაპირი

შენმა ყიეინამ დაიპყრო,  
როს სასიცოცხლოდ შეტოკდა,  
მტერმა რაც დასწვა, აიკლო,  
სამშობლომ, დიდმა სამშობლომ,  
შენი სახელი ახსენა, —  
ვინც უკრაინელ ჭაბუკებს  
ქართული მშობა აჩვენა.  
იმ უკრაინელ დევგმირებს  
ახლაც უყვარხარ ძმასავით,  
ხალხმა ვაჟკაცურ გულმკერდზე  
აგინთო გმირის ვარსკვლავი.  
არ ვიტყვი, დედა ვინა გყავს,  
ერთია ჩვენი მშობელი, —  
პარტია, დიდი პარტია,  
გულიდან განუყოფელი.  
... ქართველო ვაჟო უკლებავ,  
მტერს რომ ტყვიის ცეცხლს უნთებდი,



დღეს ფოლადს შექიდეებიხარ,  
შენი ფოლადის კუნთებით.  
გიცდიდნენ, და შენც მოხველი,  
რუსთავ-ქალაქი გელოდა,  
ქართული მიწის სახსნელად,  
წასულო საქართველოდან.  
შენ ცხარე ბრძოლა გიყვარდა,  
დღეს ცხარე ბრძოლა აქ არი,  
ბოსტან-ქალაქის ნანგრევებს

ფოლადის ხელი დაკარი.  
ბუგელი მეზადურისას ეროვნული  
მოხუცი ზღაპრად გახსენებენ  
— ჩვენი უკლება წასულა  
და ფოლად-ქალაქს აშენებს.  
ბუგელი მეზადურენი  
შენზე მღერიან უკლებლად,  
პარტიის შვილო უკლება,  
ჩვენო ვაჟაყო უკლება.

### ბრინჯაოს მსხმელი



ლამისყანელი ხადური,  
ბრინჯაოს მსხმელი ჭაბუკი,  
ეს მთელი დამე ბორგავდა,  
ვით აწყვეტილი ქარბუქი.  
ვერ მოისვენა, მოვიდა  
და ისევ ფიქრმა წაიღო,  
გულში რა შექიცი ბრწყინავდა,  
არ იქნა, არ გამქრალიყო.  
ფრთხილად გახსნა და, გაიღო  
ნათელი დარბაზის კარი,  
ჯერ განთიადი არ იყო —  
დარბაზში იდგა ცისკარი.  
ქველი მოხვევის სიღინჯით  
მოვიდა, მიესათუთა,  
რაც წვავდა, მასაც შეჰკადრა,  
იმ დიად ქანდაკაც უთხრა.  
დარბაზში წამით გამოჩნდნენ  
დიდოსტატური ხელებით,

ქველი ქართველი კაცები,  
ქველი ბრინჯაოს მსხმელები.  
ნახეს ხადურის ხელობა,  
რა იყო, რა დიდებული,  
ქანდაკი, ენთო, ბრწყინავდა,  
ვით კაცი ვაციკრებული.  
ქანდაკი ენთო, ბრწყინავდნენ  
ფერები ათასფერადი,  
ბრინჯაოს უკვდავებაშიც  
ცოცხლობდა დიდი ბელადი.  
მღუმარედ იდგა ხადური,  
ლამისყანელი ვაჟკაცი,  
ფიქრი წვავდა და იპყრობდა,  
ოცნება წვავდა წარმტაცი.  
ბოლოს ხმამაღლა წარმოთქვა  
თავისი გულისწადილი:  
— ნეტავი კრემლში შენახე,  
ფიქრი გამიხდეს ნამდვილი.

## რუსთავის ყვავილები



ქართველნი  
წიგლნიერთნა



ყვავილი ვნახე გზაზე მრავალი,  
 ავიყვანე და უბით ვატარე,  
 მაგრამ ვერც ერთი მინდვრის ლამაზი  
 რუსთავის ასულს ვერ შევადარე.  
 ენიაანია ყვავილი ყველა,  
 სევდას და კმუნვას არ მიიკარებს,  
 იქ სცოცხლობს, სადაც სიხარულია,  
 აენტება და მინაბაეს თვალებს.  
 მე ბევრი ვნახე ყვავილი ნაზი, —  
 ამ გზაზე ისევე ხშირად გავივლი, —  
 მაგრამ სულ სხვაა რუსთავის მკვიდრი.  
 რუსთავის მკვიდრი ლურჯი ყვავილი.  
 მიღიმის როგორც ქალი თამარი,  
 ეკელობს როგორც ქალი ნათელა,  
 მათი თვალები კვლავ თუ აენტენ  
 რუსთავის ღამის ციციანთელად.  
 ყვავილია თუ ქალის გულია,  
 სიყვარულისთვის დაბადებული,  
 ვის დაათრობს და ვის დაშვენდება,  
 ვით გაიხარებს ვაჟი ქებული.  
 ყვავილია თუ რუსთავის ქალებს,  
 ბოსტან-ქალაქის ლამაზ ასულებს,  
 წყაროთა ჩქროლეა ჩაესმათ ტკბილად.  
 მათ დამწვარ გულზე რომ დაასხურეს.  
 და კვლავ აენტო ქალი ნათელა,  
 კვლავ გაიბადრა ქალი თამარი, —  
 ეს ყვავილებიც მათი გულია,  
 უცხო ფერებად ნაკამკამარი.  
 გამარჯვებულებს შვენით დიდება,  
 ქვეყნად ყვავილი მათთვის არსებობს,  
 ამიტომ გეტრფით რუსთავის მკვიდრებს,  
 მარად იცოცხლეთ თქვენ, ძვირფასებო.



## მოგვეცით ფოლადი

ფოლადი უნდათ ახალ დარბაზებს,  
 დიდ შენობათა ცადაწვდილ სართულთ.  
 ტანში აზმორებთ კახეთის ვაზებს,  
 რომ ჩაეხვიონ რუსთავის მავთულს.  
 ფოლადს ელიან ქართველის შვილები,  
 ფოლადს უხმობენ ყოველი კუთხით,  
 სახლები დგანან ქუდმოზდილები,  
 რომ დაიხურონ ფოლადის ქუდი.  
 ჩემი სამშობლო მოელის ფოლადს,  
 ბედნიერ ცის ქვეშ ლაღად გაშლილი:  
 ტყიბულის მთებში არ ცხრება ბრძოლა,  
 რადგანაც ფოლადს უნდა ნახშირი.  
 კიდევ და კიდევ მოითხოვს ფოლადს,  
 კომუნისტიკის ბრძოლა გაშლილი:  
 ტყვარჩელის მთებშიც არ ცხრება ბრძოლა,  
 რადგანაც ფოლადს უნდა ნახშირი.  
 ფოლადს მოითხოვს ჩემი ქვეყანა,  
 მისი ნებით რომ გახარებულა,  
 და საქართველოს ზეარიც და ყანაც  
 რუსთავეისათვის აყვავებულა.  
 ფოლადი გვინდა, რომ ზვალინდელი  
 დღე იყოს მკვიდრი, როგორც ფოლადი,  
 კბილებს იმტვრევედეს უოლსტრიტელი,  
 წინ მილიოდეს ჩვენი ზომალდი.

## მეზალის ოცნება


 ქართველნი  
 ზნეზღიერთნენ

★

როცა ჩემს ქალაქს ადრიან დილით,  
 ყაყაჩოსფერად გაელიმება,  
 ზეცას მოსწყდება ვარსკვლავის დილი  
 და დაიმსხვრევა ნამის დიღებად:  
 როს ქარის ქროლვა შეაკრთობს ბაღებს  
 და სხივთა ჩქერის თეთრი ფანტელი:  
 საყვირი საყვირს რომ გადასძახებს,  
 გაათენებს და ღამეს განდევნის;  
 როს მოედება ქალაქს ბუღივით,  
 ფოლადის მტვერის კორიანტელი,  
 მარტენის ღუმელს შემძრავს დუდილი,  
 და ქალაქს შემძრავს გრგვინვა მარტენის:  
 გაეღვიძება როს ფოლად-ქალაქს,  
 წამოდგებიან ფოლადურნი, —  
 გული სიამეს ველარ დაფარავს  
 და გამარჯვების ერეოლა დაუვლის;  
 როს წარმტაცი და გულგასახარი  
 ქალაქს სიმღერა გაეკიდება, —  
 რომ გამარჯვება ქუხდეს ახალი,  
 რომ ყოველ დილას ერქვას დიდება, —  
 მაშინ ჩემს ბაღებს, მშვენიერ ბაღებს,  
 ძველი მეზალე ლალად ჩაუველი,  
 აუზთან მივალ, ონკანს გავაღებ, —  
 აჩხრიალდება ბულაჩაური.  
 ცისარტყელების ბილიკებს დაფენ  
 და ჩემს ბაღნარში მივუჩენ ბინას.  
 მივეახლები და წამოვადრენ  
 ყვავილებს, ნისლის აკვანში მძინართ.  
 ბაღში შემოვა ლამაზი ქალი,  
 ყვავილებს გულებს გაახსნევენებს,  
 და სიყვარულის დასეტყვავს ქარი,  
 ცისარტყელების ლამაზ ხეივნებს.  
 ბაღში შემოვა ლამაზი ქალი,  
 თაიგულს შეკრავს უცხო ფერებად. —  
 გაუბრწყინდება ოცნებით თვალი  
 და გამარჯვებულს მიეფერება.

## ჩემს რუსთაველ ამხანაგებს



გავლივ ველი და გარდაბანი,  
 რუსთავს შევხარი და ვეფერები,  
 მე მასთან მომყავს მახარობლებად  
 ეს ვაგონები მტრედისფერები.  
 მოვალ, მოვდივარ, მოვეჩქარები,  
 რომ გამარჯვება ვუთხრა დილისა,  
 ეს ალტაცება და სიხარული  
 გამომაყოლა თვითონ თბილისმა.  
 ხვალ აქ იქნება დიდი სადგური,  
 ახლა ჩავდივარ მცირე ბაქანზე,  
 მთამსვლელისათვის ჩვეულ ნაბიჯით  
 ჩემს შესახვედრად მოდის ბაქრაძე.  
 რაჟის ვაჟკაცი, ბრძმედის ოსტატი,  
 მაცნობს ბრძოლაში მის ამხანაგებს,  
 ვუშინ მყინვარწვერს იპყრობდა იგი,  
 ახლა ბრძმედების მწვერვალებს აგებს.  
 მივალთ. ნორჩ ხეებს, როგორც ხელები  
 ცისკენ აქვთ ყველას ტოტი აშლილი.  
 ზედლაშვილი მაცნობს ქარხანას,  
 ქაბუჯებს მაცნობს პოპიაშვილი.  
 მე ყველა უბანს ასჯერ დავივლი,  
 კვლავ ახალია ყველა უბანი,  
 აქ თვითონ ქვაც კი გვესაუბრება,  
 არც საჭიროა სხვა საუბარი.  
 და მეტყველებენ რუსთავის ქვებიც,  
 ფოლადით რომ ერთუერთს ჩაკვირან,  
 რასაც უმადლის ქართველი ხალხი,  
 მტკიცე სტალინელს კანდიდ ჩარკვიანს.  
 და ლაღადებენ რომ იქ, მოსკოვში,  
 რუსთავ-ქალაქზეც ფიქრობს ბერია...  
 რომ დიდ რუს ხალხთან მეგობრობაში  
 ქართველი ხალხიც ბედნიერია.  
 რომ რუსი ხალხი არსებობს მძლავრი,  
 ვინც მეგობრობა ასწავლა ხალხებს,



და საქართველო ფოლადის ჯაგმნით,  
 თავის საბრძოლო დროშებს რომ გაშლის, *ქართულნი*  
 რუს ხალხთან ერთად „ვაშას“ დასძახებს, *ნიკელინი*  
 ეს მეგობრობა რომ ჰქონდეს ხალხებს.  
 ამას ამბობენ რუსთავის ქვებიც,  
 დამკვიდრებულნი უკვდავ ფოლადში.  
 დამ კომუნიზმის აზრი იმარჯვებს  
 საბჭოთა ხალხის ყოველ ბრძოლაში.

— . —

### ერთი სიმღერაც...

★

მე ბედნიერი სიმღერა მინდა,  
 რომელიც ცაში ქუხილად წავა,  
 მე მინდა ვთქვა, რომ ამიერიდან  
 ქართველ მკვლევართა დასრულდა დავა.  
 მე იმნაირი სიმღერა მინდა,  
 რომ სიხარული გამოვთქვა სრული,  
 დღეს ნაპოვნია ადგილი წმინდა,  
 სადაც რუსთაველს უცემდა გული.  
 და ეს ქალაქი, რუსთავ-ქალაქი,  
 წარმტაც ფერებით გულდაფერილი.  
 არის ქართველთა წმინდა ალაგი  
 და უკვდავია რუსთაველივით.  
 რომ ამ ქალაქში არის ნაწრთობი,  
 „ვეფხისტყაოსნის“ ფოლადის სიტყვა,  
 აქ ამოვიდა ქართველის მნათობი  
 და საქართველო ამაყად ითქვა.  
 ... როცა ნახავდა ამ დიად ქალაქს,  
 თვით რუსთაველი, იტყოდა ამას.  
 ეჰ, მისი სიტყვის უკვდავი ძალა,  
 დამვენდებოდა ფოლადის ქალაქს.

## ერთ ახალშენზე\*



ქალები გვირავის შესავალთან დიდ-  
რონ ქვებზე ჩამომსხდარიყვნენ.

— ეი, შენ ატლექტო! — უძახოდა თი-  
ნა სერგოს, — ერთი ეს ქვა გამოგვი-  
გორე აქეთ, მზეზე.

— მაგ ქვას რა მოაგორებს? — იცი-  
ნოდა სერგო.

— შეიდფუთიანს ხომ სწეე?

— ვწვედი, ჩემო თინა, ვწვედი  
ახალგაზრდობისას, წავიდა ის დრო.

— შეხედეთ ამ მოხუცს! ვითომ ასე  
დაუძღურდი? ბიჭო, მაგისტანა მხარ-  
ბევი მქონდეს, თორემ ამ ქვებს ბურ-  
თივით ვათამაშებდი.

ყველა შესანიშნავად, მხიარულად და  
უზრუნველად გრძნობდა თავს, რომ  
თანას არ ეთქვა:

— მართლა, მიღიხარო უფროსთან?  
და წამსვე შეიცვალა განწყობილება.

— უფროსთან? — წარბები მოზიდა  
სერგომ, — რათა?

— ო, სერგო, სულ დამავიწყდა, —  
განმარტა თამარმა, — დღეს უნდა წა-  
ვიღეთ. აუად არის, შენ უსათუოდ უნ-  
და წამოხვიდე, დაგიბარა... სამუშაო  
რამდენი პროცენტით არის შესრულე-  
ბულიო.

— მე ვერ წავალ. — უკმაყოფილოდ  
ჩაილაპარაკა სერგომ.

— რატომ? — შეეკითხა თამარი.

— არაფერი საჭიროა, მომბეზრდა  
ყოველდღე უსარგებლო ხეტიალი იქ. —  
პოუპრა სერგომ.

თამარი გაოცდა. — „უსარგებლო ხე-  
ტიალი“, „მომბეზრდა“, — ეს გაუგებარ-  
ი იყო. ყველას უყვარდა სემონ  
ქელივიძესთან მისვლა. პირიქით, ამა-  
ყობდნენ ხოლმე იქ მიწვევით. „უსარ-  
გებლო დროს-კარგა“ არ ეთქმოდა ამ  
საქმიან შეხვედრებს, სადაც ხშირად  
მეტად მნიშვნელოვანი საკითხები იჭ-  
რებოდა. ესეც არ იყოს, მას ხომ საქ-  
მისათვის ეძახდნენ და შემდეგ, თუ არ  
გასურს დარჩენა, ვინ გაძალღებს...

თამარს უყვარდა ეს საქმიანი შეხვე-  
დრები უფროსთან, სადაც ხშირად საკ-  
მაოდ ბევრი მშენებლობის მუშაეი იე-  
რიბებოდა და ცხარი ბაასი, დავა და  
აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმართე-  
ბოდა.

თამარი გაინაბებოდა ხოლმე საეარ-  
ქელში და ჩუმად უსმენდა მოსაუბრეთ,  
ან ჯადრავის ჩახლართულ სვლებს შეს-  
ცქეროდა, თითქმის ნახევრად მთვლე-  
მარე. და მუდამ ენანებოდა, როცა  
სტუმრობა დაიშლებოდა და იგი უნდა  
წასულიყო თავის პატარა მოუწყობელ  
ოთახში.

თამარმა ვერ მოახერხა ქალური  
შნოით მოერთო თავისი ბინა. იგი იმ-  
დენად დარეული იყო, რომ მუდამ ვი-  
დაც სხვა ზრუნავდა მასზე, რომ თვით  
არც კი წარმოედგინა, როგორ იქმნე-  
ბოდა ყოველივე ეს. მაგრამ წინათ მას  
სერგო მიჰყვებოდა ხოლმე ამ ოთახში  
და მის ცივ კედლებს მათი მომავალ  
ცხოვრებაზე ოცნებები ათბობდა.

\* გაგრძელება „მნათობი“ № 7.

მაგრამ ამ ბოლო დროს ყველაფერი შეიცვალა.

როდის დაიწყო ეს? — ჰო, ადრე შემოდგომის თბილი საღამო იდგა. სერგო და თამარი სიმონ ქვლივიძესთან იყვნენ. ღია ფანჯრები, ნორჩი ქადრების ზეივანი, რომელიც ასე უყვარდა თამარს. შორით იისფერ — შავ-ლურჯად დაფერილი მთები.

თამარი განაბული იჯდა სავარძელში. ისე კარგად, ისე კმაყოფილად გრძნობდა თავს...

და სწორედ იმ დროს, როცა იგი ნებივრად შეექცეოდა ყავას და თავისი ნაზი თვალებით თვინიერად შესცქეროდა მასპინძელს, სერგო უცებ წამოდგა.

— ბოდიში, უნდა წაყვიდე. საქმე მაქვს — წამოისროლა ოდნავ უხეშად და პირდაპირ გასაღლისკენ გასწია. კიდევ კარგი, რომ სიმონმა შეაჩერა კარებში, და რაღაც გვირაბის შესახებ ჰკითხა, თორემ თამარი ვერც კი მოახერხებდა გაპყლოვდა, და დარჩენა უსერგოდ ზომ სულ წარმოუდგენელი იყო მისთვის.

გზაში არაფერი უთქვამთ.

მივიდნენ. თამარმა გასაღების ამოღება ვერ მოასწრო, რომ სერგომ „ნახვამდისო“ მიაძახა და გზისკენ გასწია.

— სერგო, — შეაჩერა ქალმა — არ შემოხვალ?

— არა მცალიან.

— სად მიგეჩქარება? აბა რა საქმე გაქვს ისეთი? — მემამიტად ეკითხებოდა თამარი.

— მაქვს — მოკლედ მოუჭრა სერგომ და სიბნელეში ჩაინთქა.

ეს იყო და ეს.

ამის შემდეგ სერგო ისე საგრძნობლად ჩამოშორდა თამარს, რომ ქალს ჯერ უყვირდა, შემდეგ შეეჩვია ამ სიშორეს და ბოლოს დაასკვნა, რომ სერგოს აღბათ... გული გაუცივდა მასზე. მას ზომ უყვარდა სერგო, და თუმცა უკვე ხიბლავდა სიმონ ქვლივიძის სი-

ლიადე, მაგრამ გამოუცდელი გრძნობა ჯერ თავის ამბავს ვერ მისხვედრილყო და აბა რას მიხედებოდნენ მისთვის მწარედ განიცდიდა სერგოს მისხვედრილობას და თუ ჩამოშორდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხანია შენიშნა, თამარს სულ უფროდაუფრო იზიდავდა სიმონ ქვლივიძე.

„გასაგებიც არის“, — ფიქრობდა სერგო, — სიმონი ჩემზე დიდი, ჩემზე საინტერესო და სხვა რომ არა, ჩემზე კარგი გარეგნობის კაცი. ლამაზი, ზრდილი, დიდი საქმის კაცი, რა თქმა უნდა, იგი უფრო მოეწონება ქალს. ეგარეც უნდა მომხდარიყო... აბა რა საჩუქრო იყო თამარი, განა იმიტომ არ უყვირდა ყველას?“

გადასწყვიტა, ჩამოშორდა და, თუმცა მწარედ იტანჯებოდა, მაგრამ მუდამ, როცა თამარის კითხვით საფხე თვალებს შეხედებოდა, წამსვე უზრუნველ გამოემეტყველებას მიიღებდა და ისე მოშორდებოდა ქალს, რომ საბოლოოდ დაერწმუნებინა იგი თავის გულცივობაში.

აქ დიდი შეცდომა დაუშვა სერგომ. მაგრამ ეს მხოლოდ ახალგაზრდობით და იმისი შიშით თუ აიხსნებოდა, რომ სერგოს ყველაზე მეტად დამცირების, თავმოყვარეობის შეღახვის ეშინოდა და ერთუბრტელი დაუვლიდა ტანში, როცა წარმოიდგენდა, რომ თამარი ერთ მშვენიერ დღეს გამოუცხადებდა, სხვა მიყვარსო. და სერგო ზომ დარწმუნებული იყო, რომ ეს უსათუოდ ასე მოხდებოდა.

თამარი თითქო გრძნობდა რაღაცას, სწუხდა, მაგრამ მიზეზის გამორკვევას ჯერ ვერ ახერხებდა...

სერგომ მოღუშული წარბების ქვემოდან გახედა თამარს, რაღაც ახალი. თამარისათვის უცნობი აკიაფდა ამ ნაცრისფერ თვალებში. საოცრად უხდებოდა სერგოს შეგვერემან სახეს ეს ნაცრისფერი თვალები. თუ არ ნათელი დღე, ვერც კი იტყოდით, რომ მას შავი



თვალეები არა ჰქონდა, ისე აბზობდამათ სინათლეს მუქი, ხშირი წარბები, და ვრძელი წამწამები.

— შენ ხომ მიღიხარ?— შეეკითხა სერგო წუთით სინჯუმის შემდეგ.

— ჰო, მე უნდა წავიდე... ჩვენი არხი... — გაიძეორა თამარმა და კიდევ უფრო შეწუხდა.

— ო-და, წადი და უთხარი, რომ აქ ყველაფერი რიგზეა, ხომ იცი...

— მე მარტო?

— რაო ვითომ? ჯერ ერთი მარტო არ იქნები. დღეს, ალბათ, მთელი ხელმძღვანელობა შეიკრიბება. ორი დღეა, რაც არ გამოსულა. მე სამმართველოში უნდა წავიდე. ცოტაოდენი საანგარიშო მაქვს. თუ რაიმე საჭიროა დამირეკეთ და მოვალ. თუმცა, დარწმუნებული ვარ არაფერი იქნება ისეთი. შეიკრიბებიან, ილაყბებენ, ეგ არის და ეგ.

სერგომ თვალი აარიდა ქალს და ვითომ და საქმისათვის ვიღაც მუშას მიუბრუნდა.

თამარი გაოცებული შესცქეროდა სერგოს. ეს პირველი იყო, რომ სერგო თენიფილა ასე უპატივცემულოდ შეეხო უფროსს. ჰკიცხავდა კიდევ. მერე და ეს ხომ უმართებულო იყო. თვითონ სერგოს რამდენჯერ უთქვამს, რომ მეტად უყვარდა ეს შეხვედრები უფროსთან. ის სერიოზული, საქმიანი განწყობილება, რომელიც მეფობდა იქ. მას რა მოხდა? რა გამოიქცალა, რომ სერგო ჰკიცხავს და დამცინის კიდევ იმას, რასაც წინათ სულ სხვაგვარად სახავდა.

— სერგო, წამოდი, — კიდევ ერთხელ მიმართა ვაქს.

— არა, თამარ, მე ვერ წამოვალ ახლა, არა მცალიან, — მოუჭრა სერგომ. — აქი გითხარ, თუ რაიმე სერიოზულია, დამირეკეთ და მოვალ. — და წამსვე დასკვნა, რომ შესიტყვება აეციდინა, — თუმც შეიძლება გამოვიარო. ჰო, მე მოვალ. ცოტა რომ დავიგვიანო, ვფიქრობ არაფერი დამავადება. ნახვამ-

დის. — იგი უცებ მოსხლტა ადგილს და გვირაბისაკენ გაეშურა.

— თინა, — დაუძახა თინამ მუშაკებს, — წამო, ერთად წავიდეთ!

— არა, მე არავინ მეპატივება — შორიდანვე გამოსძახა თინამ. — დაუპატივებელი სტუმარი კი თათარზე უარესიაო, ხომ გაგიგონია? — და ისიც გვირაბის სიღრმეში გაუჩინარდა.

თამარი უსიტყვოდ გაბრუნდა და გაცალა გვირაბს.

სერგომ კი, იგრძნო თუ არა, რომ თამარი წავიდა, მოტრიალდა, თვალი გააყოლა მსუბუქად მიმავალ ქალს და მწარედ ჩაიციინა. „როგორ მიღის. ერთიც არ მოიხედა უკან... თვითონაც არ იცის სად მიღის. დაუძახო? გავაჩერო? უთხრა?.. არა? გაპყვეს თავის გზას. რა ფასი აქვს ასეთ სიყვარულს!.. ავივგრძნობდი, რომ ფუჭი ოცნება გამოდგებოდა. ბედს ვუმაღლოდე, რომ ეს აღრევე მოხდა, თორემ შემდეგ, შემდეგ მე ამას ვერ ავიტანდი!.. თავს ძალა დაატანა და მძიმე ნაბიჯით გასწია ლამპრებით ოდნავ განათებულ გვირაბის სიღრმეში.

შევიდა, ჩვეულებრივ ხელი მოაგლო ახლადბეტონირებულ კედელს და უცებ შეცბა. რაა ეს? რად ეჩვენება, თითქო კედელი უფრო სველია, კიდრე უნდა იყოს.

— ა! რაა, რომ ყველაფერი შევად და ბნელად მეჩვენება დღეს! — არ გამშრალა ჯერ, ეგ არის და ეგ! — კიდევ ერთხელ შევადო ხელი ახალ ბეტონს. გუშინ ხომ თითქო უფრო მშრალი იყო. ა-ახ! ყველაფერი ინგრევა, ყველაფერი იშლება ჩემს ირგვლივ! — მაგრამ წამსვე თავს შემოსძახა: რა მემართება! ნუ-თუ ამ უხვირო სიყვარულის გამო ასე უნდა წახდეს და გაფუჭდეს კაცი! კმარა! ამომიშლია ეს ამბავი, ამოშლილი და სამუდამოდ დავიწყებულა ამერიდან!

ბევრი ათვალეირა კედლები, ზომა,

სინჯა და ბოლოს დაარწმუნა თავი, რომ მისი ექვი უსაფუძვლო იყო.

ერთი წუთით გაიფიქრა, წასულიყო უფროსთან და გაეზიარებინა მისთვის თავისი ექვები. ოხ, რად არ წავიდა სერგო თენგიშვილი ამ საღამოს სიმონ ქვლივიძესთან. რამდენი უსიამოვნება, რამდენი ზიფათი ასცდებოდა მათ! მაგრამ იგი მაშინ ექვებით იყო ატანილი, და იმიტომ არ წავიდა, რომ „მათ“ (იგი ნაადრევად აკავშირებდა სიმონს და თამარს ერთიმეორესთან), რომ „მათ“ სხვაანირად არ გაეგოთ მისი უდროვო სტუმრობა.

და თუმცა „სამუდამოდ ამოწლილი იყო ეგ ამბავი მისი გულიდან“, სამართველოში რომ მივიდა, მაინც ვერ შეიკავა თავი და თითქოს სხვათაშორის შეეკითხა ერთ-ერთ თანამშრომელს:

— არ იცი ვინ არის დღეს უფროსთან?

— არავენ, — უპასუხეს მას. — დღეს მგონი, არავენ არ გამოუძახნია. სერიოზულად ავად არის, მეტად მიძიე შეტევა ჰქონია.

სერგომ მწარედ ჩაიციანა. „შესანიშნავად მოგვიყვია საქმე სიმონ ქვლივიძეზე! კარგი სანახავი ვიქნებოდი, ახლა რომ იქ მივსულიყავ!“

სერგომ ამოიოხრა, და ისევ გვირაბისკენ გასწია, რომ თავისი ექვები შეემოწმებინა.

თამარის ნელ დაკავუნებაზე წყნარნი „მობრძანდით“ გაისმა. თამარმა ხელი ჰკრა კარებს, შევიდა და წამსვე დაივიწყა ყველაფერი, რაიც ასე აწუხებდა გზაში. ის უხერხულობა, ექვები, სერგოს გაუგებარი საქციელი — ყველაფერი ჩაჰკრა ამ საყვარელ ოთახში შესვლისთანავე.

სიმონი საწოლზე წამოწოლილიყო, ჩვეულებრივი სიფაქიზით ჩაცმული. გვერდით გაშლილი წიგნი ედო, მაგრამ

ექვობოდა, რომ იგი ამ უამბოდ არ კითხულობდა, უფრო თვლემდა.

— საღამო, ბატონო სიმონ ქვლივიძე! როგორ ბრძანდებით? — წყნარად მიესალმა თამარი.

სიმონმა თითქოს მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ იგი ნამდვილად თამარი იყო და ისეთი კმაყოფილება, ისეთი სიხარული აენთო მის თვალეში, რომ ქალმა თავი დახარა და მზერა მოაჩიდა, ამ სიხარულით გამოწვეული გულსცემა რომ დაეფარა.

— თამარ... მობრძანდით. — მოგვიანებით მიეპატოვა მასპინძელი, მარტო ხართ?

— დიას... აი ახალი პროექტი. ნუ სწუხდებით. — შენიშნა თამარმა, რომ მასპინძელი წამოდგომას აპირებდა, — მე ახლაც ვაეალ...

— რატო? დაბრძანდით...

— თქვენ მგონი გეძინათ, გაგაღვიძეთ.

— არა, მე სრულებით არა მძინავს ეს ორი დღეა. ისე, თუ წამთვლიმა და ამაზე ბედნიერი გამოფხიზლება რაღა იქნებოდა...

თამარს პასუხი არ გაუცია, ისე ჩუმად დაეშვა საეარძელში.

— მლიერი შეტევა გქონდათო, მიოხრეს. ახლა როგორა ხართ? — გამოეხმაურა ბოლოს, რომ სინუშე დაერღვია.

— არა მიშავს რა, ოღონდ ყოველი შეტევის შემდეგ სისუსტეს ვგრძნობ, თითქოს ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობა გადამეტანოს. წინათ ასე არ იყო, უმალვე კარგად ვხდებოდი... ალბათ დაებერდი. მიედივარ, ჩემო თამარ, მიედივარ და უკან აღარაფერი მჩრჩება.

თამარმა არ უთხრა შაბლონური „რადროს თქვენი სიბერეთო“, ოღონდ ისე განაბული ოჯღა საეარძელში და ისეთი თვინიერი თვალეებით შესცქეროდა, რომ ნეტა რა უნდა ეთქვა ისეთი, რომ მეტად უსიამოვნებინა სიმონ ქვლივიძესათვის?



— თენიშვილი არ მოვა?— შეეკითხა ისევ სიმონი, ცოტახნის სიჩუმის შემდეგ.

— არა... არ ვიცი. მთხოვა, ცოტოდენი საქმე მაქვსო, მოგვიანებით გეახლებითო... — თამარს აშკარა უხერხულობა დაეტყო.

— ყველაფერი რიგზე არისო, მთხოვა მეცნობებინა თქვენთვის, — დასძინა და დაჩუმდა.

მართლაც და როგორ გამოიცვალა ყველაფერი ამ ბოლო დროს. კარგა ხანია, რაც მათ შორის აღარ აღძრულა საკითხი თუნდაც იმის შესახებ, თუ როდის გაემგზავრებოდნენ ლენინგრადს, ან როგორ მოაწყობდნენ თავიანთ მომავალ ცხოვრებას და ნიშანდობლივი სწორედ ის იყო, რომ თამარი კი არა, თვითონ სერგო გაურბოდა ამ საგანზე საუბარს. მეტიც, იგი ამ ბოლო დროს ერთხელაც არ ყოფილა არც არხზე, არც თუ თამართან შინ. მაშინ; როდესაც პირველ დღიდანვე, რაც სერგო მშენებლობაზე ჩამოვიდა, ისინი დღე ნიადაგ ერთად იყვნენ, ყველა თავისუფალ წუთს ერთად ატარებდნენ და სულ ცოტადა აკლდათ, რომ სამუდამოდ შეერთებულიყვნენ. ახლა კი რა მოხდა ისეთი? რად არის თამარი შეწყვეტილი, არეული და თითქოს დამნაშავედ გრძნობს თავს?

— მაშ, სერგო არ მოვა?— გაიმეორა სიმონ ქელივიძემ, და ისევ ის ძველი აზრი აინთო მის გონებაში: რა აკავშირებდა იმ ორ ახალგაზრდას, უბრალო მეგობრობა, თუ?.. და თუ სხვა არაფერი, მაშ?— სისულელეა. — უცებ გული მოუვიდა სიმონს, თავი გადაიქნია, ოდნავ შეთეთრებული მოხდენილი თმები მოიშორა შეზლიდან, და ისევ თავისი ჩვეულებრივი თავაზიანი ღიმილით გამოეხმაურა სტუმარს:

— მაშ, გყვარბის საქმე კარგად არის?

- დიახ, ვკონებ.
- როდის ათავებენ ბეტონირებას?
- ეს... არ ვიცი.

— როგორ, განა, დღეს არ ვაფიქსართ იქ?

— არა... დიახ, ვიყავი მუშაობაში არ შევსულვარ.

— აი, აი-აი, თამარ, როგორ არა გრცხვენიათ, რომ ჩვენი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხს ასე უგულოდ ეკიდებით. არ მოველოდი, თქვენგან, არ მოველოდი, — ხუმრობდა სიმონი და თვალები კი სულ სხვა რამეს ამბობდნენ „არ შესულხარ, არ გაინტერესებს? რატომ, აკი წინათ ასე გაინტერესებდა“.

არა, დღეს აშკარად რაღაც ისეთი ტრიალებს მათ ირგვლივ, რომ სიმონს მისი ჩვეულებრივი მსუბუქი საუბარი აღარ ეხერხებოდა. არც თუ თამარი გრძნობდა თავს ისე მშვიდად, როგორც წინათ.

კარზე დააკაკუნეს. მასპინძლის სახე ოდნავ, სულ ოდნავ მოიღრუბლა.

— ვინ არის? — გამოეხმაურა იგი თითქო უცმაყოფილოდ, მაგრამ გაიღო თუ არა კარი, და სიმონმა თავისი დიასახლისი, დარაჯის მეუღლე თებრო დანიხა, ხალისიანად მიეგება:

— ა-ა, ჩემო თებრო, მობრძანდი მობრძანდი.

— საღილი მოგიტანეთ, როგორ ბრძანდებით, ხომ უკეთა ხართ? — ამბობდა ეს კარგად ჩასუქებული, პირმრგვალი მანდილოსანი და თან ხალისიანად ტრიალებდა ოთახში.

— ო, ძალიან კარგად, ჩემო თებრო, ძალიან კარგად. სწორედ დროზე მოხვედი. ხომ ხედავ, როგორი სტუმარი გყავს. მგონი ერთი ბოთლი ლენინოც შეგერჩია. აბა გაგვიმასპინძლი. ხომ არ მეტყვი თუ არს. ავადყოფთან ერთად ისაღილოთ, — მიმართა მან თამარს.

— მადლობთ, მე უკვე ვისაღილე.

თებრო შნოიანად ფუსფუსებდა მაგიდასთან. შემწვარი ვარია დაჭრა. ორიოდვე ახალი კიტრი, ყველი, შოთი პური, ლენინოც გამოიღო კარადიდან.

ატმების ლარნაქით დაამშვენა მაგიდა და თავაზიანად მოიწვია თამარი:

— მობრძანდით თქვენი კირიმე, მიირთვით.

— არა, არა,— შეწუხდა თამარი, — მე არაფერი არ მინდა, აკი ვთქვი ნასადილევი ვარ.

— კარგი თებრო, ხომ ხედავ როგორი მორიდებული სტუმარი გყავს.

— თუ რაღე დაგვირდათ, მე აქვე ვარ...

თებრო გავიდა.

არც თამარს და არც სიმონს თითქმის არაფრისათვის უხლიათ ხელი. სიმონს მუდამ მადა ეკარგებოდა გულის შეტევის შემდეგ. თამარს აბა რა საქმლის თავი ჰქონდა.

მაგრამ მაინც ამ გაშლილმა სუფრამ ისეთი სიახლოვე და ინტიმური განწყობილება შექმნა მათ შორის, თითქოს დიდი ხნის ახლობლები, მეგობრები იყვნენ. ბევრი არაფერი უთქვამთ.

თამარმა წიგნი აიღო ხელში.

— ანა კარენინა... გიყვართ ტოლსტოი?

— თქვენ?— კითხვითვე უპასუხა სიმონმა.

— ძალიან, მე შემიძლია დღენიადაც მეჭიროს მისი წიგნი ხელში. ხშირად ყველაფერი, სწავლაც, საქმეც, ყველაფერი მაგიწყდება, თუ ტოლსტოის რომელიმე ტომი შემომხვდა და კითხვა დავიწყე...

— თქვენ უსათუოდ გატაცებული მკითხველი ხართ, როგორც ყველა მეოცნებე. თქვენ მეოცნებე ხართ. თამარ...

თამარმა არ უპასუხა. იგი მართლაც მეოცნებე იყო. ახლაც ზომ უფრო ოცნებით იყო მოცული, ვიდრე სინამდვილეთ.

საოცარი ქალი იყო თამარი. პირველი შეხედვით გაუგებარიც გეჩვენებოდათ ის მიმზიდველობა, რომელიც იყო ამ ქალში. მას არ ჰქონდა ისეთი გარეგნობა, რომელიც პირველი შეხედვითვე,

ქუჩაში თუ საზოგადოებაში, წამსვე ხიბლავს ხალხს. მაგრამ გუყუროდაც ამ ქალში, რაღაც ვაცნობილად იმეორებდა თუოდ მიიზიდავდა ადამიანის ყურადღებას.

მას თბილი მუქი თვალები ჰქონდა. წაბლისფერი ნაზი თმა, შუაზე გადაყოფილი და სადად შეკრული უკან. იგი უფრო ფერმკრთალი იყო, იშვიათად თუ შევარდისფერდებოდა და ეს ვარდისფერი საოცრად ამშვენებდა მისი სახის ნაკვეთებს. იგი საშუალო ტანისა იყო, სუსტი აგებულების.

შნოიანი ნაზი მიხვრა-მოხვრა, იშვიათი თავაზიანობა და მორიდებულება მატებდნენ მას მომზიდველობას...

ოცნება ოცნებაა, სინამდვილე — სინამდვილე, თამარმა თავს ძალა დაატანა და წამოიღვა.

— როგორ დამიგვიანდა. დროა წავიდე. ნახვამდის, — მიმართა მან მასპინძელს.

სიმონმა წუთით შეაჩერა ქალის ხელი თავის ხელში.

— რად გეჩქარებთ? გელით ვინმე?

— არა, არავინ არ მელის... ოღონდ, ვფიქრობ, გვიანაა. თქვენც მოსვენება გესაჭიროებთ. მშვიდობით...

კიდეც ერთი წუთი სიჩუმე და ისევ სიმონმა წამოიწყო:

— თამარ, ერთ რამეს გკითხავთ. მიპასუხებთ?

— რა უნდა მკითხოთ ისეთი?

— თამარ, მოთხარით, თქვენ თავისუფალი ხართ?

თამარი დაიბნა, შეწუხდა, გაურკვეველი გრძნობით ახედა მამაკაცს „ნუ თუ არ იცისო“, გაიფიქრა, წამსვე სიწითლე შეეპარა მის ფერმკრთალ სახეს და ისე დაშვენდა, როგორც არასდროს არ ენახა იგი სიმონს. ასე იღვა თამარი შემფოთებული, განაბული. როგორ უთხრას, რა უთხრას? და სიმონმა ვერ გაუგო. მას ქალის ეს გაოგნება, მისი გაოცება, ეჩვენა როგორც უმანკო ქალის შემფოთება, რომელსაც სრულყოფილი

ბით გაუგებარს რასმე სწამობენ და იგი წამსვე დიდი, დაუოკებელი სიხარულით ანთო.

— თამარ, იცოდეთ, რომ თქვენ უდიდესი ბედნიერება მომანიჭეთ დღეს.

თამარი მიხვდა, რომ სიმონი არასდროს არ ეტყოდა ამას, რომ მისი და სერგოს ურთიერთობა სცოდნოდა, რომ მან ვერ გაუგო, მაგრამ გვიანდა იყო. სიმონმა თავი დაბლა დახარა, ფრთხილად, ოდნავი შეხებით ხელზე ემთხვია.

და ქალის მთელი სხეული მოიცვა ისეთმა ტკბილმა, სანეტარო ბურუსმა, რომ იგი ველარ ერკვეოდა, სად იყო, ან რას ეუბნებოდა სიმონი.

— თქვენ მე უდიდესი ბედნიერება მომანიჭეთ. იცოდეთ თამარ, რომ თქვენ ულამაზესი, უშშვენნიერესი ქალი ხართ და მართო თქვენი ხილვა, თქვენს ახლო სუნთქვა მუდამ უდიდესი ბედნიერება იქნება ჩემთვის. — ესმოდა მას, თბილი, მომზიბლავი, თავბრუდამხვევი ხმა.

„რაა ეს? რა მემართება? ჰო, მე უნდა წაივდე, ავი დავეშვიდობე კიდეცო! რა მემართება?... — ებრძოდა თამარი ამ გაუგებარ გრძნობას.

— მე უნდა გხედავდეთ თქვენ, ხშირად, მუდამ... ხომ მოხვალთ კიდეც? — ისევ მოესმა თამარს, თითქოს შორიდან, სულ შორიდან.

რა თქვას, რა უპასუხოს?..

კიდეც დახარა თავი სიმონმა და ახლა ორთავე ხელი დაუოცნა ქალს.

და საოცარმა გრძნობამ მოიცვა თამარი ამ საღამოს შეკდეგ. იგი წევებოდა, დგებოდა, მუშაობდა, მაგრამ მისი გონება ისე იყო დანისლული როგორც იმ თოვლიან დღეს, როცა იგი თბილისს, ინსტიტუტში მიდიოდა. ოღონდ მაშინ ირგვლივ თოვდა და ნისლი იყო ჩამდგარი, თამარის გულში კი სინათლე და სიმშვიდე, ბედნიერება და კმაყოფილება მღეროდა, ახლა კი ირგვლივ სინათლე, სითბო და სიმშვიდე იყო, ზოლო თამარის გული დანისლულა. „მნათობი“ № 8.

ლი, ბურანში გახვეული, უცხო ტრთველებით დამონებული და გაოგნებული იყო.

სერგო, — სად იყო სერგო? თამარი არ ხედავდა მას. სადერევეციო არხთან არავითარი საქმე ჰქონდა სერგოს, თამარი გვირაბში აღარ მიდიოდა.

არც თუ სიმონი უნახავს მას აქეთ თამარს, მაგრამ მისი სიტყვები „თქვენ მე უდიდესი ბედნიერება მომანიჭეთ“ — მუდამ რეკდა მის გონებაში. მისი შესანიშნავი სახე, მისი უცვარი სიხარულით ანთებული თვალები, შევერცხლილი თმები. მისი ტუჩების მსუბუქი შეხება, რომელიც თითქოს სამუდამოდ შერჩა ქალის ხელგბს.

რა იყო ეს, სიყვარული? ეს იყო ნამდვილი სიყვარული, თუ ის? — სერგო? მისი დინჯი ხმა, მისი კეთილი სახე, ნაცრისფერი თვალები, — თამარს აგონდებოდა ახლა ყოველივე ეს. როგორც შორეული წარსული, უფრო მეტიც, როგორც სიზმარი, დიდიხნის წინათ, ბავშვობაში ზმანებული.

გავიდა რამდენიმე დღე. თამარს ამ ხნის მანძილზე სიმონი არ უნახავს. არც ცდილა ენახნა იგი. სიმონი კი, სიმონ ქელოციმე განზრახ გაურბოდა მას. ერთხელ თვალი მოჰკრა შორიდან. თამარი ნელა მიჰყვებოდა სამმართველოს გასწვრივ ახლადგაშენებულ ნორჩი კედლების ხეივანს. სიმონი წუთით აიტანა სურვილმა დასწვოდა ქალს და მისი ნახი ხმა მოესმინა. მართალია, დღეს მეტად მნიშვნელოვანი სხდომა აქვს დანიშნული. მაგრამ ჯერ კიდეც არის დრო... არა, მან უმალვე დაიოკა გული, უკან დაიხია და ვიდრე ქალის ნახი სხეული საღამოს ბინდში არ გაჰქრა, იგი ადგილიდან არ დაძრულა.

იმ სხდომას სერგოც დაესწრო. არც ერთს და არც მეორეს არ ახსოვდათ იმ დროს თამარი, რომელიც თავის მოუწყობელ ოთახში თვალებგახელილი იწვა და ამაოდ ცდილობდა თავისი ცხოვრე-

ბის გზაზე, ასე მოულოდნელად განსაკვეთლ კენძის გახსნას.

სერგო მეტად აღელვებული იყო იმ საღამოს. იგი მოითხოვდა მეტ მასალას, გვირაბის მშენებლობის აჩქარებას. „მთელ წელიწადს ხომ ვერ მოუხდებოდა ამ გვირაბსო“, — ამბობდა სერგო. გაიტანა კიდევ თავისი, სიმონი დაითანხმა და სამაგიეროდ უფრო მოკლე ხანში ითავა გვირაბის ბეტონირების დამთავრება.

შაბათ საღამოს, თამარი სამმართველოს წინ იდგა, რათა ქალაქში მიმავალ მანქანას გაჰყოლოდა, მშობლები მოეხსენებინა. რაღაც გაურკვეველი იმედი დაებადა, რომ დედას ახლოს უფრო დამშვიდებით გაერკვეოდა, თუ რა მოსდიოდა, ან რას სჩადიოდა. რახან შინისკენ ჰქონდა პირი, კიდევაც უფრო მშვიდად გრძნობდა თავს, თითქოს უკვე მოშორდა იმ მშფოთვარ ამბებს. რაღაც ამ ბოლო დროს ასე მოულოდნელად თავს დაატყდა.

— თამარ, საით? — მოესმა უცებ.

თამარმა მოიხედა. შარა-გზაზე თანამოიქარა.

— შინისკენ ვაპირებ, იქნებ მანქანა შემომხედეს.

— ჰო, კარგია, მამ ერთად ვიმგზავრებო, — გაუხარდა მეგობარს. — მეც უცებ გადაწყვიტე წასვლა. სერგო სად არის? — წამოიძახა უცებ თინამ, თითქოს ვერ წარმოედგინა თამარი უსერგოოდ.

თამარს მყისვე სიწითლე შეეპარა სახეზე.

— არ ვიცი! დღეს არ მინახავს.

— რაო, ხომ არ წაკინკლავდით?

არაფერია ჩქარა მორიდდებით შეჯიქტო. გაათავე ბარემ საქმე, რას აწვალე კაცს ამდენ ხანს.

— თინა!

— რაო თინა! ოცდაორი წელია თინა მქვიანი ვინ არ იცის, რომ შენს ხელთ არის ყველაფერი. და თუ სერგო არ აჩქარებს, მხოლოდ იმიტომ რომ გე-

რიდება, არ უნდა ისარგებლო შენი ძველი დაპირებით...

— რა დაპირებით, ~~რას მანქანა~~ მესმის...

— ს-სუ, ნუ ეშმაკობ, თუ გვინია არავინ იცოდეს თქვენი ამბავი.

ამ დროს მსუბუქი მანქანა გაიერდა სამმართველოს მისაველთან. კარები გაიღო, ჯერ გვირაბის სამუშაოს მწარმოებელი ინჟინერი წიგნაძე გადმოვიდა და შემდეგ ის, ვის დახაზვებზეც თამარი უმაღვე გაფითრდა, და აირია.

ქალები კიბის ხის მოაჯირიდან წამოიშალნენ.

— საით გამგზავრებულხართ? — მიმართა მათ წიგნაძემ, რახან ორთავეს ხელთ პატარა სამგზავრო ჩანთები შენიშნა.

— თბილისს, მშობლების სანახავად, — მიუგო თინამ.

— ჩვენც ქალაქში მივდივართ, — უპასუხა ინჟინერმა, — რას იტყვი, ამხანაგო ქვლივით? მივეგვართ ქალები მშობლებს, მაღლია.

— სიამოვნებით, — დაუდასტურა სიმონმა, რომელიც უხმოდ შეჰსკეპროდა თამარს, რადგან მყისვე შენიშნა. თუ როგორ გამოცვლილიყო იგი ამ რამდენიმე დღეს. „ნუ თუ? — გაიფიქრა სიმონმა თან სიხარულით, თან სიხანულით, რადგან იმ შეხვედრის შემდეგ ორი სიტყვა „რას ვშვრები, რას ჩავდივარ“ — არ ასვენებდა და მუდამ ჰქენჯნიდა მას.

— ოღონდ ცოტაოდენ შეგვიგვიანდება სამმართველოში, და თუ მანამდე არ წაელენ...

— რას წაელენ? მსუბუქი მანქანა ხომ არ მიდის დღეს მეტი და საბარგულზე ჯაგჯავს ის არ ურჩევნიათ, ცოტა დაიცადონ? მამ ასე, ქალებო, ცოტაოდენი დაგველოდეთ და უმაღვე ჩაგაგრილებოთ ქალაქში.

— აი, კაცი! — წამოიძახა თინამ, გაიხურა თუ არა შესასვლელი კარ-

ბი. — მაგის გულისათვის მართლაც, რომ თავს არ დაეზოგავდი.

— ვინ? წიგნაძე? — მექანიკურად გამოეხმაურა თამარი, თუმცა იგი წიგნაძეზე არ ფიქრობდა ახლა.

— ი, წიგნაძე კი არა! წიგნაძისთანე-ბი რამდენიც გინდა იმდენია, მაგრამ სიმონ ქვლივიძეს მსგავსი მე ჯერ არ შემხვედრია, — დაასვენა თინამ.

ქალები ნელ საუბარში იყვნენ, რომ სამართველოს კარები გაიღო, მოღი-მარი წიგნაძე გამოვიდა და ქალებს მი-შურა.

— აბა, ჩქარა მანქანაში. სიმონიც ახ-ლავე მოვა. თამარ მობრძანდით. თინა!

— არა, მე შეიძლება არ წამოვი-დე, — წყნარად ამოსთქვა თამარმა.

— რაო? — გაოცდა თინა, — რამ გიკბინა, აკი მზად იყავ თუნდაც საბარ-ვო მანქანით წასულიყავ?

— ახლა მომაგონდა... ერთი საქმე მაქვს და... ისევ ხვალ თუ წავაღ...

— როგორ შეიძლება ასეთ შესა-ნიშნავ საზოგადოებას გამოაყლდეთ! — ამხურდა წიგნაძე, — უნდა წამობრძან-დეთ, — მაგრამ ამ დროს სიმონ ქვლი-ვიძე გამოჩნდა. მან უსიტყვოდ გაუწო-და ხელი თამარს, რადგან არაფერი იცოდა მის წინააღმდეგობაზე. თამარ-მაც შეხედა თუ არა მის გახსნილ სახეს, იგრძნო თუ არა მისი თვალების ნელი ცეცხლი, მისი ხელის შეხება, უღონო და უფნო კრავივით მიჰყვა მის სურ-ვილს, არც კი დაფიქრებულა, თუ რო-გორ გაიგებდნენ მის საქციელს დანარ-ჩენები.

— აი, თამარ, ნახე, აქ აუზი იქნება აქ კიდევ ბალი, არა? — აღაპარაყდა თი-ნა, დაიძრა თუ არა მანქანა.

თამარი სდუმდა.

არც სიმონი იღებდა ხმას. მან ისეთი სიშფიღე, ისეთი კმაყოფილება იგრძ-ნო ამ უსიტყვოდ განაბული ქალის გვერდით, თითქოს სამუდამოდ მასთან, მარტო მასთან რჩებოდა ამიერიდან და აღარაფერი ამფოთებდა, აღარაფერი აწუხებდა ამ ქვეყნად.

— შეხედე, თამარ! ჩვენი სერგო წამოიძახა ისევ თინამ: — სერგო! სერგო! — დაიძახა უცებ ქალმა და ფანჯარაზეც კი დააკაუნა, რომ ვაჟის ყურადღება მიექცია. მიღ-წია კიდევ მიზანს, ნეტავ რაში დას-კირდა, რომ ისედაც მონუსხული დღე სულ მოეწამლა ამ კაცისათვის.

სერგომ თავი ასწია, გაიხედა, და კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდა, მან-ქანა წამსვე გასრიალდა. დაინახა თუ არა, ვინ იჯდა შიგ? ვინ იცის. ერ-თი კი იყო, რომ მეორე ცვლის მუ-შებმა არაერთხელ გაიგონეს, როგორ ტუჩებ-მოკუმული იმეორებდა იგი ერთსა და იმავე სიტყვას „მით უკეთე-სი, ყველაფერი რიგზეა!“ — მაგრამ ისე, რომ ვერ გაუგებდით, თუ რას ნიშ-ნავდა ეს კარგისა თუ ცუდს.



მანქანა თბილისის განათებულ სანა-პიროზე მიჰქროდა.

— იცით რა, ამხანაგო სიმონ, — პი-რი იბრუნა წიგნაძემ, — შშვენიერი სა-ლაშოა, წინადადება შემომამქვს ამაღამ ერთად ვივარდით, თუ ჩვენი მანდი-ლოსნები უარს არ გვეტყვიან.

თინა სიხარულით აინთო. მაგრამ თა-მარი უმაღლვე უარყო ეს წინადადება.

— ი, არა, მე ვერ წამოვალ. — სახლ-ში მელიან, შეეშინდებათ...

მთელი ეს გზა თამარი არეული და გაოგნებული იყო. იგი თითქოს კმაყო-ფილად და ბედნიერადაც გრძნობდა თავს ამ კაცის გვერდით, მაგრამ თვალ-წინ ედგა სერგოს სახე, მისი მოქუტუ-ლი, ხშირი წამწამებით დაფარული თვალების გამოხედვა, რომელიც მან მანქანას გააყოლა. არა, თამარი ვერ წავიღოდა დღეს ვახშმად, არა, ეს შეუ-ძლებელი იყო.

მანქანა ნელინელ უფლიდა ასბინან შენობას, რესტორანის დიდი ბივანი

მომხიბლველად გაჩირადნებული იყო. სასოწარკვეთილ თინას ლამის მზერით გაეგმირა მეგობარი.

— რა სისულელეა, ვინ ველის? რა იციან, რომ დღეს მიხვალ, ან სწორედ ამ დროს. ნუ ჯიუტობ — ანწხოვობდა იგი.

— მართლაც, თამარ, დავრჩეთ, არაფერი არ მოხდება, მერწმუნეთ.

— არა, მე ყოველ შაბათს ჩამოვდივარ. დედა შეწუხდება. თქვენ დარჩით, მე ტროლეიბუსით ავალ შინ — და თამარი წამოიწია კიდევაც, რომ მანქანა დაეტოვებინა, მაგრამ აქ სიმონმა ამოიღო ხმა.

— მართლაც არა ღირს, დაგვიანდება, მეც არა მცალიან, მთავარ სამმართველოში უნდა გავიარო.

საკვირველია, რომ თამარს, თუმცა თვითონვე უარზე იყო, გული დაესერა, რაწამს სიმონმა უარპყო ეს ვახშამი.

ახ, ალბათ, მას სურვილი აღარა აქვს ჩემთან ყოფნისა. მე კი...

რა იცოდა თამარმა, რომ სიმონ ქვლივიძეც ამ დროს სერგო თენგიშვილს, მის მოპუტულ თვალებს და მზისგან გამწვარ ახალგაზრდა, ენერგიულ სახეს ხედავდა.

მაინც ისე მოეწყო საქმე, რომ თამარი და სიმონი მარტო დარჩნენ მანქანაში.

თამარმა გოცეებით ახედა სიმონს, როცა მანქანა ჭაგუჭაგის ქუჩას აპყვა.

— ვიცი, სად ცხოვრობთ. ოდესღაც ნამყოფიც ვარ თქვენსას, — განუმარტა სიმონმა. ერთ დროს კარგადაც ვიცნობდი თქვენებს!

— თამარ, ალბათ ხვალ აპირებთ დაბრუნებას, თუ ნებას დამართავთ, გამოვივლით და მევე გაგაცილებთ.

მანქანა გააჩერა, გადმოვიდა, ქალს ხელი შეაშველა. ხელზე წინანდებურად ემთხვია და გამოეთხოვა. თამარი ერთ წუთს უძრავად იდგა შესაფაღში. მერე ნაკონი ხელი აჩქროლებულ გულთან მიიტანა და ისევ ისე გაოგნებული აპყვა კიბეს.

თბილი აბანა, დედის აღერსიანი ზრუნვა, მშობლიური სახლის ჩვეულო თბილი ატმოსფერო, სწორედ ამ დღეებში, რომელთაც იგი ჩამოსვლისთანავე ინახულეს, — ყველაფერი ეს მაღამოსავით ეამა თამარის გათანგულ გულს. იგი თითქოს გამოცოცხლდა, გამოფხიზლდა, თითქოს ისევ იმ უზრუნველ, ნებიერ გოგონად იქცა, როგორც იყო ერთ დროს. მართალია, გაიღვიძა თუ არა დილით, მაშინვე მოაგონა, რომ დღეს სიმონთან ერთად უნდა იმგზავროს, შეიძლება მარტონიც დარჩნენ მანქანაში. და წამსვე ის ჩვეული მტკივნეული სიბარული იგრძნო, მაგრამ მაინც დღეს ბევრად უფრო მშვიდად გრძნობდა თავს, თითქო მშობლიური ქერა ყველაფრისგან იცავდა, ყოველ უსიამო ნისლს ამორებდა. მაინც მთელი დღე ტელეფონისკენ ეჭირა თვალყური, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სიმონი უსათუოდ დაურეკავდა მოსელამდე.

არავისთვის არაფერი გაუმხელია, რა თქმა უნდა, ოღონდ დედის კითხვაზე, თუ როდის ან რითი დაბრუნდებოდა მშენებლობაზე, ძუნწად უპასუხა დღესვეო, და რომ სიმონ ქვლივიძე დაპირდა მანქანით წაყვანას. უთხრა და უმაღვე ინანა, რადგან დედამ მაშინვე კითხვა:

— სიმონ ქვლივიძე? ო, შესანიშნავია. მართლა, როგორა ხარ მასთან?

— ძალიან კარგად, — მოუჭრა თამარმა ამო იმედით, რომ აქვე დაბოლოვდებოდა ეს საუბარი.

— რა დროს წახვალთ? — ჩაეკითხა დედა.

— არ ვიცი, როცა მოიცლის. ალბათ, ნასადილევს.

— აქ გამოვივლის, თუ?

— ჰო, ალბათ.

— შეილო, მერე სადილად არ დაპატივე?

— არა, არ ვიცი, არ მიფიქრია.

— ო, ღმერთო! როდემდის უნდა იყო ასეთი ბავშვი? ასეთი პატივსაცემი

კაცი ეგეც არ იყოს, იგი ხომ ჩვენი ძველი მეგობარია.

დიასახლისი წამსვე დატრიალდა, რომ სადილისათვის უფრო საზეიმო ვლფერი მიეცა. თამარი რატომღაც უკმაყოფილო დარჩა ამ ამბით. მას არ უნდოდა, ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა დაეკირა თავი სიმონ ქვლივიძესთან შინაურ გარემოცვაში.

— ახ, დედა რატომ ფიქრობ?... ის, ალბათ, ნასადილვეი იქნება.

— მაინც უნდა მოვიპატრონო, უხერხულია, მერე და სად ისადილებდა? სადმე რესტორანში. იგი ხომ მარტოხელა კაცია.—და ჩვეულებრივ სადილს, ერთი ორი ახალი საუზმე მოუმატეს.

სიმონმა მართლაც ტელეფონით დარეკა. და სწორედ იმ დროს, როცა სუფრას სადილისთვის აწყობდნენ ისე მოხდა, რომ თვითონ დიასახლისი შვილდა ტელეფონთან.

— ახლავე,—უბასუხა და თამარს მიმართა:—ეს ქვლივიძეა უსათუოდ. გესმის, ახლავე დაპატივე, ჩემი სახელით.

სიმონი შოვიდა და თავისი შესანიშნავი გარეგნობით და თავაზიანი ქცევით ყველა მოჰხიბლა, განსაკუთრებით კი დედა. სალომე შესტყეროდა ამ ლამაზ კაცს, რომელიც ისე მოხდენილად, ისეთი თავდაპყრობით იჯდა მისი ქალიშვილის გვერდით და ფიქრობდა „ღმერთო, ნეტავი ისე დატრიალდებოდეს საქმე, რომ ეს კაცი თამარის ქმარი გახდებოდესო“.

დედას ხომ თავიდანვე არ მოსწონდა სერგო თენგიშვილი, ახლა კი, ომის შემდეგ, დაქრილი, რაღაც გაუგებარი სნეულებით დაავადებული, შეიძლება უკვე განწირული, რა ბედნიერებას მინიჭებდა მის ქალს?..

სალომე მეტად კმაყოფილი იყო, ქორწინება რომ გადაიდვა და უმადლოდა სერგოს, რადგან გრძნობდა, რომ ეს მისი გადაწყვეტილება იყო.

ყოველი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც დედა თამარის გვერდით დაინახავდა, უკვე იმედს გვრიდა მის გულს, რომ

ეს განსაცდელი, ეს მიუღებელი ქორწინება ასცილდებოდა მის გარგონას. სიმონი კი, სიმონი ზამქვიანი ბრწყინვალე სასიძოდ უმჯობესდებოდა.

თვითონ პროფესორი ნებეირიძე — თამარის მამა გულგამილიად შეეგება სიმონ ქვლივიძეს სტუმრობას.

პლატონ ნებეირიძე და სიმონ ქვლივიძე ახალგაზრდობისას ხშირად ხედუბოდნენ ერთიმეორეს, რადგან ერთ და იგივე წრეს, ერთ და იმავე საზოგადოებას ეკუთვნოდნენ მაშინ.

ნებეირიძე უფროსი იყო. მაშინ, როცა სიმონი კაბუკობის მიჯნაზე რევოლუციური აზრებით იყო გატაცებული, პლატონ ნებეირიძეს უკვე საკმაოდ სერიოზული მეცნიერის სახელი ჰქონდა მოპოვებული. იგი თუმც თანაუგრძნობდა სიმონის იდეალებს, მაგრამ ვერ გაბედა, ძალა არ ეყო აყოლოდა მას და თავი რევოლუციონერის ღუბჯირ ცხოვრებისათვის მიეცა. მაგრამ იგი პატიოსნად შრომობდა და მთელი თავისი ცოდნა და შრომის უნარი გახსნილი გულით შესთავაზა ახალ, საბჭოთა საზოგადოებას მისი ჩასახვის პირველ დღეებიდანვე. ამიტომაც პატივცემული და დაფასებული იყო იგი და ახალი საზოგადოების მოწინავე აღამინების რიგებში იდგა.

— მეტად, მეტად მოხარული ვარ, რომ კვლავ საქართველოს დაუბრუნდით, — ხალისიანად მიესალმა პროფესორი სტუმარს. — მუდამ მსიამოვნებდა ყოველი თქვენი მიღწევა. განა დამეფიწყდით? იცი, ჩემო კარგო, — ეუბნებოდა იგი ცოლს, — ჩვენი სიმონი თუმც მეტად ნიჭიერი ყმაწვილი იყო მუდამ, მაგრამ რომ იცოდე, რა მოუსვენარი იყო ერთ დროს. ო, სულ აგვირია ყველაფერი. განა ასეთი დარბაისელი კაცი იყო მუდამ?

— მე ახლაც ისეთივე მოუსვენარი ვარ. ჯერაც არ გამოვსწორდი, თუმც სიბერემ მიწია, — ხუმრობდა სიმონი.

— რა დროს თქვენი სიბერეა, რომელ ვაბუკს ჩამოუვარდებით? არა,

რომ იცოდე, სალომე, რა ამბები იყო მაშინ.

ყველა შესანიშნავად გრძნობდა თავს, ყველა მეტად კმაყოფილი რჩებოდა ამ სადილით... თამარის გარდა. თამარი საოცრად დაიქანცა. მან არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი. ვერ გამოერკველა, ვინ იყო იგი ასე თბილად მიღებულ სტუმრისათვის, ან ვინ იყო ეს სტუმარი მისთვის. იგი დედის ნამეტნავ კმაყოფილებასაც გრძნობდა და ესევე აღელვებდა მას. თამარს კარგად ახსოვდა, რომ დედა არასდროს ყოფილა ასეთი თავაზიანი, ასეთი მოსაყვარულე სერგოსადმი და სერგო ხომ თითქმის ოფიციალური საქმრო იყო მისი. და თუმცა თამარმა თვითვე დასთმო სერგო თენგიშვილი სიმონისათვის, მაინც შშობლების ასეთი უყურადღებობა, გულგრილობა სერგოსადმი აშფოთებდა მას. მართლაც და არავის ახსოვდა სერგო, ოღონდ ილიამ, თამარის უფროსმა ძმამ ახსენა იგი:

— სერგო როგორა გეყავს, ჩვენი სერგო, თამარ?

ამ კითხვამ ერთგვარი დისონანსი შეიტანა საერთო განწყობილებაში.

— სერგო? არა უშავს რა, კარგად არის, — წყნარად გამოეხმაურა თამარი ძმას.

— ხომ აღარ მოსვლია ის შეტევები?

— არა, მგონი არა, — უპასუხა თამარმა.

— ნახვ, შესანიშნავად განიკურნებოდა თავის თავად, არც ოპერაცია უნდა, არც არაფერი, — ამბობდა ილიკო. — სერგო მოქმედების კაცია, აქ მოლოდინის, უქმედობის დროს იგი ოდნავ დასძლია ავადმყოფობამ, ხოლო იქ მუდმივ საქმიანობაში არც კი შეიძინებს არაფერს. ეგ ხომ ნერვიულობის ამბავია. საქმე, გამარჯვება, აი, მისი წამალი. ხომ შესანიშნავი ბუშაკია ჩვენი სერგო? — ჰკითხა ილიკომ სიმონს.

— სერგო თენგიშვილი? შესანიშნა-

ვი ინეწენერია, ხოლო რა ავადმყოფობა იქნებოდა, მე არაფერი ვიცი? — შეეკითხა სიმონი.

მას განუმარტეს. **ბიბლსიონის**  
— მაშ ასე, არ ვიცოდი — დაასვენა სიმონმა.

ამის შემდეგ სადილის წინანდებური ზეიმური ელფერი ცოტათი ჩაქტარა, რადგან პროფესორისა და მისი ვაჟის გარდა ყველა თითქოს ოდნავ უზერხულად გრძნობდა თავს.

მანქანაში რომ ჩასხდნენ, თამარმა ერთი სიტყვა-ღა ამოსთქვა, — ო, დავიქანცეო.

სიმონი არ გამოხმაურებია. ასე ჩუმად გაიარეს თითქმის მთელი გზა.

წამოწვიმდა. შემოდგომის წვრილწყვეთება ხშირი წვიმა თანდათან ძლიერდებოდა, ბოლოს ისე მოუხშირა, თითქოს სჭელი თუმც გამჭვირვალე ფარდით ჩამოაშორა მათი მანქანა სამყაროს. თამარი განაბული გადაწოლილიყო ზურგის საყრდენზე და ვასკეკეროდა მანქანის ფარით გაშუქებულ კრიალა წვეთებს.

სიმონი სდუმდა. მხოლოდ როცა წვიმის ნისლში მშენებლობის პირველმა სანათურებმა გამოანათეს მან უცებ თამარისათვის სრულებით მოულოდნელი რამ სთქვა:

— არ მომწონს ეს წვიმები.

— რათა? — გაუკვირდა ქალს.

— მეტად მოუხშირეს: კაშხალის საყრდენი კედელი ჯერ არ დამთავრებულა... მეშინია ჯებირები არ გაარღვიოს წყალმა. ესკავატორები, წყლის სასრუტი მილები საფრთხეში არიან...

— კი, მაგრამ, — გამოეკამათა თამარი — ვანა ახლა შესაძლებელია წყალდიდობა?

— ისეთი წყალდიდობა არა, მაგრამ ჩვენში, საქართველოში და საზოგადოდ ყველა მთიან ადგილებში ხანდახან ასეთ წვიმასაც შეუძლიან ისე ააზვიართონ წყალი, რომ ჩვენი ჯებირებისათვის საშიში გახდეს.

მაგრამ ვიდრე მშენებლობას მიაღ-

წევდნენ, წვიმა შენედა, ახლა მხოლოდ ხშირ-ხშირი, თითქოს დაუძლეურებული წვეთები ეცემოდა აქა-იქ.

სიმონს მანქანიდან გადმოვიდა, კარუ, ბამდე მიაცილა ქალი. და თავისდა მოულოდნელად უთხრა:—თამარ, ხვალ... მე დაგელოდებით... მოხვალთ?

— მოვალ, — მოკლედ უპასუხა თამარმა და ისევ იმ გაურკვეველი გრძობით ნელა შეაღო კარი თავის მოუწყობელ ოთახში.

„არა, ეს საბედისწერო ამბავია ჩემს თავს“, — ფიქრობდა სიმონი. და ახლაც კი ნანობდა, თითქოს რაღაც მუტი მოიქმედა, ვიდრე შეფერთდა.

მანქანა რომ გაისტუმრა, სიბნელეში თვალი მოჰკრა, რომ ეზოში თებრო ფუსფუსებდა. თებრო და ვიღაც ახმაზი თმაბატრძგენილი მამაკაცი. ისიც მოეჩვენა, თითქოს ორთავე მოერიდა მას და განზრახ ამოფარნენ სახლის კედელს. „ეს ხომ თებროა, — გაიფიქრა სიმონმა, მამაკაცი?“ — თითქოს ემცნაურა, მაგრამ ვერ შეიძნო, — რად მომერიდენო? — უცებ ჩაიცინა, — ხომ არ გაეშმაკდა ჩვენი თებრო, — უნდოდა გამოხმაურებოდა კიდევ, რომ თავის ეჭვში დარწმუნებულიყო, მაგრამ თავი შეიკავა.

წვიმას გადაეღო. მაღალი ცა ვარსკვლავებით მოქუდილიყო. შესანიშნავი შემოდგომის ღამე იდგა. სუფთა, გამკვირვალე ჰაერი გარეთ იზიდავდა კაცს. სიმონი მაღლა სადგებურზე შეჩერდა. ჩამიჩუმე არ ისმოდა. თებრო და მისი სტუმარი გაუჩინარდნენ, თითქოს გაქრნენ. სიმონმა ერთხელ კიდევ ჩაისუნთქა მაცოცხლებელი, გრილი ჰაერი და სინანულით შევიდა შინ.

დილით უჩვეულო ხმაურმა გამოაფხიზლა. მოხუცი დარაჯი, თებროს მევლლე, მუდამ წყნარი, წესიერი ინვალიდი ტატე ცოლს ედავებოდა, ბუნელუნებდა: „არ დავეუშვებ, არ დავეუშვებ... ნუ მასულელებთ, ახლავე წავალ და თვით უფროსს“... — ყრუდ ესმოდა სიმონს. წუხანდელი ახმაზი მოაგონდა.

„ოჯახური სცენებიც დაიწყება“ — გაიფიქრა.

— საწყალი ტატე. მარტო წყნარად როსთან აბირებს ჩივრებს... ჩემს მამა ანა? — ჩაიცინა და ჩვეულებრივ უფრო ფამილარულად შეხვდა თებროს, როცა ქალმა საუზმე შემოუტანა.

— აბა, ჩემო თებრო, როგორ გუნებაზე ხარ დღეს?

— ი, ბატონო, რა მივირს.

— ქმარი ხომ არ გედავება? თებრომ შეშინებულივით ახედა.

— არა, ბატონო, რად უნდა მედავოს?..

— ხომ არ ეკვიანობს, ი, ჩემო თებრო?

თებრო უცებ გამხიარულდა, თითქოს გულზე მოეშვაო:

— ი, ჩემო ბატონო, რაღა დროს ჩვენი ეკვიანობაა.

— რატომ, ვითომ დაგებრდით, თებრო?

— რა დროს თქვენი სიბერეა, თქვენი კირიმეთ. ნეტავი თქვენისთანა ვაჟკაცი ბევრი შეგულვებოდეს.

— ვითომ არ დაებერებულვარ ვერ? მამ, ცოლი რომ შევიართო ამ სიბერეს ვამს, არ გაგვიკვირდება?

— ი, ბატონო, რასა ბრძანებთ, ისეთი ქალი გამოგყვებათ, რომ მზეთუნახავი, ჯეველი და მშვენიერი! — ენაწყულიანობდა თებრო.

— მერე რად გამოგყვება, ჩემო თებრო!? განა კარგი ქალი და მით უფრო ახალგაზრდა, თავისივე ტოლს, ახალგაზრდას, ვერ იპოვის, მე რად უნდა გამომყვეს?

თებრო გათამამდა.

— იი, თქვენს უკეთეს ვის იპოვის, ბატონო. აი თუნდაც, თამარ ნებიერიძე, განა არ გამოგყვებათ, აბა ერთი ხელი დაუქნიეთ და... განა არ ვატყობ!

ეს აღარ მოეწონა სიმონს, ნუთუ ამ მემამიტმა ღელაქაცაც შეშინა რამეო?

— კარგი, თებრო, — უმაღლეს შესწყვიტა მან საუბარი, — დღეს სადილად

დამიგვიანდება. შეიძლება სულაც არ მოვიდე, თუ მოვალ, თვითვე დაგიძახებთ,—ეს იმიტომ დასძინა, რომ თამარი აღარ ეჩვენებინა თავგასულ დედაკაცისათვის. „ქვეყანას მოსდებს ტყუილ-უბრალოდ“?..

სადერივაციო არხი დღე-ღამეზე მიიღებდა წყალს. არავითარი შეფერხება არა სჩანდა. დღის დამლევს თამარმა კიდევ ერთხელ მოაგლო თვალი ახლადგამაგრებულ ბეტონის კედლებს, ხვალინდელი ვრაფიკი დააწუსტა, ტექნიკოსს გადააბარა და საქმიანი დღით საკმაოდ დაქანცულმა საღარაჯოსკენ გასწია.

მანქანა რომ მოვიდა მუშების წასაყვანად, თამარმა ერთი სევდიანი თვალი მოაგლო, — არა, სერგო არ მოჰყოლია მანქანას. დიდი ხანია, რაც სერგო არ ყოფილა თამართან არხზე. სამუშაო არ დაუთვალა იერებშია, თავისი სიტყვით არ გაუმხნევებია თამარი, რომელიც ცოტა არ იყოს, კრძალვით და რიდით ეკიდებოდა ამ საპასუხისმგებლო საქმეს, რადგან ბოლო დროს სადერივაციო არხის მშენებლობა მთლიანად თამარის პასუხისმგებლობის ქვეშ იყო, მშენებლობის მწარმოებელის — საგინაშვილის ავადმყოფობის გამო. როგორ აკლდა ახლა სერგო თამარს. როგორ სწყუროდა მისი მეგობრობა.

არა, სერგო აღარ მოდიოდა მასთან, არც თუ სასაღილოში ხვდებოდა თამარს... თამარმა ერთი ამოიოხრა და მოწყენილი ჩამოჯდა შოფერთან. სასაღილოში აღარ წავიდა. შინ ცოტაოდენი საუზმე ეგულეებოდა, შინიდან გამოგზავნილი ტკბილეულობაც. მივიდა, უხალისოდ გადაყლაპა ორი-სამი ლუქმა და ისევ გარეთ გამოვიდა.

ახლადგამენებული ჰევიამი უფრო დამშვენებულიყო ნაწევმარზე. ნარჩი კადრების ფართო-ფართო მუხრანები ნათელი, ოდნავ მოკვრივებული მწკრივით პრიალებდნენ ჩამავალი მზის შუქით განაწებულნი.

თამარი სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრებული შეჰყურებდა საყვარელ ხეებს. კადრები ნელინელ შრიალებდნენ, ხან მზეს მიუშვერდნენ თავის ლამაზ ფოთლებს და განათლებდნენ, ხან კიდევ მიიჩრდილებოდნენ.

რად არა ჰქონდათ ენა ამ ფოთლებს, რომ ეთქვათ თამარისათვის, აესხნათ, თუ სად ცდებოდა იგი, — რომ სერგო სწორედ იმიტომ ჩამოშორდა მას, რომ უკვე დაღანდა თამარის გატაცება და თავმოყვარეობის, იქვენულობის კარნახით სხვა ვერაფერი მოიფიქრა, რომ განზე გამდგარიყო და ამით უფრო გაერთულებინა, გაემწვავებინა როგორც თამარის, ისე თავისი სიცოცხლე...

თამარი წამოდგა და ისევ გზას გაუდგა. ჰო, ნეტავ ვინმე, ვინმე გამოჩნდეს, დაეხმაროს, გაარკვეოს ამ, ასე უეცრად თავს დატეხილ ამბებში...

— თამარ, ქალა სად დაბოროილებ? — დაეტყა უცებ თინა, თითქოს ციდან ჩამოვარდია.

— მთელი ღღეა დაგეძებ, სადა ხარ?

— სადა? — გამოერკვა თამარი. — სად უნდა ვყოფილიყავ... არხზე, სახლში.

— სად მიდიხარ?

— არსად... ისევ... გამოვედი, კარგი საღამოა.

— ჯერ ერთი, საღამო არ არის, მეორეც, მოდი ერთი სერგოსკენ გავიაროთ. რა ხეივანია, როგორ დამშვენებულიან ჩვენი კადრები. საწყლები, თუ გაიხარებენ ნეტავი? — ტიტინებდა უზრუნველი თინა.

— აცი გაიხარეს კიდევ.

— ჰო, მაგრამ მუდამ ეს ქვიშა, სილა, ცემენტი. ისე მებრალეებიან პაწაწკინები... როგორ დამშვენებულან, წვიმით რომ გარეცხილან. წამო, გავკვეთ გვირაბამდი.

— ო, არა, მე არ შემიძლიან...

— ქალო, ასე მუდამ სახვეწნელი როგორ უნდა იყო? სად მიგეჩქარება?

— არსად... მაგრამ დადღილი ვარ და... შორსაა...

თინას გულიანად გაეცინა.

— დიდი ხანია, რაც ეს გზა გაგიგრძელდა?—აქი ყოველ დღე იქ იყავი? წამო, ხომ იცი როგორ გაეხარდება სერგოს.

— შენა გგონია? — აზრმიუცემლად შეეკითხა თამარი და შეფერადლა.

თინამ გამომცდელი მზერა მიაპყრო მეგობარს.

— რაო, რად არ გაეხარდება? — თქვენ შერთლა ხომ არ წაყინელავდით? კარგი ახლა, წავიდეთ. ამ დღით შემხვდა. რაღაცნაირი არეული იყო. ვნახოთ, უსიამოვნება ხომ არა შეემთხვა რამ.

არეულიო! — რად უნდა ყოფილიყო არეული სერგო?

თამარს წამსვე საშინელი დანაშაულოდ მოეჩვენა მთელი მისი საქციელი ამ ბოლო დროს. ის საღამო, მანქანა... და ისევ ის ეჭვი დებოდა, რაიც იქ მანქანაში აღეძრა პირველად, სერგო რომ დაინახა გვირაბთან,—მაგრამ, სერგო ხომ თვითონვე ჩამოშორდა, თვითონვე გამოიცვალა... შერე რა? ისინი ხომ მაინც მეგობრები არიან. და დარჩებიან, რაც არ უნდა მოხდეს. განა საბატეებელია, რომ თამარმა არც კი იცის, როგორ არის სერგოს საქმე? გვირაბის, მისი მანქანის საქმე?

— აბა, წავიდეთ! — გადაწყვეტით დაასვენა თინამ, თითქოს თამარის აზრი წაიკითხათ.

თამარს თუმცა ჯერ ვერ გადაეწყვიტა, რომ წასულიყო, მაგრამ თინა ისე ძლიერად ეზიდებოდა, რომ ძალაუნებურად აპყვა.

მივიდნენ, მაგრამ თინამაც კი იგრძნო, რომ მათი სტუმრობა თითქო უღროს და ხელისშემშლელიც იყო.

სერგომ ძალიან შორს დაიჭირა თავი, იგი ცივად შეხვდა ქალებს, არც თავისი

წუხილი გაუზიარა, პირიქით, თითქოს გაუკვირდა კიდევ მათი მოსვლა.

თინა არაფერს იმჩინებდა, მისი შეიჭრა გვირაბში, ათვლიერებდა მანქანას, კედლებს, ესაუბრებოდა მუშებს, მაგრამ თამარმა მეტად უხერხულად იგრძნო თავი, დამნაშავესავით იდგა გვირაბის შესავალთან სერგოს წინ და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ან რა ეთქვა.

თინა ხალისიანად ხმურობდა, გარბოდა, გამოიბოდა. თამარი ფარულად შეჰყურებდა სერგოს. არა, აშკარაა ამ კაცს მისი თავი აღარა ჰქონდა.

თამარი ნაღვლიანად ჩამოჯდა ქვაზე და ისევ თინას მიმართა.

— წამო, წავიდეთ, დადამდა.

თინა ფებს ითრევდა. ეშმაკი გოგონა. გრძნობდა, რომ შეეყარებულეებს რაღაცა აწუხებდა, და ძალიან ცდილობდა, ხელი შეეწყო მათ შორიგებას, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა. იგი ხან მოშორდებოდა ქალეებს ხან რაღაც საუბარს ჩამოაგდებდა, — არ იქნა და არა, ვერაფერი გააწყო. სერგო და თამარი შეთქმულებივით სდუმდნენ.

უცებ ერთ-ერთმა მუშამ უფროსის მანქანა დალანდა გზაზე.

— ქვლივიძე, ქვლივიძე მოდის! — დაიძახა.

მანქანა მოსრიალდა და შედგა.

— გამარჯობათ, ამხანაგო თენგიშვილო!—მიმართა სიმონმა სერგოს,—თქვენც აქა ხართ?—მიუბრუნდა იგი თამარს,—თქვენთან ვიყავი, ვერ მოგისწარი, აღრე წამოსულხართ.

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო ქვლივიძე. მეორე ცვლა ხომ აღარ შეშაობს და წამოვედით... — მოიბოდიშა თამარმა.

— ჰო, დიან, ვნახე. მაგრამ კედელი იგვიანებს და ეს მაწუხებს, თორემ არხზე ჩინებულად მიდის საქმე. ეგრეც უნდა იყოს, განა ტყუილად დაგაყენეთ ხელმძღვანელად?! — გაეხუმრა სიმონი და ისევ სერგოს მიუბრუნდა:

— გვირაბი? თქვენი საქმე როგორ-

და არის, ამხანაგო თენეიშვილო? ხომ არიფერია ახალი?

სერგო შეეყოყმანდა. უთხრას, გაუზიაროს თავისი ეჭვები? არა... ახლა, აქ არაა სერგოს უცებ მოეჩვენა, რომ სიმონი ამჟამად გვირახბის გულისათვის არ მოვიდა. აქ. ავი გაიარა კიდეც მანქანამ, მხოლოდ შემდეგ შეაჩერა იგი ქვლივიძემ, როცა, პო, როცა თამარი დაინახა მასთან. არა, ახლა ამ წუთს სერგოს არ შეეძლო, ძალა არ შესწევდა, სიმონი თავის მეგობრად, ჩაეთვალა, ხელ ეტყვის ყველაფერს, დღეს ხომ მაინც აღარა ეშველება რა, თუ მართლა სველდება კედელი.

— არა უშავს რა, ჩვეულებრივად, — თავშეკავებით უბასუხა მან უფროსს. — ჯერ არიფერი ითქმის ახალი...

სიმონმა შენიშნა, რომ სერგო უგუნებოდ იყო. მისი ავადმყოფობის ამბავი მოაგონდა და აღარ ჩააცვივდა. გვირახბის დათვლიერებას აღარ შეუძგა. ის იყო წასვლა დააბირა, რომ უცებ თინა გამოვარდა გვირახბის თაღებიდან.

— ო, თამარ, მოდი, რა საინტერესოა რომ იცოდე, — შორიდანვე ყვიროდა იგი, ვიდრე სიმონ ქვლივიძეს შენიშნავდა. აქ უმაღვე დადინჯდა, მიუახლოვდა და ხელი ჩამოართვა უფროსს.

— სალამი ამხანაგო ქვლივიძე, — და თვალი მანქანას შეაგლო.

— სამართველოსკენ მიბრძანდებით. ხომ არ წავცივებით?


— სიამოვნებით.

— აი, ბედი ამას ჰქვიანო! — გაუხარდა თინას. — თამარ, წავიდეთ, ხომ ხელე ისევ წვიმას აბირებს.

მართლაც და მშემ ჩასვლა ვერ მოასწრო, რომ ცის კიდური უზარმაზარი ღრუბლებით შეისუღრა. ერთი-ორი წვეთი დაეცა კიდეც ჯერ ისევ სველ მიწას.

— არა, რათა, ნუ სწუხდებით, — ამოსთქვა თამარმა, მაგრამ განა ასე ადვილი იყო თინას წინააღმდეგობა.

— წამო, წამო, ნუ ინაზები, ავი დალილი ვარო, ძლივს ამოგიყვანე აქამ-

დე. — ეს კი ამჟამად ცილდუნაშენა უყო, მაგრამ როცა თინას რაიმე უნდა „გაეტანა“, ძნელად თუ გაეშენა. 

— წამო, წამო, — იძახდა იგი და ქალს მანქანისკენ ეზიდებოდა.

სერგო ხმას არ იღებდა. ამა მასთან ხომ ვერ დარჩებოდა? თამარი მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს. სერგომ ერთი ამოიხუნეშა, მწარედ ჩაიცივნა. „ნეტავი რას მოდიოდაო“. — გაიფიქრა, მაგრამ წამსვე დასძინა „თინამ აიყოლია, ალბათ, თორემ მაგას ახლა ჩემი თავი აღარა აქვს“, გვირახბის ჩამბნელებულ თაღების ქვეშ შევიდა და თავის მწარე აზრებს მიეცა.

არა, ეჭვი აღარ არის, ბეტონი სულ უფრო და უფრო მუქდება, სველდება. კიდეც ერთხელ მოიმარჯვა ფარანი სერგომ, არა, არ ეჩვენება, მუქია, მუქი და თანაც ცივი, უფრო ცივი, ვიდრე უნდა იყოს. მაშ, მართლდება ის ეჭვი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ პირველად აღეძრა. ეს საშინელება იყო. მაშ ეს მეთოდი, სერგო თენეიშვილის ახალი მეთოდი უფარგისი გამოდგა: ამო იყო ყველაფერი — მისი თავდადება, უძილო ღამეები, მისი ცოდნა, — ყველაფერი ამო, უშედეგო გამოდგა.

რა მოიმოქმედოს? შეაჩეროს ბეტონირება? სერგომ შინმარევი სიყვარულით გახედა თავის მანქანას, ისევ კედელზე გადაიტანა მზერა.

სველია, სველი, ყოველ წუთს უფრო სველდება. სერგო კედელს მოშორდა, ერთ-ერთ მუშას მიმართა რაღაც ხელსაწყოსათვის და უცებ იგრძნო, რომ სიტყვის გამოთქმა უჭირს.

— ამხანაგო, — ძლივს ამოსთქვა და საშეარო დაბნელდა მისთვის.

დაიწყო, დაიწყო! ისევ დაება ენა ისევ... ყველაფერი გათავდა! რად არ მოუღეს ბოლო იმ საბედისწერო ნამსხვრევებმა მაშინვე!.. რად გადაურჩა მათ! — რომ ეს საშინელი უბედურება განეცადა? სერგომ ხელები თავს შე-



მოიქცოდა და ბარბაცით გასწია ვასაველი-საკენ.

გაუბედურებული, სასოწარკვეთილი, თითქმის უაზროდ მიდიოდა იგი. არც კი ახსოვდა სად, ან რისთვის, როცა უცებ მის თვალწინ აღიმართა თამარის სახე, მაგრამ არა ისეთი შორეული და უცხო, რომელსაც იგი ამ ბოლო დროს ზედავდა, არამედ იმ ძველი თამარის ახლობელი, მოსიყვარულე, მისი უბედობით შეწყუხებული სახე.

სერგომ მწარედ გადაიქნია თავი, რომ აეშორებინა ეს ზმანება, ძალით მოიგონა თამარი სიმონ ქვლივიძეს გვერდით მჯდომი მანქანაში, თამარი განაბული, თამარი, რომელსაც სიტყვა არ უთქვამს მისთვის, არც შეუნიშნავს, როგორი გაწამებული იყო დღეს სერგო. მაგრამ ეს სახე ისევ ქრებოდა და ისევ ის — მისი თამარის ნაზი სახე ცოცხლდებოდა. რად ეჩვენებოდა ეს ქალი ისევ მისად, როცა სერგო უკვე დიდი ხანია მიხედვრილი იყო, თუ რაც ზღბოდა და თვითვე აიღო ხელი თავის ოცნებაზე. მაშ რად ეჩვენებოდა იგი ისევ თავისად, მეგობრად, მოსიყვარულედ?



სადამო ხანს სიმონი ფეხით მიდიოდა შინ. და როცა მთელი დღის შრომით დაღლილ-დაქანცულმა, კიბეზე ანვლო და წარმოიდგინა თავისი ოთახი, მარტოობა, მარტოობა, რომელიც მხოლოდ ამ ბოლო დროს გაუხდა სამძიმილოდ, უცებ ისევ იმ სიძლიერით მოაგონდა თამარი. მისი ნაზი სახე, მისი ალერსიანი თვალები.

მოაგონდა, შეჩერდა და წამსვე იგრძნო, რომ თამარი სადღაც ახლო, აქ უნდა იყოს. მიმოიხედა. თამარი ქადრების ხეივანში იყო. წუთი და სიმონი მასთან გაჩნდა.

— თამარ, თქვენ აქა ხართ?

— თამარი გაოგნებული იყო. სერგოს

ასეთი სიშორე, და ამ კაცის, ამ დიდი კაცის ასეთი ძლიერი ყურადღებამ, თუ მარი ისეთ ასაკში იყო, უმეგობრობა თვის მარტოობა, უმეგობრობა უკვე სამძიმო ხდებდა...

— ჩემთან მოდიოდით? — ჩაეკითხა სიმონი.

— თამარმა არ უპასუხა.

სიმონმა ქალს მკლავში ხელი გაუყარა და შინ შეიყვანა.

მორიდებით მოხადა პალტო, საგარძელში ჩასვა.

— თამარ, — თქვენ მაინც მოხვედით! თქვენ ჩემთან მოდიოდით... ო, მე არ გელოდით თქვენ... მე ვერ ვბედავდი მეფიქრნა...

თამარი სდუმდა და ისევ ის საოცარი ვრძნობა, ისევ ის დამქანცავი და მომხიბლავი ვრძნობა ეუფლებოდა, როცა ყველაფერს თითქოს ბინდი ეკვრება და მთელი სამყარო იცვლება.

მაინც სცადა დაეძლია თავი:

— მე უნდა ვითხრა... — დაიწყო და ისევ დაყუჩდა.

და აქ სიმონი კიდევ ერთხელ შეცდა, როგორც მაშინ, პირველად ამ ოთახში. თამარის მღელვარება, ეს გაუგებარი „უნდა ვითხრა“ მან გაიგო, როგორც ახალგაზრდა, გამოუცდელი, უმანკო ქალის თრთოლევა და კრთომა, როცა იგი პირველად დაჩა მარტო მამაკაცთან და მის ნებას მიენდო. იგი მიუახლოვდა ქალს, რიდით ემთხვია ზელზე, თვალეში ჩახედა.

თამარი ხმას არ იღებდა.

— მე ვიცი, ვიცი — ეუბნებოდა სიმონი ქალს, — ეს ძნელია თქვენთვის. ვიცი, რომ თქვენ ჩემი სიყვარული არ შეგიძლიათ. არცა ვარ ღირსი. მე ჩემი გზა განვლე, რა ვარ მე, რითი დავიმსახურე, რომ ასეთი ბედნიერება მეწვიოს ჩემი ცხოვრების დასაღიერს! მაგრამ, თუ მართლა მოხდა ასეთი სასწაული, თუ ეს მზე მე მომხედავს, იცოდეთ თამარ... თუ ოდნავ მაინც შეეძლებ რაიმე სიხარული მოგანიჭოთ, მუდამ და მუ-

დამ ეს იქნება მიზანი ჩემი ცხოვრებისა.

ის შეჰყურებდა ქალის მშვენიერ თვალებს, მის ნახ სახეს და არ სჯეროდა, რომ იგი, სიმონ ქელივიძე ამბობდა ამას, რომ თამარი იყო მასთან.

— ჩემო თამარ, შენ ხომ იცი, ხომ გრძნობ, თუ რა ხარ ჩემთვის დღიდან პირველი შეხვედრისა. შენ მაშინვე იგრძენი ეს, რადგან მე არ შემიძლო დამეფარა, ვერც დაეფარავდი, რომ შენი სიახლოვე იმ წუთიდანვე უძვირფასესი გახდა ჩემთვის.

თამარი არაფერს ამბობდა. სახე დაფარული, შემერთალი. უჩუბრად განაბულიყო საგარძელში. სიმონმა ხელები მოაშორა მის სახეს და... შეცბა.

— რაა ეს? ცრემლები, თამარი! თქვენ სტირით! რაღა? თამარ მითხარით, თამარ!

თამარი ზეზე წამოდგა, ტუჩები ჩაიკვნიტა, თითქოს უნდოდა ცრემლები შეემარგებინა, მერე რაღაცნაირი საცოდავი ღიმილით ისევ წაართვა ხელები, სახე იბრუნა, ა-ა, რა მოსდის, რა მოსდის, როგორ ირხვევა ყველაფერი, რაა ეს მის თავს? რა ჰქნას, რა მოიმოქმედოს, რა უპასუხოს?

— თამარი! — სიმონმა სულ ახლოს მიიტანა სახე. თვალებში ჩახედა. ერთ წუთს იდგა ასე გაოცებული, გაკვირვებული. მერე მოშორდა, ოთახში გაიარა, მაგიდას დაეყრდნო და დაფიქრდა. თითქოს ახლა გამოფხიზლდაო, ისე შეიარბა თამარი.

თავი არ აუღია, ისე გასწია კარებისაკენ. ნელა მოსწია კარს და გავიდა.

დიდხანს იდგა სიმონი ასე, ცალი ხელით მაგიდას დაყრდნობილი, მერე შემოტრიალდა, თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ოთახში აღარაინ იყო.

სიმონ ქელივიძეს დიდი ხანია, რაც გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სიყვარული, პირადი ბედნიერება, ყოველივე ეს უკვე გათავებული იყო მისთვის, და, როცა თამარის ნახი, მშვენიერი სახე ასე მძლავრად შეიჭრა მის ცხოვრება-

ში, იგი დიდხანს ებრძოდა მას. მაგრამ ბოლოს, მაინც აღსრულდა, მარცხობდა ის, რასაც იგი ასე ებრძოდა.

„მაგრამ ცრემლები? რად სტიროდა თამარი?“.. არა სიმონმა ვეღარ გასძლო ამ ჩაბნელებულ ოთახში მარტო და გარეთ გაეშურა. „რად სტიროდა? რად შეერთა, როცა მივეუახლოვდი?“ რაა, თუ მას სხვა უყვარს და შენმა ალტაცებამ, შენმა თაყვანისცემამ მხოლოდ გზა დაუბნია ამ ახალგაზრდა, გამოუტყდელ ბავშვს. რაა მაშინ? ხომ გამოფხიზლდება, ხომ გაერკვევა ბოლოს! ახ, სიმონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი ამ სიბერის დროს... რაღა დროს შენი სიყვარული, შენი შფოთვა, შენი მღელვარებაა?..

ციოდა. თითქმის ყველა სინათლე ჩამქრალიყო.

მარტო ელექტროსადგურს არ ეძინა.

უცებ ორ დანრდილულ შენობათა შორის სიმონმა ვიღაც მამაკაცის ვეებერთელა ლანდი შენიშნა. „ავთანდილ... ავთანდილ ღვთისაგარი, თუ ღვთისოშვილი“... — გაიფიქრა შეუგნებლად— „რას დაბორილებს ამ შუალამეს?“ — თითქოს რაღაც მოაგონდა. რაღაცა გაურკვეველი, დიდიხნის წინათ ნანახი თუ გავგონილი, მაგრამ ისე შორს, ისე მკრთალად, რომ ისედაც არეულს ძალა აღარ ეყო მიჰყოლოდა ამ აზრს.

თავი გადაიქნია „ან მე რას დავბორილებ ამ უდროო დროს“, — გაიფიქრა და შინისკენ გასწია.

პირმოკუმული შევიდა ოთახში. საწოლი გაიშალა და ჩაწვა.. დიდხანს ვერ დაიძინა.

„ემარა, სისულელეა ამდენი ფიქრი... ბავშვი ხომ აღარა ვარ!“ — ებრძოდა თავს, მაგრამ კარგა ხანს იბორგა და იწვალა. ბოლოს, როგორც იქნა ჩათვლიშა.

მაინც აღარ ეღიარა სიმონს მოსვენება ამ დამეს.

ძილში ისეთი თქეში ჩამოესმა, რომ უცებ გამოფხიზლებული, ზეზე წამო-

იჭრა. მართლაც—და ცა ჩამოიშალაო, ისეთი თქეში და ქვეაქუხილი დაესხა ამ შემოდგომის ღამეს.

— კედელი, ჯებირი! — გაიღვია აზრმა.

სიმონმა ჩექმები წაპოცვა, მაკინტოში მოიგდრა მხრებზე და გარეთ გავარდა.

ორიოდე წუთში გარაჟში იყო და მანქანით მიჰქროდა ჯებირებისკენ.



არც თამარი იყო მოსვენებით ამ ღამეს. რა ძლიერი, რა დაუძლეველი იყო ამ კაცის გავლენა,—რა ხდებოდა მის თავს?

ჩაფიქრებულს, ნახევრად მთვლემარეს უცებ წვიმის ბაგა-ბუგი შეესმა, მისი დაბალ ჭერიანი ოთახის სახურავზე და თამარს წამსვე სიმონის სიტყვები მოაგონდა იქ, მანქანაში... არხები ხომ დახურულია უკვე, მათ არავითარი საშიშროება არ მოელის, მაგრამ ჯებირი?

თამარო საწოლზე წამოჯდა. უკუნეთის ღამე იცქირებოდა მის პატარა ფანჯრებში. გარეთ გასვლა ვეღარ გაბედა, ისე აიტანა შიშმა. ასე იჯდა საწოლში შემკრთალი, გაციებული და გარიერაჟს ელოდა.

ბოლოს, როგორც იქნა გამოანათა.

თამარმა ტანთ გადაიცვა და სამმართველოსკენ გასწია, საიდანაც მანქანებით ეზიდებოდნენ ხალხს არხებისკენ. წვიმდა.

ჯერ კიდევ გზაში იგრძნო თამარმა, რაღაც ამბავია ჩვეს თავსო.

ხრეშით დატვირთული საბარგული წამოეწია.

— საით?—დაედევნა თამარი.

რაღაც გაუგებარი დაუძახეს, ხელეებით ანიშნეს იქით, არხებისკენ.

თამარმა ვერ გაიგო, მაგრამ მათა მღელვარე სახეებით და ხელების ქნე-

ვით მიხვდა, რომ საღდაც ავირა მრ მხდარა.

მოედანზე მისვლისთანავე ჩანდა, რომ წყალს დროებითი ჯებირი წაუღეკავს. და, რომ არ მოუსწრონ, ესკავატორსაც, წყალის სასრუტავ მიღებსაც საშიშროება მოელის. ყველა, ვისაც საშუალება ჰქონდა, ნაკლებ დატვირთული მუშა-ტექნიკოსები, ინჟინრები, თუ სამმართველოს თანამშრომლები, ყველა მისაშველად მიიჩქაროდა.

თინაც აქ იყო.

— ო, თამარ, რა ამბავია ჩვენს თავს — გაიძახოდა იგი. — იცი, ქვლოვიძე უკვე იქ არის თურმე... ღამითვე მისულა... დროით რომ არ მიესწროთ, ვინ იცის სულ არ წაელეკა ჯებირი. მხოლოდ ერთ ადგილას გაურღვევია თურმე...

სამიოდე საბარგულმა გაიარა. ვერც ერთს ვერ გაჰყვა თამარი,—არც კი შეჩერებულან, ხრეშით და სილით თუ ხე-ტყით დატვირთულნი მიიჩქაროდნენ ავიარის ადგილას.

— მეც მოვდივარ, — განაცხადა თინამ, — რაღა დროს საბარგეკტოა. ორიოდე ქვას მაინც მივაგდებ იმ ჯებირს. ჩვენი გამგეც იქ არის, ეილას ახსოვს ახლა კაბინეტები?..

როგორც იქნა, ერთ მუშებით საეხე მანქანას გაჰყვენენ.

თამარი თავის არზთან ჩამოხტა. რა დარწმუნდა, რომ აქ არავითარი საშიშროება არ იყო, წამსვე ჯებირებისკენ გაეშურა, თან რამდენიმე მუშა გაიყოლია. დროულიც იყო, რადგან ოქროს ფასად ღირდა ახლა ჯებირებზე ყოველი წყვილი ხელი.

გული ეტყინა თამარს, როცა ნახა, როგორ გაერღვია წყალს ჯებირი და უკვე შესდგომოდა ესკავატორს.

სიმონ ქვლივიძეს შიგ წყალში შეეტოპა. თვითვე ხელმძღვანელობდა მუშაობას, საერთო ფუსფუსში და მღელვარებაში მარტო ის ჩანდა მშვიდად და შეუშფოთებლად, ოღონდ მაგრად-

მოკუმულ და გაფითრებულ ყბებზე  
ეტყობოდა, თუ როგორ დაჰიმული იყო  
ამ ვეება ვაჟკაცის ყოველი ძარღვი.

ქალებმა მანქანებს მიამურეს, ბა-  
რებს დაავლეს ხელი, მასალას ტვირ-  
თავდნენ.

ზედმეტი სიტყვა არ ისმოდა, მხო-  
ლოდ შეძახილები:

— აბა, სილა, ხრეში, ქვა,

— არის!

ამ კოკისპირულა წვიმაში, ამ შემო-  
დგომის მსუსხავ ქარში ოფლის ზეთიქი  
ასდოდა ყველას.

— ნიჩბები, ბარები,

— არის!

წყალის დინება თანდათან კლებუ-  
ლობდა.

ხრეშის და ქვების ნაყარი წუთით  
წუთამდე იზრდებოდა. ჯებირი მალ-  
დებოდა.

კიდევ ცოტაოდენი სიმაღლე და ხი-  
ჯათი აცდენილია.

სიმონი ერთი წუთით წელში გაიმარ-  
თა. კმაყოფილი თვალი მოაელო ჯე-  
ბირს. შუბლზე გადაისვა ხელი, ოფლის  
თუ წვიმის წვეთები ჩამოიწმინდა.

ის იყო და ახლადმოსული საბარჯუ-  
ლიდან ორი მუშა გამოქანდა მისკენ.

— ამხანაგო ქვლივიძე, გვირებიდან  
ვართ! იქ, — გაუძნელდა ბანდაზემულ  
მუშას ცუდი ამბავის თქმა, — ჩამოიშა-  
ლა...

— რა ჩამოიშალა? — და სიმონმა ბა-  
რი შორს გადაიქნია.

— ბეტონი, ამხანაგო სიმონ, მთლი-  
ანად არა —

— რაო? — აღმოხდა სიმონს.

იმ წამსვე ამოტოპა წყლიდან.

— აბა, არ მოეშვათ! წვეთი წყალი  
არ გამოეონოს, — დაიძახა, — მე ახლა-  
ვე დავბრუნდები. — და მანქანისკენ  
გასწია.

შოფერი დაედგნა.

— საით? არ მინდა. თვითონ წა-

ვიყვანი! — მოჰკვეთა სიმონმა. — ბოროტით,  
რად მიღირს აქ ყოველი ხელი?...

მანქანაში რომ ჩაჯდნენ, ტურნორე უაა-  
ყენა. როგორც იქნა ხეთიანნი ჩერებით  
შეიმშრალა ხელები და საქეს ჩასჭიდა.

ხუთ წუთში გვირაბთან იყო. შეიჭრა  
შეიბ.

არა, გვირაბი არ ჩამონგრეულა. ბე-  
ტონი ჩამოშლილა მხოლოდ. წყლით  
გაედენთილი ბეტონის ნამსხვრევები  
ბელტებად ეყარა ხრეშოვან ნიდაგზე.

გვირაბის სამუშაოს მწარმოებელი  
წიგნაძე, ტექნიკოსები, მუშები გარშე-  
მოეხვედნენ უფროსს.

სიმონმა ტუჩები მაგრად მოკუმა.  
სველი ხელით სველი თმები მოიშორა  
შუბლიდან და ისევ მანქანისკენ გასწია.

წიგნაძე უკან დაედგნა.

— მაგას აღარაფერი ეშველება. —  
მიუბრუნდა სიმონი, — ბეტონს ხომ  
ვერ გვაჩერებთ ცარიელი ხელებით.  
შესწყვიტეთ მუშაობა, ხალხი ჯებირ-  
ზე წამოასხით, იარაღებიც წამოიღეთ,  
წყალი უნდა გადავაგდოთ დღესვე. ეს  
კი... შემდეგ გამოვარჯიოთ.

— ჩვენ წავალთ, ამხანაგო უფრო-  
სო... — შეჰბედა წიგნაძემ, — თქვენ კი  
იქნებ დაისვენოთ, — და მის სველ ტან-  
საცემელს შეავლო თვალი, — არ გაციე-  
დეთ.

სიმონმა პასუხი არ გასცა. ისევ სა-  
ქეს მიუჯდა და ხუთიოდე წუთში  
ხალხით საესე მანქანა მიაგდო ჯე-  
ბირზე.

აქ უკვე ყველას შეეტყო გვირაბის  
ამბავი.

— რა მოხდა, მართლა ჩამოიშა-  
ლა? — მიამურა წიგნაძეს შემფოთე-  
ბულმა თინამ.

— არა, გვირაბი არა, ბეტონი მხო-  
ლოდ... არა, ადამიანის მსხვერპლი არ  
მოჰყოლია, — ამშვიდებდა წიგნაძე —  
თქვენ რას აკეთებთ? რა ქალების საქ-  
მეა? — და უფროსს მიმართა:

— ამხანაგო ქვლივიძე, გავისტუმ-  
როთ ქალები, ვეყოფით.



მარი ახალშენი

— არა, რათა, — შეეკამათა თინა, — ჩვენ რა თქვენზე ნაკლები ვართ.

სიმონმა ხელი დაიქნია მხოლოდ.

— აბა, ჩქარა! ამავე მანქანას ვაძყევ-  
ვით თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ, —  
ვანაცხადა წიგნაძემ.

მანქანა მომართული იყო, რაღა დარ-  
ჩენოდათ, — თამარი, თინა, ორთოდე მუ-  
შა ქალი საბარგულზე აცოცდნენ.

— მავთული, ქვიშა! — მიიძახა სი-  
მონმა და მანქანა დაიძრა.

თამარი თავზარდაცემული იჯდა  
მანქანაზე, ხმას ვერ იღებდა.

— რაღა გვეშველება ახლა, — გაი-  
ძახოდა თინა. — გვირავი! ხუმრობა ხომ  
არ არის! დიდი ხანია საქმე რიგზე არ  
იყოფო... დიდი ხანია თურმე ამჩნევდა  
სერგო... შენ მაინც როგორ არ იცო-  
დი? — უსაყვედურებდა იგი ისედაც  
გამწარებულ თამარს. — გვირავი! კმ!  
ვით თუ სერგოს მეთოდმა არ ივარგა...  
გვირავის ჩავარდნა! — იმეორებდა თი-  
ნა, — ხომ ნახე, როგორ გაფითრდა  
ქვლივად... ეს ნამდვილი კატასტრო-  
ფაა...

თამარის არხს გაუსწორდნენ.

— შენ... წამოხვალ? — შეეკითხა  
თინა.

— არა, მე უნდა დავრჩე. — თამარმა  
მანქანა შეაჩერებინა და გადახტა.

მართლაც და რაც არ უნდა მომხდა-  
რიყო, ასე ალაღბედზე ხომ ვერ დას-  
ტოვებდა სადერივაციო არხს მთელი  
ღლით.

თინამ თვალი გააყოლა არხისაკენ  
შეშავალ მგობარს და მწარედ გადა-  
იქნია თავი.

ძალიან შეწუხებული მკვლევარმა  
ლიან წუხდა ყველა, ცუდი ამბავიც  
დატრიალდა. მართალია, გვირაბი არ  
ჩამონგრეულა მთლიანად, ჩამოიშალა  
მხოლოდ ბეტონი, რომელიც შექანიკუ-  
რად იტყებნებოდა სერგო თენეიშვი-  
ლის ახალი მანქანით, და ჩამოიშალა  
მხოლოდ ბოლო ნაწილი, დაახლოებით  
ერთი მესამედი.

მოსუსტებულ, ისედაც მეონავ ბე-  
ტონს ალბათ წყლებით გაედენთილა  
ნიღაგის მოწოლისთვის ვერ გაეძლო  
და სულ ერთიანად ჩამოშლილიყო.

ეს კატასტროფა იყო, კატასტროფა  
გვირაბისათვის, მშენებლობისათვის და  
ნამეტნავად კი სერგო თენეიშვილისა-  
თვის, რადგან ამით მისი მეთოდი უკვე  
საექვეო ხდებოდა და შეიძლება აღრე  
თუ გვიან მთელი გვირაბის კედლები  
ისევე ისე გამოეფინილიყო, ჩამოშლი-  
ლიყო, და ვინ იცის კიდევ რა უბედუ-  
რება მოჰყოლოდა, რადგან ბეტონს  
ალაგ-ალაგ თან ჩამოეტანა ყამირის  
სუსტი ნაწილები და თუ ახლახან ად-  
მიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონდა,  
ეს მხოლოდ იმით აიხსნებოდა, რომ  
გვირაბი ჯერ ვახსნილი არ იყო ტრან-  
სპორტისათვის, ხოლო მუშებიდან  
მხოლოდ შემთხვევით არავინ აღმოჩნდა  
იმ დროს კატასტროფის არეზე.

(დასასრული იქნება)

გაბრიელ ჯაბუშანიანი

## ზეპორიერეთში

★

ასული ცისფერთავსაფრიანი

იქ, — ჩემს არხოტში, — ასევე მთებია,  
ოღონდ ამ მთებზე ცოტა მაღალი,  
იქაც, ასევე ასდევნებია —  
გორებს ბილიკი ჩამონადარი.

მაგრამ არხოტში არ ვვაქვს ხეხილი,  
რომ გაზაფხულზე აყვავდეს ასე,  
იქ არც ვაზია ტანდაგრეხილი, —  
ღვინის წილ ლუდით აღვავსებთ თასებს.

ლადნი არიან ქალები ჩვენი,  
ვლიან ჯიხვების მსგავსად ფრიალოს;  
მაგრამ შენ რაღაც სხვაგვარად შეენი —  
ასულო, — ცისფერთავსაფრიანო!..

მთელი სიტურფე იმერთა მზარის,  
ამ გაზაფხულის უმანკობა, —  
ერთად შეკრული შენში იზარის,  
შენში იმღერის ვარდის დროება.

ხელთობიანი ვენახში დგებარ,  
შენ გიმღერიან, ჰე, ის ვაჟებიც,  
მე აღარ მზიბლავს, შენს მზილველს, ეხლა  
ამ იმერეთის პეიზაჟები.

და ოთხი სიტყვა სადა, ხშიანი, —  
გულს ნანასავით ესაღბუნება: —  
სიყვარული და ადამიანი,  
გარჯილობა და დედაბუნება.

სოფლის ბაზრობა



მოსწრაფიან ქვეითად, ცხენით, —  
 ბერიკაცნი თუ ახალგაზრდობა  
 და ლაპარაკობს დოვლათის ენით  
 ეს იმერული სოფლის ბაზრობა

ხილი და ხორცი... ლორი — ნაჭრებად,  
 კოკები უღერენ ღვინის ებანით...  
 მღერა, ხმაური, თან შევაჭრება  
 და გულითადი მისალმებანი...

აქ ტყვე მამალი მაინც დიდგულობს,  
 იქ ხილი ხეავობს მალალ გროფებად.  
 მე ამ ბაზრობას ისე ვკითხულობ,  
 ეთ ჩვენი სოფლის ღამაზ პოემას...

დგანან ამაყად მიწის მწერლები, —  
 უხვი მოსავლის დიდოსტატები, —  
 მეც მათ სიხარულს თავზე ვეველები, —  
 რომ ლექსით ვუთხრა გულის ნადები.

მეც მახალისებს ეს მასლაათი,  
 მათი სიცილის ნახად წკრიალი...

აი, მღვიდა — მხარზე კალათით  
 ასული ცისფერთავსაფრიანი.

მისი ღიმილის და ხილის მდომი  
 ირგვლივ გროვდება ახალგაზრდობა.  
 არის ტყბილი და გულში ჩამწვდომი  
 ეს იმერული სოფლის ბაზრობა.

## ერთი სტუმრის ამბავი



## 1.

გავცდი ქვეციხესა. გავცქერ გზატკეცილს, —  
 თემს ქუთაისთან რომ ამშობილებს  
 მეოცნებე და ასჯერ ნაკეცი  
 გზა ელის ქართულ ავტომობილებს.  
 გორაზე შევდევ. სოფლებს მილეკავს  
 ტყემლის ყვავილთა თეთრი ღვარები:  
 აქვე გოგონა კრავებს მორეკავს  
 და იმღერიან მეთოხარები...  
 და იმღერიან მეთოხარები, —  
 იქ, ვილაც, ჩიტის მსგავსად ხშიანობს...  
 ნუთუ შენა ხარ, — შხის საღარები, —  
 ესულო ცისფერ თავსაფრიანო?!!  
 ახ, მეც შენს რგოლში ყოფნა მინდოდა,  
 შენთან ზიარი ვენახის თოხნა,  
 შენებრ შემეტებო სუნთქვა მინდორთა.  
 მრგებოდა, შენებრ, ჩეროში მოხრა...  
 ეხლა კი შორით გიმშერ... და ვღუმეარ, —  
 შენი ღიმილი დამნატრები;  
 აბა, სხვა რა ექნა, სტუმარი თუ ვარ  
 და თქვენთან მოსვლაც დამხატრები...

## 2.

სოფლისკენ მოვალ. პირველი წვეთი  
 დამეცა თავზე... — ველარ მიტაცებს —  
 ცა — აფოფრილი, ვით კაცხის სვეტი  
 და წამოხრილი დედამიწაზე.  
 მაცალე, ცაო! — შენ კი, ბუნებაე,  
 გწადს განა, თავსხმა თავს გინისლაღღეს?!!  
 თუ ამდენ ხოტბას მე გეუბნები, —  
 შენც დამადროვე სახლში მისელამდის!..  
 მაგრამ ბუნება ყურს განა ვიგდებს, —  
 მისთვის ერთია: კილეა თუ ოდა...  
 დაიწყო დელგმა... დაბნელდა კიდეც, —  
 ველარ მივაგნებ მასპინძლის ოდას...  
 სტუმარს ტალახიც ველარ შელევა, —  
 მაკავებს, — ლამობს: ტერფი დატოროს,  
 იმერთა მიწა იმერელივით  
 თითქოს მენუკვის: — დარჩი, ბატონო!!!



3.

წვიმს... თანაც ღამე ამუქებს სარკველს, —  
მესევა ნისლი — დამღორებული...  
უკუნში ვარკვევ ელვარე სარკმელს  
მე გუნებაზე დამღურებული...  
შევა! — კაცი ხომ მიმიღებს სტუმარს,  
განა იკადრებს კარში დამტოვოს...  
— ჰე, მასპინძლო! — ვყვირი და უმალ  
მესმის: — მობრძანდით სახლში, ბატონო!!!

4.

შევედ... მზედებიან... — ქადები ცხვება  
კეცზე, და ბუხარს გააქვს ბრიალი...  
ო, სიხარულო! — მე აქვე მზედება  
ასული — ცისფერთავსაფრიანი!!!  
დიდება დელგამს! — შემინდე, გვედრი, —  
მღურვით რომ გყვედრე, დედაბუნებაე!  
კეთილი იყოს ესე შეხვედრა  
და შმაგი ღამის უდაბურება!!!

5.

სუფრაზე ესხდებით. ოჯახის მამა  
აიღებს თასს და ასე დაქვედრის:  
დე, გაიხარონ ბარმა და მთამა,  
შენი მოსვლის... და ჩემი დახვედრის!!!  
ჩვენი ერთობა უმალ დაეწინდეთ,  
კვერს გვიკრავს ქალიც ხელში ხელადით  
და შეზურებულ სტუმარ-მასპინძელს  
ჩარჩოდან დაგვექერს დიდი ბელადი...  
მე აივანზე ძილი ვირჩიე,  
დამიგეს. დაეწეე. გამოიღარა, —  
მანგს ორთაყვირი მოღმარჯვია  
და ღრუბლებს ირეკს ღამის ციდანა.  
ნაწვიმარ ხეხილს თეთრი ყოილის  
ახურავს ჯილა — თავის სარკმელი.  
ძილფხიზლობს ვილაც — ფიქრს გაყოლილი, —  
შორს სადღაც ბუტტავს ღამის სარკმელი...  
ვინ ხარ??! დედა ხარ??! — იქნება შვილი  
ომიდან აღარ დაბრუნებულა??! —



და მის სურათთან ფიქრებგაშლილი  
უძილო დედა — დაღუმებულხარ...  
იქნება შენ ხარ გოგონა ვინმე, —  
ნაზიარები ტრფობის სიხარულს, —  
მაღალი გრძნობა ვერ დააძინე, —  
თვალს აღარ ძალუძს რომ მოიღალოს...  
ვინც ვინდა იყო: დედა... ასული, —  
შენ, ვისაც ფიქრში თავს დაგათენდა, —  
ერთი ხევსური მთიდან მოსული  
გეძახი შორით: მშვიდობა, შენდა!!!

## 6.

მე დილის ძილმა, თურმე, დამძლია:  
ამომართულა მნათობი მაღლა;  
თავზე სინათლის თასი დამცლია  
და ეცილება დაცვარულ ბაღნარს.  
დღეს მაინც მოვა კარგი ამინდი,  
თუმც გზებზე ტბორი დგას ლაფიანი;  
გამოწყობილა: — სტუმრად თუ მიდის, —  
ასული — ცისფერთავსადრიანი...  
თვალებით ვხვდებით... ლაწვი ვარდება...  
მიღიმის... ტანი ოდნავ დარკალა...  
მე აღარ ვიცი, რა მემართება: —  
ეს მზე იცინის, — თუ შენ ხარ, ქალავ??!  
— დილაშვიდობის — მყის მესალმები.  
ეს შენი ხმაა, — თუ ჩქამი სირთა??!  
იღიმებიან თეთრი ალგები...  
რა ვქნა... პასუხი... რად გამიჰირდა??!

## 7.

ვდგები... — წყალს მისხამ ხელზე შენ სურით,  
თან მასპინძელიც ღიმილს მანათებს:  
— უქმე დღე არის, დავსხდეთ, ხევსურო,  
და ვაღლეგრძელოთ, კვლავ, ერთმანეთი!!  
დასხედით... — ზრდილი სიტყვა ავკინძეთ,  
თავს გვადგას ქალი სავსე ხელადით  
და მოღიმარე სტუმარ-მასპინძელს  
ღიმილით დაგვეკერს თავზე ბელადი.

1949 წელი. აპრილი  
ზემოივრეთი. სოფ. ტვაციხე.

ლენინი პარტია

## ჰყის სიმღერა

დრამატული კომედა \*

★

მომხმადება II

ზახხელის მიწურულია. კალაში მუქ ფოთლებში აქა-იქ ჩანს შემოდგომის ვარაყი. ტბა დაკლებულია. ქვიშიანი ნაპირები უფრო ფართონი გამხდარან. ღერწმები მშრალად შრიალებენ. მინდორზე უკვე აგებულა ქობი, გაშენებულია ბოსტანი ქობის ერთ მხარეს პურის ყანაა, მეორე მხარეს—ქვაფი. ტბაზე ბატები ცურავენ. ნაპირზე ვასაშრობად გაფენილია თეთრეული. ბურჩების ტოტებზე ჩამოცმულია თიხის ქურქული. ტაფობზე პირწმინდად მოთიბული ბალახი მუხის ქვეშაა შეზენული. ტყეში ეყვანები წყარუნებენ — სადღაც ნახირი ძოვს. შორიაბლოდან ისმის სალამურის ზმა. სალამური უკრავს რაღაც მკვირცხლ საცეცხეთ მელოდიას. ქობიდან გამოდის ლუკაშის დედა და იძახის:

ლუკაშის დედა

დედა

ლუკაში სადა ხარ!

(ლუკაში გამოდის ტყიდან, ცალ ხელში სალამური უკრავს, მეორეში — კომბალი, რომელზედაც დანით ამოკრილია ჩუქურთმები და სხვადასხვა სურათები)

როგორ რა საქმეს?

სამწყვედევს შელობვა უნდა თუ არა?

ლუკაში

ლუკაში

კარგი შევლობავ. მოვასწრებ, დედა.

აქა ვარ, დედა!

დედა

დედა

ნუ თუ არ გეყო ამდენი დაკვრა? სულ უკრავ, საქმეს ხელს აღარ კიდებ.

„მოვასწრებ“.—ასე იძახი მუდამ, შინ კი არ დგები და სადღაც დარბი იმ ჯადოიან აშართან ერთად.

ლუკაში

ლუკაში

შაინც რა საქმეს?

აბა სად დავრბი? მე ნახირს ვმწყემსავ, ის მეგმარება!

\* დასასრული, „მნათობი“ № 7.



ქართული  
ნიგელირონება

ღ ე ღ ა

თავი ანებე  
მის დახმარებას

ლ უ კ ა შ ი

შენ ხომ ამბობდი  
როცა ის მწყემსავს, ძროხები უფრო  
იწველიანო!

ღ ე ღ ა

გრძნეულია მოდგმა!

ლ უ კ ა შ ი

ნეტავი შენ გულს ვინმე მოიგებს?  
როს ქოხს ვაგებდით, იგი არ იყო  
გვეხმარებოდა? ანდა ბოსტანი  
შენ მასთან ერთად არ გააშენე?  
ეს უხვი ყანაც მან არ დათესა?  
ეგერ ფანჯრებთან ვარდ-ყვავილები  
ისეთი ღარგო—ერთ ნახვათა ღირს.

ღ ე ღ ა

რათ მინდა ვარდი, როდესაც ქოხში  
არაფერი მაქვს რძლის შესაფერი...  
შენ მხოლოდ ვარდი, სიმღერა გახსოვს!

(ლუკაში მხრებს იჩეს და სურს წავიდეს)  
სად მიხვალ?

ლ უ კ ა შ ი

წავალ, სამწყვდევეს შევლობავ.

(მოდის ქოხს უკან. მცირე ხნის მერე ისმის  
ნაჯახის ხმა. ტყიდან გამოდის შავკა, თმა-  
გაშლილი და ყვავილებით მორთული.

ღ ე ღ ა (ც ი ვ ა დ)

რა გასურს?

შ ა ვ კ ა

სადაა ლუკაში, დედი?

ღ ე ღ ა

რათ ეძებ? ქალწულს როდი შეფერის  
ქაბუჯს დადევდეს ყოველთვის უკან.

შ ა ვ კ ა

მსგავსი ჯერ ჩემთვის არავის უთქვამს.

ღ ე ღ ა

ახლა ხომ გესმის, მაშ დაიხსოვე.  
(ბრძოლად უძეპრის შავკას)

სჯობს დაივარცხნო თმა წესიერად,  
თორემ ქაჯს გეხეხარ. არ არის კარგი.  
რატომ ხარ მუდამ შენ გაწეწილი?  
ეს რა სამოსი გიფარავს სხეულს?  
მუშაობის დროს ხელს გიშლის, ალბათ.  
ჩემს მკვდარ ქალიშვილს ზოგი რამ  
ღარჩა,

ქოხში კილია, წადი, ჩაიცივი,  
ეგ შეგიძლია სკივრში ჩააწყო.

შ ა ვ კ ა

რა გაეწყომა, კარგი, ჩაეცივამ.  
(შედის ქოხში, იქიდან გამოდის ძია ლევან)

ღ ე ღ ა

მადლობაც არ თქვა.

ლ ე ვ ი

რა არის, დაო,  
ლამის ის გოგო ცოცხლად შექვამო.  
ნეტავ ასეთი რა დაგიშავა?

ღ ე ღ ა

რისთვის ერევი შენ იმ საქმეში,  
რაც არ გეხება. ყური რომ გიგდო,  
ტყიდან ყვილა ქაჯს აქ შეკრიბავდი.



ლ ე ვ ი

გკვიანურად რომ ლაპარაკობდე,  
დაფიქრებდი. „ტყიდან ყველა ქაჯს!“  
სად არი ტყეში ქაჯი? ქაჯები  
მართალი თუ გასურს, სოფლად  
ცხოვრობენ...

დ ე დ ა

შენ ბევრი გესმის... დე, შეიჩვიე  
აგი სულელები, იქნებ ოდესმე  
ნახო სიკეთე!

ლ ე ვ ი

უთუოდ ვნახავ.  
ტყის მოდგმა სულაც არაა ბილწი, —  
ტყიდან გამოდის მთელი სიმდიდრე.

დ ე დ ა (დაცინვით)  
სწორედ!

ლ ე ვ ი

გარწმუნებ... და შეიძლება  
ტყის ქალიც იქცეს ადამიანად.

დ ე დ ა

როგორ? რას ამბობ, მთერალი ხომ არ  
ხარ?

ლ ე ვ ი

შენ ბევრი იცი! განსვენებული  
პაპა ამბობდა: ალმა რომ შეძლოს  
სიტყვის თქმა, მასშიც  
დამკვიდრდებოდა  
ისეთი სული, როგორიც ჩვენ გვაქვს.

დ ე დ ა

კი, მაგრამ მისი გრძნეული ძალა,  
ის სადღა წავა?

ლ ე ვ ი

კვლავ შენსას ამბობ?  
ჯობს სამუშაოს მოგვიღო ხელი,  
ვიდრე ვუსმინო? მაგ შენს ლაყბობას.

დ ე დ ა

წადი, ვინ გიშლის! მარცხენა  
ხელისიქონება  
(გულმოსული ლევი თავს გადაქნევს და  
მიღის ქობს იქით. ქობიდან გამოდის გადაცმუ-  
ლი შავკა: აცვია ხელისაგან შინმოქსოვილი  
ზედა ტანისამოსი, ვიწრო და ბეჭებზე დაყ-  
რბული. შემოსუსხულ კობლებიან ჩითის კაბა-  
ზე აფარებული აქვს ვახუნებული ჭრელი არ-  
დაგი, თმა სუფთად, ორ ნაწნავად დაუვარცხ-  
ნია, ნაწნავები თავზე აქვს ირგვლივ შემოხვე-  
ული).

შ ა ვ კ ა

აი, ჩავიცვი!

დ ე დ ა

ეგრე არა ჯობს?.. ახლა მე წავალ,  
საკენკს დაუყური ბარემ ფრინველებს.  
კანათისათვის მინდოდა წასვლა,  
მაგრამ აქ კიდევ ბევრი საქმეა,  
შენ კი რატომღაც გარჯას გაუტობი.

შ ა ვ კ ა

აი, შემიძლია, მოგეხმარებო!

დ ე დ ა

ეკ, არაფერიც არ შეგიძლია,  
შენგან ხეირი, ეგრძნობ არ იქნება.  
თივა მოთიბე—თავი გეტყინა...  
ნეტავი ყანას როგორღა მომკი!..

შ ა ვ კ ა (შემკრთალი)

როგორ, გასურს დღესვე შევედგე  
მომკას?

დ ე დ ა

რატომაც არა? უქმე გგონია?  
(ქობს დერეფანში იღებს ნაშაღს და ა-  
ლღებს შავკას)  
აი ნაშაღი—დაიწყე მომკა,  
ნალე მეც მოვალ, შეგეშველები.

(წიბის წინაკარიდან გამოაქვს ცხელი ზორბლით და მიდის. მალე გაისმის მისი ხმა: „რუ-რუ-რუ, ჯუ-ჯუ-ჯუ“: გამოჩნდება ლუკაში ნაჯახით ხელში და მიადგება ნორჩ რცხილას მისამართლად).

შ ა ვ კ ა

ხელი არ აბლო, ჩემო ძვირფასო, ხომ ხედავ სულმთლად ჯერ ნორჩი არი.

ლ უ კ ა შ ი

ჩუ, ხელს ნუ მიშლი! მე არ მცალია. (შავკა მწუხარედ უცმერს თვალებში) თქვი, სად ვიშოვოვ მთლად გამხმარი ხე?

(შავკას ტყიდან სწრაფად გამოაქვს ხელი ხე)

შ ა ვ კ ა

კიდევ მოვნახავ. ბევრი გპირდება?

ლ უ კ ა შ ი

მაშ ერთი სარით შეველობავ სამწყვდევს?

შ ა ვ კ ა

ვგრე გულცივად რატომ მეპყრობი?

ლ უ კ ა შ ი

ხომ ხედავ, დედა შენს გამო მლანძღავს.

შ ა ვ კ ა

მას რა აწუხებს? მაინც რა უნდა?

ლ უ კ ა შ ი

როგორ რა უნდა! შეილი ვარ მისა...

შ ა ვ კ ა

შერე რა მოხდა?

ლ უ კ ა შ ი



რძლად არ მტყუნიხარ... იმას ტყის მოდგმის არავეს უყვარს... დედამთილობას ის ვერ გაგიწევს.

შ ა ვ კ ა

ტყეში არავეს არი მასეთი... რძალ-დედამთილი! რა საჭიროა, ვერ გამოვიდა!

ლ უ კ ა შ ი

მას უნდა რძალი, უნდა დაძმარე,—მოხუცი არი. აბა სინჯე და სხვა ამუშავე — შეილობას უცხო როგორ გაგიწევს... მართლა, ყოველი ეს შენ არ გესმის... ადამიანის ზრუნვა გათვთ, ჩანს, საჭიროა ცხოვრობდე მასთან.

შ ა ვ კ ა

თქვი და გავიგებ, ჩემო ძვირფასო, ავი გავიგებ შე ყველა პანგი, რაც სალამურზე შენ დაუქარი.

ლ უ კ ა შ ი

პანგის გაგება არაა ძნელი.

შ ა ვ კ ა

ო. ნუ შეზღალო შენი სულის ვარდს, მან ჩვენს სიყვარულს შეასხა ფრთები. ის ჯადოსნური ყვავილი არი — ძვირფას საუნჯეს კმნის იღუმალად. მან თითქოს უცებ ახალი გული ჩამიდგა მეკრღში და იმ წამს უცხო რამ ეცხლოვანი... შენ გეცინება?

ლ უ კ ა შ ი

მართლაც და რაღაც სასაცილო ხარ... გაცეცია სადად, შენი სიტყვა კი ვავს ქადაგებას დღესასწაულზე.

(ლუკაში იცინის. შავკა ტანსაცმელზე წაიფლებს ხელს)



მ ა ვ კ ა

სივლიანად უცქერის მას და მტკიცებით სდუმს)

ეროვნული

დაუკარ, კარგო, კვლავ ხელაფრთხიანა დე, გაგვიფანტოს მან მწუხარება.

ახლავე დაგწვავ!

ლ უ კ ა შ ი

ლ უ კ ა შ ი

დედა დაგტუქსავს.

ახლა დაკერის დრო სრულებით არ მაქვს.

მ ა ვ კ ა

მ ა ვ კ ა

მაშ რა გქნა, თუ კი ამ ტანთსაცმელში სხვად გეჩვენებო!

მაშ მომეფერე, რომ დამაეციწყდეს ეს საუბარი.

ლ უ კ ა შ ი

ლ უ კ ა შ ი

ვიცოდნი... ახლა კვლავ დაიწყება საყვედურები.

(მიმოიხედავს)

მ ა ვ კ ა

სუ! დედა გენახავს.

არა, არ გყვედრი, მხოლოდ მაწუხებს რომ შენ არ ძალგდის შენი ცხოვრება შენს მოწოდებას გაუთანაბრო.

ისედაც მუდამ ის შენზე ამბობს, თვალთმაქციათ.

ლ უ კ ა შ ი

მ ა ვ კ ა

რას ამბობ, კარგად ვერ გამოვიპ!

ვინც არ გაზრდილა თქვენთან, ის თქვენსას ვერას გათვებს! მაშ თვალთმაქცი ვარ? რატომ?

მ ა ვ კ ა

იმისთვის,

სწორედ იმისთვის მე შეგიყვარე, რაც რომ შენშია და თვით არ იცი, თუმც სული შენი ამას ყოველთვის სალამურის ხმით გულწრფელად მღერის.

ასე ძლიერად შენ რომ მიყვარხარ? ან სირცხვილია, რომ ჩემი გული ძუნწი არაა და განძს არ მალავს და ასაჩუქრებს უხვად სასურველს მისგან საწინდრის მიუღებლადაც?

ლ უ კ ა შ ი

ლ უ კ ა შ ი

შეინც რა არი?

გწამდა, შემდეგში ვალს გადავიხდიდი.

მ ა ვ კ ა

მ ა ვ კ ა

ის ლამაზია, შენზე ლამაზი, ჩემო ძვირფასო, მასზე სიტყვის თქმა მეც მიძინელებდა...

ისევე რაღაცა უცნაურს ამბობ: „ვალს გადავიხდიდი“... შენ მე მიბოძე— რაც გსურდა, იგი. მე ჩემი გიძღვენი— გაუზომავად და აუწონლად.

## ლუკაში

ჩანს, ერთმანეთის ვალი არა გვაქვს, —  
ამას თვით ამბობ, არ დაივიწყო.

## მაგკა

მერე და რატომ უნდა მახსოვდეს?  
(ქობიდან გამოდის ლუკაშის დედა)

## დედა

ასე მკი ყანას? შენ ასე ღობავ?  
(ლუკაში სისწრაფოდ წაოთრებს ხეს ქო-  
ხის იქით)

კარგი, თუ არ ვსურს შენ ყანის მომკა,  
მე არ ვაძალებ, თვითონ მოვუვლი.  
შემოდგომაზე კი, ღვთის წყალობით,  
მოვიყვან გამრჯე რძალს ჩემს  
დამხმარედ.

ერთი ქერივია, კობტა და მკეირცხლი,  
გამომიგზავნა თვით მაჰანკალი.  
მე შევეუთვალე: თუ კი ლუკაში  
სურვილს გამოთქვამს... მაშ ასე, ქალო,  
მომეც ნამგალი, მეორე არ გვაქვს.

## მაგკა

არა, შენ წადი კანადისათვის.

(დედა მიდის ტყისაკენ და ეფარება ლერწ-  
მებს. მაგკა ნამგალს მოიმარჯვებს და სამ-  
კაოდ დაიბრუნდება. თავთავებში გამოჩნდება  
მინდვრის ფერია. ოქროსფერ გამლილ  
თმაში, რომლითაც დაფარულია მისი მომცრო  
ტანი, აქაიქ გამოქვივის მწვანე კაბა, თავზე  
ლილიოებისაგან მოწეული გვირგვინი ადგია.  
იშვებში ზოგან ჭიოტას მოწითალო ყვავილები  
აქვს, ზოგან გვირილა, ზოგან ტირიფის ფოთ-  
ლები. იგი მუდარით მივარდება მაგკასთან)

## მინდვრის ფერია

ო, შემიცოდე, ნუ ღუბავ  
ჩემს სილაშაშეს, დაო!

## მაგკა

ნუ უნდა...

## მინდვრის ფერია

მინდვრის ფერია

ზალახი მოთიბულია,  
ყვავილი არსად არი,  
ვარდები ვარსკვლავისანი  
დაწვეტილია ყველგან.  
ყაყაო ალმოდებული  
ახლა შევია უჯვე,  
მისი დაღვრილი სისხლი  
შემხმარა ცელის პირზე.

## მაგკა

მე უნდა მოვმკა! ერთი წლის მერე  
შენ უფრო ტურფა იქნები დაო,  
ჩემი ბედი კი, თუ ახლა დასკვნა,  
კვლავ არასოდეს აყვავილდება.

(მწუხარებისაგან მინდვრის ფერია თ-  
თებს იმტვრევს და თანაც ისე ირბევა, როგორც  
თავთავი კარისაგან).

## მინდვრის ფერია

ვაიმე, ჩემო ნაწნაეო!  
ნაწნაეო, შექო მზისაო!  
ვაიმე, ჩემო სიტურფეე!  
სიტურფეე ქალწულისაო!

## მაგკა

შენი სიცოცხლე მაინც გაქრება,  
ის იბადება, რომ მოკვდეს მერე-  
რათ მთხოვ წყალობას, მე თუ არ  
მოვმკი,  
სულერთი არი, სხვა მომკის მაღე-

## მინდვრის ფერია

ხედავ, ტალღები რარიგად რბიან  
ამ ნაპირიდან იმ ნაპირამდე,  
ხედავ ზაფხული რარიგად  
ბრწყინავს, —  
მეც მსურს ცხოვრება თავისუფალი.  
ყანები ისევ მოუშეგლია —  
მთლად დაღუპვის დრო ჯერ არ  
დამდგარა.



მაკალე ცოტა, ცოტა მადროვე —  
ჩემი სიტურფე თვითონ დაჰკნება,  
თვითონ დაწება მალე მიწაზე.  
ო, ნუ იქნები მაკარი, ვით ყინვა,  
კიდევ ვიცოცხლო, მომეცი ნება.

მ ა ვ ე ა

მსურს შეგისრულო წადილი, მაგრამ  
ახლა თვით არ ვარ თავისუფალი.

(ფერია მავკას მხარზე თავს დაადებს  
და ეჩრჩულებს)

მ ი ნ დ ვ რ ი ს ფ ე რ ი ა

ხომ შეიძლება ბასრი ნამგალით  
ვითომ უეცრად გაიჭრა ხელი?  
ჩემო დობილო, იყავ მოწყალე!  
წვეთი სისხლი და მე გადავჩნები.  
ნუთუ არ ვღირვარ მე ერთ წვეთ.  
სისხლად?

(მავკა ნამგალს გაისობს ხელზე, მჩქვარავ  
სისხლი ფერიას ოქროსფერ დაღაზე შეე-  
შეფება).

მ ა ვ ე ა

აი შეხედე!—ჩემი პასუხი!

(მინდვრის ფერია მავკას წინმდამ-  
ლად ხრის თავს, მდლობას უხდის შას და თავ-  
თავებში ქრება. ტბის მხრიდან გამოდის ლუ-  
კაშის დედა, რომელსაც უკან მოყვება სახე-  
გამბრელი ყმწვილი ქალი კილინა. კი-  
ლინას წითელი თავსაფარი ახურავს, აცვია  
წვრილნაკებიანი წითელი ფერისავე კაბა.  
შვანე არდავზე მიეგრებული აქვს თეთრი, წი-  
თელი და ყვითელი ბაფთები. ზედატანის სი-  
მისი მკიდროდაა მოჭარგული წითელი და  
ლურჯი ძაფით. მის თეთრ, ფუნჩულა კისერზე  
შანიყად ასხმული ვერცხლის წვრილი ფულე-  
ბა, ეღარუნებენ. მავარი ქობა მკიდროდ ეკერის  
ტანზე, რის გამოც ქალის შრვეალი, მკვრივი  
აღნაგობა უფრო მკაფიოდ ჩანს. შარჯვე სიი-  
რული იცის. ლუკაშის დედა თავიზიანად  
ელაპარაკება).

დ ე დ ა

აქეთ, კილინა,—ამ არყობილსავე მიუქნა  
შენ ნახავ, თუ გსურს, მელოკუდასაც,  
სარძევე ქოთნის გამოსამდულრად.

კ ი ლ ი ნ ა

მე აღარ ვიცი, რძე სად წავიღო,  
ნეტავ ბაზრობა მალე მოეწყოს,  
რომ შევიძინო ბევრი ჭურჭელი.  
განსვენებულმა ჩემმა მეუღლემ  
ისეთი ჯიშის ძროხა იყიდა—  
რძე ვერაფერში ჩამიტევია,  
ეჰ, მინდვრად გარჯვას კიდევ ავდივარ.  
მაგრამ ქოხსაც ხომ უნდა მიხედვას!  
ზემო მამიდა, მართალი გითხრა,  
ქვრივობა მეტად ძნელი ყოფილა.

დ ე დ ა

შენ უკვე მორჩი ყანაზე ზრუნვას?  
ასეა, გამრჯე ყველაფერს დაძლევს.  
ჩვენი ყანა კი, თუმც პატარაა,  
ლამის გაფუჭდეს ის მოუშველად.

(კილინა ვახედავს ყანას, სადაც დგას  
მავკა)

კ ი ლ ი ნ ა

ერნა იგი, ყანას რომ გიმკით?

დ ე დ ა

ერთი ობოლი სუსტი გოგოა, (ჩუმად)  
სულ არაფერი არ ემარჯვება.

(კილინა ლუკაშის დედასთან ერ-  
თად შიღის მავკასთან)

კ ი ლ ი ნ ა

სალამი! ძნელი სამკალი არი?

დ ე დ ა

უი, ჯერ კიდევ არ დაგიწყია?  
შენ ჩემო თავო, ეს რა შრომაა!  
ულაზათო ხარ და უხვირო.



მ ა ვ კ ა

დ ე დ ა

ხელი გავიჭერ...

ამ ქალს, ლესიას, მინიჭებენ მოეხმარე, შეყვარი ძნებში, თორემ ის გოგო ხეიბრად იქცა.

დ ე დ ა

მერე რისაგანს

(ლუკაში იწყებს ძნების შეკვრას) ასე, შეიღებო! მე კი შინ შევეალ და მოგიდღუღებთ სასამზროდ ფაფას.

კ ი ლ ი ნ ა

აბა მომეცი მე ეგ ნამგალი!

(მავკა ნამგალს ზურგს უკან მალავს და მტრულად უცქერის კილინას)

(მედის ჭიხში. მავკაც მიღის, ძეწნას მიყვრდნობა და მის გრძელ დახრილ ტოტებიდან მალულად უცქერის მომკალებს. კილინა რამდენიმე ხანს ისევ ვულღაგულ მუშაობს. შემდეგ წელში გასწორდება და გახედავს ძნებზე დახრილ ლუკაშს, გველიმება, სამიოდე გრძელი ნაბიჯით მიიჭრება მისთან და ბუკებზე ღონიერად დაკრავს ხელს).

დ ე დ ა

კ ი ლ ი ნ ა

გეუბნებიან, მიეცი ჩქარა!

(მავკას ხელიდან გამოგლეჯს ნამგალს და აძლევს კილინას, ის ფიცხლად მივარდება სამკალს, როგორც ცეცხლი ისე ცელავს. მოქნეულ ნამგლისაგან ჩალა წივის)

სწრაფად! რას ცოცავ, ვით ლოკოკინა. ვითომც მუშაობ!

(ცულიანად იცინის. ლუკაშიც წელში გაიმართება)

დ ე დ ა

ლ უ კ ა შ ი

აი, ესაა ნამდვილი შრომა!

(კილინა მუშაობის შეუწყვეტლად ამუშავს)

ჩემზე სწრაფი ხარ? ხელს ნულარ მახლებ, თორემ წაგაქცევ!

(კილინა ნამგალს იჭვე დაადგებს და დაიწყებს შემოიყრის)

კ ი ლ ი ნ ა

ძნების შემკვერელი რომ ვინმე მყავდეს, მთელ ყანის მომკას მყის მოვრჩიებოდი.

კ ი ლ ი ნ ა

ვინ ვის წააქცევს — იმისაც ვნახავდი!

დ ე დ ა

(ლუკაში მივარდება. კილინა ხელებს დაუჭერს. ხელისგულებით ხელისგულებზე მიბეჯენილი ერთიმეორის ძალას სინჯავენ. რამდენიმე ხანს მათი ღონე თანაბარია. შემდეგ კილინა სიცილით და თვალების ეშმაკური თამაშით, ცოტა უკან დაიხვეს გათამამებული ლუკაში ჭალს ხელებს აქეთიქით გაუწევს და სურს აკოცოს, მაგრამ იმდროს, როცა მის ბაგეს ოდნავ შეახებს ტუჩებს, კილინა უეცრად ფეხებში ფეხს გამოყრავს, ლუკაში ეცემა. კილინა თუხე დაადგება და იცინის).

ლუკაში! მოდი აქ!

(გამოინდება ლუკაში და კილინას მიმართავს)

ლ უ კ ა შ ი

გწყალობდეს ღმერთო!

კ ი ლ ი ნ ა

კ ი ლ ი ნ ა

შენც გაგიმარჯოს!

ახლა რას იტყვი, ზომ მოგერამე?



ლუკაში

ლუკაში

ფეხის გამოკერა—ადვილი არი!

მაშ რად მოხველი, თუ კმარა მინდა  
რომ მომეხმარო? სინგლნი რიში

კილინა

(თვითონ განაგრძობს ძნის შეკვრას)

მაშ, ვგრე?

მავკა

მოულოდნელად ქობის კარი გაიღება კი-  
ლინა სასწრაფოდ ისევ დაიწყებს შკას ზო-  
ლო ლუკაში—ძნების შეკვრას. მომკილი  
ადვილი ფერს იცვლის და იფარება ძნებით.  
ზოგან ულოებზე ისე ყრია შეუკონაფი ხელე-  
რები, როგორც დამარცხებულნი და ჯერ კიდევ  
შეუაპოვები ტყვეები!

უთხარი იმას  
ამიერიდან აქ არ მოვიდეს.  
არ მიყვარს იგი—ცბიერი არი  
ვითარცა წაფი.

დედა

ლუკაში

მოდით, მომკალნო, სამხარი ჭამეთ!

შენ მას არ იცნობ!

კილინა

მავკა

მე ჩემსას მოვრჩი, ის კი, ლუკაში,  
ნელა მუშაობს!

მესმოდა მისი ხმა დასიცილი!

ლუკაში

ლუკაში

მეც ცოტა დამრჩა.

ეს ხომ ცოტაა!

დედა

მავკა

საკმარისია.

შენ შინ შემოდი!  
მაგან განაგრძოს.

ის გავს ფოცხვერსაც.

ცილინა მოხუცთან ერთად შედის  
ქობში. კარი იხურება. მავკა ტოვებს ძეშნას.  
ლუკაში ოდნავ შეჩქვილდება, როცა მას დაი-  
ნახავს, მაგრამ მაღე მოეა გონს!

ლუკაში

კიდევ რასა გავს?

ლუკაში

მავკა

ეს შენ ხარ? აი, შეკარი ძნები,  
მე კი შინ წავალ!

ჯობს მან ჩვენს ტყეში აღარ იაროს.  
(ლუკაში ამართება)

მავკა

ლუკაში

მაგას ვერ შევძლებ!

თითქოს შენ იყო ტყის დედოფალი,—  
ზოგს ნებას აძლევ ტყეში იაროს  
და ზოგს კი არა.  
(მავკა შუხარულ და მუქარით)

მ ა ვ კ ა

ბევრი ორმოა

აქ დაფარული ხეთა ტოტებით.  
მხეცი და კაციც მათ ვერ შეამჩნევს,  
ვიღრე შიგ უცებ არ ჩაეარდება.

ლ უ კ ა შ ი

ცბიერებაზე, თვალთმაქცობაზე  
ნეტაეი რამე მინც არ გეთქვა!  
მე შენ, სრულებით, ჩანს, ვერ  
მიცენიხარ.

მ ა ვ კ ა

იქნება ჩემს თავს თვით არ ვიცნობდე.

ლ უ კ ა შ ი

ყური დამიგდე. თუ მოვალე ვარ  
შენ უნდა გკითხო—ვის შეუძლია  
ჩემთან მოვიდეს, ან არ მოვიდეს,  
მაშინ ჯობს ისევე დაებრუნდე სოფლად.  
ხალხთან როგორმე ვიცხოვრებ  
წყნარად.

არც მაქვს განზრახვა—აქ შენთან  
ვიჯდე,  
როგორც მელია რკინის ხაფანგში.

მ ა ვ კ ა

შენთვის ხაფანგი მე არ დამიდგამს,  
აქ თავისუფლად თვითონვე მოდი.

ლ უ კ ა შ ი

და თავისუფლად წავალ კიდევაც,  
ვერეინ დამაბამს მე აქ რითიმე.

მ ა ვ კ ა

ვანა მე მსურდა, შენი შებოჭვა?

ლ უ კ ა შ ი



რა საჭიროა ეგრე ყბელსა  
შინგაშინიშინებ  
(ლუკაში უკანასკნელ ძნის შევერას დააბ-  
თავრებს და ქობისკენ ისე წავა, მავეკას  
არც კი შეხედავს. მავეკა იქვე ჩაჯდება და  
მწუხარედ თავს დახრის. ლუკაშის წასე-  
ლისთანავე ქობიდან გამოდის ძია ლევი)

ძ ი ა ლ ე ვ ი

რისთვის ხარ, მტრედო, დაღონებული?

მ ა ვ კ ა

ზაფხული მოდის, ძია...

ლ უ კ ა შ ი

მართლაც და  
საწყენი არი! მე კი მეგონა  
ზამთრობით შენთვის ძველი ტირიფი  
არ იქნებოდა ისევე საჭირო.

მ ა ვ კ ა

მაშ, სად შეცხოვრა მე ცივ ზამთარში?

ძ ი ა ლ ე ვ ი

ვფიქრობ, ქობში შენც დაეტეოდი.  
მაგრამ ჩემი და ჯიუტი არი,  
ძნელია მისი გულის მოგება. —  
ბევრი ვეცადე, მაგრამ ამაოდ...  
ქობის პატრონი რომ კვლავ მე ვიყო  
არვის ვკითხავდი, მაგრამ სახლ-კარი  
უკვე მათ მივეცე,—არ მაქვს უფლება.  
ზამთარში თვითონ აქედან სოფლად  
უნდა წავიდე და გადავსახლდე...  
შენ რომ შეგეძლოს ხალხში ცხოვრება,  
თან წაგიყვანდი.

მ ა ვ კ ა

არ შემიძლია,  
თორემ უთუოდ წამოგყვებოდი.  
თქვენ კეთილი ხართ!



ძ ი ა ლ ე ვ ი

ღ ე დ ა

კ ა ც ი კ ი ა რ ა

პურია, ჩემო მტრედო, კეთილი.  
 მართალი ვითხრა, თქვენი ტყის მოდგმა  
 მე შემიყვარდა, და სიკვდილის წინ,  
 ვით მხეცი ისევ მოვალ აქ, ტყეში,  
 რომ ამ მუხის ქვეშ ვპოვო სამარე...  
 რეზა! მაშინაც ხომ იღვომები,  
 როცა სიკვდილი მომიგრეს კისერს?  
 აუღმე უფრო მძლავრი იყვენე მუხებში,  
 ისინი მოჭრეს, აღარ არიან,  
 მაგრამ როგორმე დაზამთრებამდე  
 შენ იშრიალე, ჩემო მშობილო,  
 და გაზაფხულსაც მოგვასწრებს  
 ღმერთი.

სალამოს შრომას რა ბარაქოქსეულნი  
 კილინას შეილო, მიყევს ჩემს მამას  
 შებინდებისას მარტო მგზავრობა  
 ტყეში, არ ვარგა. ლამაზი არი,  
 აქნება ვინმე წინ გადაუდგეს.

კ ლ ი ნ ა

ოი, მამიდა, მავას რას ამბობთ,  
 ახლა კი მართლა შემიყრთეთ გული.

(ღ უ კ ა შ ს)

წავიდეთ, ვიდრე ჯერ ისევ ღლეა,  
 თორემ ორივეს შეგვიპყრობს შიში.

ღ უ კ ა შ ი

მე? ტყის სრულებით არ მეშინია!

ღ ე დ ა

ეგ ყოჩაღია და გაბედული,  
 ცილს რატომ წამებ, ჩემო კილინა!

კ ი ლ ი ნ ა

ისე, ვიხუმრე!

(შეაშენებს ლევს, ლევი კი თითქმის შათ  
 ვერ ხედავს)

ო, ძია, შენ ხარ?

ღ ე ვ ი

ა? დიხ! წადი, იმგზავრე კარგათ.

(მიდის ტყეში)

კ ი ლ ი ნ ა

აბა, მშვიდობით, ჩემო მამიდა!

(ბურს აკოცოს მოხუცს ხელზე, მაგრამ  
 ის ნებას არ აძლევს, არდავის კალთით იშვენდს  
 ტუჩებს და კილინას სამჯერ თვითონ აკო-  
 ცებს. კილინა და ღუკაში მიდიან. კი-  
 ლინა გზიდან ეჩხის მას)

(ძ ი ა ლ ე ვ ი ღვას მოწყენით, ჯობზე დაერ-  
 დხობილი. მ ა კ ე ა ნ ე ლ ა არჩევს ძნებიდან ნა-  
 ზევრად დამკენარ ყვავილებს და თავულად  
 კრავს. ქოხიდან გამოდიან... ღ ე დ ა, კ ი ლ ი-  
 ნ ა და ღ უ კ ა შ ი. ღ ე დ ა მიმართავს ს ტ უ-  
 მ ა რ ს)

ღ ე დ ა

რათ ჩქარობ? დარჩი ცოტახანს კადევ.

კ ი ლ ი ნ ა

არა, მამიდა, ჯობს რომ წავიდე,  
 უკვე ბინდდება და მეშინია.

ღ ე დ ა

ღ უ კ ა შ, გაყევი!

ღ უ კ ა შ ი

კ არ გ ი, გაყევიები.

კ ა ლ ი ნ ა

მე მარტო წავალ. მან იმუშაოს.

კილინა

დიდხანს იცოცხლე, არ დამივიწყო!

დედა

შენც იღლეგრძელე და ხშირად გენახე!

(ლუკაშის დედა შუადღის ქოხში და კარებს მოხუტავს. მამკა დგება და ნელი, დაღლილი ნაბიჯით მიდის ტბასთან, ჯდება გადმოხრილ ტირიფზე, ხელუბზე თავს აყრდნობს და ჩემად ტირის. იწყება თქორი. ჯერ წვრილი შხეფები ცვივა, მერე წვიმა თანდათან ძლიერდება და სქელი ზღვით ფარავს ტაფობს, ქოხს და ტყეს. ტბიდან ნაპირზე მოცურდება ფერია და გაყვირებით, თანაც ცნობისმოყვარეობით უცქერის მამკას)

ფერია

შენ ტირი, მამკა?

მამკა

შენ კი ფერია  
ჯერ არასოდეს არ გიტირია?

ფერია

მე თუ ვიტირებ—სულ ცოტახანით,  
მაშინაც მხოლოდ, როს სხვა იციან!

მამკა

არც გყვარებია ოდესმე ვინმე?

ფერია

არ მყვარებია? ჩანს დაგავიწყდა,  
რას უძახიან ნამდვილ სიყვარულს.  
ის, როგორც წყალი—ჩქეფს და  
ბოშოქრობს,

ხან ნაზი არი, ბოლოს კი ახრჩობს.  
სადაც სიცხება—იქ დულს, კვარჩხალეებს,  
სიცხეში კი იქცევა ყინვად—  
ასეთი ვიცი მე სიყვარული.  
შენი კი არი—სუსტი, ვით ბავშვი  
და ხმელი ჩალა. ქარი ძირსა ზრის,

ფეხქვეშ იშლება. პატარა ციცილო  
და უბრძოლველად მყის დაიწვება,  
დარჩება მხოლოდ ნახსენებ, ფურცელი.  
როცა უარყოფს მას სატრფოს, მაშინ  
ამაო ჯაგრით ის წევს და ლბება,  
ვით თივა წყალში, მწუხარებისა  
და სინანულის მუდმივ წვიმის ქვეშ.

მამკა

სინანული? მაშ, კითხე ძეწნის ზეს  
ნანობს თუ არა იგი იმ ლამეს,  
როს გაზაფხულის სიო უწინავდა  
მას გრძელ დალაღებს?

ფერია

მაინც რას ნადვლობს?

მამკა

არ შეუძლია სატრფოს ტოტებით  
მოეხვიოს და სამარადისოთ  
გულში ჩაიკრას.

ფერია

კარგი და რატომ?

მამკა

ის სიო არი გაზაფხულისა.

ფერია

მერე მასეთი რად შეიყვარა?

მამკა

ლამაზი იყო და ნაზი მეტად,  
ის მას სიმღერით უშლიდა ფოთლებს,  
ურბევდა ნელა ალერსით გვირგვინს  
და აკურებდა ცვარს დალაღებზე.  
ნამდვილი შვილი იყო ბუნების —  
ძეწნის ხე სხვას არ შეიყვარებდა.



ფერია

ახლა მიწამდე დაუშვას თაღები —  
იმ სიოს იგი ველარ იხილავს,  
ის გაზაფხულთან ერთად წაეიდა.

(ჩემად, წყლის აუშამუნებლად, ფერია  
ნაპირიდან მიცურავს და ქრება ტბაში. მაცკა  
კვლავ თავს ზრის; გრძელი შავი ნაწნავები მი-  
წაზე ვადმოცივდება. დაქროლებს ქარი და  
ღვავა ღრუბლებს გარეკავს, მათთან ერთად  
ობილ მზარისკენ მიფრინავენ ფრინველთა შა-  
ვი ვუნდება. შემდეგ ძლიერი ქარისაგან საწვი-  
მარი ღრუბლებიც იფანტებიან და ღაისის წი-  
ნაპირზედ ლურჯი ცის ფონზე გამოჩნდება  
რეა — შემოდგომის უკვე მკაფიო სამკაულე-  
ბით შორთული. მაცკა, ნელა, ორმა მწუხარ-  
ებით იბრავს)

მაცკა

ჰო, ის წაეიდა...

(ტყვირიდან გამოდის ტყისკაცი, რომელ-  
საც გრძელი, ძველი ოქროსფერი ხირდა აცვია,  
ხოლოზე მეტი წითელი ქობიანი, ქედზე, ირგე-  
ლივ, შეყვითლებული სვიის ტოტები აქვს შე-  
მოვლებული)

ტყისკაცი

ჩემო ასულო,

შენ დაისაჯე ლალატისათვის!

(მაცკა თავს აწევს)

მაცკა

მე ველალატე? მერე ვის?

ტყისკაცი

შენ თავს.

დატოვე დიდი შენ მწვერვალები  
და წვირილ ბილაზე დაეშვი დაბლა.  
ვის გეცხარ ახლა? უბრალო მსახურს,  
მსახურს, რომელსაც გარჯით უნდოდა  
ეპოვა მცირე ბედნიერება,

მაგრამ ვერ შეძლო... მხოლოდ  
სირცხვილი  
ჯერ კიდევ უშლის იქცეს მათხოვრად.  
გახსოვს ის ღამე, როცა პირველად

8. „წათობი“ № 8.

შენ სიყვარულის იგრძენი ძალა?  
მაშინ შენ გავდი ტყის ნაბეჭედი ფეხებს,  
შავ თემებს გიმკობდა ვკრეფლავსმქმან  
გვირგვინი, —  
ბედნიერებაც ვიწვდიდა ხელებს  
და გთავაზობდა საჩუქრებს უხვად!

მაცკა

აბა, რა ექნა მე, როს ვარსკვლავები  
გვირგვინშიაც და გულშიც ჩამიქრენ?

ტყისკაცი

ჯერ ყველაფერი არ დაღუპულა.  
ღიმიობედ, რა ზეიშია!  
უკვე მოუსხამს იფნს ოქროს ხირდა,  
ხოლო ველურ ვარდს — ამკობს მარჯანი.  
სპეტაკი ფერი გაცვალა ძოწზე  
უკვე ძახველმაც. მან ყვავილებით  
შენ მოვართო ერთხელ, სადაც ბუღბული  
საქორწილო ჰანგს უსტვენდა  
ტყილად.

შებე, ძველ ტირიფს და ძეწნის ხესაც  
აქვს მეწამული და ოქროს ფერი.  
ამ შემოდგომის ზეიშზე, მხოლოდ,  
შენ ერთს გაცვია მათხოვრის ძაძა.  
შენ დაგავიწყდა, რომ მწუხარება  
სამარადისოდ ვერ ძლევს მშვენებას.

(მაცკა ამაყად წამოდგება).

მაცკა

მყის საზეიმო მომეც სამოსი,  
ისევ ვიქნები ტყის დედოფალი,  
რომ კვლავ დაეცეს სვე ჩემს  
ფეხებთან,  
ხეწუნა-მუდარით მთხოვოს აღერსი.

ტყისკაცი

დიღიხანია შესამდისელი  
მზათაა, შეილო, დედოფლისათვის,  
რომელსაც, დღემდე საღლაც  
მიმალულს,  
ხუმრობით ეცვა მათხოვრის მსგავსად.

(ტვისკაცი გადაიწევს თავის ხირლას, აქამდე მის ქვეშ დამალულ ძვირფას, ოქროს ძაფით ნაქარგ ხირლას და ვერცხლისფერ მარმარს გამოიღებს. იგი მყისვე მოახურავს შავკაცს ხირლას: შავკა შივა ძახველასთან, სწრაფად მოამტრევეს მას წითელნაყოფიან ტოტებს, დაწნავს გვირგვინს, ჭერე გაიშლის დალაღს. გვირგვინათ თავს შეიმკობს და ტვისკაცის წინ ოღნავ დაიხრება. ტვისკაცი მარმარს გადააფარებს).

### ტვისკაცი

ახლა კი შენზე, მე აღარ ვწუხვარ...

(შავკაცს მოკრძალებით თავს უქრავს, ჩქარო ნაბიჯით წავა და ტვერში გაუჩინარდება. ტვიდან გამოიჭრება მთისკაბუკი).

### შავკა

ისევ შენ?

(დაქცევას აპირებს)

### მთისკაბუკი

ნუ გეშინია, მე მსურდა მხოლოდ მინდვრის ფერია მენახა, მაგრამ ჩანს, ძინავს უკვე. სამწუხაროა. რა ფერმკრთალი ხარ!

### შავკა

შენ გეჩვენება.

### მთისკაბუკი

მე მეჩვენება? კარგათ შეგხედო!

(მოუახლოვდება, შავკა უკან დაიხვეს)

აბა რატომ კრთი? ხელსაც არ გახლებ რადგანაც ვიცი დაწინდული ხარ.

### შავკა

შორს, შენ მჭირდაო!

### მთისკაბუკი

ნუ ჯავრობ, მართლაც მე იქნებ ვცდები... მისმინე, შავკა, ჯობს დაეძმობილდეთ!

### შავკა

შერე და შენე...  
შინე...  
შინე...

### მთისკაბუკი

რატომაც არა? ახლა, როდესაც შემოდგომაა და მზე ცივდება და ჩვენი სისხლიც განელდა უკვე... ზომ შეგობრები ვიყავით წინათ, ერთმანეთიც კი გვიყვარდა მგონი, კარგათ არ მახსოვს... ახლა კი დროა რომ დაეძმობილდეთ, მომეცი ხელი.

(შავკა ცოტა გაუბადავით უწედის ხელს)

მომეცი ნება, ჩემო ძვირფასო. შავ მკრთალ სახეზე გაკოცო ძმურად.

(შავკა თავს არიღებს, მაგრამ ის შინე კონის)

რარიგ აყუევდა ეგ შენი სახე მყის შემოდგომის ნაზი ფერებით.

(მის ხელს ხელიდან არ უშვებს. ირგვლივ მიმოხედავს)

შეხე, იქ როგორ ფრინავს ობობა, როგორ ტრიალებს, როგორ ქანაობს... ვერე ჩვენც უნდა...

(უცებ შავკაცს საფეკვალ გაიტაცებს)

როგორც ქარი ცეკვა ჩქარი გავაჩაღოთ მყისვე ახლა: ვარსკვლავთ ქაფი— შუქი სწრაფი, ოქროსფერი ვნახოთ მაღლა. ის რაც ბრწყინავს ის, რაც ფრინავს რაც ანთია ცეცხლის ალაღ. — ვარ ისეთი... ვარ ისეთი... გადიქეცი შენც ნაბერწყლად.

(სწრაფად აცეკვებს. შავკაცს ვერცხლისფერი მარმარში შავში დასრიალებს, როგორც ბრწყინვალე გველი. ზოლო შავი დალაღები ერთიან მთის კაბუკის ცეცხლოვან ხე-ქვშ თმას).



მ ა ე კ ა

კმარა, ო, კმარა!

მ თ ი ს კ ა ბ უ ე კ ი

დე სიყვარულით

მეის დაიფერფლოს, ძვირფასო,

გული!—

ბედნიერება

სწრაფად მდინარებს, —

კარგია, მარად რაც ქრის და ფრინავს!

მამ ვიტყვიანალოთ

და ვიფრიალოთ —

ებოვოთ სამოთხე ცეცხლებრ რომ

ბრწყინავს!

მ ა ე კ ა

კმარა, გამიშვი!.. მეტი არ ძალმიძს.

(მისი თავი ეცემა მთისკაბუჯის მხარეზე, ხელები ჩამოკიდდება კაბუჯი გაიტაცებს ცეცხლით დაღლილ მ ა ე კ ა ს. უცებ მიწიდან ამოიშრება შავი, უზარმაზარი, საშინელი მოჩვენება.)

მ ო ჩ ე ნ ე ბ ა

მომე, ჩემია! დატოვე ჩქარა!

(მთისკაბუჯი ჩერდება და თავს ანებებს შავას, რომელიც უღონოდ ეშვება ბალახზე.)

მ თ ი ს კ ა ბ უ ე კ ი

რა გინდა, ვინ ხარ?

მ ო ჩ ე ნ ე ბ ა

ვერ მიცან? მე ვარ —

ის, ვინც ზის კლდეში!.

(მთისკაბუჯი შვრთება, მერე ერთბაშად მოწყდება ადგილიდან და ქრება ტყეში. მ ა ე კ ა გამოტყვევა, ოდნე წამოდგება და ფართოთ თვალებგახელილი, შეძრწუნებული უცქერის მოჩვენებას, რომელიც აპირებს ხელში მის აყვანას.)

მ ა ე კ ა

არა, არ მინდა... არ მინდა შენთან, მე ცოცხალი ვარ!

მ ო ჩ ე ნ ე ბ ა

მე შენ წაგიყვან შორ ქვეყანაში...

იმ უცხო მხარეს, ჩემ, მღვრია

ტბებთან, —

რომლებიც ღვანან, ვით მკვდრის

თვალები, —

აღმართულია მუნჯი კლდეები

ყველა წარსულთა დროთა მოწმენი.

იქ სიმშვიდეა, ხე და ბალახიც

ღვას, არ ირხევა... არვის აწუხებს

ძილის გამტეხი ფიქრი, ოცნება.

ქარსაც ვერ მაიქვს და იქ ვერ აღწევს

თავისუფლების ამოა ჰანგი.

იქ ცეცხლი არ ჩანს, ელვის ისარიც

იშხვრევა კლდეზე და აღარ ძალუძს

გააბოს ბნელი, მკვდრული სიჩუმე.

შენ უნდა იყო იმ მხარეს... აქ კი

ცეცხლი ფერს გიკრთობს, გლლის

მოძრაობა,

რადგან ხარ ჩრდილი, ლანდი უსულო.

მ ა ე კ ა

(ღეგბა)

მე ცოცხალი ვარ! ვიქნები მარად!

გულში მაქვს ის, რაც უკვდავი არი!

მ ო ჩ ე ნ ე ბ ა

ეს ყველაფერი საიდან იცი?

მ ა ე კ ა

მე მიყვარს ჩემი უსაზღვრო სევდა.

როცა მექნება თუგინდ სურვილი

ის დავივიწყო, მაშინ წამოვალ.

მაგრამ ამ ქვეყნად ვერცერთი ძალა

მე ჩემს სიყვარულს ვერ დამაეწყებს.

(ტყიდან მოიხმის ადამიანის ფეხის ხმა)





მ ა ე კ ა

ნუ ვიხარია, მე ის ვიხსენი, —  
გულში ისეთი თილისმა სიტყვა  
ვპოვე, რომელიც მხეცს აქცევს კაცად.  
ტყვისკაცი სიბრაზისაგან ფეხებს აბა-  
წენებს და ხმაურით ამტვრევს თავის არგანს)

ტყვისკაცი

ტყვის შვილი იყო — აღარ ხარ ღირსი!  
შენ დაგიკარგავს ტყიური სული,  
უკვე გამხდარხარ მონა სოფლისა.

მ ა ე კ ა

შენ რომ იცოდე, შენ რომ იცოდე,  
რა საშინელი იყო ყოველი...  
როცა ქვის ძილით მე დამეძინა  
წყვედიადით მოცულ ღრმა, ცივ  
ღვიმეში —

სალი კედლები შემოარღვია  
უცნაურმა ხმამ და ნადვლიან  
გრძელი ღმუილი მოედვა მკვდარ ტბებს  
და გააღვიძა მან ხეობები  
დიდიხნის წინაღ დაღუპებულნი.  
ამდროს, უეცრად, მეც გამედვიძა  
და ჩემმა სევდამ ქვესკნელის ცეცხლით  
გააპო სულის მხუთველი მღვიმე  
და გამოვედი კვლავ სინათლეზე.  
ჩემს მუნჯ ბაგეზე გაცოცხლდა სიტყვა  
და მოვახდინე მე სასწაული...  
ჩანს მოსვენება არ მიწერია.

ტყვისკაცი

სადაა ახლა? კვლავ მიგატოვია?  
ნუთუ იმისი უმადურობა  
მუდმივი არი, ვით შენი ტრფობა?

მ ა ე კ ა

ო, მამობილო, შენ რომ გენახა...  
ის კაცის სახით ჩემს წინ, ფეხებთან  
დაეცა როგორც მოჭრილი იფნი  
და ამომხედა ტანჯულ თვალებით,  
რომლებიც ჰქონდა აღსავსე სევდით,

სინანულით და უიმედობით...  
ასეთი მზერა მხოლოდ კაცს მხედველს  
ჯერ ერთი სიტყვაც არ შეუძენია სისკეს,  
რომ ის წამოხტა და დაიფარა  
უცებ მითროლვარე ხელებით სახე  
და მყის გაიქცა უსიტყვოთ, მუნჯოთ,  
ჯკლიან ხევში გაქრა თვალთაგან.

ტყვისკაცი

კარგი და რა გსურს აწ გააცეთო?

მ ა ე კ ა

არ ვიცი! ახლა ამ ქობის ირგვლივ  
დაეძრწი ლანდივით და ვერ ვახერხებ  
აქაურობა დაეთმო... გული გრძნობს  
ის დაბრუნდება...  
(ტყვისკაცი უხმოდ მუხბარედ აქნევს  
თავს. მ ა ე კ ა კვლავ მიყვარდება ქობის კე-  
დებს).

ტყვისკაცი

ო, უბედურო,  
რათ წახვალ ჩვენგან პირქვე მხარეში?  
ნუთუ ვერ პოვე შენ სიხარული  
მშობლიურ ტყეში? შეხე, ტირიფი  
გელის, მას უკვე შენთვის საწოლი  
კვლავ გაუშლია. წუხს! წალი მასთან  
და დაისვენე.

მ ა ე კ ა (ჩემად)

არა, არ ძალმიძს!

(ტყვისკაცი ერთს ამოიხრებს და წელა  
მიღის ტყეში. ტყიდან შიასმის ისეთი თქარა-  
თქერი, თითქოს ვინმე მთელი ძალით მოაჭე-  
ნებდეს ცხენს, ხმაური მალე წუდება. ქობის  
მზრიდან გამოსტება ქუცვი. ხელებს იფუნეტს-  
როგორც კი მ ა ე კ ა ს დაინახავს, შეჩერდება).

ქუცი

შენ აქ ხარ მ ა ე კ ა?

მ ა ე კ ა

შენ კი აქ რა გსურს?

## ქუცი

მე მოვათრიე ცხენი ფაფარით,  
უკანასკნელად მიმომპქროლა,  
აჲ კი ვერავის ველარ წაიყვანს!

## მ ა ე კ ა

შენ საზიზღარო, ტყე შეარცხვინე!  
გვრე უსრულებ ძიას პირობას?

## ქუცი

პირობა მოკვდა იმასთან ერთად.

## მ ა ე კ ა

როგორ? ის მოკვდა?

## ქუცი

ეგერ საფლავი.  
ლევო მუხის ქვეშ დაასაფლავეს,  
მაგრამ მის კენჭთან იგი წვეს ახლა.

## მ ა ე კ ა

ორივე წაიქცა! თითქოს იცოდა  
დაზამთრებამდე ვერ მიიღწევდა.  
(მიღის სამარესთან)  
ო, მეგობარო, შენ ერთად-ერთო,  
შენს გამო რაივ მიტირის გული!  
რომ მქონდეს ცრემლი მაცოცხლებელი  
დავამკურებდი მას შენს სამარეს  
და ზედ უკვდავ ვარდს გაეხარებდი.  
მაგრამ ახლა მე მთლად ღარიბი ვარ  
და მკნება გული, როგორც ფოთოლი.

## ქუცი

დარდი არ ვიცი, მაგრამ უნდა ვთქვა,  
მისი სიკვდილი მეც კი მეწყინა.  
ცხოვრობდა მუდამ ჩვენთან  
თანხმობით, —  
მას ცხენთან ერთად ყავდა შავი თხაც,  
რომელსაც ხშირად ვეჯირობებდი.

ხანაც, ვით ელვას დაეპქროლებოდა.  
ცხენი კი იდგა თავისთვის და  
მხოლოდ ამ ქალებს აწმუნებდა  
როგორც წესია, ჩვენთან ცხოვრება, —  
გაყიდეს თხა და ის მუხაც მოპრეს  
და დაარღვიეს ამით პირობა.  
მეც გაღუუხადე სამაგიერო —  
მოკვალი მათი ცხენი ჭენებით.  
თუ იყიდიან — ისიც მოკვდება.  
ჩვენი როკაპის ბრძანებით ქაჯმა  
მათ სხვა პირუტყვიც არ შეარჩინა.  
წყლისკაცმა თივა აქცია ობათ,  
უმამოებმა — ზური დააღბეს,  
ხოლო უქმური მათ აცახცახებეს,  
რადგან მთელი ტბა ააფხეს ძენძით.  
ტყეში სიკეთე მათ აღარ ელით.  
აქ ზლიდენებიც უკვე დადიან.

(ზლიდენები — პატარა, უმწეო არსებანი,  
მუდმივი შიმშილის გამოსახველ და-  
ტანჯული სახეებით; გამოჩნდებიან ქობის  
ერთ-ერთ კუთხიდან).

## ზლიდენები

ქვართ. ვინ გვიხმო?

(მ ა ე კ ა მუხზე წინ გადაუღვება კარებთან  
მათ)

## მ ა ე კ ა

შორს, თქვენთვის არვის  
დაუძახია.

ე რ თ ი ზ ლ ი დ ე ნ ი

რაც ითქვა, იგი  
არ დაუბრუნდებ.


(ზლიდენები ზღურბლს უახლოვებიან)

## ზლიდენები

დამშვეულნი ვართ!  
შალე გაგვიღონ ბარემ კარები!

## მ ა ე კ ა

შვი არ შევიშვებთ!



ზ ლ ი დ ე ნ ე ბ ი

(იღებს პატარა გოროს, ესწრის და ჩამტერებს შუშას. კობიდან მოისმის ლუკაშის დღის ხმა.)

მამ, შენ გვაჭამე!

ქარკუნული  
ზინჯღირთეკა

მ ა ვ კ ა (შიშით)

ღ ე ღ ა

ნუ არაფერი არ გამაჩნია...

უი, ეს რაა? კვლავ ქაჯრ არი?

ზ ლ ი დ ე ნ ე ბ ი

ქ უ ც ი (ჩემათ)

რადგან ასეა, ძახველა მოგვეცე,  
რომელიც გულთან გაჭვს მიბნეული.

გამოიღეიძა, მალე მივიხმობთ,  
ჯერ კი იჯექით ჩემად და წყნარად,  
თორემ ისეთი აქვს მოხუცს ენა  
მყისვე გაგაქრობთ იმისი წყევლა.

მ ა ვ კ ა

(ზ ლ ი დ ე ნ ე ბ ი ზღვრბლთან მოიკრუნ-  
ბებიან. კობის გატეხილ ფანჯრიდან ისმის: რე-  
ვორ დგება ღეღა, შემდეგ მისი ხმა, ბოლოს  
კ ი ლ ი ნ ა ს ხმაც.)

ეს ძახველა ხომ ჩემი სისხლია!

ზ ლ ი დ ე ნ ე ბ ი

ღ ე ღ ი ს ხ მ ა

მერე და იყოს ჩვენ გვიყვარს სისხლი.

გათენებულა, შენ ისევ გძინავს.  
კილინა. ვესმის? ადექი ჩქარა!  
ნეტაეი მართლა არ გაგვლეიძოს...  
ადექი მეთქი!

(ერთი ზ ლ ი დ ე ნ ი შეატება მკერდზე და  
წუწნის ძახველას, სხვები ცდილობენ დაეღან  
პოიპორონ იგი, რომ თვითონაც გაშინჯონ ძახ-  
ველას გემო. ზ ლ ი დ ე ნ ე ბ ი ერთმანეთს ეცო-  
ლებიან და ძაღლებოვთ ღრინავენ.)

ქ უ ც ი

კ ი ლ ი ნ ა ს ხ მ ა

შეჩერდიო, ეგ ხომ კაცი არაა!

რა ამბავია?

(ზ ლ ი დ ე ნ ე ბ ი შედგებიან, კბილებს აკრ-  
ქუნებენ და შიშოლისაგან წაყწაყებენ.)

ღ ე ღ ა (გესლიანად)

ზ ლ ი დ ე ნ ე ბ ი (ქუცის)

უკვე დრო არი ძროხა მოწველო  
ჯიშოანი და კარგი, რომელიც  
შენმა პირველმა ქმარმა გიყიდა.

მოგვეცი რამე, თორემ შენ შეგჭამო.  
(მიცვივდებიან ქუცის, იგი გვერდზე ვახ-  
ტება)

კ ი ლ ი ნ ა ს ხ მ ა

ქ უ ც ი

არა, მოვწველი მას, აქ რომ დამხვდა  
და დაეყენებ ერთ ოყა კარაქს  
სამ წვეთ რძისაგან.

სჯობს, ფრთხილად იყოთ!

ღ ე ღ ა

ზ ლ ი დ ე ნ ე ბ ი

დამშეულნი ვართ!

ალარ ჩუმდება!

ქ უ ც ი

ვისი ბრალია თუ არ გვეყავს ძროხა?  
შენ რომ ხარ კარგი ღიასაბლისი  
და კარგი რძალი! საიდან გაჩნდი  
ჩვენს საეაღალლო?

დაიკათ, ქალებს მე გავაღვიძებ, —  
მაშინ გექნებათ მსუყე საყვები,  
მე კი სეირი და გასართობი.

კილინა

მერე, რეტავი,  
 თქვენ ჩემი თავი ვინ გაგირიგათ?  
 ზომ ჯყავდათ ვილაც ბინძური, ჯობდა  
 ის მოგვეყვანათ, ჩაგვეცვათ სუფთად,  
 გვეოლებოდათ კეთილი რძალი.

დედა

მართლაც და იგი ბევრათ გვერჩია.  
 ლუკაში შეცდა შენ რომ შეგირთო;  
 ის იქნებოდა, როგორც მალამო,  
 გამგონე, წყნარი. შენ მას ეძახი  
 ქუჩუიანს, მაგრამ თვითონ რაღა ხარ?  
 მწვანე სამოსი მიკერ-მოკერე  
 და იმით დახვალ, არც კი გრცხვენია.

კილინა

მამ შენთან ვიელი ახალ კაბაში!  
 თითქოს ქმარი მყავს—სადღაც ქარს  
 დაქვეს,  
 დამტოვა მარტო ავ დედამთილთან,  
 არვიცი ვინ ვარ: ცოლი თუ ქვრივი.

დედა

რომელი ქმარი გაგიჩერდება?  
 ქირი ხარ! რაც კი გვექონდა შენ  
 ჩანთქვე  
 შენი ბავშვებით,—აი იქ სხედან—  
 ნეტავ შეგკამონ თქვენ ზლიდენებმა!

კილინა

დე, ის შექამონ, ვინც მათ ეძახის.

ნამ სიტყვებით აღებს ქობის კარს. ქუცი  
 ვაიქცევა ჭაობისაკენ. ზლიდენები წამოხტებიან  
 და შედეგდებიან თივის ზეინში. კილინა  
 სათლით ხელში სწრაფად მიიბრუნს ტუის ნა-  
 კადლოთან, ხმაურით ააყვებს წყლით სათლს  
 და უკან ბრუნდება უკვე შენელებული ნაბი-  
 ჯით. კარის ახლო შეამჩნევს შავკახს, რომე-  
 ლოდ დგას კედელთან ღონე გამოღებული. სა-  
 ხეზე რუხი მარმარი აქვს ჩამოფარებული. კი-  
 ლინა შეჩერდება და ძირს დადგამს სათლს.

კილინა



ეს ვილა არი? ეი, მთვარე  
 თუ გაყინული? <sup>შინა</sup> <sup>შინა</sup>

(მხარზე ხელს კიდებს და აჩქარებს. შავკა  
 ძლივს ებრძვის დალილობას)

შავკა

ძილი მერევა...  
 კვლავ ზამთრის ძილი...  
 (კილინა სახიდან ახდის რიდეს და იც-  
 ნობს)

კილინა

აქ რისთვის მოდი?  
 ნუ თუ არ მოგცეს შრომის საფასი?

შავკა (იმავე ხმით)

ვერც ვერვინ მომცემს მე  
 გასამრჯელოს.

კილინა

მამ რისთვის მოხველ? ის შენ არაა.  
 გსურდა გენახა? მითხარ, გამოტყდი—  
 შენ ვიყვარს იგი?

შავკა (იმავე ხმით)

მამინ ლამაზი,  
 უფრო ნათელი იყო ცისკარი.  
 ის უკვე ჩაქრა!

კილინა

უგონოდაა

შავკა (იმავე ხმით)

შეებას გრძნობს გული. ღრუბელი ცაზე  
 ვით უთვისტომო, მიცურავს ობლად,  
 მიდის მწუხარედ, უსიხარულოდ...

ელვავ, სადა ხარ?

(კილინა ხელზე ხელს წაყვებს)



კილინა

შორს! გამეცალე!

თვალებს ნუ მიხვევ! რაღას უდგებარ?  
(თითქოს შავკა გონს მოდის, კარს შორ-  
ღვბა)

შავკა

ვდგევარ და ვხედავ, ბედნიერი ხარ.

კილინა

ჯობდა მდგარიყავ, ვით საოცრება.

(უცხად შავკა იქცევა ხმელთოღებთან  
და დაბლა დახრილ ტოტებთან ძენწად. განცვი-  
ფრებული კილინა გამოერკვევა და შტრუ-  
ლიდ ამბობს)

ო, ეს რა კარგი რამე გისურვე!  
ახლა აქ დიდხანს ვერ გაჩერდები!

(ქიხიდან გამოიზიბის შავშვი და კილი-  
ნას შეძახებს)

ბავშვი

დედა, სადა ხარ? გეშია, ბებია  
არაფერს გეპყმევს.

კილინა

მომშორდი ჩქარა!

(მერე დაიხრება ბავშვისაკენ და ჩემად ვუბ-  
ნება)

იქ ღუმელის ქვეშ ქადაა, ჭამეთ  
როცა ის გავა საკუჭნაოში.

ბავშვი

აქ ვინ დაასო ეს ხველი ძეწნა?  
რა საჭიროა?

კილინა

შენ არეინ გკითხავს.

ბავშვი

სალამურისთვის მსურს ტოტი მოვჭრა.

კილინა

მოჭერი, სულაც არ მენამენა! <sup>კილინა</sup>  
(ბავშვი ძეწნას შეპურის შტრას ღუმელში  
ქობში. ტყიდან გამოდის ლუკაში. გამხდარი.  
თმაშოშვებული; არც ხარღა ასხია, არც ქუდი  
ახურავს. მის დანახვისთანავე კილინა ხიხარე-  
ლისაგან შვკივლებს, მაგრამ წყენა ანელებს  
მის ხიხარულს)

კილინა

ოჰ, გამოცხადდი! თქვი სად იყავი  
შენ ასე დიდხანს?

ლუკაში

არა, არ გეტყვი!

კილინა

რატომ არ მეტყვი? ეშმაკმა იცის  
სად, რომელ მხარეს დაყიალებდი.  
ჩემო ძვირფასო, კითხვაც არ მინდა...  
ვიცი, რომ არი ქვეყნად სახამრო,  
სადაც დატოვე ხირღა და ქუდი.

ლუკაში

მე სახამროში არა ვყოფილვარ.

კილინა

მაგას სულელი თუ დაგიჯერებს.  
(მოთქმათ)

დავლუბე თავი მე სამუდამოთ  
ლოთს რომ წავეყვი.

ლუკაში

დაჩუმდი, ნუ ყველ!

(კილინა ხმას ჩაიკმენდს და შიშით უცყა-  
რის მას)

ახლა კი უნდა გელაპარაკო!  
საღღაა მეხა? მარტო კუნძი დევს.

(კილინა პირველად შეჩერუნდება, მაგრამ  
მაღე გამოერკვევა)

კილინა

მამ, დამშეულებს რა უნდა გვექნა?  
ვაჭრებს მივეყიდეთ. მორჩა, გათავდა.  
მუხა, თორემა დიდი რამ იყო!

ლუკაში

კი, მაგრამ, ძიამ ხომ დაიფიცა  
რომ არასოდეს მას არ მოსპრიდა?

კილინა

ამ ქვეყნად ლევი რადგან არაა  
ახლა არაფერს ნიშნავს ის ფიცი.  
ჩვენ ხომ არ გეითქვამს ასეთი რამე?  
მთლად გავყიდიდი, ან ავკაფადი  
მე სიხარულით ამ ტყეს დაბურულს  
რომ ეშმაკების ბუნაგის ნაცვლად  
აღაშიანებს ქონოდით მიწა.  
თორემ ყოველთვის შებინდებისას  
გარეთ გამოსვლა საშიში არი.

რა მოაქვს ჩვენთვის ტყეში  
ცხოვრებას?  
დაძრწით აქ, როგორც მშიერი  
მკლები,  
მალე დავიწყებთ მგლურათ  
ღმუილსაც.

ლუკაში

სუ, კრინტი! ჩუმაღ! ჩუმაღ!

(მის ხმას ეტყობა ვიფერი შიში)  
რას ამბობ?  
გავყიდოთ ეს ტყე... ავკაფოთ... მაშინ  
აღარ იქნება... როგორ თქვი?

კილინა

როგორ?  
მგელი...

ლიუკაში (პირზე ხელს აფარებს)

ნუ ამბობ!

კილინა (ითავისუფლებს თავს)

ლეთის გეშინდები...  
მთვრალი ხარ, გეყი, თუ გათვალკლი?  
წამოდი სახლში.

ლუკაში

ახლავე... მოვალ...  
ოღონდ... ჯერ წყალი მიწნდა დავლიო.

(იჩიებს და სათიდან სვამს წყალს. მერე  
დგება და უძრავად გაჩერებული დაფიქრებუ  
ლი იფურება სივრცეში)

კილინა

ნეტავ რას ფიქრობ?

ლუკაში

ისე... არ ვიცი...

(გაუბედავად)

უჩემოდ თქვენთან არეინ ყოფილა?

კილინა (მკვახლად)

აქ ვის შეეძლო რომ მოსულიყო?

ლუკაში (თავდახრით)

არ ვიცი... იქნებ...

კილინა (ბოროტად)

შენ არ იცი და...  
მე კი ვიცი.

ლუკაში (შეშფოთებული)

შენ?

კილინა

რათ გაგიყვირდა?  
მე ვიცი ვისაც შენ ელოდები,  
მაგრამ ამოდ იმას მოვლი.  
ვინც იყო, იგი გადიქვა ბოძად.

ლუკაში

აბა, ეგ რა თქვი?

კილინა

რაღ ვაიგონე.

(ქობიდან გამობრძნის ლუკაშის დედა და ლუკაშს მოუხვეუა. ის ცოვად ეგებება მის აღერსს)

დედა

შვილო, რამდენი წუხილი ენახე ამ ქაჯისაგან.

ლუკაში (შეკრთება)

ვისგან?

(დედა მოუთითებს კილინაზე)

ლუკაში (დაცინვით)

ესეც ქაჯია? ჩანს ხედრად გერგო რომ გეძახოდნენ ქაჯის დედამთილს. ვისი ბრალია? შენ არ მომგვარე?

დედა

მე რა ვიცოდი, თუ ეგ წყევული იყო ბინძური და უხეირო.

კილინა

ამას ვინ ამბობს? ისეთი ქაჯი და კუჭყიანი, როგორც შენ ხარ, ჯერ ქვეყანაზე არვის უნახავს. ო, რა დედა გყავს? გულბრაზიანი, რკინა რომ მისცე, იმასაც დახრავს.

ლუკაში

ჩანს, შენ რკინაზე გამძლე ყოფილხარ.

კილინა

მე შენგან დაცვას ვერ ველირსები! დედა რაცაა, შვილიც ისა ხარ!

რატომ შეშირთე? მხოლოდ იმისთვის ყოველ წამს მლანძლოთ და

შეშინებულა  
გინჯლირთევა

დედა (ლუკაშს)

ნუთუ არ ეტყვი, ხმა ჩაიწყვიტოს? რამდი ეთმინო მაგისგან ქირღვა?

ლუკაში

ო, მომასვენეთ თუნდ ერთი წუთით. ვატყობ, გსურთ ქობთან ერთად

დავეტოვო მთელი ქვეყანაც. დავეტოვებ, რა ვქნა!

კილინა (დედას)

ხომ მოესწარი?

დედა

ასეთს მოესწარ

შენი შვილისგან...

(გაჯივრებული მიღის ქობისაკენ. ზღრუბლ-თან შეხედება კილინას შვილს, რომელიც ქობიდან გამობრძნის სალაშქრით ხელში) გზა, შენ ზლიდენო!

(ხელს კრავს ბავშვს. შედის ქობა და კარებს მოაჯახუნებს)

ბავშვი

დაბრუნდი მამი?

ლუკაში

ღიაღ, შვილიყო!

(სიტყვას „შვილიყო“ დაცინვით ამბობს)

კილინა (წყევნით)

უთხარი მაინც, რა დაგიძბოს — იქნება ძია?

ლუკაში (ოდნაე დარცხვენილი)

მე... არაფერი...

მოდით პატარავ, ნუ გეშინია.  
(ჭერათმთან თავზე ხელს გადაუსვამს)  
ეგ სალამური შენ გააყეთე?

ბ ა ე შ ე ი (ახირებით)  
ეროვნულნი  
რატომ არ უყრავ? ბიბლიონიკან

ბ ა ე შ ე ი

ლ უ კ ა შ ი (დაფიქრებით)

მე გაეყეთე, მაგრამ ზედ დაყვრა  
ჯერ ვერ ვისწავლე. თქვენ დაუქარით.  
(ვაუწყდის სალამურს)

დაუქრა განა?

(იწყებს დაყვრას, ჯერ ნელა, მერე უფრო  
ძლიერად და თანდათან ვადდის იმ სავაზფ-  
ხელო ჰიმნზე, რომელიც ოდესღაც მან დაუ-  
რა მიეკისათვის. უეცრად სალამური ილაპ-  
რაყდება:

ლ უ კ ა შ ი

ჩემი დაყვრის დრო უკვე წავიდა!  
(მწუხარედ ჩაფიქრდება)

„რა ტბილად უყრავს  
ეგ სალამური,  
თეთრ მკერდს მიწვთობებს,  
თან მიაქვს გული“.  
(ლუკაში ხელიდან გააგდებს სალამურს)

ბ ა ე შ ე ი (ქუჩკუჩნით)

მამ არ გსურს?.. დედა სალამურს  
ჩემთვის  
თუნდ ერთხელ, მამა რათ არ  
დაუქრავს?

ჯადოა, ჯადო ეს სალამური.  
(ლუკაშის ყვირილით შეშინებული ბავშვი  
შევარდება ქოხში. ლუკაში მუხისვე მხრებზე  
წაეღებს ხელუბს კლინას)  
თქვე კუდიანო, ეს რა ძეწნაა?

კ ი ლ ი ნ ა (დაცინვით)

კ ი ლ ი ნ ა

კი როგორ არა, ახლავ დაუქრავს!

ლ უ კ ა შ ი

ხელი გამიშვი. აბა რა ვიცი?  
ტყის ჯილაგს მე ზომ არ ვიცნობ ისე  
ვით შენი მოდგმა. თუ გსურს, ნაჯახით  
მოტყერი იგი, არ მენადღელება.

მაჩვენე ერთი ეგ სალამური?  
(გამოართმევს სალამურს)  
ცუდი არაა. ძეწნა გამოტყერ?

(ლუფაროდან გამოაქვს ნაჯახი და ვაუწყდის  
მას. ლუკაში გამოართმევს, მივა ძეწნასთან და  
შემოყრავს ნაჯახს, ძეწნა შეთრთოლდება. ხმე-  
ლი ფოთლები აშრილდებაინ. მეორედ შემოყ-  
რავს ნაჯახს და მაშინვე დაუშვებს ხელუბს)

ბ ა ე შ ე ი

ლ უ კ ა შ ი

დიახ, გამოგვერ ამ ძეწნისაგან.  
(მითითებს ძეწნაზე და ლუკაზე)

არ შემეძლია, ხელს აღარ ვახლებ...  
გული მეკუმშვის...

ლ უ კ ა შ ი

კ ი ლ ი ნ ა

თითქოს მე აქ მას პირველად ვხედავ.  
(კლინას)

მომე, მე მოვტყერი..


შენ ზომ არ დარგე?

კ ი ლ ი ნ ა

ეგ აქ ვინ დარგო?

მთლად ჩქოლი იყო და გაიზარდა,  
ზშირ წვიმიხიგან ხე ჩქარა ხარობს.

(ლუკაშს ხელიდან გამოსტაცებს ნაჯახს  
და მთელი ძალდონით შემოეჭმევს ძეწნას. ამ  
დროს ცეცხლის ველ-მეტეორის სახით ციდან  
ღივდება მთისკაბუჯი და ძეწნას შემოე-  
ხვევს).



საქართველოს  
საბჭოთაო გამომცემლობა

მთისკაბუკი

ლუკაში

ჩემო ძვირფასო, მე გადაგაჩინენ  
(ძეწნას შიის მოღდება ცეცხლი როცა აღი  
ხის კენწარომღე შილწვეს, ცეცხლი გადაწვე-  
დება ქობს. ჯერ ისლის სახურავს, შერე მოელ  
ქობს მოიცავს ხანძარი. ლუკაშის დედა  
და კილინას ბავშვები ქობიდან გამოცივივლებიან  
ყვირილით: „იწვის! იწვის! ვეშველეთ!. ლუ-  
კაშის დედა და კილინა გამალებით მი-  
მობიან — ცეცხლად გამოაქვთ ვეღაფერი,  
რის გამოტანაც შეიძლება; როცა ისინი გა-  
რეთ გამოათრევენ ფუთასა და ტომრებს, მთ-  
ზე მიყუწვული ზლიდენები საწრაფოდ  
ჩაძვრებიან ტომრებში. ბავშვები სათლებით  
მოარბენინებენ წყალს, ასხამენ ცეცხლზე, შაგ-  
რამ ხანძარი უფრო ძლიერდება).

ვხედავ, თქვენ უკვე გაქვთ  
ყველა ზლიდენიც.

კილინა

შავ ენას კბილებს  
რათ არ დააქერ? გესმის რას ამბობ?  
(ლუკაში ჩემად, უცნაურად იღინის)

ლუკაში

მე ვხედავ, რასაც შენ ვერა ხედავ...  
ანლა ბრძენი ვარ...

კილინა

დედა (ლუკაშს)

მანდ რისთვის დგებარ? გადააჩინენ  
შენი ქონება.

რა თქვი, რას ამბობ?  
ო, ნუ მაშინებ... რა მოგივიდა?

ლუკაში უცქერს სახურავის ძელებს,  
რომლებზედაც ვიზივებენ წითელი ვეფილ-  
ის მსგავსი გრუნა ცეცხლის ალები)

ლუკაში

აქამდე ბრიყვის არ ვეშინოდა,  
ბრძენი გაშინებს?

ლუკაში

ქონება? მაგრამ

იქნებ დაიწვას იქ ბოროტებაც?

კილინა

(ძელები ხმაურით ჩამტვრევიან, ნაპერწკ-  
ლები ბოძად აღიმართებიან მაღლა, ჰერიც ჩი-  
ნგრევა და მთელი ქობი იქცევა კოცინად. ახ-  
ლღედება მძიმე თეთრი ღრუბელი, იწყება თო-  
ვა. მალე ვეღაფერა თოვლით იფარება. შო-  
ლოდ ხანძრის ადვილას ციმციმებს მოწითალო  
შექი. შერე ეს შექვი ქრება და როცა თოვა შე-  
იხეღდება, გამოჩნდება შევი ნახანძრალი, იგი  
ბოლავს და შაშინებს სისველისაგან. ლუკა-  
შის დედა, კილინას ბავშვები და დაწ-  
ნას გადაჩინილი ბარგი უკვე აღარ ჩანან.  
თოვლის ბერუსში კაფობს ჯერ კიდევ დაუმ-  
წვარი ფარდელი, მის მახლობლად ურემია და  
ზოგი სხვა გლეხური ხელსაწყო. კილინას  
ცალ ხელში უჭირავს უაინსკინელი ფუთა, მე-  
ორე ლუკაშის სახელოზე ჩაუვლია).

ოი, ლუკაში,  
წაეიდეთ სოფლად!

ლუკაში

მე არ წამოვალ,  
ტყვის არ დატოვებ. აქვე დაერჩები

კილინა

მერე და ტყეში რას ვააყეთებ?

კილინა

ლუკაში

უთუოდ უნდა რამე ვაკეთო?

ლუკაშ, რას დგებარ? ხომ არ  
გაქვაველი?  
ჯობს მომეხმარო ბარგის ზოივაში.

კილინა

მამ გაურჯელათ როგორ ვიცხოვროთ?

## ლუკაში

რამ საჭიროა ჩენი ცხოვრება?

## კილინა

მართლა და მართლა რა მოგივიდა?

კუთაზე შეცდი თუ ავადა ხარ?

ეს ყველაფერი შიშისგანაა,

წავიდეთ სოფლად, მლოცველებს

ვუხმობ,

რომ მოგაშორონ გულიდან შიში.

(ლუკაში ეცხერის მას უზრუნველი ღმერთი)

## ლუკაში

რაღ ცეცხლს გაღურჩა, მას ვინ

დაიცავს?

(უჩვენებს ურმსა და ავეჯს)

## კილინა

მართლა, ყველაფერს დაიტაცებენ—

როს გაიგებენ ხანძარის ამბავს

მყისვე სოფლიდან მოვლენ ყველანი.

კარგი ლუკაშო, შენ აქ იყავი,

შე გავიქცევი, ცხენს ვინათხოვრებ,

ჩვენ ხომ აღარ გეყავს: ზოგი

მოგვიყვდა,

ზოგიც ახურში დაგვეწვა ახლა.

ეს მთელი ბარგი დაედვათ ურემზე

და მივაშუროთ შენს ნათესაებს,

ვთხოვით ღრობებით რომ

შეგვიფარონ...

როგორმე უნდა გავუძლოთ ამ ქირს.

(უკანასკნელ სიტყვებს წარმოთქვამს უკვე ტყიანკა გაქცეული. ლუკაში ჩემოდ იცინის. მალე კილინა თვალს ეფარება. ტყიდან გამოდის მაღალი ქალის აჩრდილი,

რომელსაც აცვია თეთრი გრძელი პერანგი და თავი წაქრული აქვს. ძველებზეა დასაწყობი მარმანის თავსაფრით. იგი ბანჯელის ირგვლივ ხანდახან შედგება და დაბლა იხრება, თითქოს რაღაცს ეძებს. როცა მოახლოვდება, შეჩერდება მაყელის ბეჭთან, რომელიც ნახანძრის ახლა, წელში გაქრობდება და მაშინ გამოჩნდება გამზღარი სახე. ლუკაშის სახის მგავსი)

## ლუკაში

მითხარ ვინა ხარ? აქ რისთვის მოხველ?

## ხვედრი

მე ვარ ხვედრი, უბედური,

აქ ამ ტყეში უღაბურში

თვითნებობამ მომიყვანა.

ახლა მწარედ ვიტანჯები

ვხეტიალობ, როგორც ლანდი,

ძირს ვიხრები, ბილიკს ვეძებ

მე დაყარულ სამოთხისას.

ო, ჩანს უკვე, თეთრი თოვლით

ის ბილიკი დაფარულა.—

ამ უღრანში ჩემი თავი

სამუღამოთ თვით დავმარებ.

## ლუკაში

ჩემო ხვედრო, მოამტერიე

შენ ტოტები თუნდ იმ მაყვალს

და ბილიკი დათოვილი

კვლავ გაკვალე, გაიყვანე.


## ხვედრი

აქ, ოდესღაც გაზაფხულზე

დავდიოდე, ნიავს ვგავდი.

და სანიშნოდ ბილიკებზე

გასაოცარ ვარდებს ვრგავდი.



შენ მოსპე ის ყვაელები,  
გადათელე სავაგლასოთ,  
ირგელივ ახლა ქარბუქია, —  
ის ბილიკი სადღა ვნახო!

ლუკაში

ვაღაქექე, ჩემო ხვედრო,  
თუნდ ხელებით აქ რაც არი,  
იქნებ თოვლის ქვეშ იპოვო  
ის ყვაეილი საოცარი.

ხვედრი

თითებს ვეღარ ვამოძრავებ,  
ხელები მაქვს გაყინული.  
მწარედ ვგოდებ, ვხედავ მალე  
აქ დავლები განწირული.

(ცნესით შეთროლდება. ლუკაში ხე-  
ლებს გაუწვდის)

ლუკაში

შენ მირჩიე და მითხარი  
ვით ვიცხოვრო უბედურმა.

მევედრი ლუკაშს მიუთითებს ფეხებ-  
თან მიწაზე)

ხვედრი

მავ მოკრილი ტოტით ხელში  
შენ იქნები მარტო მუდამ.

(მოდის ბარბაცით და ქრება თოვლში. ლუ-  
კაში იხრება იმ ადგილისაკენ, რომელზედაც  
მიუთითა ხვედრმა, პოვლობს თავის მიერ-  
ვე გადაგდებულ საღამურს. კლინას ბავშვმა  
რომ გამოჭრა ძეწნის ტოტისაგან, იღებს მას  
და მიდის შორე ძეწნისთან, რომელსაც შავა  
დომბოს ეძახდა; ჯდება დათოვლილ გრძელ  
ტოტებს ქვეშ, ათვალერებს საღამურს, ხან-  
დახან ბავშვივით იღიმება. მსუბუქი, თეთრი  
ვამპირვლედ შეორე აჩრდილი, რომელიც სა-  
ხით გაეს მავკას, გამოჩნდება ძეწნის ხესთან  
და ლუკაშს თავზე დააღებამ)

ა ჩ რ დ ი ლ ი

გულს ხმა გაეცი, ო, დაუწყვესელი  
გულიღა დამჩნა მე სახუცეარი.

ლუკაში

ეს შენ ხარ? მოხველ ვით მანქათელა,  
რომ შესვა ჩემი სისხლი! მა ჩქარა!  
(იღვავს შეერდს)

შესვი! დალიე! ახია ჩემზე, —  
შენ ხომ მე თვითონ მოგიღე ბოლო.

ა ჩ რ დ ი ლ ი

არა ძვირფასო, შენ მე მომეცი  
სული, ისე ვით აძლევს ხმას დიადს  
პირბასრი დანა უხმო ძეწნის ტოტს.

ლუკაში

სული მოგეცი? ტანი კი მოვსპე!  
რაღა ხარ ახლა? აჩრდილი, ლანდი.  
(გამოუთქმელი სევდით უცქარის მას)

ა ჩ რ დ ი ლ ი

ნუ გენანება შენ ჩემი ტანი,  
გიზგიზა ცეცხლათ იგი გაბრწყინდა  
და აელვარდა, ვით ღვინო წმინდა,  
მწველ ნაბერწყლებათ ცათ ანატანი.  
ის მსუბუქ ფერფლად იქცევა მყისვე  
როს შშობელ მიწას დაუბრუნდება,  
ახალ ძეწნის ხეთ გაზრდის ბუნება,  
შობს ჩემი ბოლო სიცოცხლეს ისევე.  
როცა ვიქნები აქ კვლავ დარგული  
დაიწყებს ყველა ჩემთან სიარულს,  
თან მოიტანენ დარდს და სიხარულს,  
გაუღებს კარებს მათ ჩემი გული.  
ხალხს განუქარებებს კავშიანს მძიმეს  
სალამურის ხმა ნაწი წკრიალით,

ნემი ტოტები ჩემი შრიალით  
და დილის ცვარი ზედ მოციმციმე.  
მე მათ ვუმღერებ, რაც ჩამაგონე,  
რასაც შენ ერთდროს მე მიმღეროდი,  
რასაც გალობდი ძეწნის ღეროთი,  
ყველას, რაც ახლა წარსულს აგონებს...  
გთხოვ, ის ჰანგები კვლავ გამაგონე.

(ლუკაში იწევს დაკერას. პირველი სულაშურის ხმა სვედიანია, როგორც ზამთრის ქარი, როგორც სინანული რაღაც დაკარგულის და დაუფიქარიან გამო, მაგრამ მალე გამარჯვებულ სიყვარულის ჰანგი ფარავს სვედას. ჰანგის თანდათანობით შეცვლასთან ერთად იცვლება ზამთრის გარემოც: ძეწნის ხე აშრიალებს ხეშეშა ფოთლებს, გაზაფხულის ჰანგს ეხამურება ახლად აყვავებული ტყე; ზამთრის ნისლიანი დღის ნაცვლად დგება ნათელი,

მიფარიანი, გაზაფხულის ღამე უცხოელ/ მავკა იფეთქებს აღრინდულე სიღმისეული, მას თავზე ვარსკვლავებთანა ფეწვალნი იფეწუქს ღკაში გაიქცევა მისკენ ბედნიერებით აღსავსე ქარი ხეებს გააცენს ყვავილებს, გაფრენილი ყვავილები ეფრტვევა შეყვარებულ წყვილს და ფარავენ მათ. როცა ქარი ოდნავ დაეზრება, ისევ გამოჩნდება ზამთრის სურათი: ხეების ტოტები დაბუნძლელი არიან თოვლით. ლუკაში ძეწნის ძირას ზის მარტო, ხელში საღმურთი უჭირავს, თვალები დაბნეული აქვს, ტუჩებზე შერჩენია ბედნიერი ღიმილი. ძეწნის ხეს ზურგით მიყრდნობილი იგი უძრავადაა თოვლი ჯერ ქედით ეხურება გარინდულს, მერე მთლად ფარავს მას. თოვლი განუწყვეტლად სკივ და (დრეკ)

თარგმანი რაქვენი გვერდებისა

## რთველი კახეთში



ჰეი შავ-შავო ბიჭებო! რას შერევა თქვენი კახეთი?  
რა ჟრიაჟული დამდგარა, იქნება — ზვრებში გახვედით?!  
იქნება ზვრებში გახვედით, იქნება უკვე რთველია?  
ვორგორებზე ჰკრეფთ ნამყენსა და რუისპირში ძველიანს!

რთველია, რთველი ნამდვილად, დაგირეცხნით ქვევრები,  
ლიმილით იმზირებიან ვაზის ფოთლიდან მტვერებიც —  
ვაზის რქის უღელს შებმული მოზვრები ყვეარ-ყვეარი.  
ჰკრეფავთ და აღარ იღვევა — რა გახდა დაუღვევარი?

ეჰეი, გურჯაანელნო, შვიდნო კი არა, ათასნო,  
თქვენმა ვაზებში ტრიალმა ლამის უღვინოდ დამათროს!  
შემოდგომაა, ძარღვებში ბობოქრობს სისხლის მაქარი, —  
სახლიაკივით გიხვდებათ ვაზი რქებშემონაჯარი.

პრელ-პრელი პეპლებივითა ვაზებთან ნაფართქალები.  
თვალებს მოგპრიან შუქივით თავსაფრიანი ქალები.  
შავთვალა ქალავ, ქალშავავ, ცისკარს რომ გეგხარ ამ დილით,  
რომელი უფრო წითლად ჩანს — რქაწითელი თუ მანდილი?

ქალო მკერდბარაქიანო, კახური მიწის მადლივით,  
საწნახელს გაუღიმიო — აღრე თუ ღიმილს მალავდა,  
გოდრები როგორც პარადზე, ჩამწყრივებულან მარანთან.

ხელიხელგადაჭლობილნი და შარვალ-აკაპიწებით  
საწნახელებში ჩამდგარან მზითდარუჯული ბიჭები.  
ზოგს შვენის შუბლზე ნახმლევი, ზოგს — ხშირი წარბშეყრილობა,  
ზოგს ტახის ნაეშვარივით მუხლთან ატყვია კრილობა.

ბაბა ჩამდგარა შუაში და ცეცხლი სცეცხვა ფეხიდან,  
ბუბუნებს ხარი მოზვრებში — ქერი ზანზარებს ქეკითა:  
— „ესროლა ბერმა ბაბამა, ჯიხვი რქით გადმოიკიდა!“

ჰეი, შავ-შავო ბიჭებო, რაღა ღირს თქვენთ დანახვა!  
თქვენი ნაწურის ღვართქაფმა ქვევრების ძირი დაღახა,  
ვაეკაცურ მუხლებს გიკოცნით, რა გამოვიღვეთ არაქათს?  
დაწურეთ, — კრემლში დალოცონ კახური მიწის ბარაქა!

## საქართველო რუსულ ლიტერატურაში



რუსეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორია შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ეს ურთიერთობა XI—XII საუკუნეებში წარმოიშვა და მას შემდეგ იგი ფართოვდებოდა, მტკიცდებოდა და ვითარდებოდა ამ ორი შესანიშნავი ქვეყნის რთულ საშინაო და საგარეო პირობებში.

საქართველო და ქართველები პირველად არიან მოხსენებული ჯერ კიდევ ძველ რუსულ ლიტერატურაში. კიევის რუსეთისათვის უძველეს ცნობილი იყო ივერია. ამას მოწმობს მოთხრობა „Варлаам и Иосиф“, რომელიც მრავალი მკვლევარის აზრით დაკავშირებულია ნაწარმოებთან „სიბრძნე ბალეარისი“. ამასვე მოწმობს რუს მთავართა ნათესაური კავშირი ქართველ მთავრებთან, ქართული არქიტექტურის ნაშთები რუსულ არქიტექტურულ ძეგლებში, ქართველების („ობეზობის“) მოხსენება რუსულ მატრიანებში და ზოგიერთ სხვა ლიტერატურულ დოკუმენტში.

„უძველესია, — წერდა ნ. მ. კარამზინი თავის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“, — რომ რუსეთს ძველი დროიდან კავშირი ჰქონდა ერთმორწმუნე საქართველოსთან: ცნობილია, რომ იზიასლავ I-ს, ცოლად ყავდა აბასთა თავადის ასული, ხოლო ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟიშვილი სახელოვან

ნი თამარ მეფის მეუღლე იყო. ეს კავშირი, რომელიც ერთ დროს დარღვეულ იქნა ბათოს შემოსევის გამო, კვლავ განახლდა: ივერიის მთავრის ალექსანდრეს დესპანნი, სახელად ნარიშკანი და ზოზემარუმი 1492 წელს ეახლნენ იოანეს და სთხოვეს მას მფარველობა<sup>1</sup>.

ქართველები ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩადიოდნენ კიევში, როგორც მხატვარი-ხატმწერები. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები ამის შესახებ მოცემულია „კიევ-პეჩორის პატერიკის“ მოთხრობაში ლავრის ტაძრის მოხატულობასთან დაკავშირებით („...მონასტერში მოვიდნენ ხატმწერები — ბერძნები და ობეზები“).

იმ დროს რუსულ და ქართულ კულტურათა ურთიერთგავლენის მნიშვნელოვან კერასა და გამტარებელს წარმოადგენდა ქართველი მისიონერების მიერ ბულგარეთში დაარსებული მონასტრები, და აგრეთვე — ტმუტარაკანის სამთავრო (ტამანის ნახევარკუნძული).

„უნდა ვიფიქროთ, რომ მეზობლად მდებარე ტმუტარაკანის და საქართველოს ნაწილის — აფხაზეთის მეშვეობით მომდინარეობდა ქართული ხელოვნების ის ინტენსიური გავლენა,

<sup>1</sup> იხ. კრებული „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, გვ. 14 — 15. კრებულის გვერდები შემდეგში მითითებული იქნება ფრანკულაში ციტატების მითითებით.

რომლის ნაშთები ვარაუდით დადგენილია კიევისა და ჩერნიგოვის არქიტექტურაში, ნოვგოროდის ფერწერაში, ზოგიერთი ხელნაწერის ორნამენტში. ტმუტარაკანში რუსული სამთავროს არსებობის ხანა თავემთხვევა აღმშენებლობითი ხელოვნების გაფურჩქვნას საქართველოსა და სომხეთში (IX — XII საუკუნეები)".<sup>1</sup>

ეს ურთიერთობა დიდი ხნით დაირღვა რუსეთსა და საქართველოში მონღოლთა შემოსევის გამო.

რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკურმა და საზოგადოებრივ-ლიტერატურულმა კავშირითიერთობამ ახალი განვითარება კპოვა XVI—XVIII საუკუნეებში, იმ პერიოდში, როდესაც უშუალო კულტურული ურთიერთობა დაწყარდა ამ ორ ქვეყანას შორის. ეს გამოწვეული იყო, ერთის მხრით მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერებით, ხოლო მეორეს მხრით — საქართველოს უკიდურესი დასუსტებით ფეოდალური შუღლისა და თურქ-სპარსთა თავდასხმების გამო, რაც მას აიძულებდა შეემართნა მოსკოვისათვის და მისგან ეთხოვა დახმარება გარეშე მტრების წინააღმდეგ.

მონღოლთა უღელი საქართველოში სპარსთა და თურქთა შემოსევამ შეცვალა: XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთი ბატონობდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში — თურქეთი. ეს გარემოება დაემთხვა ქვეყნის დაქუცმაცებას ფეოდალთა ცალკეულ სამფლობელოებად, რომელთაც „არ შეუძლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> „რუსული ლიტერატურის ისტორია“. შედარებითი აკადემიის გამოც. ტ. I, გვ. 16. (რუს. ენაზე).

<sup>2</sup> ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. II, გვ. 317 — 318.

„საქართველოს წინაშე მამინ რღვა ალტერნატივა — ან შთაბრუნდნენ რუსეთის შაბთა სპარსეთისმხედრულსა თურქეთის მიერ, ან მიეღო რუსეთის პროტექტორატი“; ეს „მეორე პერსპექტივა მანც უმცირესი ბოროტება იყო“.<sup>1</sup> ვინაიდან თურქეთი და სპარსეთი „ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ სტადიაში იმყოფებოდნენ“.<sup>2</sup> შექმნილმა ვითარებამ გააძლიერა საქართველოს ორიენტაცია რუსეთზე. 1491 წლიდან მოყოლებით მოსკოვის იგზავნებიან ელჩები „ურჯულთაგან“ დაცვის თხოვნით.

მოსკოვის სახელმწიფოც აგზავნიდა საქართველოში თავის ელჩებს, ცდილობდა შეემსუბუქებინა ერთმორწმუნე და მოძმე ქვეყნის მძიმე მდგომარეობა. ჩრდილოეთის ახალგაზრდა სახელმწიფოს ინტერესი საქართველოსადმი სულ უფრო და უფრო ძლიერდება, გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მოსაზრებათა გამო. თურქეთთან და სპარსეთთან მეზობლობა სამხედრო საფრთხეს შეიცავდა რუსეთის სამხრეთ-განაპირა მხარეებისათვის, ხოლო თუ თურქები გადალახებდნენ კავკასიას, ეს ემუქრებოდა აგრეთვე რუსეთის ეკონომიურ ინტერესებს, მის ვაჭრობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან. რუსეთის პოლიტიკაში კავკასიისადმი გარკვეულ როლს თამაშობდა აგრეთვე ცარიზმის დაპყრობითი მისწრაფებაც.

მოსკოვის სახელმწიფოს ავტორიტეტი ძლიერდება XV საუკუნიდან, როდესაც თურქთა აგრესია დამუქრა ევროპის ქვეყნებს, ხოლო თურქთა მიერ კონსტანტინეპოლის ხელში ჩაგდება

<sup>1</sup> \*მთავრობის კომისიის ვიერის დადგენილება სსრკ-ის ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით. (ისტორიის შესწავლისათვის). პარტგამომცემლობა. 1937 წ., გვ. 38. რუს. ენაზე).

<sup>2</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 374. (რუს. ენაზე).

და ბიზანტიის დამხობამ გამოიწვია მოსკოვის პრეტენზიები ევროპაში პოლიტიკურ და საეკლესიო ჰეგემონიაზე.

ამ იდეის ერთ-ერთი მიმდევარი, ბერი ფალოფვი XV საუკუნის დამღვეს თავის მიმართვაში ბასილ III-ისადმი წერდა, რომ დღემდე ორი რომი იყო; პირველი რომი დაემხო ბოროტი ბედისწერის ნებით, მეორე რომი (კონსტანტინეპოლი) — აგარიანთა ძალადობით, ხოლო მესამე რომი, მოსკოვი, ურყევად დგას, მეოთხე რომი კი შეუძლებელიათ.

ამ პერიოდის მთელ რიგ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შინაარსი განსაზღვრა იდეამ, რომ მოსკოვი არის „მესამე რომი“, „მსოფლიო სამეფოს“ მემკვიდრე, ქრისტიანობის ბურჯი, ნაცვლად დამხობილი ბიზანტიისა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ ამ ნაწარმოებში — თქმულებაში ბაბილონის სამეფოზე — გმირად გამოყვანილია აგრეთვე ქართველიც („ობეზი“).

თქმულებაში ნააშკარაა, რომ ბაბილონში არსებული ნიშანნი სამეფოისანი — მსოფლიო სამეფო ძალაუფლების სიმბოლო—ჯერ მოხვდა ბიზანტიაში, ბასილ მეფის ხელში, ხოლო შემდეგ — მოსკოვში (როგორც ნათქვამია ამ მოთხრობის გაგრძელებაში — „თქმულება ვლადიმირის მთავრების შესახებ“).

ამ მოთხრობის ავტორისათვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო, რომ რუსებსა და ქართველებს ურთიერთობა კონდათ და ამიტომ საჭიროდ ჩათვალა თავისი მოთხრობის გმირებად გამოეყვანა ბერძენი, ქართველი („ობეზი“) და რუსი—სამი ელჩი, რომლებიც ბიზანტიის მეფე ლეონმა, მონათელიას ბასილად წოდებულმა, ბაბილონში წარუგზავნა, რათა სამეფო ძალაუფლების ნიშნები მოეპოვებინა. საინტერესოა, რომ ელჩებმა ბაბილონის გარს შემოვლებულ კედლის კიბეზე დაინახეს წარწერები ბერძნულ, ქართულ და რუსულ ენებზე.

ამ ეპოქის ყველაზე საინტერესო ძეგლს ჩვენთვის წარმოადგენს თქმულება დინარას შესახებ, ელჩისათვის ეწევილი რუსული ლიტერატურული ნაწარმოები საქართველოსა და ქართველობაზე, ალბათ, XVI საუკუნის დამღვეს დაწერილი. ამ შესანიშნავი მოთხრობის სუცეტს საფუძვლად უდევს კართულ შატაიანთაგან ამოღებული ცნობები და ხალხური თქმულებანი სახელგანთქმულ თამარ მეფის (თქმულებაში შეცდომით დინარად წოდებულის) ბრძოლის შესახებ „ურჯულთა“ წინააღმდეგ.

თქმულების ავტორი ცდილობს დამტკიცოს სამეფო ძალაუფლების ლეიტაბრივი წარმოშობა. „ძალაუფლება მე მივიღე არა შენგან, — ეუბნება დინარა სპარსეთის მეფეს, — არამედ ლეთისგან“. თქმულება გამოირჩევა ღრმა პატრიოტული იდეით. დინარა „გონიერი და მამაკი“ ქალია. „როგორც ფუტყარი თაფლსა ჰკრეფს ყვავილთაგან, ისე დედოფალი დინარა ჰკრეფდა სიბრძნეს ღირსსახსოვარი წიგნებიდან და დიდი სათნოებით ვანაგებდა თავის სახელმწიფოს, უდიდესად ზრუნავდა თავის სამფლობელოებზე. როგორც დახელოვნებულ მესაქეს გაჰყავს გემი ზღვის მღელვარე ტალღებზე, ასევე ზრუნავდა იგი იმაზე, რათა უზრუნველყო მშვიდობა თავისი ქვეყნისათვის“.

როცა სპარსეთის დიდალი ჯარი პატარა საქართველოს დასაპყრობად დაიძრა და თავზარდაცემულმა ქართველმა დიდებულებმა (ბოიარებმა) უარი განაცხადეს ომში მონაწილეობაზე, დინარამ ისინი თავისა მახვილი ენით მიწასთან გაასწორა და ასეთი მგზნებარე პატრიოტული სიტყვით მიმართა: „ნუ მიეცემით სასოწარკვეთას. თუ არ შევიარაღდით ურჯულთა წინააღმდეგ, სარწმუნოებისათვის არ დავიხოცეთ, სულერთია დავიღუპებით და მონებად ვიქცევით. არამც თუ ჩვენს ლეთისმოსაეობას არ განვაღიღებთ,



არამედ ურჯულთა ძალადობით დავიღუპებით. შერცხვენილნი, ისე, რომ ჩვენი ხსოვნაც აღარ დარჩება. შეიარაღებით მამაცობით, ნუ დაემსგავსებით სუსტ, ორსულ ქალებს... როცა ველები საადრო ღრუბლების წყლით აივსება, როცა ამ ველებზე მზის დიდი მცხუნვარება მიწას გაახშობს, ამის შემდეგ მიწა დიდხანს იქნება გამხმარი და უნაყოფო და ძნელი გახდება მის ნაყოფთა მიღება. ასევე შეიძლება დემართოს ჩვენს ვადართობულ სახელმწიფოს, გამრავლებულ ხალხს. როგორღა შევძლებთ ჩვენ კვლავ გაერთიანებას, თუ სპარსელები მას შეავიწროვებენ და დაიმონებენ? განა ჩვენ პატივისა და დიდების ღირსნი ვიქნებით, თუ სიმამაცით არ გავიმსჯვალეთ, თუ შიშმა აგვიტანა, თუ ფეხქვეშ გათელავთ ჩვენს ღვთისმოსავობას, უკუვადებთ მამაცობას და მხოლოდ ჩვენს საუნჯეზე ზრუნვას დავიწყებთ? როგორც მუცლადღებულ ქალს თავისი ორსულობა ამძიებს ასევე თქვენც, რაკი სიმდიდრე შეიძინეთ და მედიდურობით აღივსენით, ფეხქვეშ თელავთ ერთმორწმუნეთა ზნე - ჩვეულებას, უარყოფთ თვის ერთმორწმუნეთა სიყვარულს, ხოლო შემდეგ კი თვითონვე დაიწყებთ მოთქმა-გოდებას, თვითონვე იქნებით დაფლეთილი; — როგორც უვარვისი ძონძები, ფეხქვეშ გათელილი და თქვენზე არავინ იზრუნებს. დაივიწყეთ მედიდურობა, უკუვადეთ შიში, გაიმსჯვალენით სიმამაცით! თუ სპარსელებმა ტყვედ ჩაგიგდოთ, თქვენს სიმდიდრეს დაიტაცებენ და გაანიადებენ. რაღას ვაყოვნებთ? ჩქარა გაილაშქრეთ მათ წინააღმდეგ! და მეც, ქალწული, ასევე გამოვალ მათ წინააღმდეგ: დავივიწყებ ქალურ სისუსტეს, აღივსები მამაცური ძალით, ხმალს შემოვირტყამ, რკინის საჭურველით შევიმოსები და თავზე მუზარადს დავიხურავ, ქალწულის ხელით ლახვარს დავიჭერ, სამხედრო უზანგში შევხსნა გავუყრა მთელს ჩემს ლაშქარ-

თან ერთად, რადგან არ ძალმიძს მისმენა ჩემი მტრების ტრაბუნა-ტრაბუნა.

დინარა თავისი მტკიცურისკენ მამაცი ჯარით სასტიკად ამარცხებს სპარსელ დამპყრობლებს და სამშობლოში დიდების შარავინდელით მოსილი შემოდის.

მოთხრობის ავტორი წინააღმდეგ ქართული წყაროებისა, განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დიდებულებმა (ბოიარებმა) უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ ომში სპარსელების წინააღმდეგ. ეს ავტორს, ალბათ, იმიტომ დასჭირდა, რათა გაემართლებინა ივანე მრისხანის ბრძოლი ბოიართა წინააღმდეგ.

ამრიგად, მრავალერიანი ძლიერი რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეპოქაში, იმ პერიოდში, როდესაც ივანე მრისხანე წარმატებით ებრძოდა შინაურსა და გარეშე მტერს, დინარასადმი მიძღვნილი მოთხრობის უცნობი ავტორი სარგებლობს იმ ეპოქის მასალებით საქართველოს ცხოვრებიდან. როდესაც ცენტრალიზებულ სახელმწიფოს სათავეში მდგომი თამარი ასევე ებრძოდა ფეოდალურ მეტოქეობას და ომობდა „ურჯულთა“ წინააღმდეგ.

XV საუკუნის შემდეგ საქართველოს ცხოვრება (და, საერთოდ, კავკასიისა) შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ პოულობს ასახვას რუსულ ლიტერატურაში.

კავკასიის თემატიკა მასში თავს იჩენს მხოლოდ XVIII საუკუნეში. პირველად კავკასია ნახსენებია ლომონოსოვის ოდაში „იმპ. ელისაბედ პეტრეს ასულის ტახტზე ასვლის დღის აღსანიშნავად“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ პოეზიაში ხშირად გვხვდება სიტყვები „კავკასია“, „ივერია“, „კოლხიდა“ და ა. შ. ეს აიხსნება რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის გაძლიერებით. რუსეთ-თურქეთის ომის დროს

1760—1774 წლებში რუსეთის არმიის ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. რუსები ქართველებთან ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, ხოლო 1783 წელს საქართველომ რუსეთის პროტექტორატი მიიღო. ამ დროის სამხედრო და პოლიტიკურმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ორივე მხარის კიდევ უფრო უკეთ გაცნობასა და ურთიერთთან კულტურულად დაახლოებას.

XVIII საუკუნის რუსი პოეტები თავიანთ „სამხედრო ლექსებში“ ხშირად იხსენიებენ კავკასიას, საქართველოს (მოგდანოვიჩის „სულიკო“ და „ლექსი დიდი დედოფლისადმი“, ვ. მაიკოვის „ლექსი საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის დღესასწაულის გამო“, ვ. პეტროვის „1790 წლის 11 დეკემბერს იზმაილის აღების გამო“).

1794 წელს ი. დმიტრევი ლექსში „პატრიოტის ხმა ვარშავის აღების გამო“ იხსენიებს კავკასიელებს, რომლებიც მზად არიან იბრძოდნენ რუსებთან ერთად საერთო გარეშე მტრების წინააღმდეგ. კავკასიაზე ლაპარაკია ვ. კაპნისტისა და სხვა პოეტთა ნაწარმოებებშიც.

მაგალითად, ზერასკოვი „როსიადას“ XII თავის დასაწყისში იძლევა კავკასიის სამთრის სურათს, ხოლო დერჯაევინი კავკასიას აღწერს თავის ოდაში „სპარსეთიდან გრაფ ვ. ა. ზუბოვის დაბრუნების გამო“ (1797).

ამ ნაწარმოებებში, რა თქმა უნდა, არაფერია რაიმე დამახასიათებელი და ტიპური კავკასიისათვის; მათში არა ჩანს ადგილობრივი კოლორიტი. ეს აიხსნება იმით, რომ ამ „კავკასიურ ლექსთა“ ავტორები არასოდეს არ ყოფილან კავკასიაში და ამ მხარეზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულს გვხვდება რუსულ პოეზიაში უფრო გარკვეული შეხედულებანი საქართველოზე.

ჩვენ მხედველობაში გვყავს „როსადიშნიევის დაუმთავრებელი კოფტეჟიკოვა“ და „ისტორიული ჭიჭიჭიკოვა“ მოწმობენ, რომ ავტორმა კარგად იცის საქართველოს ისტორია.

რადიშნიევისათვის კოლხიდა — ძველი, ზღაპრულად მდიდარი, „წარამტაცი ქვეყანაა“, ისტორიული წარსულის გამირობით მოსილი. შთაგონებული ლეგენდით არგონავტების შესახებ, მწერალი მიისწრაფება არა იმდენად ისტორიული მოვლენების მოთხრობებისაკენ, რამდენადაც იმისკენ, რომ მკითხველს ამ მოვლენებიდან გამომდინარე გარკვეული პოლიტიკური დასკვნები შეეთვისებია.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო ცარიზმის უღელს ქვეშ მოექცა. მაგრამ ეს მისთვის ნაკლები ბოროტება იყო. მან ამ გზით თავისი ფიზიკური არსებობა შეინარჩუნა და შესძლო წასულიყო წინ პროგრესის გზით, რუსეთთან ერთად. ამ დროიდან ქართველ და რუს ხალხთა კულტურული კავშირი კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა.

ახლა რუსი მწერლები ახლო ეცნობიან კავკასიას, საქართველოს. რუსეთიდან ჩვენს მხარეში მომგზავრებთან უკვე არა ცალკეული დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები, არამედ მოხელეების, ოფიცრების, ჯარისკაცების მასა. მათ შორის ჩვენ ვხვდებით, ერთი მხრით, ავანტიურისტულ მისწრაფებათა მქონე ადამიანებს, თავგასართობი ამბების, კარიერის მაძიებელთ, მეორე მხრით — იმპროვიზირებული მოწინააღმდეგეობის წარმომადგენლებს. კავკასიაზე იწყებენ წერას პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეები, მოხელეები და ოფიცრები, სწავლულნი და სასულიერო პირნი, ლიტერატორები და უბრალო მოგზაურნი... მეცნიერული შრომები, ოფიციალური მოხსენებები, მიმოხილვანი, დღიურები, მოგზაურობათა აღწერანი, წერალები — ყოველივე ეს ამათუბ

ფორმით მოგვიტოვებს კავკასიასა და საქართველოზე.

ამ მრავალრიცხოვან და სხვადასხვაგვარ ლიტერატურაში თითქმის სრულიად არ მოიპოვებოდა მხატვრული ნაწარმოებები, დამახასიათებელია რომ იმდროინდელმა ნიჭიერმა რუსმა მწერლებმაც კი, რომლებიც კავკასიას კარგად იცნობდნენ, არ ასახეს იგი თავიანთ შემოქმედებაში. მაგალითად, ა. ვოეიკოვმა 1813 წ. თერგის გასწვრივ იმოგზაურა, ხოლო დაბრუნების შემდეგ ეუკოვსკის ესტუმრა სოფლად. და როგორ ფიქრობთ? კავკასია აღწერა არა მან, არამედ ეუკოვსკიმ, რომელიც კავკასიაში არასოდეს არ ყოფილა.

ვასაკვირი არ არის, რომ ეუკოვსკი თავის „მიძღვნაში ვოეიკოვისადმი“ (1814) კავკასიის ისეთსავე არცოდნას ამჟღავნებს, როგორც მისი წინამორბედნი.

საერთოდ, პეშკინამდე არსებული პერიოდის რუსი მწერლების ყველა „კავკასიურ“ ნაწარმოებს ახასიათებს აბსტრაქტულობა და პირობითობა, ხოლო მრავალ შემთხვევაში ამ ნაწარმოებებში უხედაა გაბნეული შეცდომები და დამახინჯებანი.

ცნობილ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ნარეჟისა და კარამზინის ნაწარმოებები.

ვ. ტ. ნარეჟნი, ნიჭიერი რუსი მწერალი, ორ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა საქართველოში (1801 — 1803). მისი დაკვირვებისა და ადგილობრივი ცხოვრების გაცნობის ნაყოფი იყო სატირულ-რეალისტური რომანი „შავი წელი ანუ მთიელი თავადები“. ეს არის პირველი რუსული რომანი კავკასიის შესახებ. ნარეჟნიმ თავისი რომანისათვის აიღო სრულიად გარკვეული დრო და მოქმედების ადგილი (XIX საუკუნის დასაწყისი, საქართველოს სამხედრო გზა). კაიტუკი, მირზა ბეგი და „შავი წლის“ სხვა გმირები რეალური პირები არიან. ავტორის მიერ აღწერილი მრავალი ეპიზოდი სწორად ასახავს

ადგილობრივ ცხოვრებას და ისტორიულ მოვლენებს.

მწერალი, როგორც მწერალი, რუსული საზოგადოებრიობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მკაცრად აკრიტიკებს კავკასიაში არსებულ ფეოდალურ წყობილებას. მაგრამ „შავ წელში“ გამოსახულია არა საქართველო და ქართველები, არამედ ოსები.

ნ. მ. კარამზინი საქართველოში არ ყოფილა. მწერლის მხატვრულ ნაწარმოებებში საქართველოზე არ არის ლაპარაკი. სამაგიეროდ თავის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“ კარამზინმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს. იგი განსაკუთრებით დაწვრილებით აშუქებს რუს-ქართველთა ურთიერთობის ისტორიას — XII საუკუნიდან მოყოლებულ და ბორის გოდუნოვის მეფობით დამთავრებული.

საქართველოს ისტორიას კარამზინი განიხილავს როგორც რთულ საერო-შორისო ურთიერთკავშირთა ჯაჭვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს. ის მოგვიტოვებს ქვეყნის სიმდიდრეზე, მისი შეილების მხნეობაზე, რომლებიც მამაკურად იცავდნენ სამშობლოს თურქ-სპარსთა ურდოებისაგან და ეჭვბდნენ დასაყრდენს რუსეთთან კავშირში.

„ივერია ანუ თანამედროვე საქართველო, — წერს კარამზინი, — ძველი დროიდან განთქმული იყო თავისი ხალხის სიმამაცით, ასე რომ იგი ვერც სპარსელთა და ვერც მაკედონელთა იარაღმა ვერ დაიმორჩილა; ის განთქმული იყო აგრეთვე სიმდიდრითაც (ძველი არგონავტები ეძებდნენ ოქროსსა და ვაშლის მის მეზობლად მდებარე სამეგრელოში).

ისტორიკოსი დაწვრილებით აშუქებს თამარისა და იური ბოგოლიუბსკის ქორწინებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თამარმა სახელი გაითქვა მის მიერ სპარსელებსა და თურქებზე მოპოებული გამარჯვებებით, რომ მას „უყვარდა მეცნიერება, ისტორია, პოეზია და

მისი ხანა ქართული სიტყვიერების ოქროს ხანად ითვლებოდა“.

„რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“ დაწვრილებით არის გაშუქებული რუსეთისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა. კარამზინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „რუსეთს ძველი დროიდან ჰქონდა კავშირი ერთ-მორწმუნე საქართველოსთან“.

კავშირი რუსეთისა და საქართველოს მოწინავე საზოგადოებას შორის განსაკუთრებით განმტკიცება იწყებს XIX საუკუნის ოციან წლებში. ამან თავისი გამოხატულება პოემა იმ დროის რუსულ ლიტერატურაში. მაშინ კავკასიას „სამხრეთის ციპირს“ უწოდებდნენ. მეფის ხელისუფლება აქ ასახლებდა „დაუღვარ“ ადამიანებს. მაგრამ კავკასია ამავე დროს წარმოადგენდა ომის ასარეზს — პლაცდარმს, რომელზედაც დაყრდნობით რუსეთი აწარმოებდა ბრძოლას საქართველოს ძველთაძველი მტრების—სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ. აქ დაბანაკებული იყო დიდძალი ჯარი. ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის ცოტა როდი იყო დეკაბრისტი და მათი თანამოაზრე, რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენელი.

საქართველოში დაპყვეს დიდმა მწერლებმა გრიბოედოვმა, პუშკინმა და ლერმონტოვმა. პოეტმა-დეკაბრისტებმა — კოხტელბეკერმა, ბესტუევე-მარლინსკიმ და ოდოევსკიმ. „პუშკინის პლეადის“ პოეტებმა — დ. დავიდოვმა, ა. ა. შიშკოვმა, ვ. ტუპოლიკოვმა...

ისინი მშურად და სტუმართმოყვარეობით მიიღო ქართველმა ხალხმა. თბილისი რუსეთისა და საქართველოს მოწინავე კულტურული ძალების დაახლოების ცენტრი გახდა. აქ განაგრძობდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას დეკაბრისტები. კმნიდნენ წრეებს, აყა-

რებდნენ კავშირს ადგილობრივ პროგრესულ მოღვაწეებთან, ისინი კრავს იყრიდნენ განგებლოდნენ ქართული სტუმრები იყენენ ალექსანდრე ჰავკასიის სახლში.

რუსმა მწერლებმა დიდი როლი შეასრულეს რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთკავშირის განმტკიცებაში; თავისი ქვეყნიდან გამოდევნილ ამ მწერლებისათვის კავკასია გადაიქცა მათთვის საყვარელ და მათ მოსიყვარულე მეორე სამშობლოდ. ისინი ხარბად, სიყვარულით სწავლობდნენ ამ ახალ საწყაროს, ასახედნენ მას თავიანთ ნაწარმოებებში. კავკასიის დიადი ბუნება, მისი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის რუს მწერალთა შემოქმედების წყაროს წარმოადგენდა. მათ შექმნეს ახალი უკვდავი მხატვრული სახეები და დიდების ახალ მწვერვალზე აიყვანეს რუსული ლიტერატურა.

„თავისუფლების პირქუში მხარე“ იზიდავდა მათ, იგი მათთვის იყო „მდიდარ ზემთავონებათა წყარო“ (ლერმონტოვი). „ყოველმხრივ საინტერესო“ (პუშკინი).

საქართველოს თავისებური ცხოვრება, მისი ისტორიული წარსული, თავისუფლებისათვის ბრძოლის გმირობით მოსილი, მისი ხალხური შემოქმედება, მისი წარმტაცი ბუნება მდიდარ მასალას აწვდის რუს პოეტებს. აღვიძებს მათში ახალ აზრებს და შემოქმედების წყურვილს.

საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის თემა რუსულ ლიტერატურაში უმთავრესად ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის თემად იქცევა.

„უცნაური რამაა! — წერდა ბ. გ. ბელინსკი, — კავკასია თითქოს მოწოდებულია გახდეს ჩვენი პოეტური ტალანტების აყვანად, მათი მუხის შთამგონებლად და გამომბრძმედელად. მათ პოეტური სამშობლო!“

საქართველოსთან მკიდროდ და მრავალმხრივად დაკავშირებული იყო ა. ს. გრიბოედოვი. იგი დიდ სიმპათიას და პატივისცემას აძლევდა ქართველი ხალხისადმი და ილაშქრებდა ამიერკავკასიაში ცარიზმის მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მწერალი გულმოდგინედ სწავლობს ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას, მის ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ისტორიას, ხალხურ შემოქმედებას, როდესაც მთავარმართებელი ეროლოგი პასკევიჩმა შეცვალა (1827), გრიბოედოვს შესაძლებლობა მიეცა კიდევ უფრო ფართოდ გაეშალა მოღვაწეობა. იგი ძალიან კარგად იცნობდა საქართველოს თავისებურებებსა და მოთხოვნილებებს. მისი მოღვაწეობის ნაყოფი იყო, სხვათა შორის, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების ცდა, გაზეთ „თბილისის უწყების“ გამოცემა, „კომერციული ბანკის“ დაარსება.

გრიბოედოვს დიდად აინტერესებდა აგრეთვე თბილისის კეთილმოწყობის საქმე. თბილისს მაშინ ჯერ კიდევ აჩნდა აღამაჰმად-ხანის საზარელი შემოსევის ნაკვალევი. ქალაქი საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდა, და გრიბოედოვმა 1827 წ. გულმოდგინედ შეადგინა „ბარათი ქალაქ თბილისის ახლადგების საუკეთესო საშუალებათა შესახებ“.

1828 წელს მანვე შეიმუშავა ამიერკავკასიის სამხედრო-კულტურული გარდაქმნის ვრცელი პროექტი („რუსეთის ამიერკავკასიური კომპანია“). ეს შრომა მოწმობს არა მარტო გრიბოედოვის ღრმა და მრავალმხრივ ცოდნას, არამედ იმ იდეების პროგრესიულობასაც, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა. „პროექტში“ გაკრიტიკებულია ამიერკავკასიაში არსებული ფეო-

დალური წესები, მეფის ხელისუფალთა მტაცებლური პოლიტიკა, აღწერილია ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა, წამოყენებულია მოთხოვნა, რათა ანგარიში გაეწიოს ადგილობრივ პირობათა თავისებურებებს, მოისპოს უფლებრივი უთანასწორობა „გაბატონებულ“ და „დამორჩილებულ“ ხალხთა შორის, აღიარებულა საჭიროება და საერთო სარგებლიანობა ამიერკავკასიის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნისა და ა. შ.

გრიბოედოვის პროექტი მთავრობის წრეებში, რა თქმა უნდა, უარყვეს.

თავის უდიდეს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მუშაობაში გრიბოედოვი მკიდროდ იყო დაკავშირებული კავკასიაში გადმოსახლებულ დეკარისტებთან, ქართველი საზოგადოების მოწინავე მოღვაწეებთან. იგი დაუნათესადა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს, ცოლად შეირთო საქართველოს ამ გამოჩენილი პოეტის ქალიშვილი. გრიბოედოვს ერთ-ერთი მისი თანამედროვის სიტყვით „საქართველო უყვარდა ისე მგზნებარედ, ისე ფაქიზად, როგორც იშვიათად თუ ვინმეს უყვარს საკუთარი სამშობლოც კი“.

წარმტაცმა „ბუნებამ ამ ქვეყნისა, მის შვილთა მჩქეფარე ცხოვრებამ და მკაცრმა პოეზიამ“ (ბელისკი) მდიდარი მასალა მისცა გრიბოედოვს ლიტერატურული ნაწარმოებისათვის. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა ვერ იქნა დამთარებელი. გრიბოედოვის შემოქმედება, მუშაობის მძიმე პირობებთან დაკავშირებული შეწყდა მწერლის ტრაგიკული დაღუპვის გამო. ეს ნაწარმოებები გამოქვეყნდა მხოლოდ XIX საუკუნის 50-იანი წლების დამლევს.

„მგზავრის წერილებში“, რომელიც მან ძირითადად 1818—1819 წლებში აღმოსავლეთში პირველი მგზავრობის დროს დაწერა, მწერალი ვაღმარავცემს, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე კავკასიის ბუნებამ და ადამიანებმა, მან იმგზავრა იმავე საქართველოს სამ-

ხედრო გზით, რომლითაც შემდგომ მოუხდათ მგზავრობა პუშკინს, ლერ-მონტოვს, მარლინსკის... მათ ყველამ შესანიშნავად აღწერეს ამ გზის მომხიბვლელი სილამაზე.

პოეტი სასტიკად ჰკიცხავს ცარიზმის პოლიტიკას კავკასიაში და თანაგრძნობას უცხადებს კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებს, წარმტაცად გვიხატავს კავკასიის ბუნების სურათებს, მთებს, რომლებზედაც აღმართულან ციხე-კოშკები — „ლეგენდარული წარსულის ეს ცოცხალი მოწმენი“.

ლექსი — „იქ, სადაც რბის ალაზანი“, მან მიუძღვნა „ტვილ კახეთს“.

„მგზავრის წერილებში“, ლექსებსა და კერძო მიმოწერაში გრიბოედოვის მიერ გადმოცემული საქართველოს გაცნობის შედეგად მიღებული პირველი შთაბეჭდილებანი. საქართველოში ცხოვრებამ, მისმა ახლოს გაცნობამ გაამდიდრა დიდი რუსი მწერლის შემოქმედება. პოემაში „მეყალიონე“, დრამებში „ქართული ღამე“ და „რადამისტის და ზენობიას“ ასახულია ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ისეთი წინააღმდეგობანი, რომელთაც მწერალი ჩაწვდებოდა მხოლოდ ქართველი ხალხის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების ღრმა შესწავლით.

ამ ნაწარმოებებში ადვილად შესამჩნევია კონტრასტი საქართველოს ბუნებასა და იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების აღწერას შორის, ბუნების სიდიადითა და სილამაზით გამოწვეულ აღფრთოვანებულ გრძნობასა და საქართველოში არსებული სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრის, ბატონყმობის და მონათევკრობის წინააღმდეგ მიმართულ აღშფოთებას შორის.

დაუმთავრებელ პოემაში „მეყალიონე“ (ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტის პირობითი სათაურია) მოთხრობილია სპარსეთში გაყიდული ვაბუჯი კახელის ისტორია.

„ქართულ ღამეში“ განსაკუთრებით მკვეთრად არიან დასურათებულნი ორი

სოციალურად მოწინააღმდეგე აკავსების ადამიანები: ქართველი თავადი და ყმა-ღლეაბერი, რომელიც, ნაწარმოებში უხუცდა მძიმე შრომისაგან თავადის ოჯახში. მან თავისი ბატონი სიკვდილს გადაარჩინა, ხოლო თავადის პატიმრობის დროს მის ქალიშვილს საკუთარ შვილივით ზრდიდა. უმადური და გულქვა თავადი ამის სამაგიეროდ მის შვილს ცხენზე ცვლის.

„მე ის გავყიდე, ამის კიდევ მჭონდა უფლება: ის ხომ ყმა იყო, მე კი ვიყავ მისი ბატონი“.

„ქართულ ღამეში“ სწორად არის ასახული ბატონყმური საქართველოს ცხოვრება. ამ ნაწარმოებებში გამოყენებულია ადგილობრივი თქმულებანი და ლეგენდები ალის შესახებ.

„რადამისტი და ზენობიას“ ნაწყვეტში მოცემულია მკაცრი ტირანის, პატივმოყვარე, ცბიერი და პირმოთნე მფე რადამისტის სახე.

რადამისტის გარეგნული სიძლიერე აგებულია მერყევ და დამპალ საფუძველზე. მას ყოველთვის თან ახლავს მსახურთა და დიდებულთა „მთელი ლეგიონი“. ისინი „ეთანხმებიან მას ყველაფერზე, რაც კი უნდა თქვას“, და იმავე დროს მის წინააღმდეგ საიდუმლო შეთქმულებას აწყობენ.

მაგრამ შეთქმულებს მხოლოდ პირადი ინტერესები, „წვრილმანი ლტოლვანი“ (კარიერიზმი, შური და ა. შ.) ამოძრავებენ და ეს არის მათი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი („შეთქმულნი დაობენ მომავალი ხელისუფლების შესახებ“ ამ დროს ეკვეთება მათ რადამისტი...). მეორე და მთავარი მიზეზი მათი შეთქმულების მარცხისა არის ის, რომ „ხალხი არ იღებს მონაწილეობას მათ საქმეში“.

„რადამისტისა და ზენობიას“ ძირითადი იდეა ნათელია: წარმატებით შეიძლება დაგვირგვინდეს მხოლოდ სახალხო აჯანყება, აღმოცენებული „თეთი

მონობის სიმძიმის გამო“ (რადიშჩევის სიტყვები რომ ვიხმაროთ) და არა კარის დიდებულთა კონსპირატიული შეთქმულება, წარმოშობილი პირადი, ეგონისტური ინტერესებით.

\*  
\*  
\*

ნიკოლოზ პირველმა „სამხრეთ ციმბირში“ გადმოსახლა მრავალი დეკაბრისტი და მათი თანამოაზრენი. თანაც მეფეს ეწინააღმდეგებოდა, რომ დეკაბრისტების თავმოყრას კავკასიაში „არასასურველი შედეგები“ არ გამოეწვია. ამიტომ კავკასიის მთავარმართებლებს (ჯერ ერმოლოვს, ხოლო შემდეგ პასკევიჩს) ხშირად ასწენებდნენ პეტერბურგიდან მეფის მოთხოვნას: „შეაკრად და გულმოდგინედ ადევნეთ თვალყური იმას, რომ მათ (დეკაბრისტებს) არ შეეძლოთ გააერცელონ ამხანაგთა შორის რაიმე შეხვედრა“. მთავარმართებლები თავის მხრივ ამშვიდებდნენ მეფეს: ყველა დეკაბრისტს „უმკაცრეს მეთვალყურეობას ვუწვევთო. მაგრამ პასკევიჩი იძულებული იყო ეღიარებინა, — გადმოსახლებულ დეკაბრისტებში „თანამხანაგობის სულისკვეთება არსებობს, რაც თავის სისუსტის გამო არ მოქმედებს, მაგრამ ურთიერთშორის კავშირის მეოხებით ცოცხლობს“.

ჩვენამდე მოაღწია მეტად მცირე ცნობებმა ამ ურთიერთკავშირის შესახებ, მაგრამ ეს ცნობებიც მოწმობენ, რომ მიუხედავად „უმკაცრესი მეთვალყურეობისა“, გადმოსახლებულებმა მაინც შესძლეს ურთიერთშორის ერთგვარი ორგანიზაციული კავშირის დამყარება. ზოგიერთი ცნობით შეიძლება დავადგინოთ, რომ მათ თბილისსა და სხვა ადგილებში წრეებიც კი დააარსეს.

„1830 წლის ზამთარში, — წერს ა. ს. ვანგებლოვი. — ისე მოხდა, რომ რამდენიმე დეკაბრისტი, რომლებიც თბილისის გარნიზონს არ ეკუთვნოდნენ, თბი-

ლისში ცხოვრობდნენ სხვადასხვა კასინიერ თუ უკანონო საბანკო ელემენტს ა. ა. ბესტუჟევი ახლავდა. მისი წინადადება იყო სამიში და ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან... ბესტუჟევთან ცხოვრობდნენ აგრეთვე მისი ძმები პეტრე და პაულე. მათ გარდა თბილისში ცხოვრობდნენ პუშკინი, ორციცი ეპიფროდიტო, სტეფანე მუსინ-პუშკინი (მეზღვაური), გრაფი მუსინ-პუშკინი, კოცენიკოვი (იზმაილოვის ოფიცერი), ვიშნევესკი, თავად საყენის ყოფილი აღიუტანტი, და კიდევ ვიღაცეები (ეს ორი უკანასკნელი მე მივლუ ჩემს ბინაში). ჩვენ თავს ვიყრიდით საღამოობით ხან ერთთან, ხან მეორესთან. უფრო ხშირად ჩემთან, ზოგჯერ ორჯერ და მეტჯერაც კვირაში... ეს საღამოები წააგავდა ისკრიცკის „სამშაბათობას“ პეტერბურგში“.<sup>1</sup>

დეკაბრისტები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი არა მარტო ურთიერთშორის, არამედ ქართული საზოგადოებრიობის მოწინავე წრეებთანაც, კერძოდ. ალექსანდრე ჰავკავაძის ოჯახთან.

„ყოველდღე, — ამბობს თავის მონგონებში ტორნაუ, — მასთან დიდიდან გროვდებოდნენ ქართველი ნათესავი მამაკაცები და ქალები, შემდეგ მიდიოდნენ რუსები ერთიმეორის მიყოლებით, იმისდამხედვეთ თუ ვინ რომის ამთავრებდა სამსახურს“... „თბილისის საზოგადოება საერთოდ ძალიან გამდიდრდა ადამიანებით, რომლებთანაც ცხოვრება სასიამოვნო იყო“... „იმ პირთა რიცხვს, რომლებიც ამრავალფეროვნებდნენ ჩვენი წრის ინტერესს, უდაოდ მიეკუთვნებოდა მრავალი შეწყყნარებულ დეკაბრისტთაგან, ვინც სამშობლოსაგან თავის ჩამოშორების უკანასკნელ წლებს კავკასიაში ატარებდა. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთაც მეტწილად კარგი აღზრდა ჰქონდათ მი-

<sup>1</sup> „დეკაბრისტ ა. ს. ვანგებლოვის მონგონებანი“, 1888, გვ. 102 — 103 (იხ. აგრეთვე გვ. 171 — 172, რუს. ენაზე).

დებულო, ზოგიერთი მათგანი შესანიშნავი სულიერი თვისებებით იყო დაჯილდოებული. გეკითხებით, განა შეიძლებოდა გაგეცნო და არ შეგვეყარებოდა წყნარი და დინჯი კორნილოვიჩი, „Андрей Безымянный“-ს ავტორი, მოკრძალებული ნარიშკინი, კონოვნიცინი, გონებაშახელი ოდოევსკი და უაღრესად გულკეთილი ვალერიან გოლიცინი, მე მქონდა შემთხვევა ხშირად შევხვედროდი ალექსანდრე ბესტუჟევის (მარლინსკის) მის ძმა პავლესთან.<sup>1</sup>

საქართველოს, მისი ისტორიის, ხალხის ყოფაცხოვრების, ხალხური შემოქმედების ახლო გაცნობამ დეკაბრისტ-პოეტებს უხვი მასალა მისცა მრავალრიცხოვან ნაწარმოებთათვის, რომლებიც ქართველი ხალხისადმი მეგობრისა და სიყვარულის იდეებით არის გამსჭვალული. კავკასია იქცა მათთვის ერთერთ საყვარელ თემად.

ვ. კიუხელბეკერი თბილისში ჩამოვიდა ჯერ კიდევ 1821 წლის დეკემბერში და სამსახური დაიწყო კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის—ერმოლოვის კანცელარიაში. იმავე კანცელარიაში მუშაობდა მაშინ გრიბოედოვი.

„მე აქ შევხვდი ჩემს საყვარელ პეტერბურგელ ნაცნობს, — წერდა კიუხელბეკერი დედას, — ის დაახლოებით ორი წელი სპარსეთში მყოფი საელჩოს მდივანი იყო, ხელი მოიტეხა და ახლა დარჩება თბილისში განკარგულე-შამდე“.

თბილისში გულითადი მეგობრობა პოეტებს შორის კიდევ უფრო განმტკიცდა.

საქართველომ კიუხელბეკერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან ბევრი თავისი ნაწარმოები მიუძღვნა ჩვენს სამშობლოს.

ლექსში „ა. ს. გრიბოედოვს! ჩემი „არგიველების“ თბილისში მისთვის გაგზავნისას“ (1823) კიუხელბეკერი მხტრ-

ვალე გრძნობით იგონებს საქართველოს, „მქუხარე თერგს“<sup>2</sup> და თბილისს „ქუხარე თერგს“<sup>3</sup> და თბილისს „ქუხარე თერგს“<sup>4</sup> და თბილისს „ქუხარე თერგს“<sup>5</sup> ციმბირის მიყრუებულ ადგილას გადასახლებაში მყოფი კიუხელბეკერი ფიქრით „წარმტაც გურჯისტანში“ გადაიქროლებს და მას მღვლეარე სტრიქონებს მიუძღვნის.

„...საქართველოში, — ამბობს მწერალი თავის რომანში „უქანასკნელი კოლონა“, — ზეცა ოდნავადაც არ ჩამორჩება იტალიისას; ზოლო ბოწყულის ბუჩქები, ასი ვერსის მანძილზე თბილისის სამხრეთით, აქაურ [იტალიურ] ლიმონისა და თურინჯის ბუჩქებს არ დაუვარდება“.

პოეტი-დეკაბრისტი ოდოევსკი, 1837 წელს ციმბირიდან საქართველოში გადმოყვანილი, უახლოესი მეგობარი გახდა ლერმონტოვისა, რომელიც ასევე გადმოსახლებული იყო. იგი კარგად გაეცნო საქართველოს ცხოვრებას და 1838 წლის გაზაფხულზე დაწერა ალფგორიული ლექსი „საქართველოს დაქორწინება რუსეთის სამეფოსთან“ (ძირობითი სათაურია). ოდოევსკი ამართლებს საქართველოს შეერთებას რუსეთთან, რადგან ამის შემდეგ დასრულდა ამ მრავალტანჯული ქვეყნისათვის „წარსულ მწარე წელთა ვარამი“.

კავკასიის აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი იყო ა. ბესტუჟევი-მარლინსკი. მის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებში უხვად არის გაბნეული კავკასიის ბუნების თვალწარმტაცი სურათები, თავისუფლებისათვის დაუცბრომლად მებრძოლ მამაც მთიელთა დამახასიათებელი მკვეთრი სახეები.

ბესტუჟევი თბილისში მრავალ დეკაბრისტს ხედებოდა. მან დააარსა „მეგობართა წრე“. ეს ცნობილი გახდა ხელისუფლებისათვის და იგი დერბენტში გადაასახლეს.

მწერალი ჩივის, რომ „ჩვენ არ მოგვეპოვება წესიერი ცნობები კავკასიის ხალხთა შესახებ“, რომ „ჩვენს ოფიცრებს სასარგებლო ან ყოველ შემთ-

<sup>1</sup> Русский вестник, 1869, т. VII, 80, стр. 698, 700 — 701.

ხევეაში საინტერესო ცნობების ნაცვლად კავკასიიდან მოჰქონდათ მხოლოდ ხმლები, პაიჭები და მოსვეადებულია ქაბრები“

ბესტუევეი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ცნობები კავკასიის შესახებ „ჩვენში მოდის უცხოეთის წყაროებიდან“, რომ კავკასიაზე მანამდე წერდნენ მხოლოდ უცხოელები და წერდნენ არასწორად.

„...იმ დროიდან, რაც რუსეთის ხარბახნები იყო იქ,—წერს იგი ერთ-ერთ თავის მოთხრობაში,—სადაც უწინ მხოლოდ კავკასიური არწივები დაფრინავდნენ, ვხა ჩვენთვის სრულიადაც არ არის უფრო ვიწრო, ვიდრე უცხოელთათვის. და მინც მსჯავრდებულნი ვართ ვიკითხოთ ვილაც რეინგჰისის ზღაპრები, გიულდენშტეტის რომელიღაც ცნების საგვარტომო ნუსხა, ან კავალერ გამმას საუზმეთა ისტორია“.

მწერალი აკრიტიკებს სწავლულთაც, რომლებიც არ აქცევენ ყურადღებას კავკასიის ხალხთა ცხოვრების შესწავლას.

„უღაფოა, მეტისმეტად საინტერესოა წაკითხვა კავკასიაში ახლადმოჩენილ ჭია-შაის დღემდე უნახავ ბირკაეისა და იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდნენ ძველები ფაზისისა და კამბიზის სახელწოდებით და საიდან წარმოიშვა იგავი კოლხიდის ოქროს საწმისზე?.. ყოველივე ეს საჭიროა მეცნიერებათა დარგში; მაგრამ აღამიანისათვის ყველაზე საჭირო, ყველაზე უფრო საგულისხმოა თვითონ აღამიანი, და ჩვენ გვსურს უფრო უკეთესად ვიცნობდეთ მთიელთა ნამდვილ ზნეს, ჩვეულებას, ჩვევებს, და არა თვალზეტუნა თამაში ძველ მელანქნელებთან და იმაზე დაეა, წარმოსდგებიან თუ არა ბზელუხები სტრაბონის სკეპტუხებისაგან, რომელთაც, ღმერთმა იცის, თუ რატომ უწოდა ბ-ნმა ბრონეესკიმ კვერთხის შვიდეელნი“.

კავკასიის დასურათებაში ბესტუევეის აზრით, მხოლოდ პუშკინმა ასწია ამ დიდი სურათის ფარგლებს. მაგრამ სხვა პოეტებმა ვინტოვანი გვირგვინით და ქარიშხალთა სამოსით შებურვილი ეს დევკშირა ვადააქციეს რაღაც ნუშის ხაჭაპურად, რომლიდანაც ლომონაღის მღინარეუბი ჩამოიხუჩებებენ.

ბესტუევე-მარლინსკიმ შეისწავლა ადგილობრივი ცხოვრება და კავკასიის ერთ-ერთი თვალაჩინო მკოდნუთავანი გახდა. მის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებიდან ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა კავკასიის ხალხთა ყოფაცხოვრებას, მათ ენას, ხალხურ შემოქმედებას, ეთნოგრაფიას, ისტორიას.

თვითონ მწერალმა მიზნად დაისახა შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიაც სწორად და ღრმად იქნებოდა ასახული „კავკასიის არწივთა“ ცხოვრება და ბრძოლა. მაგრამ ამ ამოცანის შესრულება მან ვერ შესძლო, რადგანაც ის რომანტიკოსი იყო და ცხოვრების რეალისტურად ასახვა არ ემარჯუებოდა ბელინსკიმ სათანადო შეფასება მისცა ბესტუევეის ტალანტს, მაგრამ აკრიტიკებდა მის „გამარანჭულ ენას“, რიტორიკას, „კეკლუც ფრანუოლოგიას“.

საინტერესოა და იმ დროისათვის ორიგინალურია მწერლის აზრები „რუსეთ-კავკასიის საკითხზე“. ბესტუევეი აღიღებს კავკასიის ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის, მაგრამ იმავე დროს ამართლებს რუსეთის მიერ მათ დამორჩილებას, რადგან, მისი აზრით, ამას ეს ხალხები უკეთესი მომავლისაკენ მოჰყავს. იგი ჩამოთვლის ამ მხარის ბუნებრივ სიმდიდრეებს და განსახლურავს მათ მნიშვნელობას რუსეთისათვის.

რომანტიკოსი მწერალი სწუხს, რომ ინტრევა კავკასიის პირველქმნილი სილამაზე, მაგრამ მან იცის, რომ წინსკლისათვის სხვა გზა არ არსებობს,

რომ მრეწველობის განვითარება ისტორიული აუცილებლობაა. მას სწყურია სისხლისმღვრელი ომის დამთავრება, რათა კავკასიის წალე დაუდგეს მშვიდობიანი ცხოვრება.

1829 წელს საქართველოში ჩამოვიდა პუშკინი. ეს იყო დიდი რუსი პოეტის მეორე მგზავრობა კავკასიაში. პირველი მგზავრობის დროს (1820 წ.) მან ვერ მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა. „ყაზბეგისა და იალბუჯის ყინულოვანი მწვერვალები“ მაშინ მან მხოლოდ შორიდან, პიატიგორსკიდან დაინახა.

1829 წელს პუშკინი, უმაღლესი ხელისუფლების უნებართვოდ, გამოემგზავრა საქართველოსაკენ. მისი მოგზაურობის მიზანი იყო გასცლოდა სულსმემხუთე ატმოსფეროს, რაც შექმნილი იყო მის გარშემო ენდარმერის, III განყოფილების მიერ, ენახა ძმა და მეგობარი — დეკაბრისტები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რუსეთ-თურქეთის ომში. ამავე დროს პოეტს უკვე დიდი ხანია სურდა საქართველოს უფრო ახლოს გაცნობა.

„თბილისში ორ კვირამდე დავყავი და გაციანა იქაური საზოგადოება“, — წერდა იგი ნარკვევში „არზრუმს მგზავრობა“.

ეს საზოგადოება დიდი პოეტის პატროსაკემად მართავდა საღამოებს, აცნობდა მას ქართულ კულტურას, ისტორიას, ზნე-ჩვეულებას... ამ დროს იყო, რომ პუშკინმა ჩააწერა დ. თუმანიშვილის ქართული სიმღერა „ახალ აღნაგო“, რომელიც მოყვანილია ნარკვევში „არზრუმს მგზავრობა“.

10 ივნისს პოეტმა მიიღო პასკევიჩისაგან ნებართვა გამგზავრებულყო არშიაში, თურქეთს, სადაც იმყოფებოდნენ პოეტის ძმა და მეგობრები. პუშკინი უმაღლესე გამგზავრა იქეთ, დაე-

წია არმიას ყარსში და თან მრეწველად მას თვით არზრუმამდ დასწავლა, არზრუმიდან უკან დაბრუნებისას, პოეტის სიტყვით, თბილისში მან კიდევ რამდენიმე დღე დაყო „თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში, რამდენიმე საღამო ბალებში გავატარე მუსიკისა და ქართული სიმღერების მოსმენაში“.

1829 წლის მგზავრობამ გააფართოვა პუშკინის შემოქმედების ჰორიზონტი. ის უფრო ახლო გაცნო ქართულ ცხოვრებას, ბუნებას და თავისი შთაბეჭდილებანი გადმოსცა საუცხოო ნაწარმოებებში, რომლებიც რუსეთის ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდნენ.

პუშკინმა მხურვალე სიყვარულით რომღერა თავის მეორე სამშობლოს ლექსებში „კავკასიონი“, „ზეაი“, „საქართველოს მთებზე“. მას მოუძღვნა ფურცლები თავის მიმოხილვაში „არზრუმს მგზავრობა“.

საქართველომ საპატიო ადგილი დაიკავა გენიალური რუსი პოეტის შემოქმედებაში. აქ ახლებურად აყდერდა მისი ხმა. მან თითქოს კავკასიონის მწვერვალიდან უკეთ განჭვრიტა როგორც რუსი ხალხის, ისე კავკასიის ხალხთა ცხოვრება.

ბუმბერაზმა კავკასიამ, როგორც გოგოლი ამბობს, „პუშკინის სულის ძალა აამოქმედა და ამ დროიდან მის ყალამს... ფართო გაქანება მიეცა“, „იგი უფრო ცეცხლოვანი და მგზნებარეა იქ, სადაც მისი სული სამხრეთს შეეხო“.

უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინეს პოეტზე კავკასიის ბუნებამ და ადამიანებმა, მან მხურვალე აღიარებით გამხატა:

„მე გავივებით მიყვარდი შენ“...

საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ცოდნა მორიანს უკვე პოეტის აღრიდელ ნაწარმოებში — „კავკასიის ტყვე“.

„საქართველოს ბედნიერი ჰავა, — ამბობს პუშკინი, — არ უნახლავრებს ამ მშენიერ ქვეყანას ყველა იმ უბედურებას, რასაც იგი მუდამ განიცდის“...

პუშკინი საქართველოს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებს:

„ქართველები მეომარი ხალხია. მათ დამტკიცეს თავიანთი მამაცობა ჩვენი დროშების ქვეშ. მათ გონებრივ ნიჭიერებას დიდი განათლება მოეღობა“.

ნარკვევში „არზრუმს მგზავრობა“ პუშკინი მკითხველებს აცნობს კავკასიას და საქართველოს. მასში მოყვანილია ისტორიული, ეთნოგრაფიული და მეცნიერული ხასიათის ცნობები. პოეტი რეალისტურად აღწერს კავკასიის ხალხთა ხასიათს, ცხოვრებას, მისი ბუნების მომგადობებელ სურათებს; აღფრთოვანებით ლაპარაკობს დარიალის ხეობაზე, სადაც „კლდეები ორივე მხრივ პარალელურ კლდეებად აღმართულან“, ნათელ ველებზე, რომლებსაც „მხიარული ათაგვი რწყავს“. დაწერილებით აღწერს თბილისს.

უკან დაბრუნებისას პუშკინის განცვიფრება გამოიწვია ყაზბეგთან „საუცხოო სანახაობამ: თეთრი, დაფლეთილი ღრუბლები მთის მწვერვალს გადადიოდნენ და განმარტოებული მონასტერი, შვის სხივებით გაცისკროვნებული, თითქოს ღრუბლების ფრთებზე ჰაერში მიცურავდა“.

ამ სურათისაგან მიღებული შთაბეჭდილება პოეტმა გამოხატა ლექსში „მონასტერი მყინვარზე“ (ლაპარაკია „წმინდა სამების“ ტაძარზე, ძველი საუკუნეების შესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლზე).

სიტყვის დიდი ოსტატი არა მარტო ზუსტად ასახავს ბუნების ხილულ მხარეებს, არამედ თითქმის წოდება ბუნების გულს, „სულს“ უღგამს მას, ჩააქსოვს რა მკვდარ საგნებში თავის აზრებს, გრძნობებს იღვებს...

ეს განსაკუთრებით მკაფიოდ მელაუნდება ცნობილ ლექსში „კავკასიონი“. ეს ნაწარმოები მთლიანად აღწერილობით ხასიათს ატარებს, მაგრამ უკანასკნელი სტროფი, თერგისადმი მიძღვნილი, უკვე აღეგორიულია:

„თამაშობს, ღმუნის, ესე რაღაც  
ნორჩი ნადირი,  
როდესაც რკინის ვალით  
თვალს მოჰკრავს საკვებელს  
ესე ამაოდ ებრძვის ნაპირს,  
გუაფერს აკლებს,  
მშვერი ტალღა ლყავს კლდეებს  
ხარბი წადილით...  
ვაგლახი არა აქვს იმას ლევა  
და სიხარული,  
მენჯი კლდეებით არის იგი  
შემორკალული“

შემდეგ შედარება სულ უფრო ფართოვდება. დარიალის მღვმარე ვეება კლდეები შედარებულია „უცხო ძალთა“ დესპოტურ კანონებს, ხოლო მშფოთვარე თერგი—თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიას.

საგულისხმოა, რომ ბობოქარი თერგისა და დარიალის კლდეთა ასეთივე დაპირისპირებას იძლევიან ლერმონტოვი („დემონი“, „თერგის საჩუქრები“, „თამარი“) და „თერგდალეული“ ილია ჭავჭავაძე („მგზავრის წერილები“).

პოეტი თერგს აღწერს ლექსებში: „მთიდან რომ მოჰქუხს თავბელალებით“, „აჰა, ხეობა პირქუში კლდისა“, „დამიუფლება მოწყენა კრული“. დაუმთავრებელ პოემაში „თაზიტი“, „ვეგინი ონიგინში“, ნარკვევში „არზრუმს მგზავრობა“, ხოლო ლექსში „ზვავი“ პუშკინმა მოგვცა შეუდარებელი სურათი თერგის ბრძოლისა უცხო ძალებთან, რომლებიც ლამობენ შუაჩერონ მისი ბობოქარი, სწრაფი მდინარება.

იმ დღეებში, როდესაც დიდი პუშკინი სასიკვდილო სარკველზე იწვა „ტყვიით მკერდგანგმირული და შურისძიების წყურვილით“ აღსავსე, როდესაც რუსეთის მოწინავე საზოგადოება მოიცვა აღმშფოთებამ პოეტის მკვლელობა წინააღმდეგ, — ამ დღეებში „ვეჩენს

სამრევლო კოშკის ზარივით“ გაისმა ახალგაზრდა ლერმონტოვის ლექსი „პოეტის სიყვდილზე“.

და ერთბაშად ყველასათვის ნათელი გახდა, რომ „პუშკინი უმემკვიდრეოდ არ მომკვდარა“ (ბელინსკი), რომ ახალგაზრდა ლერმონტოვი ვაჟკაცური სიმაჰაიით დაადგა ვზას, რომლითაც პუშკინი ვიღოდა.

ნიკოლოზ 1-მა გადასწყვიტა კავკასიის კლდეზე მიეჯაბჟე ეს „პრომეთეოსი“, რომელმაც გაბედულად გამოიწვია ბრძოლაში თვითონ მეფე, მეფის კარისა და მაღალი წრის ინტრიგანი ჯალათები.

1837 წლის აპრილში ლერმონტოვი, „თავის მშობელი ქვეყნიდან დევნილი“, გამოემგზავრა საქართველოსაკენ, კახეთს, სადაც იღვა ნიკეგოროდის დრაგუნთა პოლკი. ეს არ იყო პოეტის პირველი მგზავრობა კავკასიაში. მას ჯერ კიდევ ბავშვობაში მოუხდა მინერალურ წყლებზე ორჯერ თუ სამჯერ ყოფნა. იგი უკვე მაშინ იყო მოკვადოვებული კავკასიის ბუნებითა და ბევრს წერდა თავის აღრინდელ ნაწარმოებებში ამ „წარმტაც ქვეყანაზე“.

ვზაში ლერმონტოვი გაცივდა, ავად გახდა და იძულებული შეიქნა სამკურნალოდ პიატიგორსკში გაჩერებულიყო, სადაც გაცნო ბელინსკის. შემდეგ, როგორც თვითონ პოეტი წერს, იგი განუწყვეტლივ მოგზაურობდა „ხან ფოსტის ვტლით, ხან ცხენით. მოვიარე მთელი ხაზი ყიზლარიდან ტამანამდე, გადავიარე მთები, ვიყავი შუშაში, კუბაში, შემახაში, კახეთში, ჩერქეზულად მორთული, მხარზე თოფგადაკიდებული; ღამეს ვათევდი ღია ცისქვეშ, მინდვრად...“

ლერმონტოვი დაუმეგობრდა ა. ოლონესკისა და კავკასიაში გადმოსახლებულ სხვა დეკაბრისტებს. უპეველია, რომ პოეტი იცნობდა ქართველი საზოგადოების ბევრ მოწინავე მოღვაწესაც. „...პუშკინის შემდეგ, — სწერდა ბე-

ლინსკი, — არავის ისე პოეტურად არ გადაუხდია სამაგიერო, კავკასიისა და მის ხელუხლებელ — ვიწროსაზღვაო მთაბუნებრივ საუცხოო შთაბეჭდილებათა გამო, როგორც ლერმონტოვს...“

და, მართლაც, ლერმონტოვს შეიძლება ვუწოდოთ კავკასიის დიდა მომღერალი; კავკასიამ სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მის შემოქმედებაში. ჩვენ არ ვიცით სხვა პოეტი, რომელსაც თავისი უსაზღვრო სიყვარული ამ მხარისადმი გამოეხატოს ასეთი ძალით, ისეთი მომკვადოვებელი პოეტური ფორმით.

პოეტი ღრმა ინტერესით, ხარზად სწავლობდა კავკასიელთა ცხოვრებას.

„ლერმონტოვი, — ამბობს ბელინსკი, — კავკასიის ყურმოკვრით როდი იცნობს, უყვარს იგი პოეტის მთელი ვნებიანობით და მას... ისეთი ღრმა გრძნობით უმზერს, რომელიც საგნის რაობასა და სიღრმეს სწევდება. ფლობს თავის ალტაცებას და გადმოსცემს მას მწყობრ, პარმონიულ და უბრალო, მაგრამ ტიპურ სახეებში“.

კავკასიის გაცნობამ, მისდამი რომანტიკულმა სიყვარულმა აღაფრთოვანა პოეტი და მან შექმნა შესანიშნავი სახეები თავისუფლებისმოყვარე მთიელებისა.

მთიელთა თავისუფლების სიყვარული ლერმონტოვს განსაკუთრებით მკვეთრად აქვს დასურათებული პოემაში „მწირი“, გმირის სახით, რომელიც მონასტრიდან, სადაც იგი ბავშვობიდან იყო დამწყვდეული, შეუკავებლად მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ.

ამ პოემას საფუძვლად უდევს ნამდვილი შემთხვევა, რომელიც ლერმონტოვს მოუთხრო ერთმა ბერმა მცხეთაში.

„მწირის“ შესანიშნავი შეფასება მოგვცა ბელინსკიმ.

„ეს ოთხმუხლიანი იამბი, რომელსაც მარტოოდენ ვაჟური დაბოლოებები ახა-

ბიათებს, როგორც „მილიონის პატი-  
მარს“, ელერს და მარსეტილად ეცე-  
მა, ვით მსხვერპლის გამგებრავი მახვი-  
ლის დარტყმა. მისი დრეკადობა, ენერ-  
გია და მელერი ერთფეროვანი ვარდნა  
გასაოცრად ეხამება პოემის გმირის  
მძლავრი ბუნების ურყევ ძალას და  
ტრაგიკულ მდგომარეობას“.

მართალია, ლერმონტოვი ვერ ამჩ-  
ნევდა, ან არ სურდა შეემჩნია სოცია-  
ლური კონტრასტები კავკასიაში; ის  
ერთნაირად აღივლებდა აქაურ თავა-  
დებსაც და მათ მიერ დამონებულ გლე-  
ხებსაც. კავკასიის ეს იდეალიზაცია პო-  
ეტ-რომანტიკოსს ესაჭიროებოდა, ალ-  
ბათ, იმისათვის, რომ „თავისუფლების  
მრისხანე მხარე“ დაეპირისპირებინა  
მეფის დესპოტური ხელისუფლებისათ-  
ვის, მეფის კარის მსახურთათვის. მაგ-  
რამ ლერმონტოვის მხედველობას არ  
გამოპარვია გლეხების სამინელი ცხოვ-  
რება. ის რეალისტურად ხატავს დატა-  
კი ქართველი გლეხის ქოხს „ჩვენი  
დროის გმირში“.

ლერმონტოვის „კავკასიურ ნაწარ-  
მოებებში“ მკითხველს ხიზლავს არა  
მარტო თავისუფლებისათვის ბრძოლის  
იდეა, არამედ ბუნების სურათები, დი-  
დი მხატვრის მომჯადობებელი ყალმით  
დახატული. პოეტის შემოქმედებაში სა-  
ქართველოს წარმტაცი ბუნება აისახა  
თავისი სიდიადის მთელი ბრწყინვალე-  
ბით. თავისი „ნატურალური“ ფერები-  
თა და ბევრებით.

„შეიძლება გადაუქარბებლად ით-  
ქვას, — წერდა ბელინსკი „მწიროს“ შე-  
სახებ, — რომ პოეტი ფერებს ცინაო-  
ტყელსაგან იღებდა, სხივებს მზისაგან,  
ბრწყინვალეობას ელვისაგან. გრიალს  
შეკა-ქუხილისაგან, გუგუნს ქარისა-  
გან, — რომ მთელ ბუნებას თვითონ  
მოქმონდა და აწვდიდა მას მასალას,  
როდესაც იგი ამ პოემას წერდა... სურა-  
თების, სახეების და გრძნობების რა  
მრავალფეროვნებაა! აქ მოცემულია

სულის ღელვანიც, გულაწეილვანიც, სა-  
სოწარკვეთის გოდებაც, ვრცელქვეფეცი-  
ამაყი გამძვინვარებაც, მშველარცხედოც-  
ლამის წყვილიაღიც, დილის საზეიმო სი-  
ლიაღიც, ნაშუადღევის ბრწყინვალეობაც  
და მწუხრის იღუმალი მომხიბვლელო-  
ბაც...“

ლექსში „თერგის საჩუქრები“, ბე-  
ლინსკის სიტყვით, ლერმონტოვის ძლი-  
ერმა და ფართო ფანტაზიამ კავკასიის  
აბოთეთოში შექმნა, მას სული ჩაუდგა  
და იგი თითქოს ცოცხალ არსებად გა-  
დააქცია.

ლერმონტოვის პოეზიის უმდიდრეს  
წყაროს ხალხური შემოქმედება წარ-  
მოადგენდა. ლექსების — „თამარი“,  
„დავა“, „თერგის საჩუქრები“ და ლერ-  
მონტოვის მრავალი სხვა ნაწარმოების  
საფუძველს ქართული ხალხური თქმუ-  
ლებანი და ლეგენდები წარმოადგენს.

როდესაც მან 1829 წელს „ქართუ-  
ლი სიმღერა“ დასწერა, ავტოგრაფში  
გააყეთა შენიშვნა: „რალაც მსგავსი გა-  
ვონილი მაქვს კავკასიაში“. იგივე ითქ-  
მის პოემა „დემონზე“, რომელზედაც  
ლერმონტოვი თითქმის მთელი თავისი  
შემოქმედებითი სიცოცხლის მანძილზე  
(1829 — 1841) მუშაობდა, პოემის მა-  
სალად იქცა ხალხური თქმულება.

ლუდის ხეობაში (ჯვრის უღელტე-  
ხილთან), როგორც ხალხური თქმულე-  
ბა მოგვეთხრობს, ღარიბ ოჯახში გაი-  
ზარდა ლამაზი ნინო. მისმა სილამაზემ  
მოხიზბლა მთის ავი სული—ლუდა; იგი  
მზად იყო უბრალო მომაკვდავად გადა-  
ქცეულიყო, ოღონდ კი მასთან ყოფი-  
ლიყო. ის ყოველნაირად ზრუნავდა ქა-  
ლიშვილზე, სარგებლობდა ყოველი შე-  
მთხვევით, რათა მას დახმარებოდა თა-  
ვისი ღონით და ძალაუფლებით. რო-  
დესაც ნინოს მთაზე ასულა ესაჭიროე-  
ბოდა, ღუდას ბრძანებით მთა ვაყედ  
იქცეოდა. ნინოს უყვარდა ახალგაზრ-  
და მონადირე სოსიყო. მასაც მხურვა-  
ლეთ უყვარდა ქალი და მის ცოლად

შერთვას აპირებდა. ყოველივე ეს იცოდა მთის ავმა სულმა. იგი ყოველწინაირად ლამობდა ჩაეშალა. ქორწინება, დაედლება თავისი მოქმევე: ნადირობისას რამდენჯერმე სცადა გზა-კვალი აებნია მისთვის, ატარებდა მას ღრმა ხეობებში და სალ კლდეებზე, ღრუბელთა სამოსელში ახვევდა მას, გზას უღობავდა... მაგრამ ღუდამ ვერ დაეღუბა მამაცი სოსიკო. შემოდგომაზე მან ნინო ცოლად შეირთო.

მამინ გაშმაგებულმა ღუდამ უზარმაზარ თოვლის ზვავში ჩაივლა მათი ქობი. ნინო და სოსიკო განაგრძობდნენ ცხოვრებას და ერთმანეთის სიყვარულს ბნელ ქობში, თოვლის ზვავ ქვეშ. გადიოდა დრო. დაიწყო შიმშილი და მამინ სოსიკოს სიყვარულის გრძნობა მშვიერი მხეცის გრძნობით შეიცვალა. იგი კბილებით ჩააფრინდა ცოლის სხეულს... ისინი მოულოდნელად გადააჩინეს მეზობელმა გლეხებმა...

აე სულს ერთი-ღა დარჩენოდა სახე-ვეშოდ, რომ მან ერთი წუთით მაინც ჩაახშო სოსიკოში ნინოსადმი სიყვარულის გრძნობა. ღუდას მჭუხარე ხარხარმა შესძრა ყველა ხეობა და ყველაზე მაღალი მთები.

ღერმონტოვის პოემას საფუძვლად დაედო სწორედ ეს ლეგენდა, სხვადასხვა ვარიანტებში გაერკელებული. პოეტმა გადააყეთა „ღემონის“ პირველი მონასახები, შეიყვანა მასში ახალი გმირები (თამარის საქმრო და თამარის მამა-ღუდალი), ნაწილობრვე შეცვალა ლეგენდის შინაარსი, როგორც ამას მოითხოვდა „ღემონის“ ძირითადი იდეა: თამარის მამას უწოდა ღუდალი (მთავარ გმირად ღუდას ნაცელად დარჩა ისევ ღემონი), სოსიკოს (რომანტიკული პოემისათვის არაკეთილ ხმოვანი სახელი) — საქმრო, ხოლო სახელი ნინო შეცვალა უფრო დამახასიათებელი სახელით — თამართ.

ჭართული ხალხური თქმულებანი უძვეეს საფუძვლად ბაღადას — „თამარი“. მისი მოქმედების ადგილად აღე-

ბულია ეგრეთწოდებული „თამარ მეფის კოშკი“ დარიალის ხეობაში, ეს სახელწოდება სინამდვილეში არსებობს. ისტორიულ ლიტერატურაში არსად არ არის ნათქვამი, რომ დარიალის კოშკი თამარის კოშკია. მაგრამ ლერმონტოვს ეს სახელწოდება როდი გამოუგონებია: საქართველოში თითქმის ყველა ციხე-დარბაზის აგებას თამარს მიაწერდნენ.

ღერმონტოვამდე არავის არ აუწყებია მთიელები მათს ფსიქოლოგიაში ასე ღრმა ჩაწედომით, მათი ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების ასეთი ცოდნით, მათდამი ასეთი გულწრფელი სიყვარულით. მან თვალწინ გადააგვიშალა მთელი სიღრმე, სულიერი ცხოვრების მთელი სიმდიდრე, ზნეობრივი ღირსებანი იმ ადამიანებისა, რომლებიც მეფის სატრაპებს ველურებად მიაჩნდათ.

ღერმონტოვის პოეზიამ რუსეთის საზოგადოებას უჩვენა, თუ რა გზით უნდა ყოფილიყო შესწავლილი კავკასიის ისტორია და ეთნოგრაფია, მის ხალხთა ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულება, მათი უმდიდრესი ხალხური შემოქმედება, ამ საუცხოო ქვეყნის ბუნება.

ღერმონტოვის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ლიტერატურაში გაბატონებული როლი მიეკუთვნა პროზასა და პუბლიცისტიკას. ნაკლებად იბუკლებოდა აგრეთვე ლექსები კავკასიის შესახებაც. მაგრამ საქმე მართო მათ რაოდენობაში როდია. ამ პერიოდის „კავკასიური ლექსები“ არ გამოირჩევა ორიგინალობით, მათ მეტწილად მიბაძვითი ხასიათი აქვს.

მაგრამ აი 1846 წლის ზაფხულზე თბილისში ჩამოდის ახალგაზრდა პოეტი იაკობ პოლონსკი. ის მწარე გრძნობით მოემართებოდა საქართველოსკენ. ცხოვრებაში ის „უდიდლო“ იყო, თავს თვლიდა „ხედმეტად“ მოსკოვის საზოგადოებაში, სადაც ახალგაზრდა პროვინციელი ბედმა გადაასროლა... გაქარწყულა მისი ოცნებაც ლიტერატუ-

რულ მოღვაწეობაზე. ამ ოცნებას განმანდგურებელი ლახვარი ჩაესო: ბელონსკიმ მეტად უარყოფითად შეაფასა პოლონსკის ლექსების კრებული. დამწყებმა პოეტმა გადაწყვიტა პოეზია შეეცვალა კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიაში სამსახურით და „ზაკავკასკი ვესტნიკის“ რედაქციაში მუშაობით.

მკვრამ, როცა პოლონსკი ფიქრობდა, რომ სამუდამოდ დაშორდა პოეზიას, სწორედ მაშინ დაიწყო მისი ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება. მან თბილისში პოეზია ახალი მეგობრები. ესენი იყვნენ ვ. სოლოგუბი, ნ. ხანიკოვი, ი. ზოლოტარიოვი, გ. გაგარინი, საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი პოეტი ლადი-ზაბლოცკი და სხვა მწერლები, მხატვრები. ახალმა საზოგადოებამ უაღრესად კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა პოეტზე.

„თბილისში, — წერს იგი, — უცერად აღმომიჩნდნენ თავიანთსმცემლები და მოტრფიალენი, თბილისის თეატრის მსახიობები ზეპირად კითხულობდნენ ჩემს ლექსებს“.

1849 წელს გამოვიდა პოლონსკის ლექსების კრებული „საზანდარი“. მის წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: „ამ პატარა წიგნში შეტანილია მხოლოდ თორმეტი ლექსი. ამ ქვეყნად თავის წარმოქმნას ისინი უნდა უმადლოდნენ არა იმდენად ჩემს თავს, რამდენადაც ჩემს ყოფნას კავკასიაში, უმთავრესად საქართველოში.“

მე არ მსურდა მათში შემერია სხვა ჩემი ლექსები. ჩემს წიგნს მივუძღვნი უველა იმას, ვინც იცნობს საქართველოს“.

1851 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების ახალი კრებული. პოლონსკის მიერ საქართველოში დაწერილმა ნაწარმოებებმა მოსკოვში დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. „თბილისში, კავკასიის მთების გულში, — წერდა ეჟრნალი „მოსკვიტიანი“, — გაისმა რუსუ-

ლი ქნარის ეღერა. ჩვენმა პოეტმა ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა, პ. ბოლონსკიმ, რომლის ხმა, სანამ ჩვენს დიდი ხანია არ გაისმოდა ჩვენს ხმებზე, გამოსცა რამდენიმე ლექსი „საზანდარის“ სახელწოდებით.

პოლონსკის მიერ თბილისში დაწერილი ლექსები ხასიათდება ადგილობრივი ცხოვრების ღრმა ცოდნით. პოეტის შემოქმედებითი პორიზონტი გაფართოვდა და უფრო მკაფიო გახდა. საქართველოში გატარებული ზუსტი წლის განმავლობაში. მან კარგად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის ისტორია, ხალხური შემოქმედება, ეთნოგრაფია, ხალხის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულება. სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, იგი თვეობით იმყოფებოდა მივილინებებში. ეს მას შესაძლებლობას აძლევდა შეეგროვებინა მასალა კორესპონდენციებისა, სტატიებისა და მხატვრული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც „ზაკავკასკი ვესტნიკში“ იბეჭდებოდა.

პოლონსკიმ კავშირი გაწყვიტა რომანტიზმთან და შემდგომი ნაბიჯი გადადგა წინ, ცხოვრების „ნატურალური“ (რეალისტური) ასახვისაკენ. და თუ ეს თითქმის შეუძნეველი დარჩა მკითხველებისათვის და მან ვერ პოეზია ასახვა ლიტერატურის მცოდნეობაში, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ პუშკინისა და ლერმონტოვის ბრწყინვალე პოეზიამ დაჩრდილა ქალაქის მივლებული ადგილების, ბეჩავთა ცხოვრებას ამსახველის ნაწარმოებები. პოლონსკიმ საქართველოში ის შეამჩნია, რაც ამ ნამყოფ სხვა მწერლებს შეუძნეველი დარჩათ: დიდი ქალაქის სოციალური კონტრასტები, მუშა, ოფლში რომ იწურებოდა მძიმე ტვირთის ქვეშ, სოლოლაკისა და აელაბრის ლატყათა უბადრული ცხოვრება, მუშაკიანი ძონძებით შემოსილი ადამიანები...

ორმოციან წლების ნახევრიდან პეტერბურგში გაბატონებას იწყებს „ნატურალური სკოლა“, ყველაზე მოწინა-

ვე, რეალისტური სკოლა „ნატურალისტები“, — წერდა ამ სკოლის სულისჩამდგმელი ბელინსკი, — ასახავენ „დაბალი წოდების ადამიანებს, თავიანთ მოთხოვნათა გამიჯობად ხდიან გლეხებს, მევზოვეებს, მეეტლეებს, აღწერენ მშვიერ-დატაკთა კუთხეებს, თავშესაფრებს“. მწერალი დალი აქვეყნებს თავის „ფიზიოლოგიურ ნარკვევებს“, ნეკრასოვი ბეჭდავს „პეტერბურგის კუთხეებს“, გრიგოროვიჩი — „პეტერბურგის მებარდნებს“, დოსტოვესკი აძრწუნებს მკითხველს „საბრალო ხალხით“, გამოდის გერცენის, შჩედრინის, ტურგენევის პირველი ნაწარმოებები... ახალგაზრდა პოლონსკი ემბრობა „ნატურალურ სკოლას“ და ამავე სულისკვეთებით აღწერს საქართველოს ცხოვრებას.

პუშკინისა და ლერმონტოვის რომანტიკულ პოემათა მთავარი გმირები არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისინი გარემოსილი არიან იდეალების, ძლიერი ნებისყოფის, მჭუხარე ვნებების შარავანდედით. პოლონსკის „ქართულ ნარკვევთა“ გმირები არიან ღარიბი მოხელე კეთილშობილი დავით ეგორიჩი, „სოლოლაის ტურფა“ მაგდანა — „ზნედაცმული ქალი“, მათხოვარი ნაზო, „ავლაბრელი მეთელუხე“ არუთინა...

პოლონსკი უჩვენებს მკითხველს თბილისის ყრუ შესახვევებსა და კუნძულებს, უბადრუც და ჭუჭყიან ქოხებს, ღარიბი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების წერილმანებს.

აი ძველი სოლოლაის აღწერა:

„ამ ლაბირინტის სიღრმიდან მხოლოდ ორ ადგილას და, როგორც მახსოვს, ერთი დუქნის მახლობლად შეუძლია ჩამოვლა ხარბშებმულ ურემს, თუმცა კი იმას ვერ ასცდება, რომ მორებს ან წნულ გკლიან ღობეს არ შეეხოს. კალათებით დატვირთულ სახედარს, ცხენს, რომელსაც მეთელუხე მივრეკება და გვერდები დაფარული აქვს ტყეებით, რითაც იგი წყალს ნჯღრევით ეზიდება, ან მუშას სამმა-

გად მოკაყულს, მოხრილ მხრებზე აცილებული ტვირთით შეუძლია შეაღწიონ ყველა ეზოში, მგვრანსა და არა ისე, რომ რომელიმე მრუდზე ხეს არ დაეჯახონ ან მოხუც ქალს გვერდი არ გაკარან“ (ნარკვევი „თბილისის ქობები“).

მწერალმა თავიდანვე „თბილისის მიჯრუბული ადგილების“ სწორედ ეს უბადრუცი სურათები შეამჩნია.

პოლონსკი აღწერს, თუ როგორ იძინებს „მრავალაივნიანი თბილისი“ (ლექსი „ძველი საზანდარი“), როგორ მიჩანიალებს მთაზე ღრიანცელით „თბილისელი მათხოვრების“ გროვა („უსტაბაშის არჩევა“), როგორ ჩამომსხდარიან ადამიანები ნაბდებზე ბაზრის მოედანზე, სადაც ჰაერი გაელენთილია „მეზობლელი თევზის, ნათის, ზაფრანის, საბნის და სანთლის სუნით“...

მხოლოდ, როდესაც საქართველოს ტოვებდა და რუსეთს მიემგზავრებოდა, პოეტმა ზოგიერთი თავისი „გამოსათხოვარი“ ლექსი ლერმონტოვისებური ლირიზმით აავსო („იმერეთში“, „გზად კაკაისიდან“).

პოლონსკის მრავალი ნაწარმოებებიდან ჩანს, რომ იგი იცნობდა ქართულ ხალხურ შემოქმედებას. ქართული ზღაპრის „დელიბაშტალას“ მოსმენის შემდეგ, ის ხაზგასმით აღნიშნავს ქართველთა განსაკუთრებულ სიყვარულს ხალხური თქმულებებისა და ლეგენდებისადმი და ამბობს:

— როგორ შეიძლება ამის შემდგენ ქართული ლიტერატურის ნაციონალურობაში დაეჭვება!

პოლონსკი პირადად იცნობდა ნინო აღუქსანდარეს-ასულ ქაეკეაძე — გრიბოედოვას, რომლის საუცხოო სახე აღბეჭდა შესანიშნავ ლექსში „ნ. ა. გრიბოედოვა“:

პოეტს დიდად აინტერესებდა საქართველოს ისტორია. ამას მოწმობს მისი დრამა „იმერეთის დედოფალი დარეჯანი“, დაწერილი 1851 წელს თბილისის თეატრისათვის.

პოლონსკის არ გაუმართლდა იმედი უნაბა თავისი დრამა თბილისის სცენაზე. მთავრობამ, „ამ დრამის პოლიტიკური შინაარსის მხედველობაში მიღების“ შედეგად მისი დადგმის ნება არ ღართო. პიესა შემდეგში, ცენზურის მიერ დამაბინჯებული სახით დაიბეჭდა ეურნალ „მოსკვიტიანინში“.

პიესის წინასიტყვაობაში პოლონსკიმ აღიარა, რომ იგი მას წერდა „არა ჩვენი დედაქალაქებისა და ჩვენი პროვინციების რჩეული საზოგადოებისათვის“.

პოლონსკი თავის დრამაში გამოხატავს XVII საუკუნის ქუთაისის სასახლის კარზე წარმოებულ ინტრიგებისა და გადატრიალებათა სწორედ იმ ეპოქას, რამაც თავისი გამოსახულება ჰპოვა სხვა მწერლების მრავალ ნაწარმოებებში, მათ შორის — აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერში“.

საქართველოს ისტორიასთან არის აგრეთვე დაკავშირებული პოლონსკის ლექსები „თამარი და მისი მომღერალი შოთა რუსთაველი“, „იმერეთის ნანგრევებზე“, „იმერეთში“, „იმერეთი“. ამ ლექსებში პოეტი ლაპარაკობს საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ ბასიათზე, როდესაც საქართველოს უბღებოდა ურციხე დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა და მიუსალმებდა საქართველოს შეერთებას რუსეთთან.

საქართველოსთან დაკავშირებულ XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუს მწერალთა წრე ჩამოთვლილი სახელებით არ შემოიფარგლება.

დიდი რუსი კრიტიკოსისა და პუბლიცისტის პელინსკის შესანიშნავი წერილები არა მარტო განიბილავენ კავკასიის, საქართველოს პროგრესულ როლს ერიბოედოვის, პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებაში, არამედ თვითონაც წარმოადგენენ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც მომზიბლავდ

მოგვიტობებენ „უშრეტი პოეზიის აღ-  
თქმულ ქვეყანაზე, მჩქედრე, ცხედრე-  
ბისა და გაბედულ ოცნებულ მწერლებს“  
გოგოლო თავის სტატიაში „რამდენიმე სიტყვა პუშკინის შესახებ“ ასევე ლაპარაკობს საქართველოსა და მის მნიშვნელობაზე დიდი რუსი პოეტის შემოქმედებისათვის.

გერცენი იხსენიებს კავკასიას და საქართველოს მთელ რიგ თავის ნაწარმოებებსა და წერილებში. 1836 წელს, როდესაც გერცენი გადასახლებული იყო ვიატკაში, მან ინახულა ტუბერკულოზით შეპყრობილი, მომაკვდავი სოლომონ ლოდაშვილი, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადასახლებული, და ეს შეხვედრა თავის „დღიურში“ აღწერა. გერცენი კარგად იცნობდა ნ. ნიკოლაძეს, რომლის სამი წერილი მოითათესა თავის „კოლოკოლიში“.

კავკასიაზე წერდნენ ოგარიოვიც, ა. მაიკოვიც. ვ. გრიგორიევიც, პუშკინის უახლოესი მეგობარი ვიაზემსკიცი, ლერმონტოვის მასწავლებელი მოსკოვის უნივერსიტეტში მერზლიაკოვიც, უკვე დიდი ხნის დავიწყებული პოეტებიც — სუშკოვი, ნეჩაევი, კოსიაროვსკი, გოტოვიკოვა...

მათი უმრავლესობის ცხოვრება და შემოქმედება დაკავშირებულია პუშკინის სახელთან.

1826 წელს საქართველოში ჩამოვიდა 1812 წლის სახელგანთქმული გმირი პოეტი — პარტიზანი დენის დავილოვი, მოქმედ არმიაში წარმოგზავნილი. მწერალმა თავის დაუთმავრებელ ნარკვევში „მოგონებანი 1826 წელზე“. დღიურის ფორმით აღწერა დარიალის ხეობა, ყაზნეგი, ჯვრის უღელტეხილი და ა. შ. კავკასიის შთაბეჭდილებებში თავისი გამოხატულება ჰპოვეს აგრეთვე პოეტის ლექსში — „ნახევრად ჯარისკაცი“.

კავკასიის ბუმბერაზმა ბუნებამ აღაგზნო პოეტი ვ. ტეპლიაკოვიც (ლექსი — „კავკასია“), რომელიც დეკაბრისტებ-

თან კავშირის გამო მიღებული სასჯელის მოხდის შემდეგ აღმოსავლეთში მოგზაურობდა.

კავკასიის „ძლიერი არწივების, დიადი და მრისხანე გრანიტის ქედების“ მიუწევდომელი თავშესაფრის თვალწარმტაცი სურათები დაგვიხატა თავის ლექსებში ლუციან იაკუბოვიჩმა, რომელსაც პუშკინი ძალიან აფასებდა და უყვარდა.

დიად მყინვარწვერს, პირქვეშ დარიალს, მძინვარე თერგს ხოტბას ასხამდა „პუშკინის პლედის“ მრავალი პოეტი: ნ. იაზიკოვი, ა. მეისნერი, დ. ოზნობიშინი...

აღსანიშნავია პოეტ-მეზღვაურის, რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილის ე. ზაიცევსკის ლექსები აფხაზეთზე.

პუშკინისდროინდელი მწერლების მიერ კავკასიის შესახებ დაწერილ მრავალ ნაწარმოებს შორის გამოირჩევა ა. ა. შიშკოვის დაუმთავრებელი რომანი.

ა. ა. შიშკოვი იყო ცნობილ ადმირალ ა. ს. შიშკოვის ძმისწული, პუშკინისა და დეკაბრისტების მეგობარი. იგი 1818 წელს გადმოასახლეს საქართველოში, მან რამდენიმე წელიწადი დამყო აქ, სწავლობდა ადგილობრივ ცხოვრებას, საქართველოს ისტორიას, ქართულ ენას. მისი რომანი (უსათაუროდ) გამოცემულ იქნა პუშკინის ინიციატივით შიშკოვის დაღუპვის შემდეგ.

ამ ნაწარმოების ჩვენამდე მოღწეული ნაწილი (როგორც ჩანს, პირველი, დაახლოებით 150 გვერდი) საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ავტორს განზრახული ჰქონდა შეექმნა 1812 წლის „კახეთის ამბოხების“ გრანდიოზული ეპოპეა.

„ლაპლაბა ბუხართან, თოვლით დანაპტრულ სახურავ ქვეშ, — წერს შიშ-

კოვი რომანის წინასიტყვაობაში, — მყვარს ამბის მოყოლა თბილესი ცხელ ჰავაზე, ქართველთა უწყალოდ და მათ ცხოვრებაზე. ბევრი დამავიწყდა, მაგრამ ბევრი რამ ახლაც მახსოვს; ხოლო თქვენც იმას მოგითხრობთ, რაც მახსოვს“...

რომანში ნაჩვენებია ქართველი თავადების შეთქმულების მომზადება რუსეთის წინააღმდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილის ინტრიგები, ლეკების თავდასხმები კახეთზე, მოხელეთა უხამსობა და გარყვნილება, გლეხების მძიმე მდგომარეობა ქართველი მემამულეებისა და რუსი მოხელეების უღლის ქვეშ.

რომანი იქ წყდება, სადაც ხალხის აღშფოთება აჯანყებაში გადადის.

•  
•

პუშკინის ნაწარმოებები კავკასიის შესახებ, წერდა ბელინსკი, აცნობებდნენ რუსეთს შორეული ქვეყნის ცხოვრებას და მკითხველებს მისდამი სიყვარულს უნერგავდნენ.

„კავკასია რუსებისათვის გადაიტყვარა მარტო ფართო, შეუზღუდველი თავისუფლების, არამედ უშრეტი პოეზიის ალტმულ ქვეყნად, მრტეფარე ცხოვრების და გაბედულ ოცნებათა მხარედ. პუშკინის მუზამ თითქოს აეუროთხა ამ მხარესთან უკვე დიდი ხნის განპელობაში ნამდვილად არსებული რუსეთის ნათესაობა, რომელიც მოპებული იქნა მის შვილთა ძვირფასი სისხლით და მის გმირთა ღვაწლით. და კავკასია — პუშკინის პოეზიის ეს აყვანი, შემდეგ ლერმონტოვის აყვანიტ გახდა“...



# 200 წელი ა. ნ. რადიშჩევის დაბადების

ანა ნიკოლაძე

## ა. ნ. რადიშჩევი



ალექსანდრე რადიშჩევი მე-18 საუკუნის რუსეთის ერთერთი უდიდესი მწერალი და მოაზროვნეა, მაგრამ მისი მნიშვნელობა იმთავითვე გასცილდა თავისი დროის ფარგალს.

რადიშჩევი არის პირველი რუსი რევოლუციონერი მოაზროვნე, რომელსაც ხალხის სიყვარულმა მისცა ძალა მარტოდ-მარტო შებოძა ცარიზმის ბნელ ძალებს.

მისმა გმირულმა პიროვნებამ პუშკინს ალტაცებით წარმოატყვევინა: „ადამიანი ყოველგვარი ძალა-უფლების გარეშე, ყოველგვარი საყრდენის გარეშე ბედავს მახვილი აღმართის საერთო წესწყობილების წინააღმდეგ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ეკატერინეს წინააღმდეგ!“.

რუსულ ლიტერატურაში რადიშჩევმა პირველმა თქვა თავისუფლების გაბედული სიმღერა, რომლის გამოძახილი გადაეცა მე-19 საუკუნეს და ტონი მისცა იმ საბრძოლო ყვირსას, რომელიც განახლებული ცხოვრების განთიადზე გაისმა და საუკუნის ბოლოს რევოლუციის ქარიშხალში გადაიზარდა.

რადიშჩევის რადიკალური იდეალები, მისი მოწინავე ფილოსოფიური და მორალური შეხედულებანი, რომლებსაც მწერალი მძაფრი მხატვრული რეალიზმით დახატული ცხოვრების სურათებში აქსოვდა — ქმნიან მთელს

ეპოქას რუსული ლიტერატურის განვითარებაში.

რადიშჩევმა შეითვისა და მაღალ საფეხურზე აიყვანა მე-18 საუკუნის რუსული მხატვრული აზროვნების საუკეთესო ტრადიციები და დაიმკვიდრა პირველი კვამარიტი რევოლუციური მწერლის სახელი შობილიური ლიტერატურის ისტორიაში. მის ფოლადისებურ ნებისყოფაში და თავისუფლების დაუცხრომელ სიყვარულში გამოიხატა რუსი ხალხის საუკეთესო თვისებები. რადიშჩევის შემოქმედება და აზროვნება ორგანიულად არის დაკავშირებული რუსული ცხოვრების სინამდვილესთან, მის ისტორიულ ვითარებასთან

ეპოქა, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა რადიშჩევს, ხასიათდებოდა მშრომელი მასების არანახული ექსპლოატაციით და ეკატერინე მეორის ხელისუფლების უსასტიკესი დესპოტიზმით. პუშკინი შესანიშნავად ახასიათებს ეკატერინე მეორის ტირანულ თვითმპყრობელობას, როცა სარკასტულად შენიშნავს: — „ეკატერინეს უყვარდა განათლება, ნოვიკოვი კი, რომელმაც განათლების პირველი სხივები გააერცელა, შუშკოვსკის (სათნო ეკატერინეს შინაური ჯალათის) ხელით ჩაგდებულ იქნა დილეგში, სადაც იმყოფებოდა ეკატერინეს გარდაცვალებამდე. კნიაენის სული აღმოხდა

მათრახის ცემით, ხოლო რადიშჩევი გადასახლებულ იქნა ციმბირში, და ფონეიზინს, რომლისაც მას ეწინოდა, არ აცდებოდა იგივე ზეედრი, რომ იგი ესოდენ სახელგანთქმული არ ყოფილიყო“.

მემამულეთა განუკითხავი მონობის ქვეშ მოქცეული გლეხობა გმინავდა ეკატერინე მეორის დროს და თავის პროტესტს სოციალური ბოროტების წინააღმდეგ სტიქიურ აჯანყებებსა და მღელვარებებში გამოხატავდა.

თვითმპყრობელური მონობის ამ სულისშემზთველ წყვედიადში ვაისმა მგზნებარე რევოლუციონერი პატრიოტის რადიშჩევის გაბედული ხმა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მისი მღელვარე სული ვერ მგუდება ეკატერინე მეორის დესპოტურ რეჟიმს.

რადიშჩევმა გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ თავისი ბრწყინვალე მხატვრული ტალანტის მთელი სიძლიერით და ლოგიკურად დაასაბუთა ამ სოციალური ინსტიტუტის ბოროტება და უკანონობა.

რადიშჩევის შრომები აღსავსეა თავისი ქვეყნისადმი უზალო სიყვარულით და მტკიცე რწმენით, რომ ყოველი კეთილშობილი ადამიანის უმთავრესი მიზანი მშრომელი ხალხის თავისუფლები-სათვის ბრძოლა უნდა იყოს. თვით რადიშჩევის მთელი ცხოვრება საუკეთესო დადასტურება იყო რადიშჩევის ზემოაღნიშნული რწმენისა.

ამიტომ იყო, რომ როცა დიდი ლენინი ლაბარაკობდა რუსი ხალხის ნაციონალური სიამყის გრძობაზე, პირველ რიგში ასახელებდა რადიშჩევს, როგორც რუსეთის სახელოვან შეილს, რომელმაც თავისი ხალხის თავისუფლების სამსხვერპლოზე დადვა თავი. — „ჩვენთვის ყველაზე მეტად მტკივნეულია ვხედავდეთ და ვგრძობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრას და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი ქვეყანა მეფის ჯალათების თა-

ვადანაურებისა და კაპიტალიზტების ხელში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობანი იწვევდნენ წინააღმდეგობას ჩვენი წრიდან, სწავლნიც მასსკის წრიდან, რომ ამ წრემ წამოაყენა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი — რანსოჩინელები, რომ ველიკორუსმა მშრომელმა კლასმა 1905 წელს შექმნა მასებრ ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ველიკორუსმა გლეხმა ამავე დროს იყუ გადაქცევა დემოკრატად, დაიწყო ზუცებისა და მემამულეთა დამხობა“.

რადიშჩევი იყო რუსულ რევოლუციური აზროვნების პირველი მუბაირაბტრე, რომელიც შეეწირა კიდევ თავისი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას.

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე რადიშჩევი დაიბადა 1749 წელს. მისი მამა, შეძლებული მემამულე, თავისი დროისთვის საკმაოდ განათლებული პიროვნება იყო. ბავშვობის წლები რადიშჩევმა გაატარა პენზის გუბერნიის მშობლიურ სოფელ აბლიაზოვოში. რადიშჩევმა პირველდაწყებითი სწავლა მიიღო შინ, შინაყმის პეტრე მაპონტოვის ხელში. ბავშვზე დიდი გავლენა მოახდინა აგრეთვე მისმა ვაღიამ, გლეხის ქალმა. მომავალი მწერალი ყრმობიდანვე გაცნო რუსულ მდიდარ ხალხურ შემოქმედებას. საშუალო განათლება ა. ნ. რადიშჩევმა მიიღო პეტერბურგის პაეთა კორპუსში, საიდანაც იგი თორმეტ რჩულ მოსწავლეთა შორის 1766 წელს გაგზავნილ იქნა ლაიპციგის უნივერსიტეტში. ქაბუკი რადიშჩევი ხარბად დაეწაფა მეცნიერებასა და ფილოსოფიას. მაგრამ მისი გულისყური მიიბურო არა იმ დროის გერმანიაში გაბატონებულმა სქოლასტიკურ-მეტაფიზიკურმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, არამედ საფრანგეთის დიდი განმანათლებლების სოციალ-ფილოსო-

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XVIII, გვ. 81. რუსული გამოცემა.

ფურმა იღებმა, რომლებიც საფრან-  
კეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუ-  
ციის ქარიშხალს ამზადებდნენ.

რუსო და მამლი, დიდრო და ჰელვე-  
ციუსი — აი მოაზროვნეები, რომელ-  
თა ნაწერებს საზღვარგარეთ ყოფნის  
დროს გატაცებით კითხულობდა რადი-  
შჩევი.

რადიშჩევი საზღვარგარეთიდან რუ-  
სეთში ბრუნდება 1771 წელს. ერთს  
წერილში თავის მეგობრისადმი იგი აღ-  
ტაცებით აღწერს უცხოეთიდან სამ-  
შობლოში დაბრუნების პირველ სიხა-  
რულს და თავის მტკიცე გადაწყვეტი-  
ლებას — მტლად დაედოს ხალხის გან-  
თავისუფლების საქმეს.

სამშობლოში დაბრუნებულს რადი-  
შჩევს ჩვენ ვხედავთ მოხელის სხვადა-  
სხვა პოსტზე იმ სახელმწიფო ბიურო-  
კრატიულ აპარატში, რომელიც მას  
ახელდა მოელის არსებით, მაგრამ სა-  
ხელმწიფო სამსახურმა რადიშჩევს ხე-  
ლი ვერ შეუშალა ეწარმოებია ინტენ-  
სიური ლიტერატურული მუშაობა.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში  
რადიშჩევი უახლოვდება ცნობილ ეურ-  
ნალისტს ნოვიკოვს. რომლის ეურნალ  
„ევიგოპისცეში“ 1772 წელს გამოქვეყ-  
ნდა ნარკვევი „ნაწყვეტი მოგზაურო-  
ბისა“<sup>\*\*\*</sup>. როგორც ირკვევა, ამ „ნაწყ-  
ვეტის“ ავტორი იყო რადიშჩევი, რო-  
მელმაც უცხო ინიციალები მოაწერა  
თავის პირველ ნაშრომს. „ნაწყვეტი“  
დიდის გაბედულებით ამხელდა ბა-  
ტონყმური სინამდვილის საშინელებას.

1773 წელს რადიშჩევმა დაბეჭდა  
თარგმანი ცნობილი უტოპისტის მამ-  
ლის შრომისა „ფიქრები საბერძნეთის  
ისტორიაზე“. მამლის თხზულების  
პრინციპები ეთანხმებოდა რადიშჩევის  
კონებრივსა და პოლიტიკურ განწყო-  
ბილებას. ამ თხზულებაში მამლი ავი-  
თარებს თავის დებულებას „ქონებრივ  
თანასწორობის“ შესახებ. ამ წიგნისა-  
თვის გაკეთებულ შენიშვნებში რადიშ-  
ჩევი ილაშქრებს რუსეთის თვითმპყრო-

ბელური სახელმწიფო სისტემის წინა-  
აღმდეგ — „თვითმპყრობელობა, წერს  
იგი, — არის ადამიანის ბუნებრივი საწი-  
ნაღმდეგო უსაძაგლესი უმადურობა“<sup>\*\*\*</sup>

80-იან წლებში რადიშჩევი ახლო  
მონაწილეობას იღებს „სტყუიერები-  
თი მეცნიერების შეგობართა საზოგა-  
დოებაში“ და ამ საზოგადოების ორგა-  
ნოში „მოსაუბრე მოქალაქე“. განსა-  
კუთრებით აღსანიშნავია 1789 წელს ამ  
ეურნალის ფურცლებზე გამოქვეყნე-  
ბული რადიშჩევის წერილი „საუბარი  
იმის შესახებ, თუ რა არის მამულის-  
შვილი“. ეს ნაწარმოები მთლიანად გა-  
ყენითლია პატრიოტული გრძნობით.  
მწერლის აზრით, მამულისშვილის პირ-  
ველი მოვალეობაა თანამოქმეთათვის  
და მომავლისათვის თავდადება.

ამავე წელს რადიშჩევი აჭყვენებს  
მემუარული ხასიათის ნაშრომს: „ცხო-  
ვრება თედორე ვასილის-ძე უსკო-  
ვისა“. ამ ნაშრომში აღწერილია ავტო-  
რისა და მის მეგობარ სტუდენტო-  
ცხოვრება ლაიპციგის უნივერსიტეტში.  
სწავლის დროს. ამ თხზულებაში გარ-  
კვეთით გამოსტვივის რუსი მწერლის  
პოლიტიკური რადიკალიზმი. ავტორი  
მძაფრ კრიტიკულ დამოკიდებულებას  
ჩენს თვითმპყრობეობის მიმართ და  
თხზულების ცენტრში აყენებს დემოკ-  
რატიულ-უმანისტურ პრინციპებს, მე-  
გობრობის კულტს.

რადიშჩევის უმთავრესი ნაწარმოები,  
რომელმაც მას მოუხვეჭა მე-XVIII  
საუკუნის დიდი დემოკრატი — რევო-  
ლუციონერის სახელი, არის მისი შრო-  
მა „მოგზაურობა პეტერბურგიდან  
მოსკოვში“.

რადიშჩევი წლების განმავლობაში  
მუშაობდა ამ თხზულებაზე, მაგრამ მი-  
სი დაბეჭდვა მხოლოდ 1790 წელს მო-  
ახერხა ანონიმურად, საკუთარ სტამბა-  
ში. წიგნის ყველაზე მწვავე თავები მას  
ცენზორისთვის წინასწარ არც კი წა-  
რუდგენია. რადიშჩევს თავის წიგნში  
დიდი მხატვრის სიმძაფრით ჰქონდა და-

ბატული თვითმპყრობელური რუსეთის ჯოჯოხეთური ცხოვრების ყველა კუთხე. იგი სამარცხენო ბოძზე აყრავდა ნმართველ კლასებს და რუსეთის ბატონყმური სახელმწიფოსთვის მკაცრი საბრალმდებლო განაჩენი გამოჰქონდა. თავის წიგნში რადიშჩევი სვამს იმ დროის ცხოვრების ყველა აქტუალურ საკითხს და მათ პასუხს აძლევს, როგორც რევოლუციონერი მოაზროვნე.

„მოგზაურობის“ ყოველი სტრიქონი გაყენილია ზიზლით მებატონეებისა და მეფის კაცთმოძულე მოხელეების მიმართ. რადიშჩევი გაბედულად ესხმის თავს მებატონეთა კლასს, უწოდებს მათ „გაუმაძღარ მხეცებს“, რომლებიც გლეხებს ძარცვავენ და მათ უტოვებენ მხოლოდღამხოლოდ „მას, რისი წართმევეც არ შეუძლიათ — ჰერს და მხოლოდ ჰერს“. „ეს არის ბოროტებში გათანგულის ხედრი, ხედრი აშშორებულ დილეგში დამწყვედულისა“. მაგრამ „მოგზაურობაში“ მოცემულია არა მარტო ადამიანის ჩაგვრის შემადრწუნებელი სურათები, არამედ დასახულია გარკვეული სოციალური პროგრამაც. რადიშჩევი მოითხოვს გლეხების მიწით განთავისუფლებას, მაგრამ მწერალი გრძნობს, რომ მჩაგვრელები თავისი ნებით არასოდეს ახდიან ხუნდებს დამონებულთ — ამიტომ რადიშჩევი აჯანყებისკენ მოუწოდებს გლეხობას — „სიმდიდრე ამ სისხლის მსმელისა მას არ ეკუთვნის, — წერს რადიშჩევი მებატონის შესახებ, — იგი მოხვეჭილია ყაჩაღობით და იმსახურებს სასტიკ სასჯელს კანონისას... გაანადგურეთ მისი მიწათმოქმედების იარაღი, დასწვით მისი საცეცხველები, კარაბანები, ბელლები და მოფინეთ ფერფლი ჯაჯილებს“.

ეს რევოლუციური მოწოდება და ტანჯული ხალხის გმინვა, „მოგზაურობის“ ფურცლებზე რომ გაისმა, სრულიად არ გავდა იმ იდილიური ცხოვრების სურათებს, რომლებსაც ეკატერინა

ნე II-ს დროის რუსულ ადამიანურ მწერლობაში შეხედებოდა ადამიანი. რადიშჩევემ რუსულ მწერლობაში პირველმა მიაყრო ყურადღება მსგავს, პირველმა მოგვცა ხალხის ცხოვრების ნამდვლი სურათები. გლეხთა ტიაყის, უბრალო ადამიანების უმწიკვლო ზნობრივი სამყაროს დასაპირისპირებლად მას დაბატული ჰყავს ფეოდალური ჩინოვნიკური წრას წარმომადგენლები, რომელთაც დაუჯარგავთ ადამიანის სახე და რომლებიც თავისი ამორალური, ეგოისტური-მტაცებლური მისწრაფებებით ზიზს იწვევენ მკითხველში.

აღსანიშნავია, რომ რადიშჩევი თავის ნაწერებში ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლით არ იფარგლება. იგი მოუწოდებს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ. „გაქრო, ბარბაროსული ჩვეულება, დაიმარხე, ვეფხეთა ძალაუფლება!“ — მრისხანედ გაისმის მწერლის ეს სიტყვები თვითმპყრობელობის მიმართ.

„წერილში ტობოლსკში მცხოვრებ მეგობრისადმი“ რადიშჩევი აღნიშნავს: — „არ ყოფილა და ქვეყნის დასასრულამდე არც იქნება, რომ მეფემ თავისი ნებით თავისი უფლებებიდან რაიმე დასთმოს.“ მეფეს რადიშჩევი საბავს ყველა ბოროტების წყაროდ და უწოდებს მას „ბოროტზე უბოროტესს“. ეკატერინე მეორეს არ გამოეპარა რადიშჩევას განსაკუთრებულ მძულვარება მეფეთა მიმართ. ამას აღსტურებს თვითმპყრობელი მეფის აღშფოთებული შენიშვნები რადიშჩევის წიგნზე: — „მწერალს არ უყვარს მეფეება, — აღნიშნავს ეკატერინე მეორე, — და სადაც კი შეუძლია შეამკოროს მათ მიმართ სიყვარული და პატივისცემა, იგი ხარბად ცდალობს ამას, იშვიათი გაბედულებით“.

„მოგზაურობის“ ავტორს შზის სინათლეზე გამოჰქონდა ბატონყმურ მონობაზე დაფუძნებულა სახელმწიფო სისტემის მთელი შინაგანი მექანიზმი:

სახელმწიფო მოსამსახურეთა მექრთამეობა და თავაშვებულება, სასამართლოში გამეფებული უკანონობა, მებატონეთა მორალურა დაცემა და გლეხთა მასების გაუგონარი ექსპლოატაცია.

თავის დიდებულ ოდაში „თავისუფლება“ რადიშჩევი აყენებს ხალხური რევოლუციის თემას. „თავისუფლებაში“ ხალხი გვევლინება ისტორიის მამოძრავებელ ძალად, როგორც განარისხებული შურისმგებელი მტარვალ მუფასადმი.

ოდა „თავისუფლება“ ჩართული იყო შემოკლებით „მოგზაურობაში“ და ამ წიგნის შინაგან იდეურ ცენტრს წარმოადგენდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ რევოლუციურა სულისკვეთებით გაელენთილია ამ წიგნის ყოველი სტრიქონი. ოდა „თავისუფლება“ წარმოადგენს რევოლუციის ნამდვალ ჰიმნს, რევოლუციური აზროვნების პირველ პოეტურ დოკუმენტს რუსული ლიტერატურის ისტორიაში. სრულიად ბუნებრივია, რომ დეკაბრისტებისა და პუშკინის იდეურ არსენალში რადიშჩევის „თავისუფლებას“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. „თავისუფლებაში“ პოეტა გვიხატავს რევოლუციის მომავალ ტრიუმფს.

რადიშჩევის წიგნმა „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“ დიდი შემოქოთება გამოიწვია ბაუროკრატულ საზოგადოებაში, ეკატერინე მეორემ, რომელსაც ჯერ კიდევ თვალწინ ედგა ბასტილის დაცემას სურათი და პუგაჩოვის ამრდილი, — სამართლიანად დაინახა რადიშჩევის წიგნში სახალხო რევოლუციისკენ მოწოდება. მეფემ წიგნზე მრისხანე წარწერა გააკეთა ავტორის მისამართით: — „იგი — მუამბოხეა, პუგაჩოვზე უარესი“, და მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ დაპატიმრება. რადიშჩევას „კრამოლური“ წიგნის მთელი ტირაჟი ცეცხლის აღს მისცეს გარდა იმ მცირე ნაწილისა, რომლის გავრცელება უკვე მოესწრო, — მას ავ-

ტორს კი სიკვდილით დასჯა ვაჭარნიკეტეს, რაც ბოლოს შეცვლილ იქნა კონსლიანი ვადასახლებით ცაქურმული.

გამედულ რუს მოაზროვნეებს განუთარმა მკაცრმა სასჯელმა ვერ მოახრეინა ჭელი ტირანების წინაშე. ვადასახლებიდან დაბრუნებულმა რადიშჩევემა სახელმწიფო კომისიის წარუდგინა პროექტი გლეხთა განთავისუფლებისა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თინასწორობის შესახებ, რისთვისაც მან მიიღო სასტიკი ვაფრთხილება. ჯანმრთელობა შერყეულმა რადიშჩევემა ვერ აიტანა ვადასახლების ახალი მუქარა და თავი მოაწამლა. იგი გარდაიცვალა 1802 წელს 11 სექტემბერს საშინელ სულთბრძოლაში.

რადიშჩევი დაეცა ცარიზმთან უთანასწორო შერკინებაში, მაგრამ მისი სახელი საბრძოლო დრომად ვადაქცა მომავალი თაობისათვის. „მომავალი თაობა შურს იძიებს ჩემს ვაშთ,“ — სიკვდილის წინ წამოძახებული რადიშჩევის ეს ბოლმანარევი სიტყვები გამართლდა. რადიშჩევემა უდიდესი გავლენა მოახდინა განსაკუთრებით შემდგომი ათეული წლების რუსული რევოლუციური აზროვნების განვითარებაზე. მან გზა გაუკაფა პირველ თავდაზნაურ-რევოლუციონერებს — დეკაბრისტებს, გერცენს, ნი-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატებს.

პირველი პოეტი, რომელიც მხურვალედ გამოეხმურა XVIII საუკუნის რევოლუციური აზროვნების გიგანტს — იყო დეკაბრისტების პოეტური შთამოგონებელი — პუშკინი, იგი ღრმა ანტიერსით შეუდგა ჯერ კიდევ ლიციუმის მერხიდან რადიშჩევის გონებრივი მემკვიდრეობის შესწავლას. 1815 წელს თხზულებაში „ბოვა“ პუშკინი პოეტური მოკრძალებით იხსენიებს რადიშჩევს. ცნობალია პუშკინის „თავისუფლების“ იდეური ნათესაობა რადიშჩევის ოდასთან. პუშკინის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რადიშჩევის ბიოგრაფიის დამწე-

რის პირველი ცდა და მის სახელთან დაკავშირებული რამდენიმე წერალი. ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია რადიშჩევის ხსენება პუშკინის ცნობილი ლექსის „ძეგლის“ ადრეულ ვარიანტში:

И долго буду тем любезен я  
народу,  
Что звуки новые для песен я  
обрел,  
Что вслед Радищеву восславил  
я свободу

И милосердие воспел.

როგორც ვხედავთ, პუშკინი რადიშჩევის სახავეს თავისუფლების იდეის პირველ მედროშედ და თავის წინაპრად.

ა. გერცენი რადიშჩევიდან თავისი თაობის იდეურ დეკლარაციას უკავშირებს შემდეგნაირად: — „რასაც არ უნდა წერდეს იგი, ყოველთვის გესმის ნაცნობი სიმი, რომლის ყურისგდებას ჩვენ შევეჩვიეთ პუშკინის პირველ ლექსებშიც, რილუევის „ფიქრებშიც“, და ჩვენს საკუთარ გულშიც... ცრემლები, აღშფოთება, თანაგრძნობა, არონია... ირონია დამაწყნარებელი, შურისმგებელი — ყველაფერი ეს ვადაიშალა მის შესანიშნავ წიგნში... ეს ჩვენი ოცნებებია, დეკარტისტების ოცნებები“.

რადიშჩევი გასული საუკუნის დასაწყისიდანვე იქნა აღიარებული როგორც უდიდესი პატრიოტი. მისი „მოგზაურობა“ ეს მე-18 საუკუნის ცხოვრების ენციკლოპედიაა, რომლას ყოველი სტრუქტურული ხალხისადმი სიყვარულათაა გამთბარი. საკმაოა გავიხსენოთ, რა სინაზით და გრძნობით დაგვიხატა რადიშჩევი უბრალო რუსი გლეხი ქალი ანიუტა, რომელიც შემკობილია მადალი კეთილშობილური და გმირული თვისებებით.

თავის ნაწარმოებში რადიშჩევი დაგვინახავს მშრომელი რუსი ხალხის დიდი მორალური ძალა, რომელსაც შეუძლია გადალახოს ყოველგვარი დამბრკოლება წინსვლის გზაზე.

როცა რადიშჩევის პატრიოტიზმზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ცხოვრებასთან დაკავშირებული. შევდებთან ომის დროს, რადიშჩევი პეტერბურგი შემფოთებული იყო გუსტავ მესამის მუქარით, რომელიც ამოიღებდა და ევასშმა მოსკოვს, — რადიშჩევი განზრახული ჰქონდა მოხალისეთა შეკრება და პეტერბურგის დაცვა.

როგორც ცნობილია „ვაი-დეგვიანი“ გუსტავ მესამე რუსეთის არმიის მიერ სასტიკად იქნა დამარცხებული, ვიდრე იგი პეტერბურგს მიაღწევდა.

რადიშჩევი ყოველთვის ეროვნული სიამაყით ლაპარაკობდა თავისი ხალხის ისტორიის დიდ მოვლენებზე, ლომონოსოვი და პეტრე დიდი — ეს ორი დიდი მოღვაწე რუსეთის სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აღორძინებისა განსაკუთრებით იზადადნენ რადიშჩევის გულისყურს. „წერილში მეგობრისადმი“ რადიშჩევი ისტორიული პარალელი გაჰყავს პეტრე დიდსა და ალექსანდრე მაკედონელს შორის და ასახულებს პირველის სიდაადეს მეორესთან შედარებით. „არ შეიძლება, — დაასკენის რადიშჩევი — დიდი ეუწოდოთ ალექსანდრე მაკედონელს იმისათვის, რომ იგი „ნახევარი მსოფლიოს გამანადგურებელი“.

რადიშჩევი რევოლუციონერია მხატვრული სიტყვის სფეროშიც. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა კლასიციზმის ნორმატიულ ესთეტიკას. თავის „მოგზაურობას“ იგი რეალობის ცხოველი წყაროთი ანაყოფიერებს, რაც განსაკუთრებული ძალას მატებს მის მხატვრულ შემოქმედებას. ყურადღეას იქცევს რადიშჩევის ენა. მისი წიგნის ფურცლებზე ასახულია ხალხური ენის მრავალფეროვანება, ძარღვიანი სიტყვა. მისი გმირების მეტყველება კარგად გვამცნობს, თუ რომელ საზოგადოებრივ კლასს ეკუთვნის ისინი.

რადიშჩევი მწერალს ჰუმანიურ იდე-



აღს უსახავდა. მის მოგზაურობაში გვითხულობთ: „ნეტარ არს მწერალი, თუ თავისი კმნილებებით შესძლო გავნათებია თუნდ ერთი აღმაანი მაინც, ნეტარ არს იგი, თუ ერთ გულში მაინც დანერგა კეთილის გრძობა“. მისთვის მთავარია მწერლის პოლიტიკური და მორალური სახე. „არ არიან განა მადლობის ღირსნი მწერლები, — კითხულობს რადიშჩევი, — რომლებიც წან აღუდგნენ ძალადობასა და ჩაგვრას?“.

რადიშჩევი, როგორც ფილოსოფოსი, ერთი პირველი წარმომადგენელთაგანია მატერიალისტური აზროვნებისა მე-18 საუკუნის რუსულ სინამდვილეში. ამ თვალსაზრისით იგი 60-იანი წლების დადი რუსი დემოკრატი მატერიალისტების წინაპარია. რა თქმა უნდა, მისი მატერიალისტური კონცეფცია არათანამიმდევრული და მექანიკური იყო, მაგრამ მისი ფილოსოფიურა შეხედულებანი მნიშვნელოვანი მოვლენაა მე-18 საუკუნის რუსული აზროვნების განვითარებაში. რადიშჩევი 60-იანი წლების დიდი რუსი რაზნოჩინელების წინაპარად შეიძლება ჩავთვალოთ არა მარტო როგორც შოაზროვნე, არამედ როგორც შეუპოვარი რევოლუციური სულის აღამიანი, რომელმაც არ აცოდა რა იყო შიში, როცა საკითხი ხალხის ბედს ეხებოდა. მისი „თავისუფლება“ ხალხის უმადლესი უფლების ამოლოგია იყო, რითაც იგი მახვილს ცეშდა ტირანის და უმღეროდა თავისუფლებას.

თხულება „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე“ ერთი საუკუნის მანძილზე აკრძალული იყო. ამის გამო პუშკინი აღშფოთებით სწერდა ერთს თავის მეგობარს: „როგორ შეიძლება სტატიაში რუსული სიტყვიერების შესახებ რადიშჩევის დაეწევა, მამ ეინდა უნდა გავიხსენოთ?“ უნდა

აღინიშნოს, რომ პუშკინის მიერ დაწერილი რადიშჩევის ბიოგრაფიული ნაშრომ-რამ თავის დროზე აკრძალული იქნა. ლოდ პოეტის სიკვდილის შემდეგ 1857 წელს დაიბეჭდა. სახალხო განათლების მინისტრი უვაროვი ასე ასაბუთებდა პუშკინის აღნიშნული სტატიის აკრძალვას: „უხერხულად და სრულიად ზედმეტად მიმაჩნია აღუადგინო სხოვნა იმ მწერლისა და წიგნის შესახებ, რომლებიც სრულიად და სამართლიანად იმიწეებულა“.

მაგრამ ცარიზმის მსახურთა ყველა აღუკვეთათ რადიშჩევის სახელი და მისი წიგნის გავლენა, ამაო იყო. რადიშჩევის წიგნი რუსმა ხალხმა შეინახა, როგორც თავისუფლების აღთქმის წიგნი და მისი დამწერის წამებული სახე გულში წარუშლელად აღიბეჭდა. აღსანიშნავია, რომ როდესაც რადიშჩევი თავისი წიგნის გამო საპყრობილეში იჯდა, მან მოითხოვა მისთვის დაებატათ სახე ერთი წამებული წმინდანისა, რომელიც დილეგში ჩაუვდოთ სიმართლის გაბედული აღიარებისათვის. სურათს უნდა სწერებოდა: „ნეტარ არიან განდევნილნი სიმართლისა გამო“.

რადიშჩევის ნაწერები განათებული ცხოველი ობტიმიზმით. მას სწამს, რომ დადგება ხალხის განთავისუფლების ეამი, იგი თითქოს თვალნათლივ ხედავს მომავლის ნათელ სურათებს და ესმის თავისუფლების მიუწყებელი ზარის შორეული ხმები. „ჩემი თვალთა ცქერა — წერს „თავისუფლების“ ავტორი, — განსკვრეტს დროის სქელ კრეტსამპელს და მე ვიხედები საუკუნის მიღმა“. რადიშჩევი სწორად განსკვრეტა ბრწყინვალე მომავალი მშობელი ხალხისა, რომელიც დღეს სათავეში უდგას მოწინავე მსოფლიოს, როგორც თავისუფლების დიდი მებრძოვე.

## მეცნიერება და სხოვრება

სკამო აბილია

### აკად. ივ. პავლოვის მოძღვრება უბალსი ნარეული მოქმედების შესახებ



ჩვენი სამამულო მეცნიერება, და კერძოდ ფიზიოლოგია, თავიდანვე ხასიათდებოდა თავისი დამოუკიდებლობით, ის კი არ ბაძაედა, კვალდაკვალ კი არ მისდევდა უცხოეთის ფიზიოლოგიას, არამედ დამოუკიდებლად აყენებდა და სწყვეტდა უდიდეს ფიზიოლოგურ პრობლემებს. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ჯერ კიდევ რუსული ფიზიოლოგიის ნაადრევ საფეხურზე ივ. სენენოვის შრომები. ივ. სენენოვი მსოფლიო ფიზიოლოგიის ისტორიაში პირველმა გამოთქვა თავის დროისათვის უადრესად გაბედული, თანმიმდევრული მატერიალისტური აზრი, რომ ცხოველთა და ადამიანთა ფსიქიკური მოქმედება შეიძლება გავებულ იქნას ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, როგორც „თავის ტვინის რეფლექსები“.

ეს წმინდა თეორიული დებულება, წამოყენებული ივ. სენენოვის მიერ, თავის განვითარებას და ექსპერიმენტულ დადასტურებას პოულობს გენიოსი მეცნიერის ივ. პავლოვის მოძღვრებაში პირობითი რეფლექსების შესახებ.

პირობითი რეფლექსების მექანიზმებას ეპოქალური აღმოჩენით გაიხსნა ახალი გზა თავის ტვინის ფუნქციებასა და მთელი უმაღლესი ნერვული მოქმედების შესასწავლად. ამით იწ-

ყება ახლა ერა მსოფლიო ფიზიოლოგურ მეცნიერებაში. ივ. პავლოვი, გულისხმობდა რა ივ. სენენოვის უდიდეს მეცნიერულ დამსახურებას, კანონიერა კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „დიდი ჰემისფეროების ფიზიოლოგია უსათუოდ მიეკუთვნება რუსულ გონებას“.

უდიდესია ჩვენი სამამულო ბუნებასმეტყველების ნოვატორული როლი ფიზიოლოგიის სხვა ისეთი დარგების შესწავლაშიც, როგორცაა თავის ტვინის დიდა ჰემისფეროების ქერქის ბიოლექტრული მოვლენები, ფიზიოლოგიური მოვლენების ფიზიკო-ქიმიურა კანონზომიერებანი, აგზნების იონური თეორია, ფსიქოგალვანური რეფლექსი, შეკავების პროცესების ბუნება, ცენტრალური შეკავების რეალიზაცია ქიმიური ფაქტორებათ და ასე შემდეგ. კიდევ მრავალი ნაგალითებს მოყვანა შეიძლებოდა იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენა სამამულო ბუნებისმეტყველების მიერ, არაერთხელ იყო პირველად, დამოუკიდებლად წამოყენებული და გადაჭრილი მეცნიერების უდადესი პრობლემები.

რუსული ფიზიოლოგიის ეს კანონიერი დამსახურება კაცობრიობის წინაშე აღიარებულია უცხოეთის მრავალი მოწინავე მეცნიერის მხრივაც.



ბუნებისმეტყველების შეუჩერებელი სულა, — ამბობს პავლოვი, — დაწყებული გალაღვიდან პირველად შეჩერდა ტვინის იმ უმაღლესი ნაწილის წინაშე, რომელიც წარმოადგენს გარეგან სამყაროსთან ცხოველის ურთულესი დამოკიდებულების ორგანოს. ეს იყო, — დასძენს პავლოვი, — ბუნებისმეტყველების კრიტიკული მომენტი, რადგან ტვინი მისა უმაღლესი ფორმაციის — ადამიანის ტვინის სახით, ქმნიდა და ქმნის ბუნებისმეტყველებას, ხოლო ახლა კი თვით ხდება ამ ბუნებისმეტყველების შესწავლის ობიექტად.

თუ ბუნებისმეტყველების სხვა სფეროებში არსებობდა ზუსტი, ობიექტური მეთოდები, დიდი ტვინის ფუნქციებისა, და განსაკუთრებით, ფსიქიკური მოქმედების ასახსნელად ასეთი დეტერმინაციის პრინციპებზე აგებული ობიექტური მეთოდების გამოყენება ბუნებისმეტყველებს პრინციპულად შეუძლებლად მიაჩნდათ. ფსიქიკური მოქმედების ახსნის სფეროში ბატონობდა სუბიექტივაზმი და იდეალიზმი.

ბუნებისმეტყველები სულიერი და სხეულებრივი რიგის მოვლენებს ახილავდნენ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ამდენად მთლიანი მეცნიერული მიდგომა ადამიანის შესწავლაში არ არსებობდა. იდეალისტი ფსიქოლოგები სთვლიდნენ, რომ ადამიანი, როგორც სხეულებრივი არსება, ემორჩილება მატერიალური სამყაროს კანონებს, ხოლო როგორც სულიერი არსება, ის სდგას ამ კანონების გარეშე: „მიკროსკოპის ქვეშ სულს ვერ დაინახავ“, აი მათი ცნობილი ფორმულა.

მსოფლიო ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგებისათვის საუკუნოების მანძილზე სხეულებრივი და სულიერი

მოვლენების მეტაფიზიკური დაპირისპარების დაუძლეველი ურთიერთმეტყველად გადაღახულ იქნა. სწორედ ამ დროს იყვნენ იგი, სეჩენოვის და ივ. პავლოვის შიერ. ეს შემთხვევითი მოვლენა როდი აყო; მოწინავე რუსულ ბუნებისმეტყველებას უცხოეთის მეცნიერებისაგან დამოუკიდებლობის და ნოვატორული შემოქმედების გარდა თავიდანვე ახასიათებდა ფსაზელი, რეალისტური შეხედულება სამყაროზე; ბუნების გაგება ისე, როგორც იგი არსებობს „ყოველგვარ უცხო დამატებათა გარეშე“. რუსული ბუნებისმეტყველების ამ მოწინავე, მატერიალისტური ტრადიციების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა XIX საუკუნის რუსულმა კლასიკურმა ფილოსოფიამ, რომლის უდიდესი და ბრწყინვალე წარმომადგენლები: ჩერნიშევსკი, გერცენი, ბელინსკი, დობროლუბოვი, პისარევი, ანვითარებდნენ რა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, სასტიკად იბრძოდნენ სპეკულაციისა და იდეალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ მეცნიერებაში, ისინი ავრცელებდნენ და ნერგავდნენ მასებში მოწინავე ბუნებისმეტყველების მიღწევებს.

ამ სახელოვან მატერიალისტურ ტრადიციებზე აღიზარდა ჩვენი სამამულო პროგრესულ ბუნებისმეტყველთა მთელი პლეადა.

1863 წელს გამოდის ივ. სეჩენოვის კლასიკური ნაწევვეი: „თავის ტვინის რეფლექსები“. ამ ნაშრომით სეჩენოვმა პარველად აღიარა, რომ რეფლექსური მოქმედება ახასიათებს ცენტრალური ნერვული სისტემის არა მარტო დაბალ ნაწილებს, არამედ მის უმაღლეს ნაწილებსაც, როგორცაა დიდა ტვინის ჰემისფეროების ქერტი. მანამდე მთელი ქვეყნის მეცნიერები რეფლექსს სთვლიდნენ, უმთავრესად ზურგის ტვინის მოქმედების ფორმად, ივ. სეჩენოვა კი ფსიქიკური მოქმედე-

ბის და თვით აზროვნების საფუძვლად აღიარებს დიდი ტვინის ჰემისფერობის ქერქის რთულ რეფლექსურ პროცესებს. ტვინის მოქმედების უამრავი სახის გარეგანი გამოვლინების საბოლოო ფაქტს — სერენოვის აზრით — წარმოადგენს კუნთოვანი მოძრაობა: „იციანს რა ბავშვი სათამაშოს დანახვაზე, თუ სამშობლოს ქარბი სიყვარულისათვის დევნილი გარიბალდა იღიმება, ჰერთის ქალიშვილი სიყვარულზე პარველი ფიქრის გამო, თუ ჰქმნის ნიუტონი მსოფლიო კანონებს და სწერს მათ ქალღმერთს, — ყველგან საბოლოო ფაქტს კუნთოვანი მოძრაობა წარმოადგენს“. (ივ. სერენოვი „თავის ტვინის რეფლექსები“, 1939 წ. გვ. 3).

ცნობარების ორგანოს — თავის ტვინის შესასწავლად შესაძლებელია ზუსტი ობიექტური, ფიზიოლოგიური მეტოდების გამოყენება, ვინაიდან, რაც გინდ რთული არ უნდა იყოს ცნობარების აქტის ესა თუ ის გამოვლენა — სერენოვის აზრით — საბოლოოდ მათ აქვთ მატერიალური, რეფლექსური საფუძველი. ამით სერენოვი საფუძველი ჩაუყარა მატერიალისტურ, მეცნიერულ ფსიქოლოგიას, ის ქვეშაირტად ითვლება ფსიქოლოგიური მეცნიერების გარდამქმნელად.

ივ. პავლოვის გენიალური მოძღვრება პირობითი რეფლექსების შესახებ აღეურად დაკავშირებულია სერენოვის სახელთან.

ჩვენი გამოკვლევების გამოსავალ წერტილად, — კმაყოფილებით შენიშნავს პავლოვი, — მე მიმანია 1863 წლის დასასრული, როდესაც გამოქვეყნდა სერენოვის ცნობილი ნარკვევი „თავის ტვინის რეფლექსები“. ივ. პავლოვი ამ ნარკვევებს პირველად ეცნობა ჯერ კიდევ ახალგაზრდობის ასაკში „მედიცინისკი ვესტნიკის“ ფურცლებზე, ამით პავლოვის გონებაში პირველად მოიხაზა მომავალი სამეცნიერო გრანდიოზული სასახლის კონტურები.

ივ. სერენოვის ფორმით მისი დეკლარაცია შინაარსით დამარწმუნებელი რეკლამა არამც თუ გაბტყველებულია პავლოვი, არამედ წინასწარ განსაზღვრა მისი მომავალი შემოქმედებითი გზები. უთუოდ დადებითი როლი ითამაშა პავლოვის მომავალ სამეცნიერო მუშაობაში სახელგანთქმულმა რუსმა კლინიციტმა ბოტკანმა, სწორედ მის გავლენას უნდა მიეწეროს ის განსაკუთრებული ინტერესი „ნერვიზმისადმი“, რომელსაც იჩენდა პავლოვი მთელი თავისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში. „ნერვიზმის“ ქვეშ პავლოვი ვულისხმობდა ცენტრალურა ნერვული სისტემის უნივერსალურ გავლენას ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე. ცენტრალური ნერვული სისტემის ასეთ-უნივერსალური როლის იდეა მან შემდეგში განავითარა ფიზიოლოგიის ყველა დარგში, ამ თვალსაზრისით სწავლობს ის ჯერ კიდევ თავის მეცნიერულ მუშაობის ნაადრევ ეტაპზე სახსლის მიმოქცევის საკითხებს, ამ თვალსაზრისს თანმიმდევრობით ატარებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქმლის მონელების ფიზიოლოგიის შესწავლის სფეროშიც, სადაც შეისწავლა და დაიდასტურა ნერვული სისტემის გავლენის ხასიათი და პირობები საქმლის მონელებას პროცესში. თვით პირობითი რეფლექსების მოძღვრებაც კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პავლოვის „ნერვიზმის“ ლოგიკური ვაკრძელება. ასეთი იყო დაახლოებით ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც ითამაშა არსებითი როლი პირობითი რეფლექსების მეთოდის აღმოჩენაში.

••

ჯერ კიდევ პავლოვამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, რომ თუ ძალს ვაწოდებთ საკვებს, მისი სანერწყვე ჯირკვლებიდან იწყება ნერწყვის გამო-

ყოფა. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა საკვების მიღებაზე გამოეყოფა სხვადასხვა რაოდენობის და სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის ნერწყვი. ეს არის ნერწყვის გამოყოფის თანშობილა რეფლექსი. ფიზიოლოგიაში ასეთი რეფლექსის მექანიზმი ჯერ კიდევ პავლოვამდე იყო ცნობილი: პირში მოხვედრილი საკმელი ალიზიანებს პირას ღრუს მგრძობელი ნერვის დაბოლოებებს, აქედან გალიზიანება გადაეცემა პერიფერიიდან ცენტრისაკენ მიმავალი გზათ— მოგრძო ტვინს, სადაც იმყოფება ნერწყვის გამოყოფის სარეგულაციო ცენტრო. აგზინება, ამ ცენტროდან გადაეცემა ცენტრიდან პერიფერიისაკენ მიმავალი გზით— სანერწყვე ჯარკვალს, ეს უკანასკნელი კი იწვევს ნერწყვის გამოყოფას. ეს არის უბრალო რეფლექსური აქტი, მისი გამოვლინებისათვის არ არის საჭირო არავითარი სხვა პირობები გარდა ერთისა, სახელდობრ საკვება მოხვდეს მშიერი ცხოველის პირში. ამიტომ თანშობილი რეფლექსი პავლოვის ტერმინოლოგიით იწოდება— უპირობო რეფლექსად. ამ რეფლექსის შემსრულებელი აპარატები ცხოველებს და ადამიანებს უკვე დაბადებიდანვე აქვთ მოცემული მზა სახით. ცნობილი იყო აგრეთვე ის მოვლენაც, რომ ნერწყვი გამოეყოფა არა მარტო საკმლის პარში მოხვედრისას, არამედ მის დანახვაზე, სუნზე და სხვა.

ჩვეულებრივ ლაპარაკი, ან გაფიქრება გემრიელ საკმელზე, ლიმონზე, ბროწიულზე და სხვა, იწვევს ნერწყვის გაძლიერებულ გამოყოფას იმ შემთხვევებში, როდესაც ნერწყვის დენა იწყება არა ჭამის, არამედ მხოლოდ საკმლის ჩვენების, ან მას სუნზე და სხვა, მიჩნეულ იყო როგორც „ფსიქიკური ნერწყვის დენა“. ამ შემთხვევაში საკმელა უშუალოდ კი არ ალიზიანებს პირის ღრუს, არამედ როგორც გამლიზიანებელი მოქმედებს მანძილიდან. თუ ნერწყვის გამოყოფა იმ დროს, როდესაც

საც გამოლიზიანებელი მოქმედებს, ემყოფოდ პირის ღრუში ფიზიოლოგების მიერ აღიარებული იყო რეფლექსური მანძილიდან გამოწვეული გამლიზიანება (საკმლის დანახვა, მისი სუნი და სხვა) შედეგად გამოწვეული ნერწყვის გამოყოფა მათ მიანდად ფსიქიკურ, გონივრულ მოვლენად.

პავლოვს საკითხის ასე გადაწყვეტა ოდნავადაც არ აკმაყოფილებს. მას უნდა სხვაგვარად მოიქცეს, გამოიხატოს თავის ტვინში მიმდინარე საიდუმლო პროცესების ასახსნელად სხვა საშუალებები. „ფსიქიკური“, „გონივრული“, ეს ისეთი სიტყვებია, რომლებსაც მოვლენების ასახსნელად ვერ გამოიყენებ; „გონება, თანახმა ვარ, ლამაზი სიტყვაა, მაგრამ რა ღარებულება აქვს მას? რას უხამ მას? რაში გამოიყენებ მას? ეს ხომ ციხე-სიმაგრეა! გრანიტის კედელი!“

მეცნიერის წანაშე დგება დილემა: ან უნდა დაეთანხმო იმ აზრს, რომ გონება დარჩება, როგორც გამოუცნობი „ნივთი თავისთავად“, მის შესასწავლად უნდა აღიკვეთოს ყოველა გზები, ან უნდა უარყო ეს და გამოიხატოს გონების შესწავლის სხვა მეთოდები... პავლოვის კემპარიტების მაძიებელი გენაა ვერ წავიდოდა პირველი გზით, ის ვერ შეჩერდებოდა „ფაქტების ზედამიზნე“. პავლოვი ხომ მოითხოვდა მეცნიერისაგან: „არ უნდა დარჩე ფაქტების არქივარაუსად, ეცადე ჩასწვდე მათ საიდუმლოებას, დაეინებოთ ეძიე კანონები, რომლებიც მათ მართავენ“.

ვადის დრო... პავლოვა იგონებს ათასგვარ გეგმებს, აყენებს უამრავ ექსპერიმენტებს. მაგრამ მოვლენის არსის გასაღებთან მისვლა მაინც მწელებდა. — არა, აქ უნდა იყოს სხვა გამოსავალი, დაეინებოთ იმეორებს პავლოვი, გონება არ არის უკანასკნელი საშუაარი, ის იმალება მატერიალურ სფეროში, ტვინში, და თვით უნდა იყოს მატერიალური —.

„გონება, გრძნობა... ხასიათი, — მოა-  
ჭონდა პავლოვს პისარევის საყვარელი  
სიტყვები, — ყველა ესენი საბიფათო  
და გამოუყენებელი სიტყვებია, ისანი  
წრდილავენ ცოცხალ ფაქტებს და არა-  
ვინ არ იცის, ნამდვილად თუ მის ქვეშ  
რა იმალება“.

ასევე აღგა მის მესსაერებაში ჯერ  
კიდევ სიკბაუკის დროს წაითხული  
სტენოვის „თავის ტვინის რეფლექსე-  
ზის“ შთაბეჭდილებები. „ინტიმური და  
ხადრძლო, აუხსნელი და სასწაულებ-  
რები — მოვლენები ახსნას პოულობს  
ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, თა-  
ვის ტვინის რეფლექსებში“.

ამ მოგონებების გავლენით პავლოვს  
გზადება გენიალური აზრი, რომ ფსიქი-  
კური ნერწყვის დენა არის თავის ტვი-  
ნის რეფლექსი და სხვა არაფერი. ეს  
შოსაზრება პავლოვმა ბრწყინვალედ და-  
დასტურა თავისი კლასიკური ექსპერი-  
მენტებით. ამრავად პავლოვის გენიამ  
აღმოაჩინა, რომ „ფსიქიკური ნერწყვის  
დენა“ რეფლექსია და მის შესასწავ-  
ლად, ისე როგორც ბუნებისმეტყველე-  
ნის სხვა სფეროში, შესაძლებელია  
ობიექტური პრინციპების გამოყენება.  
ამით პავლოვმა დაიცვა ფიზიოლოგიის  
უფლებები ცხოველთა ე. წ. „ფსიქიკუ-  
რი“ „სულიერი“ მოქმედების შესწავ-  
ლის სფეროში. პავლოვი ხშირად იმეო-  
რებდა: „ნატურალისტისათვის ყველა-  
ფერი მეთოდშია“, და ამ აღმოჩენილი  
მეთოდით — პირობითი რეფლექსების  
შეთოდით, იწყება არსებითად ახალი  
მოდერნება თავის ტვინის უმალესი  
ნაწალების მოქმედების შესახებ. ნერ-  
წყვის გამოყოფის რეფლექსი საკმლის  
ღანახვაზე, სუნზე და სხვა, არის რეფ-  
ლექსი, მაგრამ განსაკუთრებული კატე-  
გორიისა. ამ რეფლექსის თავისებურე-  
ბა მდგომარეობს იმაში, რომ ის არ  
წარმოადგენს თანშობილს, როგორც  
არის უპირობო რეფლექსი, არამედ მა-  
სი. გამომუშავება ხდება ცხოველებსა  
და ადამიანებში ინდივიდური სიცოცხ-

ლის განმავლობაში გამოცდილების ნი-  
დაზე. განსხვავებით უპირობო რეფ-  
ლექსისაგან, ისინი არ გამოიწვევი-  
ხასიათის და დამოკიდებულნი არიან  
მრავალ პირობისაგან, ამიტომ ასეთ ტი-  
პის რეფლექსს პავლოვმა უწოდა პი-  
რობითი რეფლექსი. კლასი-  
კურა ცდები, რომლითაც დაიწყო პავ-  
ლოვის გამოცვლევები, მდგომარეობს  
შემდეგში: ძალს ლოყაზე უკეთდება  
ფისტულა (ხერელი), რომელშიაც სა-  
ნერწყვე-ჯირკვლის სადინარი ისეა გა-  
მოყვანილი, რომ ნერწყვი ხერელიდან  
პირდაპირ გარეთ გამოდის. სადინარის  
ირგვლივ კანზე მიერულია პატარა ძაბ-  
რი. ძაბრიდან ნერწყვი იკრიფება პატა-  
რა გრადუირებულ შუშაში, რომელიც  
ძაბრზეა დაკიდებული. ამგვარ ოპერა-  
ციამწინ ცხოველს აყენებენ დაზავზე,  
რომელიც ოდნავ ზღუდავს მის მოძრა-  
ობებს. საკმლის ყოველი მიწოდების  
დროს ხდება ნერწყვის განსაზღვრული  
რაოდენობით გამოყოფა, ეს წარმოად-  
გენს თანშობილ ანუ უპირობო რეფ-  
ლექსს. შემდეგ, თუ გარკვეულ ბეგრას-  
თან ან განათებასთან რამდენიმეჯერ  
დავეუკავშირებთ საკმლის მიწოდებას,  
ძალისათვის საკმარასი იქნება მართო-  
ხმის გაგონება, ან სინათლის ღანახვა  
(საკმლის მიწოდების გარეშე), რომ  
გარკვეული რაოდენობის ნერწყვი გა-  
მოეყოს. ნერწყვის ამგვარა გამოყოფა  
წარმოადგენს პირობით რეფლექსს.  
ნერწყვის გამოყოფა ჰამის დროს წარ-  
მოადგენს თანშობილ, უპირობო რეფ-  
ლექსს, რომელიც ძალლების მთელი  
სახეობისათვისაა დამახასიათებელი, მაგ-  
რამ არცერთი ძალლი სინათლეზე  
ნერწყვის არ გამოყოფს, თუ განათება  
და საკმლის მიწოდება ერთდროულად  
მრავალჯერ არ იქნა განმეორებული.  
მაშასადამე, პირობითა რეფლექსები  
შეიძინება ორგანიზმის ინდივიდური  
სიცოცხლის პირობებში და გამოიხატე-  
ბა გარემო გამღიზიანებელზე საპასუხო  
რეფლექსურ რეაქციებში. თუ უპირო-

მო რეფლექსების მექანიზმები ხორციელდება ცენტრალურა ნერვული სისტემის დაბალი ნაწილების საშუალებით, პირობითი რეფლექსების რეფლექსური რკალი აუცილებლად გაივლის დიდი ტვინის შემსფეროების ქერქში.

რა მექანიზმით ხორციელდება პირობითი რეფლექსები? ივ. პავლოვის მიერ ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ პირობითი რეფლექსების გამოშვება იწვევს აუცილებელ ანატომიურ პირობას წარმოადგენს დიდი ტვინის შემსფეროების ქერქა.

ძალზე ოპერაციული გზით მოშორებულ იქნა დიდი ტვინის ყველაზე ურთულესი ნაწილი „ზედა სართლი“, სახელდობრ დიდი შემსფეროების ქერქი; მისი მოცილების შემდეგ ცხოველზე ყველა პირობითი რეფლექსი გაქრა და ხელახლა არაოდეს არ გამოვლინებულა. მიუხედავად მრავალგზის წარმოებულა ექსპერიმენტებისა, ასეთ ოპერაციამინილ ძალზე შეუძლებელი შეიქნა რაიმე პირობითი რეფლექსების გამოშვება. ძალს შერჩა მხოლოდ სიარულის, ძილისა და ჭამის უნარი, მაგრამ არ შეეძლო საკვების მოტაცება, ვერ სცნობდა პატრონს, ქუჩაში გაშვებული ასეთი ძალი დაიღუპებოდა პირველ შემხვედრი ტრანსპორტისაგან. ამ ცდიდან ნათლად სჩანს, რომ ძალს დიდი ტვინის ქერქის მოშორების შემდეგ შერჩა მხოლოდ და მხოლოდ თანშობილი ანუ უპირობო რეფლექსები: სიარული, ჭამა და სხვა. რომელიც ხორციელდება ზურგის ტვინის და თავის ტვინის დარჩენილი ნაწილების საშუალებით. ხოლო ისეთი რთული აქტები, როგორცაა: ჩვევა, წაბაძვა და საერთოდ ის, რაც ქცევის შინაარსს შეადგენს, ცხოველმა დაჰკარგა. როგორც ჩანს, დიდი შემსფეროების ქერქის მოშორების შემდეგ ცხოველმა დაჰკარგა ყველა ის დასწავლილი რეაქციები, რაც მან პირადი, ინდივიდუალური ცხოველის განმავლობაში შეიძინა,

ე. ი. გარემოსთან შეგუების პროცესში გამოქვეყნებული პირობითი რეფლექსები. ამგვარად, ივ. პავლოვმა ნათლად დაამტკიცა, რომ პირობითი რეფლექსები დაკავშირებულია თავის ტვინის „ზედა სართლის“ დიდი შემსფეროების ქერქის უმაღლესი ნერვული ცენტროების მოქმედებასთან. თუ ნერწყვის გამოყოფის უპირობო რეფლექსის დროს პირში მოხვედრილი საქმლით გამოწვეული გაღიზიანება გემოვნების აპარატებიდან გადაეცემა მოგრძო ტვინს და აქედან კი სანერწყვე ჯირკვლებს, პირობითი რეფლექსების რეფლექსური რკალი გარდა მოგრძო ტვინისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აუცილებლად გაივლის დიდი ტვინის შემსფეროების ქერქში. მაგ., სინათლეზე ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსის მექანიზმი ასეთია: გაღიზიანება (განათება) იწვევს მხედველობის რეცეპტორის (თვალის ბადურა) გაღიზიანებას, აქედან წარმოშობილ აგზნებაში დიდ შემსფეროების ქერქის მხედველობის ცენტროებში, სადაც წარმოშობა აგზნების კერა. თუ განათებასთან ერთდროულად ცხოველს ვაწვდით საკვებს, შეიქმნება ნერწყვის გამოყოფის უმაღლეს ცენტროში აგზნების მეორე კერა, აგზნების ამ ორ კერას შორის თანდათანობით გაიკაფება ფიზიოლოგიური გზები, ე. ი. მყარდება „დროებითი კავშირები“. სწორედ ეს „დროებითი კავშირები“ უზრუნველყოფენ მხედველობის ქერქული ცენტროდან აგზნების გადასვლას ნერწყვის გამოყოფის ცენტროსაკენ. ამრიგად გაღიზიანება მხედველობის რეცეპტორიდან შილის შემსფეროს ქერქის მხედველობის ცენტროში, აქედან დროებითი კავშირის საშუალებით ნერწყვის გამოყოფის ცენტრომდე. ხოლო ამ უკანასკნელით — ხდება ნერწყვის გამოყოფა. აღსანიშნავია, რომ ეს ფუნქციონალური კავშირები ცხოველს დაბადებისას არ დაეყუ-

ბა მზა სახით, ის მყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე ამ ცენტრობის ერთდროული აგზნება სულ მცირედ ერთხელ მაინც მოხდა.

სწორედ ამიტომაც, რომ პირობითი რეფლექსი გამომუშავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირობითი გალიზიანება მრავალჯერ იქნა თანხედენილი უპირობო გალიზიანებასთან (მაგ., საკვებთან). როგორც ჩანს, პირობითი რეფლექსები ძალიან ტიპის რეფლექსიაა, რომელსაც საფუძვლად უდევს დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქულ ცენტროებს შორის ფიზიოლოგიური კავშირების განვითარება. ამდენად პირობითი რეფლექსები თავის ტვინის ჰემისფეროების ქერქის ძირათადი ფუნქციების გამოვლინების ფორმას წარმოადგენს; ეს ისეთი რეფლექსიაა, რომელიც ანტიმურად დაკავშირებულია ფსიქიკურ პროცესებთან: — თუ ნერწყვი გამოიყოფა საკვების დანახვაზე, მის სუნზე და მასზე წარმოდგენითაც კი, ვინ შეეძლება იმაში, რომ ამ შემთხვევებში ნერწყვის რეფლექსის ფიზიოლოგიურ ფუნქციას უშუალოდ თან სდევს ესა თუ ის ფსიქიკური მდგომარეობა. (დ. ბირიუკოვი).

პირობითი რეფლექსების საყურადღებო თვისებას წარმოადგენს მისი დროებითი, არა მყარი ხასიათი. თუ ცხოველი ყოველთვის ღებულბს საკვებს, რომელიმე პირობით გალიზიანებაზე — ეს უკანასკნელი ყოველთვის დარჩება კვების სიგნალად, მაგრამ თუ ისე შეიცვალა გარემოება, რომ ცხოველს შეუწყდა ამ გალიზიანებაზე საკმლის მიღება, ცხოველი პირველ ხანებში „შეცდება“, გამღიზიანებელზე უპასუხებს კვების გარკვეული რეაქციით, ხოლო შემდეგში პირობითი რეფლექსური მოქმედება თანდათანობით მცირდება და ბოლოს კი ქრება. პირობითი რეფლექსების ჩაქრობას აქვს უდიდესი ბიოლოგიური მნიშვნელობა ცხოველთა გარემო არეს-

თან შეგუების პროცესში. დიდი პეკანსფეროების ქერქი ინახავს საჭირო კავშირებს გარემოსთან, ხოლო ცხოველს კი გარემო შეიცვლება, ის სწყვეტს ძველს და ამყარებს ახალ უფუნქციონალურ კავშირებს — შეცვლილ გარემო პირობების შესაბამისად. ეს კი უზრუნველყოფს ცხოველის შეგუების აქტების (ამოუწურავ) შესაძლებლობას მუდმივ ცვლებად გარემო პირობებთან. — ცენტრალური ნერვული სისტემის გარემო პირობებთან შეგუების ეს შესანიშნავი უნარი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა, საფუძველია ცხოველთა სამყაროს სახეობითი ევოლუციისა, ამიტომ აუცილებელია პავლოვის მოძღვრება განვიხილოთ დარჯინიზმთან კავშირში. დარჯინმა მოგვცა ევოლუციისა და შეგუების მატერიალისტური თეორია, ხოლო დარჯინისათვის უცნობი დარჩა ის ნერვული მექანიზმები, რომლებიც განაგებენ შეგუების ამა თუ იმ აქტს; ამ მექანიზმების აღმოჩენა, ე. ი. დარჯინის თეორიაში კონკრეტული ფიზიოლოგიური შინაარსის ჩადება ეკოთენის მხოლოდ და მხოლოდ პავლოვის გენიას, ამდენად პავლოვის მოძღვრება წარმოადგენს დარჯინიზმის პრინციპების განვითარებას ფიზიოლოგიაში.



პირობითი რეფლექსების გამომუშავება და ჩაქრობა დაკავშირებულია დიდი ტვინის ჰემისფეროების ქერქში მიმდინარე ორ ურთიერთ დაკავშირებულ, ანტაგონისტურ პროცესებზე — აგზნებასა და შეკავებაზე. ამ პროცესების ნიადაგზე პავლოვმა გამოიკვლია და ახსნა ისეთი რთული მოვლენების ფიზიოლოგიური საფუძვლები, როგორიცაა ძილი და ჰიპნოზი. თავის ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად დადი ტვინის ნორმალური და ავადმყოფური მოქმედების შესწავლის საფუძველზე პავლოვი მიღის იმ დასკვნამდე, რომ

ძილა არის დიდი ტვინის ქერქის და უახლოესი ქერქქვეშა კვანძების უჯრედების შეკავება, ჰიპნოზი — ეს არის ნაწილობრივი ძილა, ე. ი. თავის ტვინის ცალკეული წილების შეკავება. ძილისა და ჰიპნოზის ამ ფიზიოლოგიური საფუძვლების გამოჩნება დიდ მიღწევას წარმოადგენს საერთოდ ბიოლოგიისთვის და კერძოდ პრაქტიკულ მედიცინისათვის. ივ. პავლოვის ლაბორატორიაში სხვადასხვა ცხოველებზე წარმოებული უამრავი ცდების შედეგად თანდათანობით ნათელი შეიქნა ერთი გარემოება, — სახელდობრ დიდი ჰემისფეროების ქერქში წარმოებული ორი ძირითადი პროცესის — აგზნებისა და შეკავების შეფარდება, ძალა და ძვრადობა სხვადასხვა ცხოველში შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს. ასე ჩაეყარა საფუძველი პავლოვის მოძღვრებას ტემპერამენტზე ანუ უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპებზე. დადგინდა იქნა ორა უკიდურესი ტიპი ძლიერი და სუსტი. ამ ორ უკიდურეს ტიპს შორის იმყოფება მთელი რაგი გარდამავალი ტიპები. იცვლება თუ არა სუსტი ტიპების ნორმალური ფუნქცია, როდესაც ისინი მძიმე სასიცოცხლო პირობებში მოხვდებიან? (თათქოს პავლოვს ბუნებამ საგანგებოთ მოუწყო სტიქიური „ექსპერიმენტი“. 1924 წ. შემოდგომაზე ლენინგრადში იწყება უდიდესი წყალდიდობა. წყალდიდობის დროს პავლოვის ლაბორატორიის ვივარიუმში დახრჩობისაგან იხსნეს მრავალი საექსპერიმენტო ძალღა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ძალღს ამ საზარელი სცენის გადატანის შემდეგ, მანამდე გამოიშვებულნი ყველა პირობითი რეფლექსა გაუქრა, შეუწყდა ნერწყვის გამოყოფა პირობითი გამოიზიანებელზე, დაერღვა გარემოს მიმართ ჩვეული რეაქციები და სხვ. თავიდანვე ლაბორატორიას თანამშრომელების ყურადღება მიიპყრო ერთმა ძალღმა, რომელიც მიუხედავად გარეგნულად სრულიად სა-

ლი შეხედულებისა, განსაკუთრებით „შეკავებულ“ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ძალი საკვები პროდუქტების მიმართ გახდა სრულიად განურჩეველი, შესწყვიტა ჭამა, ხოლო ძლიერი ინტენსიობის ბგერათი გაიზიანება იწყებოდა გაშვებისას.

დიდ ხანს ჩვენ ვერ მივხვდით, ამბობს პავლოვი, — თუ რაში იყო საქმე, ბოლოს მოგვივინა აზრი, რომ უნდა გრძელდებოდეს ის ძლიერი ეფექტი, რომელიც წყალდიდობასთან იყო დაკავშირებული. გადის წყალდიდობიდან ორა თვე, ძალი უკვე უბრუნდება ნორმალური მდგომარეობის. ამრიგად ძალღმა გადაიტანა „რეაქციული ნერვოზი“. პავლოვმა თავის მოწაფეებთან ერთად სცადა წყალდიდობის ცალკეულ კომპონენტების გაკვლევის დაკვირვება. ძალღის ოთახში, კარებს ქვეშ გაშვებული წყლის შადრევანის დანახავზე ცხოველა სწრაფად გაშმაგდა, ღმუროდა და შიშისაგან თრთოდა. ეს ძალი იყო სუსტი ნერვული ტიპისა, რომელმაც მძიმე სასიცოცხლო პირობებში დაკარგა ნორმალური მოქმედების უნარი, და ყველაზე მეტად „განიცადა“ წყალდიდობის საზარელი სცენა. ამგვარ მოვლენებში პავლოვმა ნახა ძალღის ნევროზული მდგომარეობის ნიშნები, რამაც დაუბადა აზრა: ხომ არ არის შესაძლებელი ექსპერიმენტულად იყოს ძალღზე მიღებული ნევროზული მდგომარეობა? და აი პავლოვის გენია სწერს პირობითი რეფლექსების ისტორიაში ახალ თავს: „მოძღვრება ექსპერიმენტულ ნევროზებზე“.

უწინარეს ყოვლისა, პავლოვი დაინტერესდა, თუ რა პირობებზეა დამოკიდებული ნერვული მოქმედებას ესა თუ ის ტიპი, რაა დამოკიდებული ცხოველის ინდავიდური განვითარების პირობებზე და რაა დაკავშირებული მემკვიდრეობითი ფაქტორების გავლენასთან.

„პირობითი რეფლექსების დედაქალაქში“ კოოლტუში (ლენინგრადთან

ახლოს) ამ მიზნით ჩატარებული იყო სპეციალურა ცდები. აღმოჩნდა, რომ ნერვული ტიპები შესაძლებელია მიღებულ იქნას ექსპერიმენტულად დამოუკიდებლად მათი შემკვიდრებითა მონაცემებისა. ასე, მაგალითად, ნერვული მოქმედების სუსტი ტიპი პიღებულ იყო ექსპერიმენტულად იმ ლეკვებთან, რომლებიც სრულიად იზოლირებული იყვნენ გარეგან წრის ჩვეულებრივ მოქმედებისაგან. ცდებით დადასტურდა, რომ თუ ამ ცხოველებზე ვიმოქმედებთ სათანადო აღზრდის, გაწვრთნის გზით, შესაძლებელია მნიშვნელოვნად გამოვასწოროთ და გავამაგროთ მისი ნერვული მოქმედება. პირობითი რეფლექსების და შემკვიდრების საკითხზე პავლოვის ლაბორატორიაში დაყენებული იყო სპეციალური ცდები მოშინაურებულ თეთრ თავეებზე.

ცდები ითვალისწინებდა პირობითი რეფლექსების გამომუშავების სისწრაფეს თავებებს რამდენიმე თაობამ და აღმოჩნდა, რომ პირობითი რეფლექსების გამომუშავების სისწრაფე მატულობდა თაობიდან თაობამდე. მისი გამომუშავების უნარის განმტკიცება ხდებოდა შემკვიდრებითი გზით. ამ საკითხზე პავლოვის ამერიკაში გამოსვლას კატეგორიული წინააღმდეგობით შეხვდა ფორმალური გენეტიკის ლიდერი პროფ. მორგანი. ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო, ზემოთხსენებული ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ცხადი ხდებოდა ევისშანმენდელ-მორგანის კონცეფციის ანტიმეცნიერული, მეტაფიზიკური ხასიათი.



იგ. პავლოვმა თავისი პირობითი რეფლექსების მწყობრი, ექსპერიმენტული დასაბუთებული თეორიით, პირველმა მსოფლიო ფიზიოლოგიურ მეცნიერებამ.

ში უმაღლესი ნერვული მოქმედების შესწავლა დაუახლოვეს ექსპერიმენტორის, ფიზიოლოგმა მ. შაჩინმა მან აღმოაჩინა ფსიქიკური მოქმედების ფიზიოლოგიური მექანიზმები: „ფსიქიკური მოქმედება არის თავის ტვინის განსაზღვრული მასის ფიზიოლოგიური მოქმედების შედეგი“. И. П. Павлов „Условные рефлексы“. „Большая медицинская энциклопедия“, т. 33, ст. 431). ზოგჯერ საქმის ვითარება ისე წარმოუდგენია, რომ თითქოს პავლოვმა რთული ფსიქიკური პროცესები ადამიანის ცნობიერების ჩათვლით დაიყვანა, უმაღლესი ნერვული მოქმედების, იმ უბრალო ფორმის, პირობითი რეფლექსებამდგომლებიც მიაღება ძალღებზე ექსპერიმენტის დროს, სინამდვილეში კი პავლოვი ყოველთვის აფრთხილებდა ამ მხრივ თავის მოწაფეებს და საკითხს ასეთი გაუბრალოების სახტკი წინააღმდეგი იყო. ის სრულებით არ ფიქრობდა ძალღის თავის ტვინზე მიღებული ფიზიოლოგიური მონაცემების უშუალოდ, მექანიკურ ვადატანას უფრო რთულ, მოზროვნე ტვინსა და სოციალურ არსებაზე—ადამიანზე. დამახასიათებელია ის გარემოება, თუ როგორი აღმფოთებით ივონებდა პავლოვი მისი მუშაობის შესახებ ამერიკაში ღემონატრირებულ ფილმს—„გონების მექანიკის“ სახელწოდებით: „მე მაშინ ძალზე გავბრაზდი. ასეთი იდიოტური სახელწოდება, რომელთანაც მე არასოდეს არაფერი საერთო არ მქონია!“. იგ. პავლოვი ისე როგორც ბუნების მეორე დიდი გარდამქმნელი მიჩურინი, მეცნიერების დანიშნულებას ხალხის სამსახურში, მისი პრაქტიკული ამოცანების ვადაკრაში ხედავდა. თავის სიტყვების უკანასკნელ ხანებში პავლოვი სპეციალურად დაინტერესდა დაკვირვებოდა ნერვულ და ფსიქიკურ ავადმყოფებს და შეესწავლა ის მექანიზმები, პათოლოგიური პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ დაავადებებს.



მაგრამ რა გზით შეიძლება ლაბორატორიას კლინიკასთან დაახლოება, როგორ მივედგეთ ამ თვისობრივად ახალ ობიექტს „იარაღის მკვთებელ ცხოველს“ — მისი ნორმისა და პათოლოგიის შესწავლის დროს? და აი პავლოვი ხაზავს თავის ახალ ე. წ. „მეორე სიგნალური სისტემის“ მოძღვრების კონტურებს. მეორე სიგნალური სისტემის განვითარება დაკავშირებულია იმ ბიოლოგიურ წინამძღვრებთან და საზოგადოებრივ ყოფიერებასთან, რომლებმაც უზრუნველყო გაადამიანების პროცესება: „ჯერ შრომა, ხოლო შემდგომ და მასთან ერთად ენა — აი ის ორი უმთავრესი სტიმული, რომელთა ზეგავლენით მაიმუნის ტვანი თანდათანობით ადამიანის ტვინად იქცა, რომელიც, მიუხედავად მაიმუნის ტვინთან მთელი მსგავსებისა, ბევრად აღემატება მას სიდიდითა და სრულქმნილობით“. (ფრ. ენგელსი „შრომის როლი მაიმუნის გაადამიანების პროცესში“. 1945 წ. გვ. 9—10).

პირობითი რეფლექსებით ცხოველი უშუალოდ აღიქვამს გარეგან სამყაროს გრძნობათა ორგანოების (თვალი, ყური, ცხვირი და სხვა) საშუალებით. ამ რეფლექსურ აქტებს, რომლებიც მიიღება ამგვარი გალიზიანების გზით, პავლოვმა უწოდა „პირველი სიგნალური სისტემა“. ეს სიგნალური სისტემა შედარებით მარტივია და საერთოა, როგორც ადამიანთა, ისე ცხოველთათვის. ხოლო მეორე სიგნალური სისტემა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეადგენს ის დაკავშირებულია მეტყველების განვითარებასთან და წარმოადგენს სიტყვიერ სიგნალების სისტემას. მეორე სიგნალური სისტემით შემოდის ნერვულა მოქმედების ახალი პრინციპები — განზოგადოება, ცნებები, სიმბოლოები და სხვა, რომლებიც ბიოლოგიურად დაკავშირებულია დიდი ჰემისფეროების ქერქის „სპეციფიკურ ადა-

მიანური“ წილების, განსაკუთრებით შებლის წილის განვითარებასთან. მეორე სიგნალური სისტემა მსგავსებულია განუზომელად უფრო რთულად, ვიდრე პირველი, მაგრამ აქაც შესაძლებელია იმ ობიექტური, ფიზიოლოგიური კანონზომიერების გათვალისწინება, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ პროცესებს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ზოგს ჰგონია, თითქოს პავლოვი წინააღმდეგი იყო ფსიქიკური, ცნობიერი მოვლენების შესწავლისა, და ამდენად ის უარყოფდა ფსიქოლოგიის მეცნიერულ მნიშვნელობას რაც არ შეეფერება სინამდვილეს.

ცნობილია, რომ პავლოვი წინააღმდეგი იყო, და სრულიად სამართლიანად, იმ გარემოებისა, თითქოს შესაძლებელია ფსიქიკური გამოვიყენოთ, როგორც ამხსნელი პრინციპი, მაგრამ ის სრულიად არ უარყოფდა ფსიქიკურს, ცნობიერს. როგორც ამხსნისა და კვლევის ობიექტს.



ივ. პავლოვი თავის ხანგრძლივი სიცოცხლის და მეცნიერული მოღვაწეობის ყოველ ეტაპზე გამოდის, როგორც თანმიმდევარი მეტროპოლი მატერიალისტი. ემპირიული ფაქტების ღრმა ანალიზის და მისი კანონზომიერების აღმოჩენის საფუძველზე პავლოვი არაერთხელ მიდის ფაქტების დიალექტიკურ განზოგადოებაზე. ეს ბუნებრივია, რადგან „საგანთა დიალექტიკა, ქმნის იდეათა დიალექტიკას...“ (ლენინი). ივ. პავლოვის მოძვრება უმაღლესა ნერვული მოქმედების შესახებ წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის



საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ საფუძველის ერთ-ერთ დასაბუთებას.

პავლოვმა თავისი მოძღვრებით დადასტურა დიალექტიკური მატერიალიზმის ერთი ძირითადი დებულება, რომ „აზროვნება არის პროდუქტი მატერიისა, რომელსაც თავის განვითარებაში მიაღწია სრულყოფის მაღალ ხარისხს, სახელდობრ — ეს არის ტვინის პროდუქტი, ხოლო ტვინი აზროვნების ორგანოა...“ („საქ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 135 1938 წ.)

პავლოვის მიერ შექმნილ მეცნიერების ახალ დარგს ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა ბუნებისმეტყველებისათვის, რადგან მან ამათ საბოლოოდ გაამყვამისტიკა თავის უკანასკნელ თავშესაფარიდან.

ფსიქიკის მატერიალისტური ვაგება პავლოვის მიერ შეესებულ იქნა კონკრეტული შინაარსით („ფიზიოლოგიური მექანიზმები და მორფო-ფიზიოლოგიურა კორელაციები“). რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მატერიალისტური ფსიქოლოგიის განვითარებას.

უმალესი ნერველა მოქმედება არის ფსიქიკური მოვლენებას მატერიალური საფუძველი, რომლითაც აახსნება ფსიქიკური მოვლენების მექანიზმები; ხოლო, რაც შეეხება ადამიანურ აზროვნების შინაარსს, ის წარმოადგენს ადამიანის ტვინში ბუნებისა და საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვას.

ივ. პავლოვის მოძღვრების მოკლე ანალიზიც კი ნათლად მეტყველებს, რომ პირობითა რეფლექსების თეორიას აქვს არა მარტო საბუნებისმეტყველო-მეცნიერული, არამედ უდიდესი მსოფლმხედველობითა მნიშვნელობაც. ამიტომ სრულიად არაა შემთხვევითი პავლოვის მოძღვრებაზე ის თავდასხმები, რომელსაც აწარმოებენ ბურჟუაზიულა ბუნებისმეტყველები, განსაკუთრებით კი ინგლისელ-ამერიკელი ფიზიოლოგები პოლიტიკური რეაქციის უფრო და უფრო გაძლიერების პირო-

ბებში.

როგორც ისტორიულად ცნობილია, ცნობიერების მატერიალისტური ბიდან დამოკიდებულების აღიარება იდეალისტების მხრიდან ყოველთვის წარმოადგენდა ერთერთ ცენტრალურ თავდასხმის პუნქტს და აი ცნობილი ინგლისელი ფიზიოლოგი და ამჟვე დროს დიდი რეაქციონერი ფილოსოფიაში ჩ. შერინგტონი ჯერ კიდევ 1934 წ. თავის საჯარო ლექციაში პირდაპირ აცხადებდა, რომ ჩვენ გონებას „არა აქვს არავითარი დამოკიდებულება ტვინის მოქმედებასთან“. იგივე მეცნიერი პავლოვის მისამართით ამბობდა: „პირობითი რეფლექსები ვერ ჰპოვებენ თავის გავრცელებას ინგლისში, რადგან მას მატერიალიზმის სურულისო“. შერინგტონი სრულიად არ შემეცდარა მასში, რომ პირობითი რეფლექსების თეორია მატერიალისტურია, მაგრამ წინააღმდეგ მისი წინასწარმეტყველებისა, პავლოვის მოძღვრებამ გავრცელება ჰპოვა მოწინავე, პროგრესიულ ბუნებისმეტყველებაში ყველგან და კერძოდ ინგლისში.

ამერიკელი ფიზიოლოგი ფულტონი ამბობს, რომ პავლოვის პირობითი რეფლექსების თეორიას აქვს მხოლოდ „ისტორიული მნიშვნელობა“, თითქოს ის „მოძველდა“ და სხვა.

ივ. პავლოვის მოძღვრების მიმართ ასეთი დამოკიდებულება გასაგებიცაა კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პირობებში. იმპერიალისტური ბურჟუაზია სიკვდალ მისჯილის სასოწარკვეთილებით ცდილობს თავის პარაზიტული კლასის ბატონობის შესანარჩუნებლად, გამოიყენოს ხალხთა შეგნებაზე იდეოლოგიური ზემოქმედების ყოველგვარი საშუალება. იმპერიალიზმის რეაქციულა ძალები იბრძვიან ყოველი მოწინავე და დემოკრატიული იდეის წინააღმდეგ, ისინი შიშით შეჰყურებენ მეცნიერებას და სინამდვილეს, რომლებიც მომავალში მათ ჰპირდუ-

ზან მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილს და განადგურებას. ამ ბრძოლაში იმპერიალიზმის რეაქციული ძალები იყენებენ თანამედროვე ბურჟუაზიულ ბუნებისმეტყველებასაც, რომლის დიპლომათი მსახურნი მეცნიერების ნაცვლად ქადაგებენ ყოველგვარ ჯურის იდეალიზმს, მისტიცაზმს და თეოლოგიას. მათ პროდუქციაში ნათლად მოხიანს ბურჟუაზიული მეცნიერებას და კულტურის მარაზში, მომავლადეი კაპიტალისტური საზოგადოების სულიერი სიღატაკე.

\*  
\* \*

პავლოვის მეცნიერული შემოქმედების სრულა გაფურჩქვნა იწყება საბჭოთა ხელისუფლებას პერიოდიდან.

ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ჭედშივი მზრუნველობით, პავლოვი უზრუნველყოფილა იყო ყველაფრით, როგორც სამეცნიერო მუშაობის, ისე პირადი ცხოვრების მხრივ.

ჯერ კიდევ 1921 წლის 24 იანვარს გამოდის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილება ლენინის ხელმოწერით. დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია ივ. პავლოვის მეცნიერული დამსახურების უდიდესი მნიშვნელობა მთელა ქვეყნის მშრომელების წინაშე, და მისი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისათვის მაქსიმალური ხელშემწყობა პირობების შექმნა. პავლოვზე ასეთი მზრუნველობა ძალაუვნებურად გვაგონებს ცნობილი ფრანგი მეცნიერის ლუა პასტერის საცოდავ პედს. დამბლა დაცემულ ფრანგ მეცნიერს არ აღმოაჩნდა სასხრება, რომ პუდმივ განკარგულებაში ჰყოლოდა ეტლი. განათლების მინისტრი პასტერას თხოვნაზე — გაცეათ მისთვის ერთნახევარი ათასი ფრანკი ის ძალზე განუცვიფრდა.

— სამინისტროს ბიუჯეტში, — უხს.

ნის ის მეცნიერს, — არ არის გათვალისწინებული არც ერთი ნაწილი, რომელიც ნებას გვაძლევდეს მისი მუშაობის გასაცემად. — ასევე მსგავსი კვლევები მეცნიერას ბედი კაპიტალიზმის პირობებში.

— ჩემი მეცნიერება აყვავდება მშობლიურ ნიადაგზე, ალტაცებით ამბობდა პავლოვი. მართლაც პავლოვის წინასწარმეტყველება გამართლდა. თანამედროვე საბჭოთა ფიზიოლოგია ანუ თარებს და აღრმაებს პავლოვის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

არ არსებობს თითქმის მეცნიერის არც ერთი დარგი, სადაც პავლოვის მოძღვრებას თავის ახალი სიტყვა არ ეთქვა, არა ერთი და ორა საიდუმლოებით მოცულ მოვლენებს მიეცა ამ მოძღვრების საფუძველზე მეცნიერული ახსნა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი პავლოვის აღვების შთამავინებელი როლი ნევროლოგიურ და ფსიქიატრიულ მეცნიერებათა მიმართ. მთელი რიგ შემთხვევებში, ფსიქო-ნერვულა დაავადებების პათოლოგიური მექანიზმების აღმოჩენას და სათანადო რაციონალური სამკურნალო საშუალებების გამოყენებას უსათუოდ უნდა ვუმაღლოდეთ პავლოვის გენიას.

\*  
\* \*

ივ. პავლოვი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ მგზნებარე პატრიოტიც. „რასაც ვაკეთებ, გამუდმებით იმას ვფიქრობ, რომ ამით ჩემი ძალღონის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, საყვარელ საშობლოს ვემსახურები“. თავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში მნ წლის პავლოვა ამბობს: „რატომ არის, რომ ასე მწყურიან დიდ ხანს სიცოცხლე... საშობლოს ბედი ძლიერ მადლეებს ახლა ჩემს საშობლოში გრანდიოზული სოციალური გარდაქმნა ხდება. მოისპო შემამარწყუნებე-

ლი უფსკრული, რომელიც არსებობდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის და მეც მინდა ვიცოცხლო მანამდე, ვიდრე არ ვიხილავ ამ სოციალური გარდაქმნის საბოლოო შედეგებს“.

ბოლშევიკური პარტიისა და მთავრობის მადლიერი პავლოვი ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება „ერთადერთი ხელისუფლებაა მსოფლიოში, რომელიც ასე აფასებს მეცნიერებას და მხურვალედ იცავს მას“. ივ. პავლოვმა მთელი თავისი ხანგრძლივი, შემოქმედებითი ანთებული სიცოცხლე — გაატარა ლაბორატორიის კედლებში, წიგნებსა და საექსპერიმენტო ხელსაწყოებს შორის — მისი უდიდესი სიხარული იყო მხოლოდ კვლევების მიღწევა და საშობლოს სამსახური.

მეცნიერული ძიების ჩაუქრობელა ცეცხლით იწოდა დიდი რუსი მეცნიერი, დაწყებული სიკაბუჯიდან, ვიდრე სასიკვდილო სარეცელამდე. ალბათ — „კოლაფსს, უეცრივ რომ არ წაერთმია

მომაკვდავი პავლოვის ცნობარებს სიელვარე, ის უთუოდ მოიკრულდა უკანასკნელ ღონეს, რათა გენიუსური შეხებისათვის გადაეცა, თუ როგორ კვდებოდა მასში მისი ტვინი“.

ივ. პავლოვის გენიამ რუსული ფიზიოლოგიის ავტორიტეტი აიყვანა მანამდე არარსებულ სიმაღლემდე. პავლოვის მოძღვრება არის ის მეცნიერული ჩირაღდანი, რომელიც გზას უნათებს არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიო, პროგრესიულ მეცნიერებას. პავლოვას ამ. დამსახურებას ამხანაგი სტალინი ბრწყინვალე შეფასებას აძლევს, იგი რუსი ერის საუკეთესო და საამაყო წარმომადგენელთა გაღერებაში შეპყავს. პავლოვის სახელი ყოველთვის დარჩება, როგორც მატერიალისტური მეცნიერების სიმღიერის სამბოლო.

გამარჯვებული საბჭოთა ხალხები დიდი სიხარულათ ხედებიან თავიხი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერის დაბადების ასა წლისთავს.

## მასალები გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიისათვის



გრიგოლ ორბელიანის საბიოგრაფიო მასალის ძიება იონა მეუნარგიას ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში — 1881 წლიდან დაუწყო. ამიტომ, როგორც თვითონვე აღნიშნავს ორბელიანის „ცხოვრებისა და ღვაწლის“ აღწერაში (თავი XVIII), იგი პოეტის ხშირი სტუმარი ყოფილა, მისი დაბავშობისა, საუბრისა და შინაური ხასიათების ამწერი და დროგამომწვევით, თვითონაც უმართავდა ვ. წ. შესაფერხს, რომელთაც ის თავის „სამამსოკრო წიგნებში“ ნიშნავდა საერთო სათაურს ქვეშ — „მუხაიფი გრიგოლთან“.

პოეტის გარდაცვალებიდან 4 წლის შემდეგ — 1887 წელს, ავტორს თავისი ვრცელი შრომა — „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“ — მოლიანად დამთავრებული და გამოსაცემად გამზადებული ქმონია; ამას აღსაბუთებს ზეგლიდის სახ. ისტორიულ-ლინგვისტიკური ინსტიტუტის დირექტორი აკაკი თეთრაძე, რომელიც ამ შრომისა თავისი სატატუსულ ფუნქციონირებით, ამ დროიდანვე ავტორს მის გამოცემისათვის ზრუნვასაც შესდგომია:

1888 წლის 2 მაისს ნიკო ნიკოლაძე სწერს იონა მეუნარგიას: „იმედი მაქვს რომ შენს დაპირებას ასრულებ — შენს თხზულებას მომიტან გრიგოლ ორბელიანზე. კაცო, დავპირდი მკითხველებს, დაეხედავ მალეთუ, და შენ კი გამტკრებული ზიხარ ცაიში. მომიტანე, ძმაო, ვე შენი ქაღალდები და მე გადავთარგმნი“.

ი. მეუნარგიას ეს თხზულება ნიკოლაძესათვის მართლაც გადაეცია, მაგრამ მისი ზეგლიდის ხანებში ცნუნებას ავტორსაც, რის შესახებ 1890 წლის 31 ოქტომბერს ნ. ნიკოლაძე კვლავ სწერს იონას: „ვეელაზე უფრო მეყენია გრიგოლ ორბელიანის წიგნის აკრძალვა. ვეცადეთ მაგრამ ვერა გავარჩევთ რა“.

ამის შემდეგ ავტორს გრიგოლ ორბელიანის ძმისწულ ვიოტიკისა და ნიკო ქავჭავაძისათვის მიუძღრობს „ცხოვრების“ გამოცემაში დახმარებოდნენ, რის გარშემო 1879 წლის მარტის კოლა ურბისთავი მეუნარგიას ატყობინებს: „შენი თხოვნის შესახებ ნიკო ქავჭავაძეს ვერ მივმართე, რადგან ის ისე ძლიერ არის ავად, რომ მასთან ახლოს არაფერი არ უშეუბნება. მივმართე ვიოტიკს ორბელიანს, რომელმაც მომიცა სიტყვა და მტკიცე დაპირება, რომ ამ გამოცემისათვის საჭირო ყოველგვარ თანხას ის დიდი საიმედოებით გაიღებს, თორღ, აუცილებელია პირადად შენი აქ ჩამოსვლა, რომ დაწერილებით აღუბნათ მას ყველაფერი და უთხრაჲ ისიც, თუ რა რაოდენობის თანხა იქმარებს ნაშრომის გამოსაცემად. ჩემის შრომაც გარჩევ, რომ მალე ჩამოხედე, და საერთო ძალით, ვიმედოვნებთ, ამ საქმეს სახერხულად დავაბოლოებთ“.

მაგრამ ვერც ამ დაპირებამ და იმედებმა უშველა აღნიშნული წიგნის გამოცემას. იგი შემდეგ ეტრნად „მოამბის“ 1904 და 1905 წლის ნომრებში მოთავსდა<sup>1</sup> და იქიდან ცალკე წიკ-

<sup>1</sup> ძიება მასალებისა ვრ. ორბელიანის ბიოგრაფიისათვის მეუნარგიას არც შემდეგ წერ-  
წევრთა, ამ შრომე პოეტის ნაწინა-მეგობრებისა და ნათესაებისაგან ის ხშირად დახურობ-  
და საველისხში მასალას. ამის ნიმუში დავით ამილახვარის შემდეგი ბარათი: „ღრმათა პა-  
ტრიცეპელიო, იონე მიხეილის-ძე, ეტრნალ მოამბეში დაბეჭდილია თქვენი შრომა, ცხოვ-  
რება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა, რომელსაცა საიმედოებით ვეთხოვლობთ. ამ ხანათ სხვა  
ქაღალდებ შორის აღმოვაჩინე ძველი, 14 წერილი გრ. ორბელიანისა; ეს 14 წერილი არის მი-  
წერილი ყოფილ ორბელიანთან და გვღვეან ბეჭეყაშვილთან — სულ 14 წერილი. მე შეიწინა  
საინტერესოს იქნება მკითხველისათვის, თუ ჯერ კიდევ თქვენი შრომა დასრულებული არ  
არის მასალად გამოყენით... თქვენი შარად პატრიცეპელიო დავით ლეყასაძის-ძე ამილ-  
ხვარი“ (იხ. ზეგლიდის მეწვემის მე-5 ფ. № 10).

ნადაც იქნა ამბეჭდილი, თუმცა ნთლიანად არც ზამინ გამოქვეყნებულა. შინა, ცენტრისაგან აკრძალული და ზეენამდგ ფრაგმენტულად მიღწეული დანარჩენი ნაწილის დაბეჭდვა მხოლოდ ზეენს სანამდვილეში მოხერხდა „სოლ. მატინე“. ტ. 1, გვ. 293, ნაწილისაგან. იქნა დაბეჭდილი, რომელნიც მისა სახელოვანი დისპულის ნიკოლოზ ბარათაშვილის საბიოგრაფიო მასალას შეიცავდა. ქვემოთ კი, გარდა „გრიგოლთან მუსაიდის“ დანარჩენი ფრაგმენტებისა, მოყვანილია აგრეთვე ეს მასალა, რომელიც გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების აღწერის საბიოგრაფიის ავტორს სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პირთაგანაც ჩაუწერია.

დამატების სახით აქვე ვერთავთ ეკატერინე და ნინო ქაჯავაძეების წერილს გრიგოლ ორბელიან-სადმი, ჩანს, პოეტის საბიოგრაფიო მასალაში მას საველისსმო ადგილი სჭერია და შევლევარსაც სწორედ იმავე არქივში მოუთავსებია, სადაც პოეტის ცხოვრების აღწერის სხვა მასალებია დაცული.

ორივე ბარათი ერთ ვრცელ თაბახზეა დაწერილი. წელიწადი არ უხის, მაგრამ მისი დადგენის საშუალებას თვით ბარათის შინაარსი იძლევა. ბარათი დაწერილია ეკატერინეს მეორე შვილის, 2 წლის ლევანის (1842—1844) გარდაცვალების შემდეგ, 20 ივლისს, და გადმოცემულია დიდი სამელოვანო განწყობალებში. რა კი ვიცით, რომ პატარა ლევანი 1844 წლის 28 აპრილს გარდაიცვალა, ბარათი დაწერილი უფროა იმავე წლის 20 ივლისს.

★

### გრიგოლთან მუსაიფი:

მიხეილ ბატონიშვილი<sup>1</sup> ახირებულნი  
 ცაცი იყო. აქიმობისა არა სწამდა რა.  
 ერთხელ წაიქცა და ფეხი იღრძო. ვე-  
 რას გზით ვერ დააჯერეს ის, რომ აქი-  
 მი მოეყვანათ. „თუ ფეხი არ მომირ-  
 ჩება კარეტით ვივლიო“, — ამბობდა  
 ის. მერე დაკოჭლდა და ჯოხებით და-  
 დიოდა.

ამ ბატონიშვილის ოთახი სულ ხა-  
 ტებით იყო მოფენილი, — კედლებზე  
 ზეით და ქვევით გამწკრივებული.  
 ეკლესიიდან, რომ დაბრუნდებოდა, მი-  
 ვიდოდა და ჯერ ჩამოუვლიდა ქვევით  
 გამწკრივებულ ხატებს და ემთხვეოდა  
 ყველას; ზეითებს რომ ვერ შესწვდე-  
 ბოდა, ააშვერდა ჯოხს და დაუწყებდა  
 თითოეულ ხატს: შენც თაყვანს გცემ,  
 შენც თაყვანს გცემ, შენც, შენც, შენ-

შევემა<sup>2</sup> დაამატა, სიბრაზის დროს ხა-  
 ტებს ჯოხით სცემდაო.

ქართული ენის ოსტატად კეთილშო-  
 ბილთა სკოლაში იყო მღვდელი ხელა-  
 შვილი (იგივე მოძღვრიშვილი), რა-  
 მელმაც ქართული ენა ზედმიწევნით  
 იცოდა. რადგანც, — სოქვა გრიგოლ-  
 მა, — ჩვენ სწავლა გავათავეთ და  
 აფიცრად ვიყავით, ერთხელ შემოგზხ-  
 და ის მთავარმმართველობის სახლის  
 გვერდით. ძლიერ გაუხარდა ჩვენი  
 ნახვა, ცოტა ხანს შეეჩერდით და ვი-  
 მუსაიფეთ. იმან გვითხრა: „მე ასრე  
 უნდა წავიდე, თქვენ კი ასრე გაი-  
 სეირნ-ქალწულჰაერეთ“ —ო.

<sup>1</sup> შანიშვილი — იარალი შანიშვილი, (?)  
 რომელსაც უძღვნის ლექსს გრ. ორბელიანი.  
 იბ. „იარალის“, (იყვენენ აგრეთვე მძებნი შანიშვი-  
 ვები, ივანე და გრიგოლი, ვრ. ორბელიანთან  
 ურთიერთობაში მყოფნი).

<sup>2</sup> საქართველოს უცანასკნელი მეფე გიორგი  
 მე-12-ის შვილი, ცხოვრობდა პეტერბურგში.

ჩვენ დროს მთავარ ეკლესიად ანჩისხატის ეკლესია ითვლებოდა. იქ იყო ერთი მთავარი დავით, რომელმაც მშვენიერი კითხვა იცოდა სახარებისა. როგორც კი შევიტყობდით, რომ ის არის მწირველი, ავიყრებოდით აქედამ კაცი და ქალი წავიდოდით ანჩისხატს, რომელიც მაშინ გვეშორებოდა აქედამ. ანჩისხატის დეკანოზი იყო იმ დროს დიმიტრი ალექსეევ-მესხივეი, მშვენიერი კაცი. მხატვარმა იმის სახე გამოსახა გუმბათზე საბაოს წარმოსადგენად.

აზნაურების სკოლა მე არ დამითავრებია. 1817 წელს ერმოლოვმა გახსნა არტილერიის სკოლა და იქ გადამიყვანეს. არტილერიის სკოლა პეტერბურგზე აღრე აქ გაიმართა. სასწავლებელი რომ გავათავეთ, პეტერბურგში შეადგინეს Образцовый полк და იქ შემოყვანეს სამსახურში, იმ დროს ბანაკად ვიყავით ნოვგოროდის გუბერნიამი...

რუსულს ხელნაწერ რვეულებიდან ვსწავლობდით. ჩვენი რვეული იწყებოდა ასე: — О-თვის და სხვა. ჩვენც იმ რვეულს „ოთვისი“ დავარკვით. თუ კლასში არ მოვიდოდით მეორე დილას ვებეჭებოდით ამხანაგებს: ერთი შენი ოთვისი მათხოვე, გადავიწერო, რაც გუშინ დავისწავლიათ.

პლატონის მამა — ევანტე იოსელიანი<sup>2</sup> — ერთი მაღალი, ახმახი კაცი, ბოხის ხმით იტყოდა: თქვენს სწავლებლემ, რომ მთავრობისა არ შეშინოდეს „ვეფხისტყაოსანს“ შევიტანდი და ზედტრაპეზზე სახარებასთან დავასვენებდიო...

დავით რექტორი (ცუკია) იყო ალექსეევ-მესხივეი, კარგი მწიგნობარი, თელავის სემინარიის რექტორი. ტარასიც იმის ბიძა იყო...

როცა ადმინისტრაციულად დაყვეს საქართველო უზღ-უზღად და რევიზორი მოვიდა პეტერბურგიდან და კვითხა, თუ როგორ მოსწონდათ იმათ ეს преобразование, ფარსადან ციციშვილმა, ერთმა ხუმარა კაცმა, მიუგო: Сначала нужно образование, а потом преобразование-ო.

საქართველოს დედოფალი პეტერბურგში მინახავს. ერთხელ რომ შევედი, იმან ვადიებს დაუძახა: „ნახეთ, ნახეთ, ჩვენი ხორეშანის<sup>3</sup> შვილია“.

— უი, ქა, როგორ, ეს ჩვენი ხორეშანის შვილია... ჩვენი პატარა ხორეშანისა!?!...

<sup>2</sup> ალექსანდრე ორბელიანის ცნობით პლატონ იოსელიანის მამა—ინისივე — მღვდელი ყოფილა, თრევე, მეფე ერეკლესა და ვიოზგის კარის მოძღვრები.—ევანტე, რომელაც „ღიღი გონიერი, მამულის ერთველი და მაღლიანი წმინდა კაცი ყოფილა“ გარდაცვლილა 1843 წ.

<sup>3</sup> ხორეშანი — გრ. ორბელიანის დედა — იყო ქალი ზაქარია ანდრონიკაშვილისა, რომელსაც მუდღელად ყავდა ერეკლე II-ის ქალი ელენე. ამგვარად გრ. ორბელიანი იყო დედით ერეკლე II-ის შვილის-შვილის-შვილი.

შესანიშნავი მოსაუბრე იყო გრიგოლი. მე ზედა სართულში ვიდექი. დილა აღრიანად აღგებოდა. ამოვიდოდა. ფანჯარაზე დააკაუნებდა და დამიყვირებდა: დიღო ერისთავო, ადგილი მოიხედე გარეთ, ღმერთი ქადაპურებსა ყრისო!

(ყოლა ერისთავი)\*

\* \* \*

**ეკატერინე დადიანისა და ნინო გრიბოედოვის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი:**

გორდი, 20 ივლისს.

ჩემო უსაყვარელესო ძმაო გრიგოლ, ვიცი როგორც გიყვარვარ და როგორც შამიბრალეზბდი მე ჩემის პატარა ლევანის<sup>5</sup> დაკარგვისათვის. ღმერთმა შენი მტერიც ნუ შეაწუხოს როგორც ჩემი გული იყოს ამის სიკვდილით დამწვარი. ნეტავი შენის სიცოცხლით ისეთი კარგი და გონიერი არ ყოფილიყო. ორს დღეში ყბაყურასაგან გათავდა. მეორე ბიჭიც, ალექსანდრე<sup>6</sup>, მართალია, სწეული იყო მარამ ჩემი გული და სიხარული იმათ სიკვდილმა წაიღო. შენ ახლა არ შეგიძლიან მონაწილეობა მიიღო ამ ჩემს მწუხარებაში. შეიღი რომ გეყოლება მაშინ უფრო შემიბრალე. ჩემი და ნინო<sup>7</sup> ეს ხუთი თვეა, რაც ჩემთან არის სოფიოსთან<sup>8</sup> ერთად. ეს მეორე კვირა არის რაც დედა<sup>9</sup> და [ბაკ]ლანაც<sup>10</sup> მოვიდნენ აქ,

<sup>5</sup> პოეტის ნ. ბარათაშვილის დისწული.

<sup>6</sup> ლევანი—დავით დადიანის მეორე შვილი, გარდაიეცა 2 წლისა, დაკარგულია დადიანთა ცაიშის ნეკროპოლში.

<sup>7</sup> ალექსანდრე—მესამე შვილი დავითისა, გარდაიეცა 1843 წელს 9 თვისა.

<sup>8</sup> ნინო ჭავჭავაძე — გრიბოედოვისა (1812—1857)

<sup>9</sup> სოფიო—იხილეთ აქვე, ნინოს წერილის ტექსტში.

<sup>10</sup> ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე, საღომე ივანეს-ასტლი ორბელიანი. (გარდ. 1847)

<sup>11</sup> ბაკლანი—იგივე ალ. გ. ორბელიანი.

გორდს<sup>12</sup> თან მოიყვანეს (საგურკვეველია) ალექსანდრე ახვერდოვი<sup>13</sup>, რომელიც (გაურკვეველია) შენს მტერს... (დაზიანებულა)...

შენი წიგნი მომივიდა ამას წინათ ზუგდიდს. ნეტავი იმ დღეს, ჩემი მშვენიერი ლევანია ცოცხალი მყვანდა. თუ გიყვარდეს ხშირად მოიწერე ხოლმე წიგნი, ჩემი დაჩაგრული გული შენის ლაზათიანი ლაპარაკით გაამზიარულე. მაგრამ ვაი შენს მტერს, ისე მაქვს გული, გრიგოლ, დახშული, რომ მგონი თავის დღეშიაც აღარ მაამებს რა.

მშვიდობით ჩემო გრიგოლ, ამისთანა ხანს ნუ დამივიწყებ. ბევრი უნდა მომეწერა მარამ ეს არის ეხლა სიმბორსკის<sup>14</sup> მოველით... მერე იფიქრე, [ფრ] ანტობის თავი ვისა აქვს. დავითთან<sup>15</sup> მოდის მოსალაპარაკებლად სეანეთის საქმეზედ.

შენი ცოლის შერთვაზედ რასა ფიქრობ. აქაურს საცოლეს<sup>16</sup> (გაურკვეველია) ჯერაც არა აქვს და ამის მოლოდინში სულ დაბერდები. დრო ახლა გაქვს ქორწინებისა.

შენი მარად ბედნიერების მოსურნე და ეკატერინე დადიანისა.

<sup>12</sup> გორდი—საზღვრული რეზიდენცია საგურკვევლის შთავრებისა.

<sup>13</sup> ალ. ახვერდოვი—კავკასიის მეფისნაცვლის ნ. ნ. შურაველიძის პირველი მეუღლის ნათესავი (?)

<sup>14</sup> სიმბორსკი, ანდრია მიხეილისძე გენერალ-მაიორი. კავკასიაში, (სფხაზეთი, დაღესტანი შავი ზღვის სანაპიროები) მოქმედი ჯარის მონაწილე.

<sup>15</sup> დავით დადიანი (1813—1853), სამეგრელოს შთავარი, ეკატერინეს მეუღლე. იმ ხანებში სამთავრო ტახტის მემკვიდრე და ფაქტიური მმართველი მხარისა.

<sup>16</sup> ივლიანსძე ნიკო (II, შვეფელის) დადიანის ასული მენიცი. რომელიც გრიგოლ ორბელიანის საცოლედ მაინდა ეკატერინეს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს „პროექტი“ არ შესრულდა. (იხ. კ. ბორიშდინი, „სამეგრელო“ გამოცემის, გვ. 237—40).

იქნება ამ ზამთარს თბილისში წავი-  
დე, ნეტავ ამ დროს შენც იქ იყო. რომ  
გნახო.

•  
•

ამის შემდეგ იწყება ნინო ჭავჭავაძის წერი-  
ლი გრიგოლ ორბელიანისადმი:

რა ბაიუყუში ვარ ჩემო საყვარელო გრი-  
გოლ. ამ ოთხს თვეს რაც ვისიამოვნე,  
კატინას შვილების სიკვდილმა მწარედ  
ჩამაშხამა. ამისთანა უბედურებას ჩემს  
თავს ვაბრალებ, არაფერშია ბედი არა  
შაქვს. რა არის დალოცვილო, არც  
ემირხანობაში<sup>17</sup> და არც კურკაობა-  
ში<sup>18</sup> შენი ბოროტი ენა ვერ დავაყენე,  
მაინდამ რას მეჩხუბებდი, მაგრამ საში-  
ნელა ეშმაკი ხარ, ვერაფრით თავს ვერ  
შემამტლებ, რაღაცა ჯადო გაქვს გა-  
კეთებული, ახლა კიდევ უფრო ისწავ-  
ლიდი მაგ თათრებში. მოდი, ხელი აი-  
დე ჩემს წინააღმდეგობაზე. კარგს ამ-  
ბავს გახარებ, გრაფინიას<sup>19</sup> წიგნი მაში-  
ვიდა, რომელშიაც გილოცავს მაიორო-  
ბას. დიდად (მოხარულია...) ვითომც  
ვერჩში მოსულა, ჯერ წიგნიც არ მომს-  
ვლია იქიდან. მგონია გაგიკვირდება  
ასეთი მოულოდნელი ქორწილი, 11-ს  
ამ თვეს ჯვარი დავწერეთ ალექსანდრე  
ახვერდოვს ჩვენს სოფოზე. ძალიან  
ძხიარულად არიან ახლადდაქორწილე-  
ბულნი, ძალიან მოხარული ვარ ასეთი  
კარგი ქმარი იშოვნა.

ახლა ჩემო გრიგოლ შენ რაზე ტყრ-  
ლები მაგრე, ლამის ჩვენს ცხოველ-  
მა<sup>20</sup> დაგასწროს გაიხიზუნა. ჩემთვის  
იშედი ნურა გაქვს რა, ფეხთ მიძიეო-  
ბენ, ნაზობენ, მანამ ამას<sup>21</sup> ნება მოუვა,  
შენ ერთი კბილი აღარ გექნება, დამი-  
ჯერე, სხვა მონახე ვინმე, ხომ იცი მე  
ასე მსურს, როგორც დავითისა.<sup>22</sup> დი-  
დი ყოფა გაქვთ ორთავ ძმებს<sup>23</sup>, თქვენ  
დაგრჩათ ბურთი და მოედანი. ზაქარიას  
როდესაც წიგნი მისწერო, ერთი ურე-  
მი მოკითხვა გაუტზაუნე ჩემათ. ვიცი  
ძალიან მემღურის, წიგნი ვერ მივწერე  
ერთხელ, ლაჩარი ვარ ჭეშმარიტად, მა-  
ლე მოგართმევ ჩემს წიგნს კიდევ, სექ-  
ტემბრამდე აქ ვრჩები, მასუკან ჩავალ  
ისევ ჰორიან თბილისს. აქ ყურიც და  
გულიც მოსვენებული მქონდა თუ ეს  
უბედურება<sup>24</sup> არ დაგეშართოდა.

ასე ჩემო გრაგოლ, გთხოვ შენს ლა-  
მაზ [ლაპარაკს] არ დაგეკლებდე ხოლ-  
მე, თუ კიდევ ჩემს წინააღმდეგსა მოი-  
წერები, იცოდე აღარ ვაღიარებ ჩემს  
წიგნს, ვიცი ჩემი უანბობისათვის არ  
შეწუხდები და თუ პატაოსანი კაცი  
ხარ შენი რამანის ამბავი რომ მომაკლ-  
დება გულს დამწვაე.

<sup>17</sup> იგულისხმება ეკატერინესა და ნინოს მე-  
სამე და სოფო, შემდეგ ბარონ ნიკოლის  
მეუღლე.

<sup>18</sup> იგულისხმება კვლავ მენიკი დადიანის  
ასული, რომელსაც განქორწინების ჭალადი  
უნდა მიეღო აფხაზეთის მთავარ მიხეილ (მა-  
მუთ-ბეი) შარვაშიძისაგან.

<sup>19</sup> დაეოთ ჭავჭავაძე (1818—1894),  
ნინოს და ეკატერინეს ძმა.

<sup>20</sup> იგულისხმება გრიგოლ და ზაქარია  
(1836—1847) ორბელიანები.

<sup>21</sup> იგულისხმება დავით დადიანის ბავშვე-  
ბის: მართას, ლევანის და ალექსანდრეს, თითქ-  
მის, ზედიზედ ვარდაცვალება.

<sup>17</sup> გრიგოლ ორბელიანს ასე ეძახდნენ ამ ხა-  
ნებში ავირიის მმართველობის გამო.

<sup>18</sup> შინაურობაში კურკა ერქვა გრიგოლს.

<sup>19</sup> შეიძლება იგულისხმება გრაფ. ოპერმანი-  
ხა, რომელსაც ლექსიც კი უძღვნა პოეტმა  
ჩიბ. ლექსები, გვ. 44—45, 1928 წლ. გამოც.

შვიდობით ჩემო ერთგულო გრიგოლ, გთხოვ გახსოვდეს მარად შენი ბედნიერების მოსურნე შენი და ნინო აღრიბაეღოვისა.

შინაწერები:

ღედამ შამოგითვალა, ბევრი შენისთანა კურკახანები გვინახამსო, მაგრამ აგრე არავინ ვაამპარტაენებულაო.

За что также не милость ко мне Ваше Высочество. Каким чудом Ваш производный взор гул с высот Аварийских гор по со...ля Мингрелии не заметил хилого, большого

Давида<sup>25</sup>, про... своих востор... вижу теперь:... вашу...  
 — ერთი ღე აბხაზელში მცხატის შაშით ვი [შალე]-ბოდით.

მელანია<sup>27</sup> თავი დაგიკრა, თუ საჭირო არს თოფხანა მზათა მაქვსო. მანანასა<sup>28</sup> და მე რომ [შენი] დენჩიე ქალაღდის ფულისათვის როგორც მაშინ (შემდეგ დაზიანებულა)...

<sup>25</sup> ივულისშემა დავით დადიანი

<sup>26</sup> გაბრიელ შებაღე (?)

<sup>27</sup> მელანია (?)

<sup>28</sup> მანანა ორბელიანი (1808—1870), დავ. ორბელიანის შვილე, ცნობილი შეყვანტი ქალი.

წერილი დაცულია ზევიღდის მუზეუმის V ფონდში, № 1075

# ბიბლიოგრაფია



## მონოგრაფიები და მოგონებანი ქართულ თეატრზე



ნიკო გვარამია — „თეატრალური მემორანზი“. სახელგამი, 1949 წ.

ახლანდელ გამოხდული ნიკო გვარამიას სარეცენზიო წიგნი მეტად საჭირო და მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. დღეს, როდესაც ქართული თეატრის საფუძვლიანი ისტორია ჯერ კიდევ არ მოგვებოვება, ასეთ მემორანზებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ. მასში ქართული თეატრის მეტად მდიდარი და საინტერესო ამბები საინტერესოდვე არის მოთხრობილი. წიგნში ამბები და მოვლენები შორიდან დანახული და გავონილი არ არის, მისი ავტორი აწერს ამბების აქტიური მონაწილეა. მეორე მხრივ იგრძნობა, რომ ავტორს ამ საინტერესო მასალის გადმოსაცემად ბევრით და თავდადებულად შრომა გაუწევია. ამიტომაც ეს წიგნი ინტერესით და ხალხით იკითხება და მკითხველის გულსსუფრტს ბოლომდე ინარჩუნებს.

რეკლუციამდელი ქართული თეატრი ყოველად მძიმე და სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქართული სცენის მუშაობები ხან-მოკლე სეზონის თვეებშიც ვერ ღებულაოდნენ თავის მაშინდელ მძიმე შრომის გასამრჯელოდ იმდენს, რომ ლეკმაპურით ეცხოვრათ. დანარჩენ თვეებში კი პირდაპირ შიმშილობდნენ. იმ დროს დიდად ნიჭიერი მსახიობიც კი არ იყვნენ უზრუნველყოფილი თავისი პროფესიის შემოსავლით და სხვა საქმიანობისაკენ იცქირებოდნენ. ქართულმა თეატრმა მთლიანად ვერ შეინახა ისეთი დიდი ნიჭის მქონე და დახელოვნებული ოსტატი სცენისა, როგორც იყო ლაღო მესხიშვილი, იგი რამდენჯერმე გახდა იმდენად დაეტრებოდა მისთვის საყვარელი ქართული სცენა და რუსეთში უფრო შემოსავლიანი სცენისათვის შეეფარებოდა თავი. ქართულ თეატრს მრავალად ყავდა დიდი ნიჭის მქონე და დახელოვნებული ოსტატები, რომლებიც პირდაპირ გვირუღ თაყვანს იტყობდნენ და თავის საყვარელ საქმეს დღეობრივ პირობებში თავდადებით ემსახურებოდნენ. ისინი ყოველგვარ სიმწუხვას და დაბრკოლებას ხელე-  
12. „მსათობი“ 16 8.

დნენ და ქართულ თეატრს პროგრესულ აზრობის და იდეების ტრიბუნად ხდიდნენ. თეატრი მაშინ ერთ-ერთი ადგილი იყო, სადაც ქართული ენა შეეჭარდებოდა გაიშობდა და საიდანაც ეროვნულ-გამანათლებლებელი იდეები ხალხში ფართოდ ვრცელდებოდა. ქართული თეატრი და ავტორი ტუთაისის დასი ლაღო მესხიშვილის ხელმძღვანელობით პირდაპირ შეეჭარდა 1905 წლის რევოლუციის და მასში ყოველმხრივ აქტიურ მონაწილეობას იღებდა. „კარგის გრაცია“, „ყაღ და მადღენა“ და სხვა პიესები, რომელსაც ეს თეატრი დგამდა, ხალხში სთესდა რევოლუციურ იდეებს და იწვევდა მას საბრძოლველად. მეორე მხრივ ენობილია ქუთაისის დასის უშუალო მონაწილეობა ბარიკადების აგებაში და ამისათვის თეატრის რევოლუციის გამოყენება, ქართული თეატრის ეს დიდი დამსახურება ყარგად აქვს ნახვებები სარეცენზიო წიგნის ავტორს თავის შრომაში.

წიგნის რეკლუციამდელი არის ნაწილები ქართული თეატრის რიგითი მომუშავეები და დიდი ოსტატები. მასში მკითხველი მრავალად იპოვებს ჩვენი სცენის მუშაობებზე ახალ და უცნობ მასალებს. ეს მასალები ზოგიერთის უკვე არსებულ პორტრეტსა და ბიოგრაფიას ავსებს ახალი ცნობებით და ზოგიერთის პორტრეტსაც პირველად ქმნის ახლად. ავტორს თავის წიგნში სცენის მუშაობა პორტრეტების შთელი გალერეა აქვს შექმნილი, ბევრი ჩემი და მივიწყებული სცენის მუშაობის სახე ახლად არის წარმოდგენილი. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ყარგად ეტრებოდა შთაგონი მომენტების გაშქვება მათს ცხოვრებასა და მუშაობაში. იგრძნობა, რომ ავტორის მუშაობაში ყარგად ყოფილა იმდენადი მათი მოღვაწეობის შთაგონი მომენტები.

ასე, მაგალითად, ნიკო გვარამიას თეატრალურ მემორანზებში მკითხველი ბევრ ახალ მასალას იპოვს ჩვენი ლიტერატურის დიდი კორიფების აკაკის წესებაზე, აგრეთვე, გამოიწინა

სასცენო მოღვაწესა და ქართული თეატრის რეფორმატორ კოტე მარჯანიშვილზე, ცნობილ დრამატურგსა და რუსული სცენის დიდ მსახიობზე ალექსანდრე სუშოვაშვილზე, ქართული სცენის მშენებელზე ლადო მესხიშვილზე, ქართული სცენის ნიჟერ დრამატურგსა, რეჟისორსა და მსახიობზე ვალერიან შალიკაშვილზე, ქართული თეატრის კორიფეებზე ვასო აბაშიძეზე, ვალერიან გენიაზე და სხვებზე.

მაგრამ სარეცენზოი წიგნი ძვირფასია არა მარტო იმით, რომ მასში ბევრი რამ ახალი მოიპოვება ქართული თეატრის დიდი ისტორიისა და გამოჩენილ ხელოვანებზე, არამედ იმიტომ, რომ მის ფურცლებზე საინტერესოდ არის დაბეჭდილი ჩვენი სცენის ბევრი ჩუმი მოღვაწის პორტრეტი, ასეთებია: ბაბო ავალიშვილი, სვიმონ სვიმონიძე (გოგოლაშვილი), გედლო გედევანოვი, ვიორჯი კანდელაკი, ადამ აღაშიძე, კოტე შათირიშვილი, სოსო ივანიძე, დიმიტრი აწყურელი, ვასო ბლანნიცაძე და სხვები.

ამ წიგნში კარგად სჩანს აგრეთვე, თუ როგორ და რა პირობებში დაიწყო სასცენო მუშაობა საბჭოთა თეატრის ისეთმა გამოჩენილმა მუშაკებმა, როგორც არიან აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, მიხეილ გულოვანი და სხვები. ამასთანავე წიგნში ნაჩვენებია ძველი ქართული თეატრის მუშაობის მეთოდები, მაშინდელი მსახიობისა და რეჟისორის ურთიერთობა, დიდებულის მომზადების მაშინდელი წესები და სხვა. ეს საინტერესო ამბები ავტორის დამატარებლად და სიზუსტით აქვს ასახული.

წიგნის დიდი ღირსება მარტო ზემოთხაზულად აღვნიშნეთ მხარეებითაც არ ამოიწურება. მასში მრავლად არის საინტერესო მასალები ავჯალის აუდიტორიის, თბილისის სახალხო სახლის, ავღაბაში ქართული წარმოდგენების გამართვის, ალაგრაში ქართული პიესების დადგმის, პეტროგრადში „ალატის“ ქართულ ენაზე წარმოდგენის, ერევანსა, ყარსსა და სარაყამისში ქართული სპექტაკლების ჩვენების და მრავალი პროდინციის თეატრების ხონის (წულციკის), სიღნაღის, ფოთის, სურამის, ჭიათურის, ზაქოს და სხვათა შესახებ. განსაკუთრებით სრულად აქვს ავტორს მოცემული ისტორია ხონის თეატრისა, სადაც იგი 10 წლის მანძილზე მუშაობდა, ხან რეჟისორ-მსახიობად და ხან კი მსახიობად, ხონის თეატრის ისტორიასთან დაკავშირებით აქვს ავტორის ცნობილი რევილიტირების მუშაობის წულების სახელი, იგი ავტორის ცნობით 1897—98 წლებში სცენისპოევერეთა პატარა ჯგუფში შედიოდა, რომელიც ზაფხულის პერიოდში მართავდა წარმოდგენებს.

განსაკუთრებით დიდი ინტერესით იკითხება სარეცენზოი წიგნის ის თავები, რომელიც შეეხება ვასო აბაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ავტორის ეს თავები დიდი სიყვარულით და გულთბილობით აქვს გაკეთებული, ვასოს დიდი ნიჭი და დიდი დამსახურება ქართული სცენისადმი ნაწარმოებში კარგად არის ნაჩვენები ვასო სულით და გულით შეეხარა ქართულ თეატრს და თუმცა ამ თეატრში ბევრი გავირჯება და მოშლილი ნაბა, მაგრამ ერთი წუთითაც განზე არ გაუხედავს. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართულ თეატრში დაიბადი, იქვე მოკვდა და ერთხელაც არ ქონია ცდა თეატრის გარეშე ეცხოვრა. გუნისა, მესხიშვილის და სხვებს ქმონდათ სხვა ასპარეზები, ვასო კი ქართულ თეატრს შეაბერდა, ვასოს ეს თავდადება და ერთგულება ქართული თეატრისადმი, აგრეთვე მისი გულისხმიერობა და მოსიყვარულე დამოკიდებულება ამხანაგებისადმი და ზრუნვა ახალი ძალების მიზიდვისათვის კარგად იგრძნობა სარეცენზოი ნაწარმოების კითხვის დროს, რაც, ცხადია, ავტორის ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

წიგნში მოიპოვება სხვა სურველდებო მასალაც ქართული თეატრის ისტორიის შესახებ. ამ შრომის მცირეოდენ ნაყლად ჩაითვლება ციტირებული ადგილებით ნაწარმოების ზომიერ შეტად გადატეირთვა, წყალწყალა სათეატრო რეცენზიებიდან ადგილების მოყვანა ზოგჯერ თავს ამაზრავს მკითხველს და ყოველთვის როდენ იკითხება სიამოვნებით.

მოლიანად, ნიკო გვარამის თეატრალური მემორები, მიუხედავად ზოგიერთი უმნიშვნელო ნაკლისა, მეტად საჭირო და საინტერესო წიგნს წარმოადგენს.

ს. ანდრიაძე.

ნიკო გოციონიძე — „მოგონებანი“. გამოცემულია „ბიბლიოგრაფია“, 1949 წ.

★

ნიკო გოციონიძის „მოგონებანი“ მრავალმხრივ საინტერესო წიგნია. იგი ბევრ ახალ ძვირფას მასალას შეიცავს ჩვენი თეატრის ისტორიიდან. წიგნის ფურცლებზე საინტერესოდ

სოდ არის ასახული ძველი თბილისის ზნე-ჩვეულებანი: კრივი, საღაებო, დღეობები, ქორწილი და სხვა.

ნაწარმოებში გზადგა მრავალი საინტერესო



სო ეთნოგრაფიული და საყოფაცხოვრებო სურათებია ვადმოცემული თბილისის უახლოესი წარსულიდან. ანჩისხატობა თავისი თეატრალური მხარეებით. ახლანდელ ბუბულის მოედანზე ლიტერატურული პიექობანი, მამადიკოთობა, თავისი ზეჩვეულებებით და ტრადიციებით, კარავასლისა და ვაქრობის ამბები, სიონში ჯგერის საწერად წასვლა, ყარაიოფლების ქეიფი და ზეჩვეულებანი.

აეტრას მარტო თეატრალური შემოხობის სტაფი არა აქვს. მან ცხოვრების საინტერესო, მაგრამ მძიმე გზა განვლო. იგი სახელისნო სასწავლებელში სწავლობდა. თავიდან ხელისნო იყო მხატვარი მღვდელი. შემოხობა კერძო მწარმოებლებთან, გორის საკრებულო ტაძრის კდლებს ხატვანზე. რკინიგზის სახელოსნოში, დემონში. ვაგონების მღვდელად. მაგრამ იგი თანდათანობით გადადის მეორე პროფესიაზე. ეს მეორე პროფესია სცენაზე შემოხობაა. დიდხანს ორივე პროფესიის ერთად ეწეოდა, მაგრამ დროთა სვლაში მსახიობობამ დასძლია მღვდელობა. იგი აქტიური მონაწილე გახდა იმ დროის შემოხობა რევოლუციური წრეებისა, მომსწრე, მსახური და მონაწილეა იმ წრეებისა, რომლის წევრებად ითვლებოდა მაქსიმ გორაკი და დიდი სტალინის თანამებრძოლი მიხეილ კალინინი.

მის მოგონებაში აღბეჭდილია ერთი საინტერესო ამბავი. ეს არის ცნობილი მომღერალის თედორე შალიაიანის კარიერის დაწყება მაშინ ქართულ თეატრში სცენის დირაჟად მსახურობდა ერთი კეთილი ნოზიცი რუსი, საბუღალდ ტროფიმე. მასთან მეგობრობდა და დაფლეთილ დავლეჯილი ტანსაცმელით ხშირად დადიოდა თურმე ერთა ახლავაზდა, რომლისათვისაც ტროფიმე უხვად ჰქონდა შეგროვებული პაპირისის ნაშეკვებები. რამდენიმე ხნის შემდეგ ნიკიტინის ციხეში, რომელიც მაშინ ახლანდელი „ზარია ვოსტოკს“ შენობის ადგი-

ლას ყოფილა, გაუმართავთ საყველამკვეთო მიზნით დიდი კონცერტი. კონცერტის დასრულებულ ისმობდა და მთელ ანსამბლს ცხელი ცხელი ტროფიმეს მეგობრის ხმა. მაშინ ფუტად წოდებული, შემდეგ თედორე შალიაიანის სახელით წოდებული“.

თბილისის თითქმის ყოველ უბანს იმ ხანებში თავისი საყვითარი თეატრი ჰქონია. ასე, მაგალითად, ქართული თეატრები ყოფილა საბურთალოსა, აგვალასა, ნაბალაღევსა, ვერასა, ხარფუხსა, ავლაბარსა და სხვა უბნებში. ნიკო გოცირიძის მოგონებაში საინტერესოდ არის მოთხრობილი ამ თეატრების ისტორია და მათი შემოხობის ზოგიერთი სპეციფიური მხარე.

მოგონებაში მოთხრობილია მრავალგვაროვანი საინტერესო ამბებიც. ასეთებია დიმიტრი ყიფიანის დაცრალვა თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის განჯიდან ვადმოსვენება, რაფიელ ვრისთაიის იუბილე და სხვ. წიგნი ბევრ ახალ და ძვირფას ცნობებს შეიცავს აგრეთვე ქართული თეატრის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის შესახებ. ასევე ცნობილ ტერორისტ ჯორჯიაშვილზე, მომღერლების — ვრაიკო ვენაძისა და სანდრო ინაშვილის, ხალხისან ექიმის ხუდადოვის, სიმღერების გუნდების და მათი ლიტერატურების და სხვათა შესახებ. განსაკუთრებით ვრცლად არის მოთხრობილი სახალხო სახლში ქართული წარმოდგენების მართვის ისტორია და ქართული მსახიობების მონაწილეობა სიმბურ და ოსურ წარმოდგენებში.

წიგნის მკითხველენ ნაკლად ის ჩათვლება, რომ თხრობაში ყოველთვის არ არის დაცული თანმიმდევრობა და ამბებიც ყოველთვის არ არის დათარიღებული ზუსტად. აეტრორიც გრძნობს ამას და რამდენჯერმე იხდის ბოდიშს.

ბ. დოლიძე.


ალ. ბურთიკაშვილი — ნაბო ბაბუნია. გამომცემლობა „ხალკმეხა“ 1949 წ.



ქართული სცენის მშეენებამ ნატო ვაბუნიამ მთელი ეპოქა შექმნა ქართულ თეატრში. იგი იყო არა მარტო ეუბარი, მაღალი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი, არამედ მშეენებარი მომღერალი-ეპიკურისტი, რამაც მის პოპულარობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. მრავალი სასიმღერო ლექსებისა და მუხამზაზების აეტორი ვრაიკო ორბელიანი ნატოს სიმღერით დამტკბარი თავის ცნობილ მუხამზას — ავიდ

მეძინოს მაინც სულში მიზიარ“ წამმღვარებს ჩამნი მელქოს თქმას, „მუხამზაზო, რა ტუბილი რამ ხმა ხარო“ და შიისტრეებს ნატოს ტუბილი ხმით მოსმენას.

სარეცენზო მონოგრაფიაში საქმო სისრულითაა ვადმოცემული ნატო ვაბუნისა მდიდარი და მეტად საინტერესო ბიოგრაფია. მისი ბუნებრივი ნიჭის თანდათანობით აღმავლობა და ხელოვნების მაღალი მშეერეალების დაფ-



ლება. დამაჯერებლად და რელიეფურად არის ნაჩვენები ნატოს განსაკუთრებული როლი ქართული თეატრის განვითარების საქმეში. ნატო გაბუნია აღიზარდა ვარის საზოგადო მოღვაწეთა წრეში. ახლო მონაწილეობას იღებდა ქართულ ზალზოსნურ მოძრაობაში და თავიდანვე თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქვეყნულად გაიზარდა ზალზის სამსახური. იგი, როგორც ამას მონოგრაფიის ავტორი სამართლიანად სწერს: — ზალზის დემოკრატიული ნაწილის — მუშების, ქარგლების, ხელოსნების, მშრომელი ინტელიგენციის საყვარელი მსახიობი იყო... და მუშათა უბნების თეატრებისა და აუდიტორიების მუდმივი წევრი, დამხმარე და სულის ჩამდგმელი... სოფლებში კალოებსა და ეზოებში სახელდახელოდ მოწყობილი სცენის კაშაშა მნათობი... ხელმოკლე სტუდენტების გულშემატკივარი და მათ სასარგებლოდ საღამოების გამმართველი.

სარეცენზიო წიგნში ცოცხლად, სხარტად და საინტერესოდ არის მოთხრობილი ნატოს ცხოვრებისა და სცენიური შემოქმედების მრავალწეროვანი ამბები: მისი სცენაზე გამოსვლის პირველი ნაბიჯი, ერთ-ერთ სპექტაკლში შემთხვევითი მონაწილეობა, თავიდანვე მაღალნიჭიერების გამოჩენა, შემდეგ თბილისის მუდმივ დასში მიწვევა, მამის წინააღმდეგობა, ამ წინააღმდეგობის გადალახვა და ზუსტად თბილისში გაპარვა. ბეჭდვით იყვება მისი შემოქმედებითი ზრდა როგორც მსახიობისა. „ბუნებით თანდაყოლილი მუსიკალური ნიჭი, — სწერს მონოგრაფიის ავტორი, — იშვიათი მუსიკალური სქენა, გრძნობათა სიჭარბე, ბგერათა მრავალფეროვნება, ხმის თავისებურად ნეტესებურად ნახად და ალერსიანად ამღერება და ილია ზურაბიშვილის თქმისა: „მისი ხმის სიმღერა ატობობდა და ხტობდა“.

მონოგრაფიის შემდეგ თავებში მოთხრობილია მისი გათხოვება ასიყო ცავარელზე, ქორწილში პირველად მოსვლა და შერაცხვა მამისა. აკაკის მიერ „კინტოს“ დაწერა ერთ ღამეს ნატოს ბენეფისისათვის, ნატოს შეხვედრები გამოჩენილ რუს დრამატურგ ისტროვსკისთან. ცალკე არის დაწერილი ნატო და ვრნესტოროსისა, ნატო ეპიზოდურ როლებში, დიდი მკონების დახმარება ნატოსადმი, ნატო სუნდუიანცის პიესებში, ნატო ლიტერატურულ სამუშაოებზე, ნატოს ლიტერატურული მოღვაწეობა, ნატო ახალგაზრდობის მეგობარი, ნატოს ცხოვრების თანამგზავრი, ნატო ცხოვრებაში და სხვა. ამ წიგნში პირველად არის გამოტანილი ბევრი ახალი მასალა ნატო გაბუნის მოღვაწეობის შესახებ. ასეთებია, სახელდობრ, ნატოს ზალზოსნურ ფარულ ორგანიზაციაში მონაწილეობა, ნატოს ლიტერატურული მოღვაწეობა და სხვა. ცალკე თავები აქვს მიძღვნილი აგრეთვე ნატოს იუბილეს და მისი გარდაცვალების-დასაფლავების ამბებს.

ნაკლო, რომელიც სარეცენზიო ნაშრომს ახასიათებს, ეს არის ნატოს მოღვაწეობის სუსტად დაცემიერება ეპოქის საზოგადოებრივ მოძრაობასთან, აგრეთვე წყალწყალა რეცენზიებიდან ადგილების მოუყვანით ნაწარმოების ზედმეტად გაღატაკითა. წიგნი დასრულდა.

ბ. მაღალაშვილი.

### ახალი წიგნები კვლევის საკითხებზე



ბ. თაყაიშვილი — „იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება“, საბლიტბაში, 1949 წ.




იაკობ გოგებაშვილი საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულის დიდი ქართველი მოღვაწეა, რომელმაც, მთელი თავისი ცხოვრება რაინდული მგზნებარებით ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მაღალი იდეალების განხორციელებას შესწირა. ილია ტევადაძისა და აკაკი წერეთლის თანამსახვრე, დიდი ქართველი პედაგოგი და მწერალი, საქართველოს გასული საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

ერთ-ერთი მთავარი და კოლორიტული წარმომადგენელი იყო.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყოველთვის და ყოველგან, დიდსა თუ პატარა საქმეში, გოგებაშვილი გასაოცარი სიმტკიცითა და რწმენით იცავდა მის მიერვე წამოყენებულ დევიზს — „გიყვარდეს ვრი შენი უმეტეს თავის შენისათ“.

სოციალურ თანასწორობასა და სამართლიანობაზე მოცინებ, წოდებრივი და ქონებრივი პრივილეგიების შეურთებელი მოწინააღმდეგე



დიდი ქართველი პატრიოტი, ჩვენი ხალხის ერთგული აღორძინების მთავარ პირობად თავისუფალ შრომას აღიარებდა, მის, როგორც ნამდვილ მესამოციანეს, — ყველაფრის შემქმნელ მხოლოდ მშრომელი ხალხი მიაჩნდა, ეს შეგნება ჰკვებავდა იაყობ გოგებაშვილის უსახლურ სიძულვილს ძველი, ექსპლოატატორული საზოგადოებაში.

ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება მიაჩნდა გოგებაშვილს ადამიანის, ერისა და ეკობრიობის ბედნიერების ერთ-ერთ პირობად. მაგრამ, გოგებაშვილისათვის, ბუნების შესწავლა, მის ძალთა გარდაქმნა და პრაქტიკულად გამოყენება მარტო მატერიალური კეთილდღეობის წყარო კი არ არის, არამედ არის აგრეთვე შეცნიერებლ აზროვნების სწორი აღზრდის და განმტკიცების ერთ-ერთი უდიდესი საშუალება, როგორც ამას სწორად აღნიშნავს პროფ. თავზიშვილი.

ეს სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი უდევს საფუძვლად გოგებაშვილის პედაგოგიკურსა და მხატვრულ შემოქმედებას.

ცნობილია, რომ იაყობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება დიდაქტიკური ხასიათისაა. ამისი პროზის მიზანი — აღნიშნავს პროფ. თავზიშვილი — სასწავლო — აღზრდლობითი ამოცანების მხატვრული ვადებია. ეს ამოცანები განსაზღვრავენ იაყობის მწერლობის, როგორც იდეურ სამყაროს, ისე მის ესთეტიკურ ფორმებს, მას ლიტერატურულ სტილს.

პროფ. თავზიშვილი თავის შრომაში საყვებით სწორად ახასიათებს იმ დიდ დამსახურებას, რამელიც საეკობრიო კულტურის წინაშე დიდაქტიკურ ლიტერატურას მიუძღვის. ამასთან დაკავშირებით, პროფ. თავზიშვილს დამაკვირვებლად აქვს გაკრიტიკებული ჰეგელის ნეგატიური დამოკიდებულება დიდაქტიკური პოეზიისადმი, როგორც „ხელოვნები არა ნამდვილი ფორმისადმი“ და, რაბლის, ლოფნიტაინის, დევის, სეიდტის, გუტამიშვილის, კრილოვის, შოი მოვილიის, ჩოკოვსკის შემოქმედების მაგალითებზე ცხადაყოფს დიდაქტიკური პოეზიისა და პროზის დამსახურებას მხატვრული სტილების განვითარებაში.

დიდაქტიკური მწერლობის გარკვეულ დარგს წარმოადგენს საბავშვო ლიტერატურა, რომელზედაც — გოგებაშვილის აზრით, — შენდება მთელი ლიტერატურა და შეცნიერება ხალხისა.

ამიტომ მიაჩნდა ჩვენს სახელოვან პედაგოგს საბავშვო მწერლობა შემოქმედების უაღრესად რთულ დარგად და, როგორც პროფ. თავზიშვილი ამბობს, კატეგორიულად მოითხოვდა

თითოეული საბავშვო მწერლისაგან, ბავშვის ინტერესების, მისი განცდების ყურადღებულად საერთოდ ბავშვის ბუნების შეხედულებების მოკვდნას.

როგორც წიგნის ავტორი შენიშნავს, ემოციურად მადრი და შთაშვებლავი ნაწარმოების შესაქმნელად, გოგებაშვილის შეხედულებით, მალე იდეურბაზისთან ერთად საერთო განსაკუთრებული ყურადღება მიეკუთვნება „სამწერლო ენასა და გადმოცემის მეთოდს“.

დაღა პედაგოგის შეხედულებით, საბავშვო მწერლის ენა უნდა იყოს ხალხური, მარტივი, კეთილსმოყვანი, სურათოვანი და მდიდარი, ხოლო ნაწარმოების შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით აშირველი ადგილი უნდა ეკორას მოქმედების დახატვას, დრამატისმასა და პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე და შეუხებლადეს მხოლოდ უმოთარესს საგნის ნაწილებსა.

ამიტომ მოითხოვდა გოგებაშვილი საბავშვო მწერლისაგან არა მარტო ლიტერატურულ ოსტატობას და დახვეწილ გემოვნებას, არამედ „მასალისადმი დანჯს, მოღუქრებულს, გულისყურით საყვ დამოკიდებულებას“.

ბუნება, შრომა და ადამიანი თავისი ეროვნული, საზოგადოებრივი, საყოფაცხოვრებო და სწეობრივი მისწრაფებებით — აი ის თემატრია — პროფ. თავზიშვილის სწორი განსაზღვრით — რომელზედაც გოგებაშვილმა ბავშვების კარი, „დედა ენა“ და მის მიერ გამოცემული ცალკეული მოთხრობები.

გოგებაშვილი ემოქის ნამდვილი შვილი იყო თავისი განმანათლებლური იდეებითაც, ილია კუკუვაძესთან ერთად მას ღრმად სწამდა, რომ ადამიანთა მრავალი უბედურების ერთი მთავარი მიზეზი უსწავლელობა, გაუნათლებლობაა. ამიტომ ანიჭებდა იგი თავის მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იმ ნაწარმოებთ, რომელთა საშუალებით, როგორც პროფ. თავზიშვილი ამბობს, „მას სურს შთაუნერგოს პატარა, ახლადდაშვეებ მოწათებს, რომ სწავლა და ცოდნა ყველაფერზე ძლიერ უნდა იზღადღეს ახლავაზრდობას“.

გოგებაშვილმა, როგორც დღემა პედაგოგმა და ჩინებულმა ფსიქოლოგმა, კარგად იცოდა, რომ სწავლა, შრომა, რომ იგი გარკვეულ დროს გარკვეული მიმართლებით მუშაობას გულისხმობს და ფსიქოლოგიურად ერთგვარ სიძნელეთა გადალახვასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, საყვებით სწორია პროფ. თავზიშვილის მოსაზრება, რომ, ისეთი მოთხრობებით, როგორცია, მაგალითად, „ვანი და ფრინველები“, გოგებაშვილი „აფრთხილებს პატარა ბავშვებს, რომ სწავლას სათანადო სიძნელეები

ახლავს, მაგრამ ყველა მათგანი ადვილად დასაძლევია, თუ გამოვიჩინებ სწავლის მტკიცე სურვილსა და მონდომებას“.

ამ სერიი დეტალების წამოყენების შემდეგ საქიარი იყო, რომ ავტორს, გოგებაშვილის სასაუბრო ნაწარმოებთა მხატვრული ანალიზის საშუალებით დაეხმებოდა მკითხველისათვის, თუ როგორ ახერხებენ იაკობის მოთხრობათა გმირები სწავლის პროცესში წამოჭრილ სიძნელეთა ადვილად გადალახვას და რა როლს თამაშობს ამ საქმეში ადამიანის ნებელობა და ინტერესი.

გასაოცარი შეენიერებოდა სიღრმით წვდება გოგებაშვილი ბავშვის აზროვნებას განვითარების პერიოდების თავისებურებას, რომლის შესაბამისადაც აქვს მას შერჩეული და დალაგებული სასწავლო მასალა „დედა-ენის“ თრევე ნაწილსა და „ბუნების კარში“.

გოგებაშვილმა იცის, რომ ბავშვის განსაკუთრებით კი უმცროსი ასაკის ბავშვის, აზროვნება კონკრეტულია. მაგრამ მან ზედმიწევნით სიზუსტით იცის ისიც, რომ უმაწილი-სათვის საინტერესო და მიმზიდველია არა ყოველი კონკრეტული, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელსაც „პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ცხოვრებასთან“.

კონკრეტულის ასეთი ვაგებით ხელშეწყობილობდა დიდი იაკობი, როდესაც „ბუნების კარში“ მოთავსებული მასალების შესახებ წერდა: „ჩვენ ვედილობით ყოველი განყოფილება ისეთი უსაარსიო ავეყვსო, რომელიც მასთვის უკავს უმაწილს მისთვის საინტერესო საკითხებზე და რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანის, ქართულის ცხოვრებასთან.“

აი, აქედან მომდინარეობდა უდიდესი ორიგინალობა „ბუნების კარისა“. რომლის მოთხრობები, მსგავსად გოგებაშვილის სხვა მხატვრული ქმნილებებისა, პროფ. თავზიშვილის გამოთქმით, „ესთეტიკური ღირსებით და ემოციური სიძლიერით ღრმად სწელებიან ჰაბუტის სულს, რაღაც ინტიმური სათბო შეაქვთ მის განცდებში და აკეთილშობილებენ მის გრძნობებს“.

ნათობა და მადლი პატრიოტული გრძნობის აღზრდა შეადგენს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური აზროვნებისა და მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მოტივს.

ქართველი ხალხის პატრიოტული აღზრდის კეთილშობილ ამოცანას ემსახურებოდა საქართველოს ისტორიულ წარსულთან დაკავშირებული ეს მოთხრობები, რომლებშიაც იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მსგავსად, ამ წარსულის ერთგვარ იდეალიზაციას ახდენდა.

ეს იყო სრულიად შეგნებული მოქმედება, რომლის საშუალებით, — ამხუტურქოვნიშვილი, „ჩვენ პოლემიკებს [ქრეტიანული] სწავლებიანთ რუსეთის მეფისა და კაპიტალის მონობაში მყოფი ქართველი ხალხისათვის „რანი ვიყავით გუშინ“ და რანი ვართ დღეს, რომ ასეთი მიმზიდველი წარსულს მკონე და თავსუფლებიამოყვარე ხალხს არ შეუძლია შეერგოდეს მონობასა და ჩავერსა, რომ მან უნდა მიმბაროს თავის ეროვნულ გმირებს და დღე მოღვაწეებს და „ველე აიღვივის დიდების დღენი“.

გოგებაშვილის პატრიოტიზმი, როგორც ამას დამაჯერებლად ასაბუთებდა პროფ. თავზიშვილი, არგანულად იყო დაკავშირებული ხალხთა ინტერნაციონალური სოლდარობის მოწინავე, პროგრესიულ, დემოკრატიულ იდეასთან, რომლის დაუღალავ მჭიდრავებული იყო ჩვენი სახელუფანი პედაგოგი მთელი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის ხანაში.


ჯამისალი პატრიოტიზმის პოზიციებიდან გერძობდა გოგებაშვილი ტრიუჩკესა და მს თანამოაზრეთა ავანაგურ, დამპყრობელ „პატრიოტიზმს“, და აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ცრუპატრიოტიზმს, რომლის წარმომადგენელი პროფ. თავზიშვილს დახასიათებით, „გარევეწულად, პრესაში და შეკრებებზე ცხარედ იცავდნენ ქართული კულტურის ყოველ ელემენტს, მაგრამ არსებათად. მათ ოჯახებში არც ერთი ეს ელემენტი, განსაკუთრებით კი მშობლიური (ქართული) ენა, არ სარგებლობდა რაიმე პატრიოტისკემით“.

ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების ბედილებელ პირობად, გოგებაშვილს ძველი „ავანაგურის რევიმის დამსხვრევა“ და რევოლუციის გამარჯვება მიაჩნდა.

პროფ. თავზიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეფის რევიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ამხედრების ამოცანას ემსახურებოდა — იდეალიზებული წარსულის ეს დამირისპირება ჩვენი ქვეყნის დამაბუნებოი აწმყოსათვის“, რომლის დაივიწყარი სურათები გოგებაშვილმა მადლის ისტატიზით დაგვიხატა თავის ისტორიულ მოთხრობებში

წიგნში დამყრილებით აირს მოთხრობილი ამ ისტორიული მოთხრობების („ამანიძის ომი“, „ერეკლე მეფე და ინგილო ჭალი“, „თავდადებელი ქართველი“ და სხვ) შინაარსი მაგრამ, მათა წმინდა მხატვრული ღირსებების განხილვა და ჩვენება ავტორს, რატიმდაც საქიაროდ არ მიუჩნევია.

მართალია, წიგნის შემდგომ თავში პროფ. თავზიშვილი ეხება გოგებაშვილის პროზის კომპოზიციის საკითხს, არკვევს მის მერ სუ-



მეტის განკათარების ხერხებს, მაგრამ ყოველ-  
ლივე ეს მწერლის კონკრეტი მასალისაგან მო-  
წყვეტით არის შესრულებული და ამიტომ ზო-  
გად-თეორიული მსჯელობის ხასიათს ატარებს,  
რაც, ცხადია, საკმარისი არ არის.

წიგნის იმ ნაწილში, რომელშიც ავტორის  
მიერ გოგებაშვილის პოეტიკის ზოგადი ბუნე-  
ბა განხილული, განსაკუთრებულ ყურადღებას  
იქცევა პეიზაჟის ადგილის საკითხი დიდი პე-  
დაგოგის მხატვრულ შემოქმედებაში.

პროფ. თავიშვილის აზრით, „პეიზაჟი გო-  
გებაშვილის ნაწარმოების მკმედი ფაქტორია,  
ის იწვევს პერსონაჟის ხასიათისა და განცდის  
ცვალებადობას და ადამიანის სულიერი ცხოვ-  
რების განუყოფელ ნაწილად გვეთვლება“.

წიგნის ავტორის ამ სწორ დასკვნას ჩვენ და-  
ვემატებდით მხოლოდ იმას, რომ ბუნება მკმე-  
დი ფაქტორის როლს ასრულებდა არა მარტო  
გოგებაშვილის გმირების, არამედ თვით მწერ-  
ლის შემოქმედებითი ცხოვრებაშიც. ამის საი-  
ლუსტრაციოდ საკმარისი დავახაზოთ ერთ-  
ი დეტალი, ცნობილი ქართული მოღვაწის,  
ილია ნაკაშიძის შოგონებიდან.

„ერთხელ ვინახულე ავადმყოფი იაკობი,—გა-  
დმოგვეცემს ილია ნაკაშიძე.—ვესაუბრე ჩემი  
ნაწერების შესახებ და უნებურად, რომ მწერ და  
კეთილდღობ მინდვრად, ტყეში, წყლის პირად,  
ვაშლილი ცხს ქვეშ“.

„მეც ასე დაეწერე ჩემი „დედაენა“ და „ბუნ-  
ების კარი“, მიმქონდა ტყეში და მინდორში  
მასალა, იქ ვაწყობდი, ვალაგებდი და ვწერ-  
დიო“,—უთქვამს იაკობს ილია ნაკაშიძისათ-  
ვის.

ამ სიტყვებში ნათლად ხიანს, თუ შემოქმე-  
დების რაგორი უმრეტე წყარო ყოფილა გოგე-  
ბაშვილისათვის ბუნების კალთა. ის გასაგებს  
ხდის „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ავტო-  
რის მიერ ბუნების სიმშვენიერის იმ ვაყისებურ  
ვანცდას, რომელიც ასე მძაფრად იგრძნობა  
მის მხატვრულ ქმნილებებში.

მაშენს სულიერი ცხოვრების მრავალი და-  
ფარული, ინტიმური მხარე ვააშუქა იაკობ ვო-  
გებაშვილმა თავის შესანიშნავ ქმედებებში  
მოთხრობებში, რომელთა შორის მხოლოდ ერთ-  
რობელ ვარსკვლავად კიაფობს ქართული ახალ-  
გზარდობისათვის უსაყვარლესი „იანანამ რა  
ქვემამ“.

საბავშვო ლიტერატურაში, აღბათ, ცოტა მო-  
იხებება შემოქმედების ასეთი ძალის სხვა ნი-  
წარმოებები.

ქვეშარტად ვასაოცრია ის სისწორე, რომ-  
მელსაც იაკობ ვოგებაშვილი ამგლევენს იქ  
ადამიანის სულიერი ცხოვრების კანონზომიე-  
რების დაქვრამში.

ამ ნაწარმოებში ქეთოს „მობრუნების“ ამ-  
ბავის წმინდა ფსიქოლოგიური ახსნა აქვს მოცე-  
მული თავის შრომაში პროფ. თავიშვილს. უნ-  
და ითქვას გადაჭრით, რომ ამ მეტად საინტე-  
რესო საკითხს წიგნის ავტორი დიდ ყურადღე-  
ბას უთმობს და დაეწვრილებით განიხილავს  
მას. ე. წ. ასოციაციის კანონის მიხედვით.

წიგნის აზრით კი, იმას, რაც გოგებაშვილმა  
ქეთოს „მობრუნების“, მისი სულიერი გაოდა-  
ტების მიზნად ვაგეითვალისწინა, თანამედრო-  
ვე ფსიქოლოგიაში უველახე უფრო განწყობის  
ცნება ასახავს და ამხ. თავიშვილსაც, ვფიქ-  
რობთ, იგი უნდა მოეშარჯებინა ამ შემთხვე-  
ვაში.

ქართული მხატვრული ლიტერატურისა და  
პედაგოგიკის ისტორიაში იაკობ ვოგებაშვილი  
იყო პირველი საბავშვო მწერალი.

პროფ. თავიშვილის სარტყენზიო წიგნიც  
პირველი მონოგრაფიული შრომაა, რომელშიც  
დიდი სივვარულითა და პასუხისმგებლობით  
განხილულია დიდი ქართული პედაგოგისა და  
მწერლის მხატვრული შემოქმედება.

ეს წიგნი უამველად დროული და კარგი სა-  
ჩუქარია ქართული მეთიხველისათვის.

ვლადიმერ ზაზვახიძე.

კ. დ. უშინსკი ქართულ ენაზე



რუსული კლასიკური პედაგოგიკური აზრო-  
ვნების ისტორიაში კ. დ. უშინსკის განსაკუთრე-  
ბული ადგილი უჭირავს. პედაგოგიკაში, რაგორც  
მეცნიერებაში აღზრდისა, სწავლებისა და განათ-  
ლების შესახებ თავისი სრულყოფილი სხებ

უშინსკის პედაგოგიკურ მომღერებაში მიიღო-  
ამიტომ ითვლება იგი რუსული მოწინავე,  
პროგრესიული პედაგოგიკის მამამთავრად, მის  
ფუძემდებლად.  
ბელისკის, გერცენის, დობროლუბოვისა და



სტ. პროგრესულ მოაზროვნეთა იდეებზე აღზრდილმა უმისსკიმ შექმნა სრულიად ახალი, წინააღმდეგობის რადიკალური განსაკუთრებული პედაგოგიური სისტემა, აღზრდისა და გაათავისუფლების თანამედვერული მეცნიერული თეორია, რომელიც გაცდენილია ღრმა ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის, ხალხურობისა და დემოკრატიზმის პრინციპებით. უმისსკის მდიდარი სამეცნიერო და პედაგოგიური მემკვიდრეობა უმნიშვნელოვანეს საგანძურს წარმოადგენს ჩვენი ხალხის მეცნიერული აზროვნების ისტორიაში; იგი ახლობელი და ძვირფასია მრავალრიგობის სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ხალხისათვის, კულტურისა და მეცნიერების დარგის ყოველი მოღვაწისათვის.

შეშვის სულიერი სამუშაოს ღრმად შეცნობისათვის, აღაშინის ხასიათისა და ნებისყოფის, პატრიოტული იდეებისა და ჰუმანიური გრძნობების აღზრდისათვის, უმისსკის პედაგოგიურ შრომებს, მის მთელ პედაგოგიურ მემკვიდრეობას უდიდეს მნიშვნელობა აქვს. ამ შრომებში ყოველი საბჭოთა მწერალი, „აღაშინის სულის ნიქაჩარი“, ყოველი შემოქმედი იპოვის მისთვის საინტერესო მასალას სრულყოფილი, მაღალი მხატვრული ნაწარმოების შექმნულად.

შე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ პედაგოგიური აზროვნების განვითარება შედარდ აბის დიკაშირებული პედაგოგიის დიდი კლასიკოსის კ. დ. უმისსკის სახელთან. ამ დროიდან განუზომლად დიდია ქართველი მკითხველი საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, სკოლის დარგის მეშვეთა ინტერესი უმისსკისადმი. მაგრამ ამ დიდი მოაზროვნისა და პედაგოგის შეხედულებათა ყოველმხრივ გაცნობის დღემდე აბრკოლებდა ის, რომ ქართულ ენაზე ჩვენ არ მოგვეპოვებოდა მისი კაპიტალური შრომების არც ერთი თარგმანი.

ასეთ ვითარებაში უპიკველად დიდმნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად უნდა ჩათვალოს კ. დ. უმისსკის ჩრეული პედაგოგიური თხზულებათა ქართულ ენაზე გამოცემა, რომელსაც 1948 წლიდან შეუდგა საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი (ჯგვით განზრახულია ჩრეულ თხზულებათა გამოცემა სამ ტომად).

რამდენიმე წნის წინათ პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დ. ლორთქიფანიძის რედაქციითა და შესავალი წერილით პირველად გამოვიდა კ. დ. უმისსკის ჩრეულ პედაგოგიურ თხზულებათა პირველი ტომი (თარგმანი ლ. კალანდამისა) ამ ტომში შესულია კ. დ. უმისსკის უმნიშვნელოვანესი სტა-

ტიები ბავშვთა აღზრდისა და პედაგოგიის სფეროებზე, რომელთაც დასაბამი წარესს ორიგინალურ მიწინავე რუსულსტრუქტურულ პროგრესულ პედაგოგიულ სისტემებს მსოფლიოში.

პროფ. დ. ლორთქიფანიძე თავის შესავალ წერილში „პედაგოგიის დიდი რუსი კლასიკოსი“ ფართო და ამომჭურავ დახასიათებას აძლევს კ. დ. უმისსკის მდიდარ პედაგოგიურ მემკვიდრეობას, კრიტიკულად განიხილავს მის ფილოსოფიურ და სოციალურ-პოლიტიკურ მოფლმხედველობას და ცხადყოფს იმ დიდ როლს, რომელიც უმისსკიმ შეასრულა რუსული კლასიკური პედაგოგიის განვითარებაში, მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

„უმისსკის მიერ განვლილი მთელი გზა, — წერს პროფ. დ. ლორთქიფანიძე, — დაწყებული 23 წლის ასაკში მის მიერ დაკავებული პროფესორის თანამდებობიდან ვიდრე მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, არის გზა ჰუმანიტი დემოკრატი პედაგოგისა, რომელიც სწევებს როგორც ხალხის ერთგული მსახური, ყოველ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს როგორც განმანათლებელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“ (ჩრ. თხზულებანი, ტ. 1, გვ. VIII).

უმისსკის იდეალი იყო ფართო სახალხო სკოლების გახსნა, ახალი თაობის აღზრდა სამშობლოსადმი სიყვარულის, ერთგულის სიამყარის გრძნობით. მისი მთელი ზრუნვა მიპყრობილი იყო იქითყენ, რომ რუსეთს, რუს ხალხს შეექმნა თავისი საკუთარი პედაგოგია, აღზრდის საკუთარი თეორია აგებული თავის ნაციონალურ თვისებებსა და ტრადიციებზე. ჩვეულებებისა და ხასიათზე. ამასია უმისსკის პედაგოგიური მემკვიდრეობის უდიდესი პატრიოტული ბუნება.

მიზევილ ივანეს-ძე კალიონი მაღალ შეფასებას აძლევდა კ. დ. უმისსკის პედაგოგიურ მემკვიდრეობას. „ჩვენ უკვე სოციალისტური წესობილია ვეაქვს. მაგრამ ის იღებენ, რომლებსაც თავის დროზე უმისსკი ავითარებდა. ეს ნამდვილი იდეებია, კიდევ მეტი: მე ვთვლი, რომ მათი განხორციელება მაღლიანად მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში შესაძლებელია“.

ჩრეულ თხზულებათა პირველ ტომში უმთავრესად დაბეჭდილია უმისსკის სტატიები, დაწერილი 1857 — 68 წლებში, რომლითაც დაიწყო ახალი ეტაპი რუსული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან სტატიებთ: „ჩა საჩაგებლობა მოაქვს პედაგოგიურ ლტერატურს“ (გვ. 1 —



27), „ხალხურობის შესახებ საზოგადოებრივ აღზრდაში“ (76—102), „შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა“ (გვ. 102—133), „ზნეობრივი ელემენტის შესახებ რუსულ აღზრდაში“ (154—218), „გერმანული აღზრდის ერთერთი ზნული მხარე“. „ნ. ი. პირაგოვის პედაგოგიური თხზულებანი“, (233—309) „შეხვედრების ანალიზის პედაგოგიური გამოყენება“ (309—353) და სხვ.

გ. დ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრების საფუძვლების გაცემისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მის სტატიას „ხალხურობის შესახებ საზოგადოებრივ აღზრდაში“ (1857 წ.). ამ შრომაში შიშველია უშინსკის შეხედულებათა ძირითადი გასაღები ადამიანის აღზრდის შესახებ. უშინსკი დაუღალავად იმართდა აღზრდის არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის წინააღმდეგ, მართალია, მისი ზოგიერთი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი ზენი დროისთვის უკვე მოძველებული და მიუღებელია, მაგრამ, საერთოდ, თვით ეს შრომა „ხალხურობის შესახებ საზოგადოებრივ აღზრდაში“ ნათელ წარმოდგენას იძლევა უშინსკიზე, როგორც დიდ პედაგოგსა და მეცნიერზე, როგორც რუსი ხალხის მოწინავე შეიღზე, რომლის შიშველი სიტყვებზე იყო დაკავშირებული თავისი ხალხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ინტერესებანი.

ამ შრომის ფასდაუდებელი მნიშვნელობა განსაულოებია იმაში, რომ ამ უშინსკი პირველად ილაშქრებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან (გერმანიი, საფრანგეთი, ინგლისი) სწავლა-აღზრდის სისტემების რუსეთში ბრძიდ ვალმონერგვის წინააღმდეგ და გაბედულად აყენებს იღვას რუსული ხალხური პედაგოგიური სისტემის შექმნის, აღზრდის ორიგინალური, დამოუკიდებელი თეორიის დამუშავების შესახებ.

ამდენს რა ევროპული აღზრდის საერთო ისტორიული საფუძვლების კრიტიკულ ანალიზს (I თავი), უშინსკი მიდის იმ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება აღზრდის ერთიანი სისტემა თავს მოვახვით სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს. ზეფის რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები იმ პერიოდში გატაცებული იყვნენ ევროპული განათლებით. ცდილობდნენ აზრდის ევროპული სისტემის უიკვლავად გადმოტანას რუსეთში იმის მიუხედავად — ეგუებოდა თუ არა ეს სისტემა რუსი ხალხის ნაციონალურ თავსებურებას, ფსიქიკას, ინტერესებს. უშინსკი სწორედ რუსი ხალხის ეროვნულ ღირსებაში ხედავდა იმის აუცილებელ პირობას, რომ ყოველ ხალხში „საზოგადოებრივი აღზრდის საერთო სახელმწიფოებისა და მრავალი საერთო

პედაგოგიური ფორმის ქვეშ იმალება თავისი განსაკუთრებული დამახასიათებელი უწყვეტი, შექმნილი ხალხის ხასიათის მატარებელი ძალა“. რომ ყოველ ხალხს „აღზრდის, თავისი განსაკუთრებული ეროვნული სისტემა, თავისი განსაკუთრებული მიზანი და თავისი განსაკუთრებული სავალდებულებები აქვს ამ მიზნის მიხედვით“ (გვ. 82).

განსაკუთრებულ ძვირფასია უშინსკის მეცნიერულ და საბუნებრივ თეორიის, ადამიანის ხასიათის აღზრდის შესახებ. ამ დარგში უშინსკის კალამს ეკუთვნის დიდი კაპიტალური შრომა „ადამიანი, როგორც აღზრდის საგანი“, რომლითაც იგი გვევლინება აგრეთვე რუსული ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებელთაგანად.

რჩეულ თხზულებათა პირველ ტომში დაბეჭდილია ამ შრომის — „წინასიტყვაობა“, რომელშიაც მოცემულია უშინსკის პედაგოგიური მოძღვრების ძირითადი მეთოდოლოგიური საფუძვლები. ადამიანის ხასიათის აღზრდაში უშინსკი დიდ როლს აეთმენებს სკოლას, ოჯახს და ვარემოს. ხასიათის სულიერი მხარის ცვლილებანი გამოხატულებას ჰპოვობენ მისი ხორცეული მხარის ცვლილებაში ან „ხასიათის იღვა გამოისახება გარეგნობაში“.

„სწორედ ამ იღვას იჭერს ნიჭიერი ფერწერი მხატვარი. — სწერს უშინსკი, — რომელსაც შეუძლია შიანის და გადმოსცეს ტილოზე ხასიათის ტიპული ნიშანი, განასხვავოს არსებითი შემოხვევითიანგან. ფიზიონომიიდან უაზროდ გადმოიღება ასლისა, თუნდაც ეს ასლი გადმოიბეჭდილი იყოს დაგვირგობით, ამ მხრივ ვერ შეცდის ფერწერას. მხატვრის გენიის შეუძლია პირველ ადვილზე წამოსწიოს ფიზიონომის სწორედ ის ნიშანი, რაც ხახის ტიპურ თავისებურებებს შეადგენს. კარგი პორტრეტერი არა მარტო ადამიანის ხასიათს გადმოსცემს, არამედ ხშირად ყიდევაც ხსნის ხოლმე ამ ხასიათის აზრს შეერეველი თვალისათვის. რომელიც იბნევა ორიგინალის მრავალშემოხვევისა და ხელოვნურ ნიშნებში.“ (გვ. 86).

ამ და სხვა მსგავს შეცნიერულ მითითებებს უღიფის მნიშვნელობა აქვს არა მარტო აღმზრდელ პედაგოგთათვის არამედ ხელოვნების დარგის ყოველი მოღვაწისათვის, რომელსაც ადამიანის სოლის ასახვისათვის. მის აღზრდასა და ფორმირებასთან აქვს საქმე.

სტატიაში „გერმანული აღზრდის ერთი ზნული მხარე“ უშინსკი გამანადგურებლად აკრიტიკებს გერმანული პედაგოგიის იმეთ წარმომადგენლებს, როგორცაა ღირსტრევეი, კარლ შმიდტი და სხვ., ააშკარაებს მათს რეაქციულ ბუნებას, აღზრდის გერმანული სის-

ტვის უფარვისობას და იცავს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის, სწავლ-აღზრდის საქმეში მამაკაცთან ერთად ქალის უართოდ ჩაბმის დემოკრატიულ იდეას. წინასწარმეტყველებრად გაიხმის ამ სტატიიდან უმისის შესდგვი დასკვნითი სიტყვები: „იმ მოთხოვნათა მიხედვით, რაც საზოგადოებაში გამოითქვა, ჩვენი სლავური გვლდია და კეთილი ბუნების მიხედვით, რომელსაც ოჯახშიც კი არ შეუძლია გაატაროს რაიმე წინასწარმიღებულ მეთოდი, და ბოლოს, ჩვენი ადამიანური შეხედულებების განსაკუთრებული სიფართოვისა და იმ უფლებების მიხედვით, რაც ჩვენში ქალს მიანიჭა მოქალაქობრივმა კანონმა, — შეიძლება იმედი ექონიოთ და ეფიჰათ, რომ ჩვენში ქალთა აღზრდის უფრო ჰუმანიური, უფრო ქრისტიანული გეგმა გამოიმუშავდება, ვიდრე გერმანიაში“.

ეს სტრუქონები დაწერილია 1865 წელს. ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ბელ-

მძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში უკვე მოღონად განხორციელებულია უმრავლეს შემთხვევაში არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ესტეს არა აქვს ისეთი უფლებები და დაფასება, რაგორც ჩვენში.

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა უმისის რჩეულ პედაგოგიურ თხზულებათა პირველი ტომის გამოცემით უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმო საქმე გააკეთა. უმისის ქართული გამოცემანი საპატიო ადგილს დაიკავებს ყოველა ინტელეგენტის წიგნის თაოზე. თარგმანი კარვადია შესრულებული. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ინსტიტუტის გამოცემლობას სათანადო მზრუნველობა ვერ გამოუჩენია გავორშების მზრივ წიგნის მაღალხარისხონად გამოცემის საქმეში.

აკ. თოფჩია.

საადი — „გოლესთანნი“. თარგმანი ბ. ბილიძისა. თბილისი. 1948 წ.



ირანულიდან თარგმანი და გამოქვეყნდა დიდი ირანელი პოეტის, საადი შირაზელის „გოლესთანნი“. თარგმანი ეკუთვნის ამბაკო კელიძეს.

საადის „გოლესთანნი“ ირანული ლიტერატურის ერთ-ერთი პოპულარული ქმნილებათაგანია. დღესაც ძნელია ირანულ ლიტერატურაში მოიძებნოს მეორე წიგნი, რომელიც მასვეთ ვაერცლებული და ხალხში გასული იყოს.

„გოლესთანნი“ მკაცრი ფერებითაა გამოსახული შუა საუკუნეთა ირანის საზოგადოების კონტრასტული სახეები. საადი ქვეყნის მკეროხელთ კველმოქმედებისკენ მოუწოდებს და ღატაკი ხალხის სიზარაღლეს ჰქადაგებს. უთუოდ ამიტომ გახდა საადი სახალხო პოეტი, უთუოდ ამიტომ უყვარს ხალხს საადი.

გაოცებას იწვევს საადი, როგორც ცხოვრების ღრმა მყოღდე, მაგრამ უფრო მეტ გაოცებას იწვევს საადი, როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი. ზნირად მის პროზას რიტმიც ვაანია და რითმიც. სამიტომ. ზოგჯერ, მთარგმნელებს „გოლესთანის“ ზოგი პროზაული ადგილი ლექსი ჰგონიოთ და ლექსადვენ.


ყველაფერი ეს აძნელებს საადის თარგმნას. მიუხედავად ამისა, საადი ყველა კულტურული ხალხის ენაზე თარგმნა. თემცა მათ შორის

რამდენიმეს თუ ექნება მხატვრული თარგმანის პრეტენზია. რუსულად „გოლესთანის“ ოთხი თარგმანი არსებობს. სამწუხაროდ, საადის თარგმანებს ყოველთვის ზარეუები სდევდა თან და რუსულ თარგმანებზეც ვერ არიან ამ მზრივ დაუზღველნი. „გოლესთანის“ დღემდე არსებულ თარგმანებზე წარმოდგენა რომ ეიქონიოთ, საეპარისია აღენიშნოთ, რომ მათში ლექსები პროზითაა გადმოიღებული.

ქართული თარგმანი ამ მზრივ ერთგვარი წინსულაა. ყოველშემთხვევაში, ეს წიგნი „გოლესთანის“ მხატვრული თარგმანის მოცემის პირველი ცდაა. იგანსვენებულ მთარგმნელს, ამბაკო კელიძეს, უთუოდ შეუტრქმენია საადის ენა და საეპოდ მხატვრული თარგმანი მრეტია. წიგნის რედაქტორს პროფ. დ. კობიძეს და პოეტ დ. გაჩეილაძეს უმეშენიოთ თარგმანის გაუმჯობესების მიზნით. ქართულმა მკითხველმა „გოლესთანის“ კარგი თარგმანი მიიღო.

თარგმანში მინეც არის სერიოზული ზარეუები და გენდა ამაზე მიუთოთოთ.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ „გოლესთანის“ უამრავი რედაქციებიდან მთარგმნელს საუკეთესო ვერ შეუტრქმენია. მას უხეღმძღვანელებია ბერლინში გამოცემული „გო-



ლესთანით<sup>1</sup> რომელიც ტექსტუალურად სკოდადს და კარგ რედაქციად არაა მიჩნეული. დაყრდნობითა რა ამ ტექსტს. მთარგმნელს განუპიჯარებია ყველა ის შეცდომები, რომელიც დასახელებულ წიგნს გააჩნია.

არის სხვა შეცდომებიც. სახელდობრ, თარგმანში ვა. თბულობით: „კეთილი ქცევა ცუდთა აზრით იგი იქნება, რომ ცუდი ეუო ყოვლად კეთილ ადამიანებს“.

(„გოლესთანის“, 1948 წ. გვ. 56).

აქ საადი დამახაჯებელია. ორიგინალშია: „კეთილი ქცევა ცუდთა მიმართ ისეთივე იქნება, როგორც ცუდად მოქცევა კეთილთა მიმართ.“

„გოლესთანის“ კარი პირველი, ამბავი მეორე) მ-ე გვერდზე მოთხრობილია ასეთი ამბავი: გემზე სხედან. შემოხვევით ორი კაცი ზღვაში გადავარდა. ერთ-ერთი ქველმოქმედი ეუბნება მეზღვაურს: დახსენი ისინი და თითოს დახსენაში ორმოცდაათ დინარს მოგცემო, თარგმანში სწერია: „გემის უფროსს უთხრა: დახსენი ორ-ვე და თითოეულ მათგანში ორმოცდაათ დინარს მოგცემო. გემის უფროსი წყალში გადახტა.“ ასეთი თხოვნით მეზღვაურს მიმართავენ და არა გემის უფროსს. სიტყვა „მოლა“ ირანულად უბრალო მეზღვაურს ნიშნავს, გემის უფროსს „ნახეოლა“ ჭეოა.

101-ე გვ. გადმოცემულია ერთი მოგზაურის ამბავი. უღანნიში ქარავანი მიღის. გზაში ქარავანს ერთი დერვიში აემზავებია. ამბუდრებულმა მდიდარმა გლახას ურჩია: ნუ მოგვდეც, დაბრუნდი, თორემ გზის სიძინელეს ვერ აიტან და მოკვდებიო. პირიქით მოხდა: გზაში ის მდიდარი მოკვდა და დერვიში კარგათ იყო. თარგმანშია: „ერთ მდიდარ მგზავრთაგანს გზაში სიკვდილმა მოუტყრა“. აქ არაა მითითებული, რომ მოკვდა სწორედ ის მდიდარი მგზავრი, რომელსაც დერვიშს უკან გაბრუნება ურჩია. ზეკუნ ზეზოთ აღენიშნეთ, რომ მთარგმნელი იმეორებს იმ რედაქციის შეცდომას, რომელსაც ის იყენებს. ეს შეცდომაც ამითეუა გამოწვეული.

118-ე გვ. თარგმანშია: „ბრძენი თუ ამბობს ჰაქებს და კმარა ჩემი ჭონება, მისი ნათქვამი ხალხს არასდროს მოეწონება“.

ორიგინალშია: „ბრძენი თუ მხოლოდ ამბობს და ამით კმაყოფილდება, მის ნათქვამს ხალხი არასოდეს დაიჯერებს“ („გოლესთანის“. კარი

მეორე, ამბავი ოცდამეზღვიმეტე. იქვე თარგმანშია: „ხოი მესლამანებო, თქვენ გაცემ ჩემი გზის გამანათებელი სურათი“- იმანის ჭეში ნაყარდნილი კატეხეზღვიმეტეჰენ ეან ხართ მესლიმანი, სანიეული მამინათოთ“.

106-ე გვ. თარგმანშია: „სეკოზს არ გასტენო საჭმლით კუჭი მოუბიარავი, თუ გსურს იხილო ნამდვილ ცოდნის სინათლე სრული“.

თორემ ნუ ვაძლები და ეს საყმარისია, რომ ნამდვილი ცოდნის სრული სინათლე იხილო!“. საადი ამბობს: „ოიმიშვილ (ეოტა ჭამე), რათა ამით შესალო შენი ცოდნისა და უნარის გამოაშკარავებო“. (კარი II, ამბავი 22).

108-ე გვ. თარგმანში ვკითხულობთ: „წინათ იყვნენ ჰეუდაბნეული ადამიანი, მაგრამ მიმართულებით ერთნაირი. დღეს კი ადამიანი არიან ჰეუთ ერთნაირი, მაგრამ მიმართულებით დაბნეულნი“. უნდა ვასწორდეს ისე, როგორც ეს საად-სა აქვს: „წინათ იყვნენ შესაზუდავად განსხვავებულნი და ხასიათით შესავსენი, დღეს კი (პირიქით) შესახედავად შესავსენი არიან და ხასიათით განსხვავებულნი“. (კარი II, ამბავი 25).

113-ე გვ. უღანნიში დაფუძნებულ მწიარს მეფე ურჩიებს სასახლეში ვადმოსახლდეს. მწიარს რასაკვირველია, მეფის ასეთი რჩევა გულს არ ეკარება, იგი წარბეზს შეიკრავს და პირს მიობრუნებს. თარგმანშია: „ვანდევალს ასეთი წინადადება ჰეუაში არ დაუჯდა. საზე გაუწილდა“. ზენა „თაფთან“ ბრწყინვასაც ნიშნავს და მიობრუნებასაც. მაგრამ ორიგინალში მოციებული „რუი ბერ თაფთან“ მხოლოდ და მხოლოდ სახის მიობრუნებას. პირის მიობრუნებას ნიშნავს. თორემ რა შეუძია აქ გამოთლება?

მე-160 გვ. თარგმანში ვკითხულობთ: „ამის შემდეგ დაბალი ხმით ექადაგებ“. ორიგინალშია: „ამის შემდეგ სულ აღარ ექადაგებ“. მოქადაგეა, ჰმა არა იქვს კარგი. „გოლესთანის“, კარი IV, ამბავი 14).

198-ე გვ. თარგმანშია: „თუ არ იქნება მთავი წვიმა და ნიაღვრები, ერთ წელიწადში დამრებიან ნათოსადგურები“.

საადისა აქვს: „თუ არ მოწვიმა მთავე, ერთ წელიწადში ტერბრისი დამრებიან“. (კარი VII, ამბავი 5).

იქვე, საადის უნდა თქვას, რომ მდიდრები ვაკირებობს მოლოდინის შიმით იწებებენ თავს. მთარგმნელს ეს ანუ გადმოუცია: ვაკირებობისაგან მწუზარებას რად ვანიცილან“. დამახინჯებაა.

49-ე გვ. „გოლესთანის“ პირველ თავში მეფე ბრძანებს, დასაჯონ უღანნიეული ახალგაზრდა.

<sup>1</sup> საადი—„გოლესთანის“, ბერლინი, 1922 (ირანულ ენაზე).

დასაჯელი თავის ენაზე, რომელიც მეფეს არ ენმის, გინებას დაუწევებს თავის დამსჯელს. მეფე იტყვის: რაა ამათსო, ვეზირი ცოუობს: „ქება-დიდებას გახაპსო“, თარგმანში ვკითხულობთ: „რამდენადე ენა უჭრიდა, მიჰყო ვინებას ხელი“. მკითხველი გაოცებული დარჩება: ცხვირწინ აგნეს და არა ესმაო? უნდა შესწორდეს: „რამდენადე ენა უჭრიდა“ კი არა, არამედ „ენაზე, რომელიც მას გააჩნდა“.

მე-50 გვ. თარგმანშია:

„თუ კი შაის იგი ვაეზარდა,

— რასაც ეტყვიან.

ცუდად გამოვა, კარგის გარდა,

— რასაც ეტყვიან“.

აქედან ძნელია რაიმე აზრის გამოტანა. მთარგმნელს ვერ გაუვია ეს აღკალი და ეფიქრობთ, დაუბნარებია ი. ხოლმეგორთვის რუსულ თარგმანში, რამელიც თავისთავად დამახინჯებით კითხულობს ორიგინალს: «Если шах поступает с чужими словами, плохо бывает, когда ему говорят что либо, кроме хорошего».<sup>1</sup>

აქედან აზრი მიიწევა გამოდის, თუშეა ორიგინალს დატოვებული. ქართულში კი, ვიმეორებთ, აზრის გამოტანაც ძნელია. საჭიროა მოვინათ სპარსული ტექსტი:

„ქარ ქე შამ ონ ჭონედ ქე უ ვოიედ  
პაი ტბაშედ ქე გოზე ნიჭუ ვოიედ“

(კარი I, ამბავი 1)

საქმარისაა მეორე სიტყვა („ქე“) წაეკითხით როგორც „გა“ („ქე“ და „გა“ ერთნაირად იწერება და სხვადასხვა მნიშვნელობისაა. „ქე“—რომ. „გა“—დრო) და ასეთ თარგმანს მივიღებთ: „ყოველთვის მეფემ ის რომ გაეკეთოს, რასაც ის იტყვის, არ იქნება სწორი საქციელი, რადგან (ხოვცერ) უშვებინოსაც იტყვის“. აზრი გამართულია. საადის ეს უნდოდა ეთქვა და ასეც თქვა.

52-ე გვ. თარგმანშია:

რომ პატარა ვარ, პეი კაცო.

რად დამიწუნე

სოქვი, სიღიდეში ამა რაა

მოსაწონარი“.

ორიგინალშია: „პოი შენ, რომელიც ძლიერად არ თელი იმ კაცს, რომელსაც თავისი ღირსება შენთვის არ უბევენებია, პაძოლის ველზე გამხდარი ცხენია გამოსადეგი და არა მსუქანი ხარი“ (კარი I ამბავი 2). როგორც ვხედავთ, დიდი განსხვავებაა, არავითარი ღიღისა და პატარა

რას დამირისპირება საადის ამ ლექსში. ვინა, ქვის მოციმული. დაშვებულია მარჯვენა მხარეს მიწერილი აქვს რა საადის მსუქანი აზრის ატეორება: „სიღიდეში ამა რაა მოსაწონარი“.

მე-100 გვ. საადი, მიმოიხილაეს რა გავირევებული კაცის ცხოვრებას, ამბობს:

„ქარ სე დავედ ონ ქემ სე დარე

ხიმ ბერანად

ვა ონრა ქე ბეხანად ბე დარე ქას

სე დავანად“

(კარი II ამბავი 14).

აქ გამოტოვებულია ერთი პირი, რომელიც უსათუოდ უნდა ვეგულისხმობთ, რომ აზრი გავივით, თუ მასში ღმერთს ვეგარადებთ, მივიღებთ: „ვისაც (ღმერთი) თავისი კარიდან გამოაძეებს, იგი ყველგან დაწინაფლებს. ხოლო ვისაც (ღმერთი) თავისთან უბნობს, იგი არავის კარს არ აშუღება“. აზრი გასაგებია. მაგრამ მეტად გვაოცებს ქართული თარგმანი:

„მოუკრის კარიდან შენთან კვამლი

თუ შეშვიდი,

უნდა ყნოსავდე მის სიმწარეს

დაუზარები“.

საქმარისაა, რომ ამ ბუთში ნახვარი ასოების კომბინაციაა: რ, უ და ღ შეიძლება წაეკითხულ იქნეს ორგვარად: როგორც „დუღ“ და როგორც „დავად“. პირველი კვამლს ნიშნავს, მეორე პირველი ფორმაა ზმნისა „რბენი“ და ნიშნავს: „გარბის“. აღმათ, მთელი გაუტებრობა მთარგმნელისა ამაზეა აყვებული.

103-ე გვ. თარგმანშია:

„როცა კაცს მძლავრსა ასე ჩაგრავს

წუთისოფელი, უძღურს მიიყვანს ის სამა.

რის შევბენელ კარამდე“.

საადის კი აქვს: „ბედნიერების დღეს ვანიკითბე უბედურნი და ეს ავაცილებს შენ უბედურებას“ (კარი II, ამბავი 18). დიდი ვანსხვავებაა.

52-ე გვ.

„ინ მანემ ქე ანღარ მიანე ხაქ ო სუნ

ბინიი სერიი“.

(კარი I, ამბავი 3)

თარგმანშია: „მტერიან სოსხლს ნახავთ ძირს დაგდებულ მეგობრის თავთან“, ნიშნავს კი: „ეს მე ვარ, რომლის თავს სისხლისა და მტერის ორმტრიალში ნახავ“. რა შუამაია აქ მეგობრის სისხლიანი თავი?


ხშირად თარგმანში დამახინჯებულია ქართული ენა.

82-ე გვ. თარგმანშია: „ვევებრის ბერთან“. ორიგინალში „ვევებრეტელ ბერთან“ (კარი I, ამბავი 30)

ხშირია ფარმები: ზიან, დაჯდენ და სხვ.

104-ე გვ. თარგმანშია:

<sup>1</sup> „Гюлистан“ пер. Н. Холмогорова М. 1822. стр. 22.



„ღამის სიდიდე ჩემს წამყამებს  
კეთხე ფარულად.  
თვალს ერთი წუთით არ უგრძენია  
ძილი სიამის“.

ჯერ ერთი, არავითარი „ფარულად კითხვა“  
საადის არა აქვს, რა მიზანი აქვს ამას? მეორე,  
„ძილი სიამის“ რას ნიშნავს? თუ „ძილის  
სიამე“?

არის შემთხვევები, რომ გამოტოვებულია ზო-  
გი ადგილი. მართალია, „გოლესთანის“ თითქ-  
მის ყველა რედაქცია განსხვავდება ერთიმეორი-  
საგან, მაგრამ ის ადგილები, რომელიც საერ-  
თოდ ყველა რედაქციაში გვხვდება, უნდა თარ-  
გმნილიყო. საადი დარჩებებს მეორე პირის  
ფარებით იძლევა. თარგმანში კი უფრო მესამე  
პირის ფორმა გამოყენებული. ეს ანულებს  
შთაგონების კილოს.

თარგმანში იშვიათია კორექტურული შეცდო-  
მები, მაგრამ ერთი-ორი ისეთი კორექტურული  
შეცდომა გაპარულა, რომ შინაარსი ძირფესვი-  
ნად შეუცვლია. მაგ. სწერია: „ერთ დღეაქვს“,  
უნდა იყოს „ერთ დღეაქვს“ (გვ. 164). ასევე:

„თუთუყვივით შეპარს ძალზე  
ოჲმც ვეხარბები, 1  
ქა, იყოს ჩემი ტყილი სელი  
შენი საყვები“ (გვ. 189).

„თუმც ვეხარბები“ ორიგინალში არ არის. იქ  
სწერია: „თუ ვიყვარს“ უნდა გასწორდეს ასე:  
„თუ ვეხარბები“. („გოლესთანის“ კარი VI, ამბა-  
ვი 2).

კარგი იქნებოდა „გოლესთანის“ ლექსით  
ნაწილი პეტრებით არ აწყობილიყო. ლექსები  
„გოლესთანის“ ორგანიული ნაწილია.

ჩვენ თითქმის აღნიშნულ ყველა ამ საკლი,  
რომელიც სარეცენზოა წიგნს თან დაქვლია.  
„გოლესთანის“ თარგმანი, მარცხენა-მარჯე-  
ლი თარგმანი, მწელია დასტურებას შემსწავ-  
ლისაგან. საადის თარგმანი მოითხოვს დიდ ენობ-  
რივ სიზუსტეს. მის მთარგმნელს დიდი სიფრთ-  
ხილე მმართვეს. პატარა ვადახვევა, პატარა  
უგაღვეხელუაფა და საკმოოდ დაესცილებით  
მის აზრსა და შინაარსს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი რამ. საადი  
პარეულად არ გამოდის ქართულ ენაზე. ამევე  
მთარგმნელმა ამბაკო ჰელიძემ ირანელი ლირი-  
კაების კრებულში<sup>1</sup> შეიტანა მის მიერ თარგ-  
მნილი „გოლესთანის“ ზოგი ლექსი. სარეცენზო  
წიგნში დასახელებული კრებულის ზოგი მოთ-  
ხენელი შეცდომა გასწორებულია და ლექსებიც  
უფრო პოეტურადაა თარგმნილი. როგორც ჩანს,  
ამაში წიგნის რედაქტორებს უნდა მიუძღოდეს  
ღვაწლი.

რედაქტორს წიგნისათვის წარუშმდვარებია  
ერთელი წინასიტყვაობა და დაურთავს შენიშე-  
ნები, ურომლისოდაც საადის ვაგება ზოგ მკით-  
ხველს გაუმხელდებოდა. წიგნი ლამაზად გაუ-  
ფორმებია მხატვარ დიენოგორციევას.

საადის „გოლესთანის“ ეს თარგმანი კარგი  
საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის.

მ. თოდუა.

<sup>1</sup> იხ. „ირანელი ლირიკოსები.“ თბილისი,  
1936 წ., თარგმანი ა. ჰელიძისა.

ძვირფასი ბიბლიოგრაფია



საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართვე-  
ლომ ორი მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი გა-  
მოსცა: 1. ოქტომბრის რევოლუციისა და სო-  
ციალისტური მშენებლობის ცენტრალური სა-  
ხელმწიფო არქივისა და 2. ცენტრალური  
სახელმწიფო ისტორიული არქივის შეგზურე-  
ბი.<sup>1</sup> ეს შეგზურებია იმ მეტად მდიდარი არ-

ქივებისა, რომელნიც აღნიშნულ დაწესებუ-  
ლებებში არის დაცული.

თარევე შეგზურის დართული აქვს პატარა  
წინასიტყვაობა, რომელიც ვაიმეწობს როგორც  
შეგზურთა დანიშნულებას, ისე იმ სიმდიდრის  
შემადგენელი ნაწილების შესახებ, რომელთა

<sup>1</sup> Центральный государственный архив  
Октябрьской революции и социалистиче-  
ского строительства, под редакцией С. Маг-  
лакеლიдзе; Центральный государственный  
исторический архив, под редакцией А. Но-

видзе. Путьеводители, под общей редакцией  
М. Габричидзе, А. Ношадзе, III чхეთი.  
Ответственный редактор М. Габричидзе,  
издание Архивного Управления МВД Гру-  
зинской ССР. Тбилиси. 1947. 1948 г.г.

გზამკვლევადაც სხენებულ გამოცემებშია დამნიშნული.

რაფორც ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო, ისე ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, დიდმა მასალა დაგროვილა. ქართული კულტურის მკვლევარი, რომელ ღარგასაც არ უნდა იკვლევდეს იგი, მათში დაეძღვა მასალას გვერდს ვერ აუვლის. ქართული ლიტერატურ.ს მკვლევარისთვის სხენებულ არქივებში საინტერესოა და საუფრადღებო საბუთებია, დამუშავებული X საუკუნედან, თითქმის დღემდის, ისტორიკოსებისათვის ს, სამართლის ისტორიკოსებისათვის, სამხედრო საქმის ისტორიის შემსწავლელთათვის, სამეურნალო მეცნიერების ისტორიკოსისათვის, ფილოსოფიისა და სხვა მრავალი მეცნიერების შემსწავლელთათვის დირსველი და მნიშვნელოვანი საბუთებია. დარეკვა სახელმწიფო არქივების, მათში დავროვლია მასალა, რომელიც საშეალებათ იძლევა გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მეტად ვრცელი ეპოქის შესახებ, კერძოდ მე-10 საუკუნედან დღევანდლამდე. აურაცხელი ისტორიულად დიდი მნიშვნელობის წერტილებითი ძველი ინახება ამ დამუშავებულებებში, ეს არის გარკვეულად დიდი კულტურული განძი, რომლის ღირსება და ფსი მეცნიერული კვლევების ყოველ ნაბიჯზე ჩნდება.

არქივებში თავმოყრილი საბუთები ათეული ათასობით აღირიცხება. ამდენად დიდმნიშვნელოვანია ეს მეგზურები, ისინი ძვირფასი სახელმწიფო საწივებია ამ უღდად სიძველეთასაცევი შენახულ საბუთთა და საქმეთა შორის გზის გასაცლევად. ასეთი მეგზური საარქივო ფუნდებს შისაცლევად არ გამოეშელა ვერ ჩვენი, ეს სიტულად ახალი საქმეა, პირველი სეროზული ნაბიჯი იმ დიდი და რთული მუშაობისა რომელსაც უკვე აწარმოებს და შემდეგ განავითარებს საარქივო სამმართველო. ამ პირველ ნაბიჯს უნდა მოჰყვის თითოეული ფუნდის მეცნიერული აღწერილობა, რაც მეტად გააადვილებს მეცნიერ მუშაეთა მუშაობის არქივებში დაეძღვა საბუთებში.

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი ზოთი ძირითადი განყოფილებისაგან არის შემდგარი, ესენია: ძველი აქტებისა, აღმინისტრაციული და წოდებრივ დაწესებულებათა, სახალხო მუერნიობისა, კულტურისა, უფათ-ცხოვრებისა და კულტისა და სამხედრო დაწესებულებათა, თითოეული ეს განყოფილება ცალკეული კოლექციებისაგან შედგება, რომელთა გაგნებასაც ემსახურება ეს მეგზური. ამ კოლექციებში არის მოთავსებულა

ისეთი მნიშვნელოვანი საქმეები და საბუთები, როგორცაა უძველესი ხელნაწილები (დავით აღმაშენებლის, თეოდორე კურკულანდის დედოფლის დროისა და სხვ.), ხელნაწერი წიგნები მე-10, მე-12, მე-13 საუკუნეებისა, ნუსხა-ხეცური დამწერლობით შესრულებული სინაქსარი მე-13 საუკუნისა, ეტრატზე დაწერილი წიგნები, გუჯარები და წყალობის წიგნები, სომხური, სპარსული და თურქული დოკუმენტები, 1832 წლის შეთქმულების საგამომხიებლო კომისიის აქტები და სხენი.

ძველი აქტების კოლექცია ერთ-ერთი უმდიდრესი ნაწილია არქივისა, რომელიც თავისში იტევს მეტად დიდ მასალას, საქართველოს ისტორიისა, ლიტერატურისა, საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური მდგომარეობის აღმნიშვნელ საბუთს.

მეგზურის მეორე განყოფილებაში დასახელებული ფონდები საქართველოსი და აკაცასისი უძველესი ხელნაწილების აღმინისტრაციული მოღვაწეობის მაჩვენებელ საბუთებს შეიცავს. ეს მასალები აჩვენებს მეფის ხელისუფლების დაწესებულებათა და მოხელეთა საქმიანობას 1821 წლის შემდეგ ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე. ამ განყოფილებაში დაეძღვა საბუთები ძვირფასი წყაროა ჩვენი ქვეყნის ახალი ისტორიის დასაწერად. მასში შესტლა მოავარძარებლის, მეფის ნაცვლის, კაცასიის მხარის მოავარ სამმართველოს უფროსისა და სხვადასხვა დეპარტამენტების საქმეები, აქვეა იმყოფის. გუგონის, სამეგრელოს დროებითი სამმართველოს, თბილისის სასამართლო პალატის, თბილისის და ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს, ყანდარშთა და საქართველოს ქალაქთა, ოლქთა მმართველობის, სასამართლოების, დეპარტამენტთა საქმეების, პოლიციისტრების და სხვა საბუთები.

მესამე განყოფილებაში თავმოყრილია საბუთები სასტატისტიკო კომიტეტების, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოების, საეკლესიო მამულების, კაცასიის საშო სამმართველოს, წყალთა მუერნიობის, ქალაქთა მოწყობის, ბანკების, ხაზინების, ფაბრიკებისა და აქციონერული ამხანაგობების მუშაობის მაჩვენებელი.

მეოთხე განყოფილება შეიცავს კაცასიის არქივარფიული კომისიის, კაცასიის სასწავლებლების, წ. კ. გ. საზოგადოების, სასულიერო სემინარიის, საეწვერო კომიტეტის, საეკლესიო მუერუმის, სინოდის კანტორის და სხვა მრავალი დაწესებულებისა და ყრძო პირების (თოდო ყრძანისა, პოლიეკტ კარგელაშვილის, კათოლიკოს კირიანის, პროფ. მ. პოლიეკტოვის და სხვათა) არქივებს.

მეხუთე განყოფილებაში თავმოყრილია სამ-


ზედრო დაწესებულებათა ფონდები, რომლებიც ასახავენ ამ ძლევაშიხილ ომებს, რომელთაც აფგილი ჰქონდა მე-19 საუკუნეში სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ. ამ განყოფილებაში დატულია საბუთები მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან, რომელნიც ასახავენ რუსეთ-საქართველოს სამხედრო და პოლიტიკურ დაახლოებას, კავკასიის ბრძოლებს, სხვადასხვა სამხედრო საომარ ექსპედიციებს, იმპერატორებისა და სენატის ბრძანებებს და სხვ.

ეს არქივი (ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი) ჩამოყალიბდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მასში დატულია 1556 ფონდი 890791 დასაცავი ერთეულით. წარმოდგენა რომ გვეჩინოს. თუ რა სიმდიდრეა დატული ამ არქივში, საკმარისია ეთქვას, რომ თითოეული შესანახი ერთეული („საქმე“) ზოგჯერ შედგება რამდენიმე ასეული საბუთისა და ფურცლისაგან, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსულის ამათვიმ მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ მოგვითხრობს. შავ, ძველ ხელნაწერ წიგნთა კოლექციაში (ფონდი № 1446) შესულია 705 ერთეული. ეს ერთეულებია ძველი ჭართული ხელნაწერები, „ეფთხისტეაოსნის“ მე-18 საუკუნეში გადაწერილი ნუსხა, 1328 წლის სომხური სახარება, ვახუშტი ბაგრატიონის ისტორია და გეოგრაფია მის მიერვე შედგენილი რუკები, ხელნახაზბა ორბელიანის ლექსიკონის ნუსხა, ანტონ I კათოლიკოსის, ანტონ ჰყონდიდელის, თეიმურაზ პირველის, დავით ბატონიშვილის, დანიელ ჰონჩაძის და აზერბაიჯანელი სწავლულის ბაკანოვის ხელნაწერები. ბოლო სხვა ფონდში (№ 1448, 9659 ერთეული) შენახულია სხვადასხვა საბუთები მე-10 საუკუნიდან 1850 წლამდე. ესენია ჭართული მეფეთა წყალობანი, ველესი-მონასტრებისადმი გაცემული შეწირულებების წიგნები, გაზაბატებისა და სითარხნის სიგელები, ყიფვა-გაყოფისა და ხელშეკრულების აქტები, ყმა-გლეხთა ბოძება-მოთხოვნების დამამტკიცებელი საბუთები და სხვ.

მნიშვნელოვანია ფონდები №№ 77—79, რომლებშიც შენახულია საბუთები თურქეთის მიერ შიტაცებული საქართველოს ისტორიულად კუთვნილი მიწა-წყლის შესახებ, ცნობები თურქეთის მიერ მოთხოვნილ სოფლებზე, მათ შებოვრებათა ჩაოდენიანზე და სხვ. ფონდი № 440, თბილისის სასულიერო სემინარიის არქივისა, რომელიც ვარდა შავალარიცხვანობისა (ქრონოლოგიური ჩარჩო 1817—1918), ძვირფას ცნობებს შეიცავს იოსებ ჯღდაშვილის სწავლებისა, სემინარიელთა რეგულაციური მუშაობისა და გამოჩენილი ქართველი პედაგოგების პოლაფიკონის შესახებ.

ამეც არქივში დატულია დოკუმენტები, რომელიც ასახავს ხალხთა დიდი ხელისუფალი აზნავსტალინის ხელმძღვანელებით რევოლუციური ბრძოლას საქართველოში აკავასიაში. აქვეა საბუთები შ. კალინინის, მაქსიმ გორკის, ს. ორჯონიკიძის, ლ. კაცხოველის, ალ. წულციძის და სხვათა რეგულაციური ბრძოლის შესახებ.

მეორე მეგზური ოქტომბრის რეგულაციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივისაა (ცსაოპ). ამ არქივის ღირებულებაც განუსაზღვრელია, ასევე შესანიშნავია იგიც ფონდთა (1821 ფონდი) და შესახებ ერთეულთა (388391) ჩაოდენობით, ამ არქივში დატული საბუთები შეეხება პერტოდს 1917 წლის თებერვლის რეგულაციიდან 1940 წლამდე. ეს საბუთები გამოხატავს აკავასიის რესპუბლიკათა და კერძოდ საქართველოს სს რესპუბლიკის ისტორიას, მასში თავმოყრილია საბუთები, რომელნიც ცოცხალ გადმოგვცემს ხალხისა და სამშობლოს გამოდევნიების—დანაკების, მუსხავატელებისა და მენშევიკების ბატონობის პერტოდს აკავასიაში, მუშათა და გლეხთა ბრძოლას აკავასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, გვიამბობენ ბოლშევიკურ აჯანყებათა შესახებ ლჩხუდში, ღუშეთში, გურიაში, აფხაზეთში... მენშევიკური მთავრობის მიერ შიღებულ რუკრესიულ ზომებზე მუშათა ბოლშევიკური გამოსვლების წინააღმდეგ. გვიამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ დამაზხეს ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ სომხეთში და ბოლოს საქართველოში მუშებმა და გლეხებმა გამოდევლია და ევროპა-ამერიკის ბურჟუაზიის მსახურთა ხელისუფლებანი და ბოლშევიკური პარტიის ბრძნული პოლიტიკით და ს. კიროვის და ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, როგორ აფრილდა აკავასიაში გამარჯვების დროში. აქვეა ფონდები, რომლებშიც დატულია საბუთები აკავასიის ფედერაციის დროისა, მაჩვენებელი საქართველოსა და მისი მეზობელი რესპუბლიკების პოლიტიკური, საპერენუო, კონომიური და კულტურული ცხოვრების აღმავლობისა, ლენინური სტალინური ბრძნული ეროვნული პოლიტიკისა და სტალინური ხელმძღვანელობისა და სტალინური ხელმძღვანელობისა, მათგან გამარჯვებისა. საბუთები მოგვითხრობენ, თუ როგორ გადაიტეა საქართველო ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, აზნანავი ლავრენტი ბერიას მეთაურობით, ჩამორჩენილი ქვენიდან განეთარებულ, ინდუსტრიულ-აგარულ ქვეყნად, როგორ განვიითარდა ჩვენი მუშურების სხვადასხვა მოწინავე დარგი (ჩაი, ციტრუსები და სხვ.), როგორ აშენდა და განეთარდა ქალაქები, როგორ გაზრ-



დაქმნა ჩვენი ქვეყნის მეშათა და გლეხთა სა-  
არსებო საშუალებანი და პირობები, როგორ  
ვახარდა ქსელი უმაღლესი სასწავლებლებისა,  
საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებებისა, თე-  
ატრებისა, სკოლებისა, კლუბებისა და სხვ. ამ-  
რიგად ცსაორ-ში დაცულია ძვირფასი პირველ-  
წყაროები საბჭოთა საქართველოს და აქავეკის  
რესპუბლიკების ისტორიის შესახებ 1917  
წლიდან ჩვენ დრომდე. საბჭოთა საქართველოს  
ისტორიის დაწერა შობილად ამ მასალებზე და-  
ყრდნობით არის შესაძლებელი.

ცსაორ-ის მეგზური ოთხი მოთავარი განყოფი-  
ლებისაგან შედგება: აქავეკისის დროებითი  
მოთვრობისა და მეშათა და გლეხთა დებუტატე-  
ბის ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა  
ფონდები, საქართველოს დემოკრატიული რეს-  
პუბლიკის დაწესებულებებისა და ორგანიზა-  
ციების ფონდები, საქართველოს სსრ დაწესე-  
ბულებათა და ორგანიზაციების ფონდები და  
აქავეკისის საბჭოთა ფედერატიული სოციალის-  
ტური რესპუბლიკის დაწესებულებათა და ორ-  
განიზაციათა ფონდები.

ცხადია, ამ მეგზურებში შევძლებელი იყო  
გახსნილი და გაერთობილი სახით წარმოდგენი-  
ლიყო თითოეული ფონდი (რომელშიც ათასო-  
ბით საბუთია შესული). მეგზურში მითითებუ-  
ლია ფონდის დასახელება, ნაჩვენებია დაცულ  
საბუთთა ქრონოლოგიური მიჯნები, დასაცე  
ერთეულთა რაოდენობა, აღწერაობა-აღნუსხ-  
ვის მდგომარეობა. თითოეულ ფონდს წინ უქ-  
ლვის ლევენდა, რომელშიც მოცემულია ცნო-  
ბები ამითივე ფონდის ისტორიისა, წარმოქმნი-  
სა და შემადგენელი ნაწილების შესახებ. რა  
ხასიათისაა დამწერლობა (თუ იგი ძველ აქტებს  
შეეხება), როგორია შენახულობა, როდის და-  
არსდა დაწესებულება, რომელსაც ვუთმვის  
ხსენებული ფონდი, როდემდის არსებობდა იგი  
და სხვ.

ამ მეტად მნიშვნელოვან და სრულიად ახალ  
წამოწვენას—მეგზურების გამოცემას, დიდი სი-  
ხარულით მივსალმება ყველა მეშაეი, რომელ-  
საც ქართული კულტურის რომელიმე დარგში  
უჭეშაეია და საჭეე ჰქონია არქივში დაცულ  
მასალებთან. ეს მეგზურები მართლაც გზის  
მაჩვენებელია, რომლითაც მეტად ადვილდება  
ფონდების შიგნება, საბუთების მოძებნა და  
შობშარება. ამ ბრწყინვალე მიზნებს სრულია-  
დაც არ ანელებს და არ ზრდილავს ის ზოგი-  
ერთი დეფექტი, რომელიც თან ახლავს რო-  
ვორც პირველ, ისე მეორე მეგზურს და რომ-  
ელია აღნიშვნა შაინდ საქირთა.

სასურველი იქნებოდა მეგზურები დამეედი-  
ლი უფოდილიო ქართულ ენისზე, განსაკეორე-  
ბით ცხიას-ს მეგზური, რომელიც აღნუსხავს  
დიდილ ისტორიულ მასალას, ძველ ქართულ  
აქტებსა და ხელნაწერ წაგნებს.

სამწუხარიოდ ზოგიერთი ფონდი ამ მეგზურ-  
რებში სულაც არ არის მოხსენებული ამ მიზე-  
ზით, რომ ისინი მეცნიერებს ნაშტის  
უქონლობის გამო, ღირსნაზ მს ღმრს მსა-  
სენებისა.

კარგი იქნებოდა, რომ ცსა-ს ფონდებიდან  
ამოკრეული და მარქს-ენგელს-ლენინის ინსტი-  
ტუტის ფილიალში ვადატინილი მასალა, აღნი-  
შნული ამხანაგ სტალინის რეკოლუცი-  
ური მეშაობისა, დასახელებული ყოფილიყო  
შესაფერ ფონდებში, ოღონდ შათი ადვილსამ-  
ყოფების აღნიშვნით.

მეგზურებს ერთვის საძიებლები პირთა, გე-  
ოგრაფიული, საენობრივ-თემატიკური. კარგი  
იქნებოდა დართოდა აგრეთვე ფონდების სა-  
ძიებელი, შათი ნომრების ჩვენებით. შით უმე-  
ტეს ფონდები მეგზურებში დაღაგებულია არა  
რიგით, არამედ თემატიკურად.

ადვილისა და დროის გკონშიისთვის გან-  
მეორებანი თავიდან უნდა ყოფილიყო აცილე-  
ბული. მაგ. გვ. 27 — „Приказы и распоря-  
жения царей...“ თითბეტეკერი არის მოხსენე-  
ბული ერეკლე მე-2, საჭირო იყო გამოძებნი-  
ლიყო ან შემეცვლილი სიტყუა, ან რაიმე გრ-  
ფიკული გამოხატულება მონაცელოობისა. ასე-  
თივე მდგომარეობაა 28-ე გვ. (ცსი-ს მეგზურ-  
ში). იქვე, 57-ე გვერდზე და შეშდეგ წიგნის  
შალომდე ჩნდება ინიცილები ПСЗРИ, რაც  
არსად გახსნილი არაა, ასევე СУРИ (გვ. 162).

ზოგიერთ შემთხვევაში ფონდების აღწერი-  
ლობაში შეშდგენულთ დაუტოვებია ქართული  
ვერების რუსული დაწერილობა ისე, როგორც  
ეს საბუთებშია, მაგ. Авалов, Машиаров,  
Хушнев, Завалов (გვ. 204) საჭირო იყო შათი  
ვაქართულება.

უნდა აღინიშნოს, რომ არქივში დაცული  
ზოგიერთი მასალა-საბუთი გამოქვეყნებულია.  
ბეერად კარგი იქნებოდა, მიუხედავად შისი  
შესრულების სირთულისა, ან ცალკე, ან იქვე.  
ფონდების ჩამოთვლისა, მითითებული ყოფი-  
ლიყო, თუ რა არის გამოქვეყნებული და სად.  
შით უმეტეს, მეგზურის გამოქვეყნულ დაწესე-  
ბულებას რეგისტრირებული აქვს ყველა შისი  
საცევიდან ვასული საბუთი და მასალა.

ეს ორი შესანიშნავი მეგზური ძვირფასი სა-  
წიქირთა ყველა დარგის მეცნიერა მეშაის-  
თვის, ნაშდელია გზის გამკათუეია ამ საბუთთა  
და საქმეთა სიმრავლეში, რომელიც არქივების  
თაროებს ამძიშებს.

მეგზურთა შედგენაში მონაწილეობა მიღლია  
არქივის მეცნიერ მეშათა კოლექტრის, ცხენია:  
პროფ. შ. ჩხეტია, ს. შალაკელძე, შ. ვასაძე,  
შ. გაბრიანიძე, ა. თორიძე და სხვანი, რომლითაც  
არ დაუზოგიათ ღონე და მონდობება ამ დიდი-  
და დროელი საქმისათვის.

ს. ხუციშვილი.

## ახალი წიგნები



### „საგვოთა მწერალი“

- შოთა რუსთაველი. კეფის ტყოსანი. 387 გვ. ფასი 13 მან.  
 ალექსანდრე ქავჭავაძე. ლექსები და თარგმანები. 265 გვ. ფასი 10 მ.  
 შალვა აფხაიძე. ლექსები. 104 გვ. ფასი 8 მ.  
 რაფიელ ერისთავი. ლექსები. 256 გვ. ფასი 8 მ.  
 კონსტანტინე ლორთქიფანიძე. იმერეთის ცისკარი, რომანი. პირველი და მეორე წიგნი. 310 გვ. ფასი 15 მ.  
 გრიგოლ ციცილაძე. ლექსები. 120 გვ. ფასი 4 მ. 60 კპ.  
 ვახტანგ ორბელიანი. ლექსები. 142 გვ. ფასი 6 მ.  
 მარიამ გარიყული. განვლილი გზა. მოგონებები. მოთხრობები. 224 გვ. ფასი 9 მ.  
 გიორგი მერჩულე. ცხოვრება ვრიგოლ ხანძოელისა. 208 გვ. ფასი 12 მ.  
 ალექსანდრე ქუთათელი. პირისპირ. რომანი, წიგნი მე-3. მეორე გამოცემა. 232 გვ. ფასი 18 მ.  
 დავით სულაშვილი. მშობლიური მიწა. მოთხრობა. 141 გვ. ფასი 4 მ.  
 გიორგი შატერაშვილი. უკვდავი ფესვები. მოთხრობები. 200 გვ. ფასი 6 მ.  
 რაფინ ვეკატაძე.—ცხოვრება იყება თავიდან. რომანი. 347 გვ. ფასი 10 მ.  
 ლალიონი. მოთხრობები. 190 გვ. ფასი 7 მ.  
 დევეან ასათიანი. პეშენი და ქართული კულტურა. ნარკვევი. 94. გვ. ფასი 7 მ.  
 ნიშნო ხუნდაძე. შასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. ნარკვევი. 273 გვ. ფასი 15 მ.  
 რევაზ მარგიაიანი. სიმღერა კობენიშვილისა. ლექსები. 105 გვ. ფასი 3 მ. 50 კ.  
 სერგი კილაია. ლიტერატურული წერილები. წ. II. 304 გვ. ფასი 15 მ.  
 ქილილი და დამანა. თევზ-არაკები. 648 გვ. ფასი 30 მ.  
 გიორგი ლეონიძე. ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. 326 გვ. ფასი 18 მ.  
 მ. კალდერონი. თავის თავის დარაჯი. პიესა. თარგმანი დ. გაბეჩილიძისა. 164 გვ. ფასი 5 მ.

### „საბუნაში“

- იოსებ გრიშაშვილი. ერთობეული. LV—624. გვ. ფასი 30 მ.  
 მარიჯან. ლექსები. 92 გვ. ფასი 5 მ.  
 იოსებ ნინეშვილი. ქარიშხლის შემდეგ. ლექსები. 156 გვ. ფასი 6 მ.  
 ვოლტერი. ფილოსოფიური მოთხრობები. 392 გვ. ფასი 13 მ.  
 სოლომონ დოდაშვილი. ფილოსოფიის ეურსი. ნაწ 1-ლი. 76 გვ. ფასი 8 მ.  
 ალიო ადამია. მებაღე. ნარკვევი. 58. გვ. ფასი 3 მ.  
 რ. ნათაძე. ფსიქოლოგია. საშუალო სკოლების სახელმძღვანელო. 136 გვ. ფასი 5 მ. 50 კ.  
 კ. ხაჭრაძე ლოგია. საშუალო სკოლების სახელმძღვანელო. 136 გვ. ფასი 5 მ. 30 კ.  
 ზურა ბერულავა. ზღვის სუნთქვა. ლექსები. (აფხაზეთის ასსრ სახელგამი). 224 გვ. ფასი 17 მ.  
 მურმან ლებანიძე. აფხაზეთი. (აფხაზეთის ასსრ სახელგამი). 32 გვ. ფასი 2 მ.  
 სერგი გერხაშია. ბათუმის თეატრი. 70 წლის მანძილზე (აჭარის ასსრ სახელგამი). 160 გვ. ფასი 9 მ.  
 13. „მნათობი“, 76 მ.



ნადიდ გვარამია. თითისტოლა. ზღაპარი (გვარის ასრ სახელგამა) 31 გვ. ფასი 1 ზ. 50 ჯ.  
 ლევან ასათიანი. ალექსანდრე ქვეციანი. 26 გვ. ფასი 1 ზ. 50 ჯ.  
 შალვა რადიანი. ახალი ქართული მწერლობა. წ. 1. 476 გვ. ფასი 27 ზ.  
 კ. ს. სტანილავესკი. შახობის მუშაობა თავისთავზე. 572 გვ. ფასი 18 ზ.  
 ნიკო გვარამია. თეატრალური მემორები. 274 გვ. ფასი 12 ზ. 50 ჯ.  
 ი. ხ. ტურვერევი. მიმები და შედეგები. თარგმანი გ. დოლიძისა. 236 გვ. ფასი 5 ზ.  
 საფი. ვოლესონი. სპარსულიდან თარგმნილი ა. ქედიძის მიერ. 262 გვ. ფასი 10 ზ.  
 ალ. პუშკინი. რჩეული ნაწარები. ტ. II. 320 გვ. ფასი 16 ზ.

### „საბალიზაზი“

აკაკი წერეთელი. აფორიზმები. ფასი 2 ზ.  
 იროდიონ ედოშვილი. საბავშვო მოთხრობები. 108 გვ. ფასი 6 ზ.  
 მარიჯან. შიური ქვეყნის ბავშვები. მოთხრობები. 74 გვ. ფასი 5 ზ.  
 ლილია მეგრელიძე. ბუბა და ლელა მოთხრობა. 36 გვ. ფასი 2 ზ.  
 სანდრო შანთაშვილი. ლექსები. ივერ-არაქები. ზღაპრები. 90 გვ. ფასი 5 ზ.  
 გიორგი შატერაშვილი. კარგი ბიჭი. მოთხრობები. 84 გვ. ფასი 8 ზ.  
 ნიკოლოზ ჩაჩავა. გოგის წიგნი. ლექსები. 56 გვ. ფასი 4 ზ.  
 თამარ ჩხაიძე. ლოთი მამალი. მოთხრობა. 18 გვ. ფასი 2 ზ.  
 აკაკი ლისაშვილი. კეცხოველი. რომანი. 356 გვ. ფასი 16 ზ.  
 ნიკო ლომოური. მოთხრობები. 82 გვ. ფასი 5 ზ.  
 ევსტატ ნინოშვილი. მოთხრობები. 160 გვ. ფასი 8 ზ.  
 კლიმენტი გოგიავა. ვმირები. ნარკვევი. 44 გვ. ფასი 3 ზ.  
 ვარლამ ტურელი. ქუთაისის ავტობიოლი. ნარკვევი. 56 გვ. ფასი 4 ზ.  
 ელიზბარ უბილავა. სამგორი. ნარკვევი. 70 გვ. ფასი 4 ზ.  
 გიორგი თავაშვილი. იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება. ნარკვევი. 96 გვ. ფასი 4 ზ.  
 მ. ილინი. წიგნის თავგადსავალი. ნარკვევი. თარგ. შერაბ ლორთქიფანიძისა. 100 გვ. ფასი 5 ზ.  
 მ. ილინი. რომელი საათია? 88 გვ. ფასი 5 ზ.  
 მიხეილ კეკელიძე. მეგობრები. მოთხრობები. 71 გვ. ფასი 3 ზ.  
 ალექსანდრა ჩხეციანი. რომიკო. მოთხრობა. 24 გვ. ფასი 3 ზ.  
 სიმონ ჩიქოვანი. სიმღერა დავით გურამიშვილზე. პოემა. 177 გვ. ფასი 8 ზ.  
 ალექსანდრა. სწავლისმღერა. ლექსები. გვ. 107. ფასი 10 ზ.  
 ალექსანდრე ფადეევი. ახალგაზრდა გვარია. თარგმანი პოლი აბრამიძისა. 664 გვ. ფასი 28 ზ.  
 ვრ. ქარელიშვილი. ნიკო ლომოური. მონოგრაფია. 220 გვ. ფასი 8 ზ.  
 კარლო კლავდ. საბავშვო ბოეები. 67 გვ. ფასი 8 ზ.  
 ფულ ვერნი. კაპიტან გრანტის შვილები. თარგმანი ნ. კურდუღელაშვილისა. 720 გვ. ფასი 35 ზ.  
 ალ. პუშკინი. ზღაპრები. 92 გვ. ფასი 10 ზ.

### „კომუნისტი“

რევაზ შარვაში. აქა შვილობა. ლექსები. 64 გვ. ფასი 5 ზ.  
 ვრ. უვანია. საქართველოს ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან. 156 გვ. ფასი 4 ზ.

### „ბელოვანი“

ილია ზურაბიშვილი. ხალხის შემოქმედი გენია. ნარკვევი. 80 გვ. ფასი 3 ზ. 50 კაბ.  
 კარლო გოგაძე. ნატო ვანაძე. მონოგრაფია. 46 გვ. ფასი 5 ზ.  
 ნიკო ვოცირიძე. მოგონებანი. 115 გვ. ფასი 6 ზ.  
 შალვა კაშიაძე. ზაქარია ფალიაშვილი. მონოგრაფია. 117 გვ. ფასი 12 ზ.  
 შალვა მრეველიშვილი. ქართული სასცენო მერყეულების ფონტიკური საფუძვლები. 192 გვ. ფასი 10 ზ.



**„ბიქინია და ზრომა“**

- ბ. ორლოვი, თევდორე პეტრესძე ლიტვ. შესანიშნავი რუსი პოეზიური და პედაგოგიური ნაწარმოებები. 30 გვ. ფასი 1 ზ. 50 კ.
- ლ. კელენჯერიძე, არქტიკის შედეგები. 90 გვ. ფასი 5 ზ.
- ვ. დანილევსკი, მსოფლიოს ტექნიკის რუსი ნოვატორები. 28 გვ. ფასი 1 ზ. 75 კ.
- ვ. იანვარაშვილი, პროფესორი ა. ს. პომოვი—რადიოს გამომგონებელი. 48 გვ. ფასი 2 ზ.
- ო. შაწკელაძე, ძროხისა და ცხვრის ზელოფენური დათვისლის ტექნიკა. 72 გვ. ფასი 3 ზ. 75 კ.
- ნ. აბდულაევი, ტექნიკური მეცნიერება. მასალათა გამპლეობის ამოცანათა კრებული. 177 გვ. ფასი 5 ზ. 85 კ.
- ა. ა. ზოგომოდცი, სიცოცხლის გახანგრძლივება. 63 გვ. ფასი 3 ზ.
- ს. ს. დავარაშვილი, ავტომობილი. 476 გვ. ფასი 17 ზ. 50 კ.
- ვ. ლუნვეერი, დედამიწა სამყაროს სივრცეში. 52 გვ. ფასი 3 ზ.
- მ. სუბოტინი, დედამიწის წარმოშობა და ასაკი. 48 გვ. ფასი 2 ზ. 50 კ.

**„საბ. სსრ მცენიერებათა აკადემია“**

- ვიორჯი ჩუბინაშვილი, დავით გარეჯის გამოქვაბულთა მონასტერი. XVI—122 გვ. 130 ფურცელი სურათებით. ფასი 50 ზ.
- ალ. შავაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი. 210 გვ. ფასი 15 ზ.
- ო. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. 417—839 გვ. ფასი 40 ზ.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა**

- ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. შედგენილი სოლ. კუბანავიშვილი ს. შაერ. 466 გვ. ფასი 26 ზ.
- ივანე ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმკოდნეობა და პალეოგრაფია. 392 გვ. ფასი 25 ზ.

**„საბ. სსრ პედაგოგიურ მცენიერებათა ინსტიტუტი“**

- ფან-ფაე რუსო, ემილი ანე აღზრდის შესახებ. ფრანგულიდან თარგმნილი პროფ ს. დანელიანის, დოც. ივ. კვაჭაძისა და დოც. ერ. აბაშიძის მონაწილეობით. 956 გვ. ფასი 49 ზ. 50 კ.
- კ. დ. უშინსკი, რბეული პედაგოგიური თხზულებანი. ტ. I. XXXVIII—408 გვ. ფასი 31 ზ.
- დავით ლორთქიფანიძე, იან ამოს კომენსკის დიდაქტიკა. 140 გვ. ფასი 8 ზ.

**„საბ. სსრ სსხ. წიგნის კალბა“**

- სლომონ ცაიშვილი, ნიკოლოზ დიდიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მონოგრაფია. 88 გვ. ფასი 8 ზ.
- ენიო შადერი, მარწახმ-ლენინისძის კლასიკონები კულტურის შესახებ. 66 გვ. ფასი 3 ზ.
- საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის კალბა ამ წლისათვის (1924—1949). 60 გვ. ფასი 5 ზ.
- მ. გოცხაძე, ნარკვევები გელათის ძეგლის ისტორიიდან. 112 გვ. ფასი 15 ზ.



დავით ბაქრაძე—გმირთა სისხლით, პირველი წიგნის დასასრული . . . . .

200 წელი გოეთეს დაბადებიდან

ი. ვ. გომთე — ლექსები, თარგმანი გერმანულიდან ვახტანგ ბეჭეტიანი

კონსტანტინე ბაშსაბურღია—დავით აღმაშენებელი. ტრილოგია, კარი შესაშვ, გაგრძელება	47
ალექს. შინგალია—ფოლადის ქალაქის ქრონიკები, ლექსები	63
ნინო დოლიძე—ერთ ახალშენზე, მოთხრობა, გაგრძელება	75
ბაბრიელ ჯაბუშანაშვილი—ზემო იმერეთში, ლექსები	96
ლესია უკრაინაძე—ტყის სიმღერა, დასასრული, თარგმანი რ. გვეტაძისა	101
ლადო მარგალიტაშვილი—როგორ ვახუშტი, ლექსი	129

მანო შადური—საქართველო რუსულ ლიტერატურაში, წერილი . . . . . 130

200 წელი ა. ნ. რადიშჩევის დაბადებიდან

ანა ნიკოლაძე—ა. ნ. რადიშჩევი, წერილი . . . . . 151

მეცნიერება და ცხოვრება

სერგო აბოშაძე—ავად. ივ. შავლიაშვილის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოწყობის შესახებ, წერილი . . . . . 158

სოლომონ ცაიშვილი—მასალები გრიგოლ ორბელიანის პიოგრაფიისათვის, წერილი . . . . . 171

ბიბლიოგრაფია

მონოგრაფიები და მოგონებანი ქართულ თეატრზე

ს. ანდრიასძე—„ნათქვამი ვაჩაიძე—თეატრალური შემოქმედები“; ბ. დოლიძე—„ნათქვამი ვაჩაიძე—მოგონებანი“; ბ. მალაღვიძელი—„ალ. ბუჩთაიძე—ნათქვამი ვაჩაიძე“	177—179
---	---------

ახალი წიგნები კლასიციზმის საკითხებზე

ვლადიმერ ჯამბაზიძე—„გ. თაყაიშვილი—„იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება“; აბ. თოფჩიანი—„დ. უშინსკი ქართულ ენაზე“	180—182
--	---------

მ. თოდუა—„სადა—„გოგებაშვილი“ . . . . . 186

სოლ. ხუციშვილი—„ქორეოგრაფიული გზაგადასვლა“ . . . . . 189

ახალი წიგნები . . . . . 193



პასუხისმგებელი რედაქტორი  
ირაძე აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშიძე, ნიკოლოზ აბოშვილი (პასუხისმგებელი),  
მდივანი, ივანე ბერიშვილი, აკაკი ინგოროსკვა, სერგო ქაღიძე,  
გიორგი ბერიშვილი, ვახტანგ ბერიშვილი, ბესარიონ თოდუა,  
სოლომონ ცაიშვილი, სანდრო შანგიშვილი, დიმიტრი შანგიშვილი.

ბელმოწერალი დასაბეჭდად 2/IX 49 წ. ნაბეჭდი ფორმათა რაოდენობა 12 1/2 ფ. ში 04306.  
შეჯ. № 931. ტირაჟი 5.700.

ბაქ. სსრ შინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოქვეყნების საქმეთა  
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელფონი № 3-23-42.